



დაიბეჭდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის (გრანტი №A-42-09) ფარგლებში სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ ასახავდეს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის შეხედულებებს.

Published under the project (Grant №A-42-09) of the Ilia State University with financial support of Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expresses herewith are those of the author, and not represent the opinion of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

რედაქტორი ანა ხარანაული

რეცენზენტი მაია რაფავა

ტექსტის დაკაბადონება ვიოლა ტულუში

ყდის დიზაინი ილია ხელაია

ISBN ????

© თამარ ოთხმეზური, 2011

თამარ მოხმეზური

**კომენტარული ჟანრი
შუა საუკუნეების ქართულ
მთარგმნელობით ტრადიციაში**

ეფრემ მცირე და გრიგოლ ღვთისმეტყველის
თხზულებათა კომენტარები

თბილისი 2011

ვეძღვნი ჩემს მშობლებს,
რუსუდან დოღაბერიძეს და ზურაბ ოთხმეზურს.

შინაარსი

შესავალი.....	7
---------------	---

თავი I

გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების ბასილი მინიმუსის კომენტართა ქართული თარგმანი

1. თარგმანის ხასიათი.....	19
ლიტერალიზმი	
• ფორმალური ეკვივალენტობა	26
• იმიტაცია.....	30
თავისუფალი თარგმანი	
• შემოკლება-გავრცობა	35
• ადაპტაცია	38
• მთარგმნელის ჩანართები.....	44
2. ლექსიკა	58
• ეტიმოლოგიური თარგმანი	58
• ტრანსლიტერაცია	62
• „ნიგნური“ და „სოფლური“	70
3. ბასილი მინიმუსის კომენტარების გავლენა გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა ეფრემ მცირის თარგმანებზე	75

თავი II

კომენტართა შემცველი ქართული ხელნაწერები.

ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების კრებული

1. ლიტურგიკული საკითხავების კრებულის ტიპები	95
• კვირიკე ალექსანდრიელისადმი მიძღვნილი კრებული	95
• Jer. 13-ის ტიპის კრებული	102
2. კომენტარული ტექსტის ტექნიკური გაფორმება.....	107

3. ლიტურგიკული საკითხავების კრებული ბარძნული ღაღანი	113
4. მარგინალური ნიშნები და მათი გამოყენების წესი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შემცველ ხელნაწერებში	122

თავი III

„ზეპირით ღანარილი“ შენიშვნები გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულაში

• სქესი ძველ ქართულში	139
• ფიჭ – პიტჱ ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში	143
• სიტყვათა შედგმის ჯელოვნება	150
• გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების თარგმნის თარიღისათვის	165
• გრიგოლ ღვთისმეტყველის არალიტურგიკული საკითხავების კომენტარების კვალი ქართულ ტრადიციაში	174
• ეტემოლოგია – მზასიტყუაობა	179
• ბიბლიური ციტაცია – მიღება / მჯუღვა	183
• პუქტუაციის ნიშნები	192
• ვარიანტული წაკითხვისათვის: შვდმოქცევა თუ სამშთაბერვა	200
• ორთოგრაფიის პრობლემები: უჭმო ასოები, არიანდო და ანძიანდო	205
• სფერი – ნახევარსფერი: სამყაროს გეოცენტრული ხედვა	207
დასკვნა	222

ტექსტები

I. ბასილი მინიმუსის ეპისტოლე კონსტანტინე პორფიროგენეტის მიმართ	231
II. გრიგოლ ღვთისმეტყველის პირველი საკითხავის კომენტარი	235
III. გრიგოლ ღვთისმეტყველის 39-ე საკითხავის კომენტარი	245

THE COMMENTARIAL GENRE IN THE MEDIEVAL GEORGIAN TRANSLATION TRADITION Ephrem Mtsire and Commentaries on the Sermons of Gregory the Theologian	269
---	-----

გამოყენებული ლიტერატურა	289
საკუთარ სახელთა საძიებელი	311

შესავალი

ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიაში კომენტარული ჟანრი სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის, ეგზეგეტიკის განშტოებად არის მიჩნეული. პატრისტიკული ეპოქის ეგზეგეტა მიერ ბიბლიური წიგნების კომენტირებასთან ერთად გაჩნდა საჭიროება, განმარტებულიყო თავად ეგზეგეტა ნააზრევი ბიბლიაზე, შექმნილიყო კომენტარები უშუალოდ წმინდა მამათა ნაშრომებზე – დანერვილიყო შედარებით „მცირე“ ტექსტები, რომლებიც დაეხმარებოდა მკითხველს უფრო მნიშვნელოვანი, „დიდი“ ტექსტების გაგებასა და გააზრებაში. ბიბლიური ტექსტებისა თუ წმინდა მამათა ნაშრომების ახსნა-განმარტების, ინტერპრეტაციის პროცესში მიმდინარეობდა კრიტიკული აზროვნების ფორმირება, ფილოსოფიური კატეგორიების ჩამოყალიბება, თავს იჩენდა სწრაფვა დოქტრინათა დასაბუთებისა და ზოგადად, ლოგიკური არგუმენტაციისაკენ.

ექსპოზიციური ფუნქციიდან გამომდინარე, კომენტარულ ტექსტებს უმეტესწილად საკმაოდ რთული, კომპლექსური ტექსტუალური ისტორია აქვთ. ისინი ადვილად ეგუებიან ყველანაირ ცვლილებებს – როგორც ტექსტობრივს, ისე შინაარსობრივს; მწიგნობრებს, რომლებიც იწერენ, რედაქტირებას უწევენ მათ, თუ ერთი ენიდან მეორეზე თარგმნიან, ამ სახის ტექსტებში ხშირად შეაქვთ თავიანთი კორექტივები, სხვადასხვა ხასიათის დამატებები თუ ახალი, ალტერნატიული განმარტებები.¹ ამგვარ თავისუფალ მიდგომას ხელს უწყობს კომენტარული ტექსტების ადგილმდებარეობაც ხელნაწერ წიგნში – ძალიან ხშირად ისინი ხელნაწერთა აშეიბზე არიან წარმოდგენილნი, აშია კი ხელნაწერის ის თავისუფალი სივრცეა, სადაც გადამწერსა თუ მთარგმნელს შესაძლებლო-

¹ West, *Textual Criticism*, p. 16.

ბა აქვს გამოთქვას საკუთარი აზრი, თავად დაურთოს განმარტება ძირითად ტექსტს. კომენტარული ჟანრის ეს სპეციფიკა ძალიან ართულებს ამ ჟანრის თხზულებების შესწავლას – კომენტართა შემცველი ხელნაწერების კლასიფიკაციას, ტექსტუალური ტრადიციის დადგენას, კრიტიკული ტექსტის მომზადებას, თუმცა განსაკუთრებით საინტერესოს ხდის ამ ჟანრის ტექსტებზე მუშაობას.

ძველ ქართულ მნიგნობრულ ტრადიციაში კომენტარული ჟანრის შემოტანა უშუალოდ არის დაკავშირებული ადრექრისტიანული სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის, IV საუკუნის კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის) სახელთან.

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე არც ერთი ავტორის თხზულებებზე არ შექმნილა იმდენი კომენტარი, რამდენიც გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიებზე, პოეზიასა და წერილებზე.² თავად გრიგოლს არასოდეს უმუშავია ბიბლიურ წიგნთა კომენტირებაზე, მაგრამ მისი ბიბლიური ციტატებითა და ალუზიებით მდიდარი ჰომილეტიკური მემკვიდრეობა, განსაკუთრებით ლიტურგიკული საკითხავები, ბიბლიის სიღრმისეული გააზრებით ყოველთვის ასრულებდა წმინდა წერილის ინტერპრეტაციის ფუნქციას.

გრიგოლის თხზულებებზე შექმნილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კომენტარების არსებობა, ამ ავტორის უდიდეს პოპულარობასა და მნიშვნელობასთან ერთად, იმაზეც მიუთითებს, რომ გრიგოლის თხზულებები შუა საუკუნეების მკითხველისათვის არ წარმოადგენდნენ ადვილად გასაგებ ტექსტებს. ძირითად სირთულეს, რაზეც გრიგოლის თანადროული თუ შემდგომი პერიოდის მნიგნობრები მიუთითებდნენ, ქმნიდა მისი მხატვრული სტილი – მოკლე, ლაკონურ ფრაზაში ჩადებული ღრმა აზრი – *სიტყუა-სიმოკლე* და *სიღრმე*.³ გარდა ამისა, გრიგოლის თხზულებები, ორატორული ხასიათის გამო (შუა საუკუნეებში გრიგოლი ქრისტიან დემოსთენედ იყო წოდებული), ხშირად შეჰქონდათ სასწავლო წიგნებში – რიტორიკის სახელმძღვანელოებში, რაც ასევე ქმნიდა მათი კომენტირების წინაპირობას.

პირველი განმარტებები, რომლებიც გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებზე შეიქმნა, ფსევდონონეს მითოლოგიური სქოლიოები

² Sajdak, Die scholiasten des Reden des Gregor von Nazianz, s. 269.

³ გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული სიტყვების ეფრემ მცირის კოლოფონი (Cod. Jer. 43, 3v). ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 149.

(VI ს.), რომლებშიც განმარტებულია გრიგოლის ოთხ ჰომილიაში (მე-4, მე-5, 39-ე და 43-ე) მოხსენიებული ანტიკური სახეები. ეს არის მითოლოგიურ სიუჟეტებზე აგებული პატარ-პატარა ამბების (ai istoriai) კრებული, რომელიც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, ანტიკურ მითოლოგიასა და ზოგადად, ანტიკურ სამყაროზე ინფორმაციის უაღრესი უკმარისობის პირობებში, ანტიკურობის შესახებ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ წყაროს წარმოადგენდა ბიზანტიელთათვის. ეს საცნობარო-საენციკლოპედიო ხასიათის წიგნი დეტალურ, ზოგჯერ ნაკლებად ცნობილ მითოსურ ამბებთან ერთად, საინტერესო ინფორმაციას აწვდიდა შუა საუკუნეების მკითხველს ანტიკური ეპოქის გეოგრაფიული თუ საბუნებისმეტყველო ხასიათის ცოდნის შესახებ და საკმაოდ პოპულარული იყო ქრისტიანულ აღმოსავლეთში.⁴

გრიგოლის განმარტებათა ადრეულ ტრადიციას მიეკუთვნება *Scholia Alexandrina* – გრიგოლის ჰომილიათა ხელნაწერების აშეებზე მოთავსებული ისტორიული, მითოლოგიური თუ ყოფითი ინფორმაციის შემცველი მცირე ზომის სქოლიოები, რომლებიც ანონიმ ალექსანდრიელ ავტორ(ებ)ს ეკუთვნის.⁵

გრიგოლ ღვთისმეტყველს უკავშირდება ქრისტიანობის უდიდესი ავტორიტეტის, მაქსიმე აღმსარებლის ნაშრომი, რომელიც *Ambiguorum liber*-ის სახელით არის ცნობილი.⁶ თხზულება, რომელიც წარმოადგენს მაქსიმეს ნააზრევს გრიგოლ ღვთისმეტყველისა და არეოპაგიტული კორპუსის შესახებ, მაქსიმეს დამოუკიდებელ ფუნდამენტურ შრომად არის მიჩნეული მკვლევართა მიერ.

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების ბიზანტიური ეპოქის კომენტართა შორის გამოირჩევა X საუკუნის მწიგნობრის, კესარია-კაპადო-

⁴ ფსევდონონეს კომენტარები VI-VII საუკუნეებში ნათარგმნია სირიულ და სომხურ ენებზე: Brock, *The Syriac Version of the Pseudo-Nonnos Mythological Scholia*; Manandian, *Die Scholien zu fünf Reden des Gregor von Nazianz*, p. 220-300. არსებობს ამ თხზულების ორი ქართული თარგმანი: ექვთიმე ათონელის, რომელმაც ფრაგმენტის სახით მოაღწია და ეფრემის. ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 11, 12.

⁵ Nimmo Smith, *The Early Scholia on the Sermons of Gregory of Nazianzus*, p. 69-146.

⁶ Maximou peri diaforwn aporiwn tw'n agiwn Dionusiou kai Grhgoriou pro~ Qwman ton hgasmenon – PG 91, col. 1032-1418. ტერმინი *ambiguum* ბერძნული ἄμφοτερον-ის შესატყვისად პირველად გამოიყენა იოანე სკოტ ერიუგენამ ამ თხზულების ლათინურ ენაზე თარგმნისას, იხ. *Maximi Confessoris Ambigua ad Iohannem*, p. IX.

კიის ეპისკოპოსის, ბასილი მინიმუსის განმარტებები. ეს არის გრიგოლის 42 საკითხავზე შექმნილი პირველი ვრცელი, კომპლექსური კომენტარები. უზარმაზარი კომპილაციური ნაშრომი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში გრიგოლის თხზულებათა რიტორიკულ კომენტარებად არის მოხსენიებული, მაკედონური რენესანსის ლიტერატურული აზროვნების ტიპური ნიმუშია. მასში, საღვთისმეტყველო საკითხების კვლევასთან ერთად, გამოკვეთილია ეპოქის მნიგნობრული ცხოვრების ტენდენციები – განსაკუთრებული ინტერესი რიტორიკული, ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების მიმართ.

გრიგოლ ღვთისმეტყველს, როგორც ბრწყინვალე რიტორს, ხშირად იხსენიებს მიქაელ ფსელოსი (XI ს.) თავის ცნობილ ტრაქტატებში საღვთისმეტყველო სტილის შესახებ;⁷ მასვე ეკუთვნის გრიგოლის ჰომილიების ზოგიერთი პასაჟის კომენტარი.⁸

XI-XII საუკუნეების მიჯნის, მიქაელ ფსელოსის ეპოქის სულისკვეთების მნიგნობარია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სკოლის მასწავლებელი, შემდგომში ჰერაკლიის მიტროპოლიტი, ნიკიტა ჰერაკლიელი, რომელიც ავტორია გრიგოლის 16 ლიტურგიკული საკითხავის თეოლოგიურ-დოგმატური ხასიათის კომენტარებისა.⁹

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარების ქართულად თარგმნა მჭიდროდ უკავშირდება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიცაა თავად გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების ქართულად გადმოტანა. გრიგოლ ღვთისმეტყველის ქართულად თარგმნა საკმაოდ ხანგრძლივი, შრომატევადი პროცესი იყო. სხვადასხვა ეპოქისა და მთარგმნელობითი სკოლის ცნობილი თუ ანონიმი ქართველი მნიგნობრები – ათონამდელი მთარგმნელები (VIII-IX სს.), გრიგოლ ოშკელი (X ს.), ექვთიმე ათონელი (X-XI სს.), დავით ტბელი (X-XI სს.), ეფრემ მცირე (XI ს.) თუ ანონიმი გელათელები (XII ს.) – საუკუნეების განმავლობაში მუშაობდნენ გრიგოლის ტექსტების ქართულ თარგმანებზე და სხვადასხვა მეთოდებითა თუ ხერხებით ცდილობდნენ მათ ქართულ ენაზე ადაპტირებას. არ დარჩენილა გრიგოლის თხზულებების თითქმის არც ერთი ქართველი მთარგმნელი, რომელსაც გრიგოლის თხზულებათა კომენტარებზეც არ

⁷ PG 122, col. 901-908; Mayer, Psellos' Rede über den rhetorischen Charakter des Gregorios von Nazianz, s. 27-100.

⁸ Gautier, *Michaelis Pselli Theologica*.

⁹ Dyobuniotes, Nikhita~ Hrakleia~ ermhneia~; Browning, The Patriarchal School at Constantinople, p. 15-17.

ემუშაოს. გრიგოლ ოშკელის მიერ ნათარგმნია გრიგოლის 27-ე საკითხავის მცირე ზომის კომენტარი, რომელიც სომხურიდან უნდა მომდინარეობდეს.¹⁰ დავით ტბელს ნათარგმნი აქვს გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-9 სიტყვის ასევე მცირე მოცულობის კომენტარი.¹¹ ქართულ ხელნაწერებში დასტურდება ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარების ფრაგმენტის თარგმანი (გრიგოლის 39-ე საკითხავის შვიდი განმარტება), რომელიც ექვთიმე ათონელის მიერ არის შესრულებული.¹² ექვთიმეს მიერ ქართულად ნათარგმნია გრიგოლის 38-ე საკითხავის კომპილაციური ხასიათის თეოლოგიურ-ფილოსოფიური კომენტარი, რომლის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ექსცერპტებს მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem*-იდან;¹³ ექვთიმემ ასევე თარგმნა გრიგოლის 44-ე საკითხავის მცირე ზომის კომენტარი: „თარგმანებაჲ ძნელთა სიტყუათა“.¹⁴ ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში დასტურდება გრიგოლ ღვთისმეტყველის პოეზიის კომენტარებიც.¹⁵

უმთავრესი წვლილი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარების თარგმანში XI საუკუნის II ნახევრის შავი მთის მწიგნობარს, ეფრემ მცირეს მიუძღვის. მის მიერ ნათარგმნია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ბასილი მინიმუსის კომენტარები, კერძოდ, 42 სიტყვის კომენტარიდან 16 ლიტურგიკული საკითხავის კომენტარი,¹⁶

¹⁰ რაფავა, გრიგოლ ნაზიანზელის პირველი თეოლოგიური სიტყვის კომენტარები ქართულ-სომხურ თარგმანებში, გვ. 145-157.

¹¹ მაჭავარიანი, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა დავით ტბელისეული თარგმანები.

¹² *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii. Versio iberica*, p. 154-171.

¹³ *Oratio 38, Iber.* p. 121-219.

¹⁴ *Oratio 44, Iber.* p. 208-215.

¹⁵ ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ქართული ვერსიებიდან: ეფრემ მცირის თარგმანი; ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ქართული ვერსიებიდან: ეფთვიმე ათონელის „სწავლანი სულიერნი“; ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ანონიმური ქართული ვერსია.

¹⁶ დღეისათვის გამოცემულია გრიგოლის ორი საკითხავის ბასილი მინიმუსის კომენტარის ქართული თარგმანი, იხ. ოთხმეზური, „აღვსების საკითხავის“ ბასილი მინიმუსის განმარტება, გვ. 260-273. ოთხმეზური, „ნათელთათვის“ საკითხავის ბასილი მინიმუსის განმარტება, გვ. 303-339; აგრეთვე, ბასილის კომენტარებში ჩართული მცირე ზომის ტრაქტატი – ბასილი მინიმუსის ეპისტოლე კონსტანტინე იმპერატორისადმი, ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარების ისტორიიდან, გვ. 27-29. იხ. აქვე, გვ. 229-268.

ასევე ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარები სრული სახით (39-ე, 43-ე, მე-4 და მე-5 ჰომილიათა განმარტებები).¹⁷

ქართული მწერლობის ისტორიაში ეფრემ მცირე ელინოფილური მიმდინარეობის ფუძემდებლად არის მიჩნეული. მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ექვთიმე ათონელის თავისუფალი მთარგმნელობითი პრაქტიკიდან გელათური მთარგმნელობითი სკოლისა და იოანე პეტრიწის ზუსტი მთარგმნელობითი მეთოდისაკენ. ეფრემის მწიგნობრული საქმიანობა, ელინოფილურ მთარგმნელობით კონცეფციასთან ერთად, მოიცავს ინტერესს ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა გრამატიკა და რიტორიკა, კომენტარული საქმიანობისა და ხელნაწერი წიგნის აგების პრინციპები, ძველ ავტორთა ტექსტების კრიტიკული კვლევის მეთოდოლოგია, ანტიკური კულტურული მემკვიდრეობის როლი ქრისტიანულ აზროვნებაში და ა. შ. თავისი მწიგნობრული საქმიანობით ეფრემი აშკარად ეხმაურება XI საუკუნის II ნახევრის ბიზანტიაში მიმდინარე სააზროვნო პროცესებს. ბიზანტიურ აზროვნებაში ამ დროს განსაკუთრებით გამოკვეთილია მეცნიერული სტილი; თავს იჩენს განმანათლებლური ტენდენციები, გატაცება ანტიკურობით, მაღალ საფეხურზეა ფილოლოგიური, გრამატიკული, ლიტერატურულ-თეორიული აზროვნება, ჩამოყალიბებული სახე აქვს ტექსტების კვლევის მეთოდოლოგიას, აქტუალურია საეკლესიო და კლასიკური ტექსტების მიმართ კრიტიკული მიდგომა.¹⁸ ამგვარი ტენდენციები და პროცესები განსაკუთრებულ ინტერესს აღვივივებდა ისეთი ტექსტების მიმართ, რომელთა მთავარი მახასიათებელი იყო კრიტიკული აზროვნება, ანალიზი, არგუმენტაცია. ამ ტიპის ტექსტებს წარმოადგენდნენ სწორედ ეგზეგეტიკური თუ კომენტარული ხასიათის თხზულებები.

ინტერესი გრიგოლისა და მისი შრომების კომენტარების მიმართ არ განელებულა არც ეფრემის შემდეგ. „დოგმატიკონში“ დაცულია მიქაელ ფსელოსის „პირმშობის შესახებ“ – გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-40 სიტყვის ერთ-ერთი პასაჟის კომენტარის თარგმანი, რომელიც არსენ იყალ-

¹⁷ არსებობს ამ თხზილების სამი გამოცემა: აბულაძე, ელინთა ზღაპრობანი, *ენ-იმკის მოამბე* 10, 1941. ეს პუბლიკაცია შესულია აბულაძის *შრომების* მე-3 ტომში. სხვა გამოცემებია: *ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები*; *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii. Versio Iberica*.

¹⁸ Browning, *Tradition and Originality*, p. 19-20; Browning, *Byzantinische Schulen*, p. 105-106.

თოელს უნდა ეკუთვნოდეს.¹⁹ გვიანელინოფილურმა ტრადიციამ კი შემოინახა გელათელი ანონიმის მიერ თარგმნილი გრიგოლის 43-ე სიტყვის ნიკიტა ჰერაკლიელის კომენტარის ფრაგმენტი.²⁰

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები ნაკლებად შესწავლილი საკითხია ბიზანტინისტიკაში. არსებობს ცალკეული კომენტარის XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის პუბლიკაციები, რომლებიც, ძირითადად, ერთ ხელნაწერს ეფუძნება და ამდენად განსაკუთრებული მეცნიერული ღირებულება არა აქვს.

მართალია, XX საუკუნის პირველ ნახევარში იყო მცდელობა, საფუძველი ჩაყროდა გრიგოლის თხზულებათა კომენტარების სამეცნიერო გამოცემას – ამ კუთხით ჩატარდა წინასწარი სამუშაოები,²¹ მაგრამ ბოლო დრომდე გრიგოლის თხზულებების ვერც ერთი კომენტარის კრიტიკული გამოცემა ვერ განხორციელდა. ამ სირთულის დაძლევა მოხერხდა მხოლოდ XX საუკუნის ბოლოს, ისიც ნაწილობრივ: 1992 წელს გამოიცა ფსევდონონეს კომენტართა კრიტიკული ბერძნული ტექსტი, რომელიც ეფუძნება ბერძნული ხელნაწერი ტრადიციის დეტალური ანალიზის შედეგად შერჩეულ თექვსმეტ ნუსხას.²² 2002 წელს განხორციელდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთი სიტყვის, 38-ე ჰომილიის ბასილი მინიმუსის კომენტარის კრიტიკული ტექსტის პუბლიკაცია X-XI საუკუნეების თორმეტი ბერძნული ხელნაწერის მიხედვით.²³

დღეისათვის, როდესაც კომენტართა ბერძნული ტექსტების გამოცემის საკითხი საკმაოდ აქტუალურია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უცხოენოვანი ვერსიების პუბლიკაციას. უცხოენოვან ვერსიაში თხზულების აგებულების შესწავლამ, ტექსტუალური ტრადიციის გამოკვეთამ, განსხვავებული ვარიანტული წაკითხვების გამოვლენამ შე-

¹⁹ Mtchedlidzé, La traduction géorgienne du commentaire de Michel Psellos sur le Discours 40, p. 319-329.

²⁰ *Oratio 43, Iber.* p. 368-385. კომენტარის გამოცემა ეფუძნება სამ ოქსფორდულ ხელნაწერს, იხ. Coxe, *Bodleian Library*, col. 316-318, 787; Coxe, *Catalogus*, p. 17-18; Kitchin, *Catalogus*, p. 27-28.

²¹ Sajdak, *Historia critica scholiastarum*. სრული ბიბლიოგრაფია 1958 წლამდე მოცემულია ნაშრომში: Lefherz, *Studien zu Gregor von Nazianz*.

²² *Pseudo-Nonniani in IV Orationes Gregorii Nazianzeni Commentarii*. სამეცნიერო აპარატი ბერძნულ ვარიანტულ წაკითხვებთან ერთად წარმოდგენილია კომენტართა სირიული და სომხური კითხვა-სხვაობანი, რისი საშუალებითაც იქმნება აღმოსავლურენოვანი თარგმანების ტრადიციისა და ამ ტრადიციის ბერძნულთან მიმართების ნათელი და საყურადღებო სურათი.

²³ *Basili Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*.

საძლთა, დიდი დახმარება გაუწიოს ბერძნული ტექსტის გამომცემლებს ხელნაწერების კლასიფიკაციასა და ბერძნული ტექსტუალური ტრადიციის დადგენაში. გარდა ამისა, თავად ფაქტი, რომ გარკვეულ პერიოდში გაჩნდა ინტერესი და საჭიროება ამა თუ იმ თხზულების უცხოურ ენაზე თარგმნისა, ზოგადად მის პოპულარულობაზე მიანიშნებს, რაც ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში ამ თხზულების ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრის კრიტერიუმადაც შეიძლება გამოდგეს.

ამჟამად გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარების ქართული თარგმანები ყველა სრულად არის გამოქვეყნებული, გარდა ბასილი მინიმუსის კომენტარებისა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოცემული.²⁴

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარებთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამუშავებულია საკითხთა გარკვეული ჯგუფი. ესენია: ფსევდონონეს კომენტართა გავლენა შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაზე,²⁵ გრიგოლის თხზულებათა ეფრემისეული თარგმანების კომენტარებიანი კრებულის რამდენიმე განმარტების ავთენტურობის საკითხი,²⁶ კომენტარების გავლენა ეფრემ მცირის მარგინალურ შენიშვნებზე,²⁷ კომენტარების გავლენა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების ექვთიმე ათონელის თარგმანზე,²⁸ გრიგოლის ჰომილიათა რიტორიკული სტილის ანალიზი ბასილი მინიმუსის კომენტარების მიხედვით,²⁹ გრიგოლ ღვთისმეტყველის 43-ე სიტყვის კომენ-

²⁴ იხ. სქ. 10-20.

²⁵ ინგოროყვა, რუსთველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, გვ. 1-80; აბულაძე, ელინთა ზღაპრობანი; *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzenii commentarii. Versio iberica*, p. LXI-LXV.

²⁶ ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები.

²⁷ თვალთვაძე, ეფრემ მცირე – ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის კომენტატორი.

²⁸ რაფაეა, „თარგმანთაგანისა“ და „ზედადართულის“ გაგებისათვის, გვ. 85-93: შესწავლილია ბასილის კომენტარების გავლენა გრიგოლ ღვთისმეტყველის 21-ე სიტყვის ექვთიმე ათონელის თარგმანზე. ოთხმეზური, კომენტართა გავლენა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართულ თარგმანებზე, გვ. 151-163.

²⁹ ბეზარაშვილი, საღვთისმეტყველო-რიტორიკული სტილის ზოგიერთი თავისებურებისათვის გვ. 258-276; ბეზარაშვილი, მშვენიერების ცნების გაგებისათვის ბიზანტიურ ესთეტიკაში და ეფრემ მცირესთან, გვ. 74-90.

ტარის ფრაგმენტის, როგორც იოანე პეტრიწის ე. წ. ბოლოსიტყვაობის ერთ-ერთი ნაწილის რაობის საკითხი.³⁰

ჩვენი ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს კომენტარული ხასიათის თხზულებათა ქართული თარგმანების როლი და მნიშვნელობა XI-XII საუკუნეებში ახალი, ელინოფილური აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

შესაბამისად, ამ კუთხით განვიხილავთ შემდეგ საკითხებს:

- როგორ წარიმართა თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდიდან ლიტერატურზე გადასვლის პროცესი კომენტართა თარგმნის ფონზე, იქონია თუ არა გავლენა ამ პროცესზე ბიზანტიური ლიტერატურის ერთ-ერთი სპეციფიკური ჟანრის, კომენტარული ლიტერატურის თარგმნამ; რა გავლენა მოახდინა მან ეფრემ მცირის მთარგმნელობით კონცეფციამ, გვაძლევს თუ არა ამ ჟანრის თხზულებათა ეფრემისეული თარგმანების კვლევა რაიმე ახალს ეფრემის მთარგმნელობითი საქმიანობის შესწავლისათვის.

- რა გავლენა მოახდინა ქართველი მწიგნობრების ბიზანტიურ კომენტირებულ კრებულებზე მუშაობამ XI-XIII საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის და ზოგადად, ქართული მწიგნობრული კულტურის განვითარებაზე.

- რამდენად შეუწყო ხელი კომენტარული ხასიათის ტექსტებზე მუშაობამ XI-XII საუკუნეების ქართველ მწიგნობართა აზროვნების განვითარებას, ახალი სტილის ქართული სამეცნიერო აზრის ჩამოყალიბებას.

საკვლევ მასალად, ძირითადად, გამოყენებული გვაქვს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ბ ა ს ი ლ ი მ ი ნ ი მ უ ს ი ს კ ო მ ე ნ - ტ ა რ ე ბ ი ს ეფრემ მცირის თარგმანები, ამ თარგმანთა შემცველი ხელნაწერები.

³⁰ იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. XXXV-XLVII; იოანე პეტრიწის შრომები, II, გვ. 207-227; ცქიტიშვილი, იოანე პეტრიწის ერთი ორიგინალური ნაშრომის რაობისა და მნიშვნელობისათვის, გვ. 121-139. ჭელიძე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა, გვ. 76-89; იოანე პეტრიწი, *განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“*. პატარიძე, *კაპადოკიელთა პექსემერონული ეგზეგეტიკა ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში*. ოთხმეზური, ბეზარაშვილი, იოანე პეტრიწის ე. წ. ბოლოსიტყვაობის ერთი ფრაგმენტის ბერძნული დედანი.

წარმოდგენილი საკითხების ანალიზისას ხშირად ვეყრდნობით ეფრემ მცირის კოლოფონებს – მის თარგმანებზე დართულ ვრცელ შესავლებსა და ბოლოსიტყვაობებს – უძვირფასეს ლიტერატურულ-ისტორიულ წყაროებს შუა საუკუნეების ჰუმანიტარული აზროვნების შესწავლისათვის, რომლებშიც ეფრემს გამოთქმული აქვს თავისი შეხედულებები სხვადასხვა სახის მნიგნობრულ საქმიანობაზე, მთარგმნელობით მეთოდებსა და პრინციპებზე; ვფიქრობთ, ამით გვეძლევა კარგი შესაძლებლობა წარმოვაჩინოთ, რამდენად ემთხვევა ეფრემის თეორიული შეხედულებები მის პრაქტიკულ საქმიანობას, ვაჩვენოთ, რამდენად და როგორ ახორციელებს ის კოლოფონებში ჩამოყალიბებულ თეორიებს რეალურად, თავის მნიგნობრულ საქმიანობაში, რაც ჩვენი ნაშრომის კიდევ ერთ ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს.

მეთოდი, რომელსაც მივმართეთ ჩვენი კვლევისას ამგვარია: შუა საუკუნეების როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური (ვგულისხმობთ კოლოფონებს) ტექსტების „ნაკითხვა“, დეტალური ანალიზი, კომენტირება (ჩვენ შემთხვევაში – *კომენტარის კომენტარი*) და მიღებული დასკვნების ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურულ-კულტურული სისტემის კონტექსტში მოქცევა.

ბასილი მინიმუსის თხზულების ეფრემისეული თარგმანის ბერძნულთან მართების კვლევისას ბერძნულისათვის გამოვიყენეთ შემდეგი მასალა: გრიგოლ ღვთისმეტყველის 38-ე საკითხავის ბასილი მინიმუსის კომენტარის კრიტიკული ტექსტი (*Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*), ასევე 43-ე და 39-ე სიტყვათა კომენტარების კრიტიკული ტექსტები, რომლებიც მომზადებულია გამოსაცემად. მადლობას ვუხდით ამ მასალის მოწოდებისათვის თომას შმიტს, რომელიც ამჟამად მუშაობს ბასილი მინიმუსის კომენტარების სრული ტექსტის პუბლიკაციაზე. ასევე ვისარგებლეთ ბასილი მინიმუსის თხზულების შემცველი სამი ბერძნული ხელნაწერით: *Paris. Coisl.* 240, XI ს., *Paris. Coisl.* 52, XI ს., *Vat. gr.* 437, X ს., რომელთა ფოტოასლები მოგვანოდა ბ-მა ჟუსტინ მოსემ ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტიდან, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

უდიდესი მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ქ-ნი ციალა ქურციკიძე ბასილი მინიმუსის ტექსტის დადგენაში გაწეული დახმარებისათვის. განსაკუთრებით მადლობელი ვარ წიგნის სამეცნიერო რედაქტორის, ანა ხარანაულის, ნაშრომის საფუძვლიანი რედაქტირებისა და საყურადღებო რჩევებისათვის.

გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების ბასილი მინიმუსის კომენტართა ქართული თარგმანი

ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში კომენტარული ჟანრის თხზულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების ბიზანტიელი კომენტატორის, ბასილი მინიმუსის განმარტებათა ეფრემ მცირის თარგმანს უჭირავს.¹

X საუკუნის მწიგნობარს, კესარია-კაპადოკიის ეპისკოპოსს, ბასილი მინიმუსს გრიგოლის 42 საკითხავი აქვს კომენტირებული. გრიგოლის ერთ-ერთი საკითხავის, 38-ე სიტყვის კომენტარს უძღვის მცირე ზომის ტექსტი – ეპისტოლე ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე პოროფიროგენეტის (913-959 წწ.) მიმართ,² რომლის მიხედვითაც ირკვევა კომენტართა შექმნის ისტორია: ბასილი მინიმუსს შეუკრებია გრიგოლის თხზულებათა მანამდე არსებული კომენტარები, შეუმოკლებია, ნაწილობრივ გაუმარტივებია, თავის მხრივ დაურთავს საკუთარი განმარტებები³

¹ კ. კეკელიძე ეფრემის მიერ ნათარგმნ გრიგოლის 16 საკითხავის კომენტარების ავტორად მიიჩნევდა ნიკიტა ჰერაკლიელს, იხ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 103. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტურგურის ისტორია*, I, გვ. 265. ეს ინფორმაცია გადასულია მე-20 საუკუნის უცხოურ საცნობარო თუ სამეცნიერო ლიტერატურაში (CPG 3027), თუმცა გრიგოლის კომენტარებისადმი მიძღვნილ ბოლოდროინდელ ნაშრომებში ეს უზუსტობა გარკვეულია, იხ. *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. XII.

² ბასილი მინიმუსის ეპისტოლის ადრესატის იდენტიფიკაციისათვის იხ. აქვე, გვ. 231.

³ Tw̃n oun pansofwn toutou logwn, ei kai tolmhron, omw~ edoxe kai ta patrasin ei~ exhghsin kai diasafhsin rhtwn tinwn espoudasmena epitomwteron pw~ kai safesteron kata to enon diaquesqai, pro~ de tina kai hmin prosteqeisqai ei~ exaplwsin

და ამ სახით მიურთმევია ის ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე VII პორფიროგენეტისათვის. საზოგადოდ, კომპილაციურობა – ამა თუ იმ თხზულების კომენტირებისას ადრინდელი განმარტებების, წინამორბედ კომენტატორთა შრომების გამოყენება – კომენტარული ჟანრის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. კომპილაციის მიზანი მკითხველისათვის მაქსიმალურად ამომწურავი და ამავე დროს მრავალგვაროვანი ინფორმაციის მინოდებაა.⁴

როგორც უკვე აღვნიშნეთ, X საუკუნეში ბიზანტიურ აზროვნებაში განსაკუთრებით იკვეთება მეცნიერული სტილი, საეკლესიო და კლასიკური ტექსტების მიმართ კრიტიკული მიდგომა, ტექსტების კვლევის მეთოდოლოგიისა და ფილოლოგიური, ლიტერატურულ-თეორიული საკითხებისადმი ინტერესი.⁵ კრუმბახერი ამ პერიოდის მწიგნობრებს, აზროვნების სტილისა და კვლევის მეთოდების მიხედვით, ელინისტური ეპოქის სამეცნიერო-კრიტიკული აზროვნებით გამორჩეულ და დახვეწილი ფილოლოგიური მეთოდებით მომუშავე ალექსანდრიელ გრამატიკოსებს ადარებს. ეპოქის მწიგნობრული ცხოვრების ეს ტენდენციები აისახა ბასილი მინიმუსის თხზულებაშიც; მასში თეოლოგიური განმარტებების გვერდით წარმოდგენილია რიტორიკული თუ გრამატიკული ხასიათის განმარტებები, რომლებშიც ელინისტური ეპოქის ფილოლოგთა, აგრეთვე მეორე სოფისტიკის ორატორული ხელოვნების თეორეტიკოსთა ნაშრომების გავლენა იგრძნობა.

თუ გავითვალისწინებთ ეფრემ მცირის განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ ამ ტიპის – გრამატიკული, რიტორიკული – საკითხების მიმართ, ასევე მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ინფორმატიულობითა და მრავალმხრივობით გამორჩეული კომპილაციური ტექსტებისადმი (როგორც ცნობილია, კომპილაციურია მის მიერ ნათარგმნი ფსალმუნთა, ასევე სამოციქულოს კომენტარები), შემთხვევითად არ მოგვეჩვენება ის,

nohmatwn kai th~ en baqei dianoiat~ enargeian, *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 4.

⁴ კომენტარული ჟანრის ეს სპეციფიკა განსაკუთრებით კარგად ჩანს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარულ ტრადიციაში – გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა გვიანდელი კომენტატორები ხშირად სარგებლობდნენ ამ ავტორის ადრინდელ კომენტატორთა ნაშრომებით, Fromont, Lequeux, Mossay, Gregorius Florellius, commentateur de Grégoire de Nazianze au XVI siècle, p. 17-155; ოთხმეზური, ბეზარაშვილი, იოანე პეტრიწის ე. წ. ბოლოსიტყვაობის ერთი ფრაგმენტის ბერძნული დედანი, გვ. 211-221.

⁵ Lemerle, *Byzantine Humanism*, p. 142-300.

რომ გრიგოლის ბიზანტიური კომენტარებიდან ეფრემმა სათარგმნელად სწორედ ბასილი მინიმუსის თხზულება აირჩია.

1. თარგმანის ხასიათი

ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, ეფრემის მთარგმნელობითი საქმიანობა ორ ეტაპად შეიძლება წარმოვიდგინოთ. პირველ ეტაპზე – XI საუკუნის 90-იან წლებამდე – შექმნილი თარგმანები ახლოს დგას წინაელვინოფილური პერიოდის ქართველი მწიგნობრების, ათონელების თავისუფალ, მკითხველზე ორიენტირებულ თარგმანებთან; შემდგომ ეტაპზე კი – XI საუკუნის 90-იანი წლებში – უკვე ყალიბდება მისი, როგორც ელინოფილი მწიგნობრის, მთარგმნელობითი კონცეფცია,⁶ რომელიც გულისხმობს თარგმანის მომდინარეობას უშუალოდ ორიგინალის ენიდან,⁷ სათარგმნელად სანდო დედნის შერჩევას, დედანთან მაქსიმალურ სიახლოვეს⁸ – მისი ყველა დეტალის, აზრობრივი ნიუანსისა თუ ენობრივ-სტილისტური თავისებურების ასახვას თარგმანში,⁹ სწრაფვას საღვთისმეტყველო ტერ-

⁶ ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, გვ. 544-555; თვალთვაძე, *ეფრემ მცირე – ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის კომენტატორი*, გვ. 130-145; ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 411-412.

⁷ მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთ-ერთ საკითხავს, რომელიც X საუკუნეში გრიგოლ ოშკელის მიერ არის ნათარგმნი სომხურიდან, ეფრემი ხელახლა თარგმნის და ურთავს კოლოფონს: ... *სომეხისა შკლსა, ბერძენისა-და შკლისშკლსაღა, ნუუკუედა არა უეჭველსა, თვთ უეჭვი და საკუთარი შკლი აღვირჩივე* (cod. A-292, 1800 წ., 312r, ხელნაწერის ორთოგრაფია დაცულია); ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 175.

⁸ ეფრემის თეორიული გამონათქვამები ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: ტექსტი დედნიდან უნდა ითარგმნოს *მარტივად და შეუზავებლად და შეუხებლად* (cod. A-24, 1r-4v), *ვითარ იგი ბერძულად არს და ყოველივე ბერძულისაგან* (cod. A-292, 329r), *მთარგმნელმა დედასა არარაჲ უნდა ჩართოს* (cod. Ath. 18, f. 237), თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 202, 210-212, 232-233.

⁹ მელიქიშვილი, *სიტყვანარმოების საერთო საშუალებანი იოანე პეტრიწისა და ეფრემ მცირის ენაში*, გვ. 115; დანელია, *ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები*, გვ. 356-357.

მინოლოგიის მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებისაკენ.¹⁰ ეფრემის ელინო-ფილური კონცეფცია – ფორმალური ეკვივალენტის თარგმანის შექმნის თეორია – ჩამოყალიბებულია მის თარგმანებზე დართულ კოლოფონებში; ამ მეთოდით არის შესრულებული, უმეტესწილად, ეფრემის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ბოლო პერიოდის თარგმანები.

გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვის ბასილი მინიმუსის კომენტარების თარგმანი ეფრემმა თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის ბოლო ეტაპზე, XI საუკუნის ბოლო ათწლეულში, გრიგოლის ლიტურგიკული სიტყვების ფორმალური ეკვივალენტის თარგმანის პარალელურად, ან უშუალოდ მის შემდეგ შექმნა.¹¹ ეფრემის ამ პერიოდის ნაშრომთა რიცხვს, გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავების თარგმანთან ერთად, განეკუთვნება ასევე ლიტერალიზმით გამორჩეული ტექსტები – არეოპაგიტული კორპუსისა და თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიის“ თარგმანები; ეფრემის ამ თარგმანთა ფონზე ბასილი მინიმუსის კომენტართა თარგმანი ბერძნული დედნის მიმართ საკმაოდ თავისუფალი მიდგომით გამოირჩევა,¹² რაც ამ თხზულების ჟანრული სპეციფიკით – მისი ექსპოზიციური ხასიათით არის განპირობებული. იმისათვის, რომ ბასილის კომენტართა ქართულ ტექსტს შეესრულებინა იგივე ფუნქცია, რასაც ის ორიგინალში ასრულებდა – მკითხველს დახმარებოდა ძირითადი ტექსტის, გრიგოლის თხზულებების გაგებასა და აღქმაში, საჭირო აღმოჩნდა ბასილის კომენტარების „მორგება“ გრიგოლის საკითხავთა ქართული თარგმანისათვის. მართალია, გრიგოლის საკითხავთა ეფრემისეული თარგმანი გამოირჩეოდა ბერძნულთან განსაკუთრებული სიახლოვით, მაგრამ ბასილი მინიმუსის კომენტარები, განსაკუთრებით

¹⁰ ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, გვ. 544-555.

¹¹ გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავებისა და ბასილი მინიმუსის კომენტარების ქართულად თარგმნის თარიღთან დაკავშირებით იხ. აქვე, გვ. 165. ასევე Otkhmezuri, *The Liturgical Sermons of Gregory of Nazianzus. On the Date of the Georgian Translation by Ephrem Mtsire*, p. 469-475.

¹² ჩვენი დასკვნები კომენტართა ქართული თარგმანის ბერძნულთან მიმართების შესახებ ძირითადად ეფუძნება ქართული ტექსტების კვლევას კრიტიკულად დადგენილი სამი ბერძნული ტექსტის (*Comm.* 38, 39, 43) და X-XI სს. ბერძნული ხელნაწერების მიმართებით (ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 16). თავის მხრივ, კრიტიკულ ტექსტთა და ამ ხელნაწერთა ურთიერთმიმართების კვლევა შესაძლებლობას იძლევა, ამ მასალის მიხედვით გამოტანილი დასკვნები განზოგადდეს ბასილი მინიმუსის მთელ თხზულებაზე.

რიტორიკულ-გრამატიკული ხასიათისა, თავის მხრივ, მოითხოვდა ამ განმარტებათა ქართულად გადმოტანას გარკვეული სახეცვლილებით, რათა მათ ქართულ ტრადიციაშიც შეენარჩუნებინათ ექსპოზიციური ფუნქცია. სწორედ ეს იყო მოტივი, რომელიც ეფრემს აიძულებდა ბასილის კომენტარებისათვის თარგმანის შესაფერისი მეთოდი შეერჩია.

სხვათა შორის, ეფრემის კოლოფონებში ხშირად არის ხოლმე გამოკვეთილი მთარგმნელობითი მეთოდის შერჩევის მოტივი ამა თუ იმ ტექსტზე მუშაობის დროს. ირკვევა, რომ ერთი და იმავე მთარგმნელობით მეთოდს, მაგალითად, სიტყვასიტყვით, ლიტერალურად თარგმნას, შეიძლება სხვადასხვა მიზანდასახულობით მიმართოს მთარგმნელმა: ეფრემს დედანთან ახლოს აქვს ნათარგმნი იოანე დამასკელის „დიალექტიკა“ – არისტოტელეს ლოგიკურ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ფილოსოფიური თავები – ეფრემის შენიშვნით, ქართველთათვის და პირადად მისთვისაც უცხო, უჩვეულო თხზულება (*საფილასოფო, გარეშეთა ნიგნი*). ეფრემის შენიშვნით, სწორედ უჩვეულო, შინაარსობრივად უცხო ტექსტის მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილე, წინდახედულობა უდევს საფუძვლად ამ შემთხვევაში ზედმინევენითი მთარგმნელობითი მეთოდის გამოყენებას.¹³ თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიის“ ზედმინევენით თარგმნას ეფრემი სასწავლო მიზანდასახულობით ხსნის,¹⁴ ხოლო გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული საკითხავის სიტყვასიტყვითი თარგმანის შექმნის მიზეზად შავ მთაზე მოღვაწე ბერძენთა ბრალდების გაქარწყლების აუცილებლობას ასახელებს (ამ ბრალდების

¹³ იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ეფრემისეული კოლოფონიდან: ... *ეგრეთვე მე დაღაცათუ უმრავლესი ამათ თავთაგანი ჯერეთ ვერ გამიგონებია, არამედ წყალობითა ღმრთისაჲთა და მომადლებითა ცხოველსმყოფელისა საფლავისაჲთა, სიტყუაჲ შედარებული ბერძულისა და მართებითი არა აკლს* (cod. A-24, 1v) იოანე დამასკელი, *დიალექტიკა*, გვ. 66.

¹⁴ თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიის“ ეფრემისეული კოლოფონიდან: *ხოლო აქუს ნიგნსა ამას ფრიადი სიღრმე სიტყვსაჲ, უმრავლესი ბერძულად და არამცირედი ქართულადცა, რომლისა შეცვალებაჲ არა ძნელ იყო, გარნა შემინდევით ... რამეთუ ესრეთ უმჯობეს ვჰგონე, რაჲთა ხატი და მოქცევი სიტყვსაჲ იგივე აქუნდეს ბერძულისაჲ, რამეთუ ესეცა არავე უჭმარ არს მათთვის, რომელნი მრავალჟამ ზრდილ არიან სძითა სიტყუათა მარტივობისაჲთა და მინევენულ ჰასაკსა, მოქენესა მტკიცისა საზრდელისა ... არა უჭმარ არს სწავლისმოყუარეთა და კეთილადგამომეძიებელთათჳს, რაჲთა განჰმზადნეს უღრმესთადრე ნიგნთათჳს* (cod. A-689, 187v); თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 214.

მიხედვით, ქართველებს სათანადოდ არ ჰქონდათ ნათარგმნი ქრისტიანობის უდიდესი ავტორიტეტის, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებები; იგულისხმებოდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ექვთიმე ათონელისეული თავისუფალი თარგმანები).¹⁵ რაც შეეხება ბასილის კომენტართა თარგმნისას გამოყენებულ მეთოდს, ჩანს, რომ ეფრემს ბასილის კომენტარების ტექსტში ცვლილებები შეაქვს თხზულების ექსპოზიციური ხასიათის შენარჩუნების მიზანდასახულობით.

ამ ცვლილებათა უკეთ წარმოჩენისა და გააზრების მიზნით, თავდაპირველად შევხებით ბასილის კომენტარების აგებულებასა და შინაარსს.

ბასილი მინიმუსის კომენტართა ბერძნული ვერსიის სტრუქტურა ამგვარია: გრიგოლის საკითხავიდან ამოღებულია განსამარტავი ფრაზა (*lemma*), რომელსაც ერთვის, ზოგ შემთხვევაში, ძალიან მოკლე, ზოგჯერ კი – შედარებით მოზრდილი, საშუალო ზომის ხელნაწერი წიგნის ერთგვერდიანი, იშვიათად – ორგვერდიანი განმარტება. კომენტატორის მიერ განსამარტავი ფრაზები გრიგოლის საკითხავებიდან შერჩევით არის ამოკრებილი. რაიმე კანონზომიერება განსამარტავი პასაჟების შერჩევაში არ ჩანს. გრიგოლის ცალკეული საკითხავის კომენტარი შედგება რამდენიმე ათეული განმარტებისაგან.

რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, ამ კუთხით ბასილის განმარტებები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: ¹⁶

¹⁵ გრიგოლის ლიტურგიკულ საკითხავებზე დართულ კოლოფონში წარმოდგენილი ეფრემის თავისმართლება აშკარად მიუთითებს ქართველთათვის სარწმუნოებრივი თვალსაზრისით შავ მთაზე შექმნილ საკმაოდ რთულ ვითარებაზე: *ხოლო მართლისა სარწმუნოებისათჳს მზა ვარ სიტყვსგებად ყოველთა გამომეძიებელთა, და შევაჩუენებ ყოველსა წვალებასა და წინააღმდეგომსა წმიდათა მამათა და მართლმადიდებელთა კრებულთა სჯულისდებისასა, და ესრეთ მწამს, ვითარცა ქადაგებს დიდი გრიგოლი ღმრთისმეტყველი, (cod. Jer. 43, 4r); ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 149.*

¹⁶ ბასილი მინიმუსის განმარტებათა დაჯგუფება შინაარსის მიხედვით ეკუთვნის თომას შმიტს, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა ბასილი მინიმუსის ეპისტოლეს კონსტანტინე პორფიროგენეტისადმი. ეპისტოლეში ბასილი საუბრობს კომენტარების მიზანზე და ამ კუთხით ეხება მათ შინაარსობრივ მხარესაც, *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. XVI-XXXIV.

(ა) განმარტებები გრიგოლის ლექსიკისა თუ სპეციფიკური გამოთქმების შესახებ¹⁷ – გრიგოლის საკითხავებში ხშირად ვხვდებით ანტიკური მწერლობიდან შემოტანილ ლექსიკურ ერთეულებს, არქაულ სიტყვებს, რომლებიც ბიზანტიელი მკითხველისთვის უკვე საჭიროებს განმარტებას; ასევე სიტყვებს, რომლებსაც მოცემულ კონტექსტში განსხვავებული შინაარსი აქვს შეძენილი. ბასილი მინიმუსი იძლევა ამ ლექსიკურ ერთეულთა განმარტებებს; ეს განმარტებები იმავე ტიპისაა, როგორსაც ვხვდებით ბიზანტიური ეპოქის ლექსიკონებში, მაგალითად, *Etymologicum magnum*-სა თუ ჰესიუხიოსის ლექსიკონში. ამ ტიპის ლექსიკონები ზოგ შემთხვევაში ბასილის განმარტებათა უშუალო წყაროს წარმოადგენს. ამავე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ გრიგოლის ცალკეული შეკუმშული თუ ალუზიური ფრაზების ბასილისეული განმარტება-პერიფრაზები.

(ბ) კომენტარები სინტაქსთან დაკავშირებით¹⁸ – როგორც ცნობილია, გრიგოლის ტექსტი გამოირჩევა რთული სინტაქსური კონსტრუქციებით, რაც ზოგ შემთხვევაში ართულებს ტექსტიდან აზრის გამოტანას. ასე რომ, შენიშვნები სინტაქსის შესახებ გრიგოლის ტექსტის ინტერპრეტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ბასილის კომენტარებში. განმარტებებში განხილულია სიტყვათა რიგი წინადადებებში, კავშირების გამოყენება, ჩანართები, წინადადებათა ტიპები (ინტერპელაციური, კითხვითი, შედარებითი) და ა. შ.

(გ) გრიგოლის ნააზრევის ფილოსოფიურ-თეოლოგიური განმარტებები¹⁹ – ამ თვალსაზრისით ბასილი მინიმუსი არ არის ორიგინალური. გრიგოლის ფილოსოფიური თუ საღვთისმეტყველო ნააზრევის განმარტებისას ის ძირითადად მიმართავს გრიგოლის თხზულებათა ადრინდელ კომენტარებს, ყველაზე ხშირად – მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem*-ს. როგორც ჩანს, თავის ეპისტოლეში კომენტარების კომპილაცი-

¹⁷ ბასილის ბერძნულ ტექსტსა და ქართულ თარგმანში ამ ტიპის განმარტებები ფორმულირებულია, როგორც: *kat ennoian ermhneia~ (Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii, p. 4-6) – გულისწმისყოფისათვის თარგმანებათაჲსა* (ეფრემის თარგმანი). ბასილის ეპისტოლის ქართული თარგმანის სრული ტექსტი იხ. აქვე, გვ. 231-234.

¹⁸ *kata sumfrasin h suntaxin akolouqia~ (Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii, p. 6) – განმარტებაჲ შეწყობილებისა სიტყუათაჲსა.*

¹⁹ *kata qewrian epistasia~ (იქვე) – ხედვითისა ზედამდგომელობისა.*

ურობაზე, მის მიერ ძველი წყაროების გამოყენებაზე საუბრისას, ბასილს სწორედ ამ ტიპის განმარტებები აქვს მხედველობაში.

(დ) კომენტარები გრიგოლის სტილის, მისი ორატორული ხელოვნების შესახებ²⁰ – ბასილი თავის კომენტარებში საუბრობს გრიგოლის სტილისა და მის მიერ გამოყენებული რიტორიკული ხერხების შესახებ. სხვადასხვა სტილისტური კატეგორიის, აგრეთვე გრიგოლის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხების შესახებ მსჯელობისას, ბასილი ძირითადად ეყრდნობა ანტიკური ეპოქის სახელმძღვანელოებს ორატორული ხელოვნების შესახებ, სახელდობრ, ახ. წ. II საუკუნის რიტორის, ჰერმოგენეს ნაშრომების ტერმინოლოგიას. როგორც ცნობილია, სწორედ X საუკუნის ბიზანტიაში მიმდინარეობს ჰერმოგენეს კრებულის გადამუშავება-განახლება ქრისტიანული თვალთახედვით, ასევე სასწავლო დანიშნულების ტექსტებში ანტიკურ ავტორთა ორატორული ხელოვნების ნიმუშების შეცვლა შესაბამისი ფუნქციის მქონე ნიმუშებით ქრისტიან მამათა ნაწერებიდან, რომელთა შორის ყველაზე დიდი ადგილი გრიგოლ ღვთისმეტყველს უჭირავს. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ორატორული ხელოვნების ამ განახლებული კრებულებით ხელმძღვანელობდა ბასილი მინიმუსი, როდესაც გრიგოლის სტილის შესახებ ადგენდა კომენტარებს.

(ე) პუნქტუაცია გრიგოლთან²¹ – ბასილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გრიგოლის პროზაში პუნქტუაციას. მას გრიგოლის ჰომილიებში მცირეოდენი სახეცვლილებით შეაქვს პუნქტუაციის რვანიშნიანი სისტემა, რომელიც შექმნილია ახ. წ. II საუკუნის გრამატიკოსის, ნიკანორის მიერ. როგორც ცნობილია, ნიკანორს პუნქტუაციის ეს საკმაოდ რთული, ხელოვნური სისტემა შეტანილი აქვს ჰომეროსის „ილიადაში“. პუნქტუაციის ნიშანთა განმარტებას ბასილის კომენტარებში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა.

ბასილის კომენტარების ქართულად თარგმანისას ეფრემს ბასილის ტექსტზე ჩატარებული აქვს გარკვეული სამუშაო – შეტანილი აქვს როგორც სტრუქტურული, ისე შინაარსობრივი ცვლილებები, რომლებიც მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

²⁰ kata tina~ tecnika~ efodou~ periodwn te kai schmatwn kai idewn poikilwn epishmasia~ (*Basili Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 6) – *ჯელოვნებითა რათმე ვერავობათა მოქცევისა და სახისა და თითოფერთა პირთა თარგმანებისა*.

²¹ stigmwn tinwn armottousa~ epideiknousi qesei~ (იქვე) – *ამათ თანა წერტილებისა რაჲსმე შეწყობისა განგებასა ვაჩუენებთ*.

– ბასილის რამდენიმე განმარტება გაერთიანებულია და ერთ განმარტებად არის წარმოდგენილი;

– ბერძნული ტექსტის განმარტებათა ერთ ნაწილი გამოტოვებულია, საერთოდ არ არის ნათარგმნი;

– დასტურდება ისეთი განმარტებები, რომლებსაც შესატყვისი არ ეძებნება ბერძნულში.

რაც შეეხება ეფრემის თარგმანის იმ განმარტებებს, რომლებსაც შესატყვისი აქვს ბასილის ბერძნულ ტექსტში, მათი მიმართება ბერძნულთან ამგვარია:

– განმარტებათა ნაწილი წარმოადგენს ლიტერალურ თარგმანს – ტექსტობრივად თანამიმდევრულად მისდევს ბერძნულს;

– განმარტებათა საკმაოდ დიდი ჯგუფი თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის შესრულებული – მხოლოდ შინაარსობრივად თანხვედრა ბერძნულს; მასში ვხვდებით მთარგმნელისეულ ჩანარტებს, ფრაზათა გადაადგილების, გავრცობა-შემოკლების შემთხვევებს, ადაპტაციას და ა. შ.

ბერძნულ-ქართული ტექსტების მიმართების კვლევის შედეგად ცხადი ხდება, რომ ქართული თარგმანში ეფრემის მიერ შეტანილი ცვლილებები უშუალო კავშირშია ბასილის განმარტებების შინაარსობრივ მხარესთან; ეფრემი სხვადასხვა შინაარსის განმარტებების თარგმნისას მიმართავს განსხვავებულ მთარგმნელობით მეთოდს. კერძოდ:

1. ეფრემი ლიტერალურად, ტექსტთან ახლოს თარგმნის იმ განმარტებებს, რომლებშიც მოცემულია გრიგოლის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ნაზრების ანალიზი; ბერძნულ ტექსტთან განსაკუთრებული სიახლოვით გამოირჩევა ასევე კონსტანტინე პორფიროგენეტის მიმართ ეპისტოლის ქართული თარგმანიც.

2. თავისუფალ მთარგმნელობით მეთოდს (პერიფრაზს, ადაპტაციას, ინტერპოლაციას და მისთ.) ეფრემი იყენებს იმ განმარტებათა თარგმნისას, რომლებშიც ახსნილია გრიგოლის ლექსიკური ერთეულები, მოცემულია ალუზიური ფრაზების, მოკლე, ლაკონური ფორმით გამოთქმული აზრების პერიფრაზი, საუბარია გრიგოლის ტექსტების სტილზე, სინტაქსსა და მის მიერ გამოყენებულ ორატორულ თუ მხატვრულ ხერხებზე, პუნქტუაციაზე.

3. ბასილის კომენტარიდან ეფრემის მიერ ყველაზე ხშირად ამოღებულია ის განმარტებები, რომლებიც სინტაქსისა და პუნქტუაციის შესახებაა.

4. განმარტებები, რომლებსაც შესატყვისი არ ეძებნება ბერძნულში, ეფრემს უნდა ეკუთვნოდეს, მის მიერ უნდა იყოს ჩართული ბასილის ტექსტში.

ამგვარად, ბასილი მინიმუმის ეფრემისეული თარგმანი ლიტერალური და თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდების კომბინაციით შესრულებული ტექსტია, რომელსაც, მთლიანობაში, ბერძნულისაგან საკმაოდ დამოუკიდებელი, ორიგინალური სახე აქვს.²²

ლიტერალიზმი

• ფორმალური ეკვივალენტობა

ეფრემი ბერძნულ ტექსტთან ახლოს, თანამიმდევრულად თარგმნის, უმეტესწილად, იმ განმარტებებს, რომლებიც ბასილი მინიმუსს თავის ტექსტში მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem*-იდან აქვს გადმოტანილი. ბერძნულსა და ქართულს შორის აქ ტექსტობრივი თანხვედრა, ფორმალური ეკვივალენტობაა დაცული.

განვიხილოთ მაგალითები:

H dia spora~ sullhyi~ kai h dia fqora~ gennhsi~ nomoi fusew~, ou~ h amartia dia th~ parakoh~ epeishgage, ton prwton lusasa kai pneumatikon nomon, kai ton katw kosmon tw~n kat auton sarki gennwmenwn eplhrwsen. Asporw~ de kai adiafqorw~ Parqenou tekoush~, kataleluntai outoi upo tou th~ fusew~ dhmiourgou epanorqoumenou thn fusin, ina ton anw kosmon plhrwsh tw~n ton kat auton ei~ afqarsian pneumatik gennwmenwn kai pro~ auton panta metaruqmish. Kai uper fusin de kai nomon kai logon kinhqei~ akinhtw~ kai th kaq hma~ ekfansei anqrwpou~ gegonw~ kai ousiwqei~ o uperousio~

²² ნიშანდობლივია, რომ იგივე სურათია არეოპაგიტული კორპუსის კომენტარების ეფრემისეულ თარგმანშიც, *ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ*, გვ. 7, 117.

eluse kai outw~ tou~ nomou~ th~ fusew~ uper fusin th fusei
en toi~ kaq hma~ crwmeno~ o filanqrwpo~. Nomo~ gar fusew~
ekasth~ o logo~ esti kaq on ekasth gegenhtai.²³

„შჯულ ბუნებისა“ არიან (*add. Iber.*) თესლით მიდგომილებაჲ და
ხრწნილებით შობაჲ, რომელნი ცოდვამან ურჩებისა მიერ შემოი-
ყვანნა და დაჰჴსნა პირველი იგი შჯული სულიერი და ქუენაჲ
სოფელი აღაფსო მის მიერ ჴორციელად შობილთაგან. ხოლო
ქალწულმან უთესლოდ და უხრწნელად რაჲ შვა, დაიჴსნეს *ეს-*
ევეთარნი იგი შჯულნი (*cf. outoi Gr.*), რაჟამს დამბადებელმან
ბუნებისამან განჴმართა ბუნებაჲ, რაჲთა ზენაჲ სოფელი აღაფ-
სოს მის მიერ უხრწნელებით სულიერად შობილთაგან, რაჟამს
ყოველივე მისსა მიმართ შეცვალოს. ესრეთ ზეშთა ბუნებისა და
შჯულისა და სიტყჴსა აღიდრა შეუძრველი და მსგავსად ჩუენსა
კაც იქმნა და არს იქმნა ზეშთაარსებისაჲ, რომელმან დაჰჴსნნა
შჯულნი ბუნებისანი, რამეთუ ზეშთა ბუნებისა ბუნებასა შინა
ჩუენსა იჴუმევს კაცთმოყუარე. ხოლო შჯულ თითოეულისა
ბუნებისა არს *სიტყუაჲ იგი და წესი* (*cf. o logo~ Gr.*), რომელსა
ზედა შექმნულ არს თითოეული.

ქართული თარგმანი სიტყვასიტყვით მისდევს ბერძნულს, თუმცა
ენობრივად განსაკუთრებულად ელინიზებული არ არის. პასაჟის პირველ
წინადადებაში, ძველი ქართული ენის ნორმების შესაბამისად, ჩამატე-
ბულია *ყოფნა* ზმნა. ბერძნული მიმღეობები და მიმღეობური კონსტრუ-
ქციები გადმოტანილია ქართულისათვის ბუნებრივი ფორმით:

- *kinhqeĩ* (*participium aorist. I pass.*) – აღიდრა (ზმნის პირიანი ფორმა)
- *crwmeno~* (*participium praes. medii-passivi*) – იჴუმევს (ზმნის პირიანი ფორმა)
- *ousiwqeĩ* (*participium aorist. I pass.*) – არს იქმნა (არსებითი სახელი + მეშველი ზმნა).
- *anqrwpo~ gegonw~* (*participium perfect. act.*) – კაც იქმნა (არსებითი სახელი + მეშველი ზმნა).

²³ *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 20; შდრ. Max. Conf. *Ambigua*, PG 91, 1273 D-1276 D; 1280 A-C.

- parqenou tekoush~ (*genetivus absolutus*) – ქალწულმან ... რაჲ შვა (რთული ქვენყობილი წინადადება მაქვემდებარებელი კავშირით რაჲ)

- tou th~ fusew~ dhmiourgou epanorqoumenou thn fusin (*genetivus absolutus*) – რაჲმს დამბადებელმან ბუნებისამან განჰმართა ბუნებაჲ (დროის გარემოებითი რთული ქვენყობილი წინადადება).

ყურადღებას იქცევს პოლისემიური სიტყვის – logo~–ის გადმოტანა ორი ლექსემით: *სიტყუა* და *ნესი*. ეფრემს ეს სიტყვა გადმოაქვს ჯერ მისი პირველადი მნიშვნელობით, ხოლო შემდეგ იმ მნიშვნელობით, რომელიც ამ ლექსიკურ ერთეულს მოცემულ კონტექსტში აქვს (logo~ – *ნესი, შეთანხმება*²⁴).

საზოგადოდ, ბერძნული ენის ეს სპეციფიკა – პოლისემიური სიტყვების არსებობა (*ბერძენთა ენაჲ უფსკრულ ღრმა არს და ერთი და იგივე სიტყუაჲ მრავალსა პირსა აღიარებს*) და მათი ქართულად გადმოტანა, ადეკვატური ლექსემის (*შემსგავსებული* სიტყვის) შერჩევა – ეფრემის კოლოფონების საკმაოდ აქტუალური თემაა.²⁵ ეფრემის შენიშვნით, პოლისემიური ლექსემისათვის შესაფერისი ქართული ადეკვატის ძიებისას ის ხშირად მიმართავდა ლექსიკონებსა და კომენტარებს, კონსულტაციებსაც იღებდა სხვა მწიგნობრებისგანაც. როგორც მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, პოლისემიური სიტყვის ალტერნატიული ლექსემებით გადმოტანა ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზაა ეფრემთან.

კიდევ ერთი მაგალითი:

Epi to swthrion hkwn paqo~ o Cristo~ ei~ wmou~ hren eau-
tw ton stauron. Uywqe~ de kai eparqe~ en autw ekrathse
th~ up ouranon panta~ elkusa~ pro~ eauton. Gegonen oun
h arch epi tou wmou autou wsper ti skhptron kai sumbolon
basilikon o stauro~. Dia gar tou wmou thn iscun kai to
krato~ o profhtikon dedhlwke logo~. Pasa gar hmwn h iscu~
ek bracionwn kai wmw~. Eirhtai goun kai braciwn tou Patro~
o Uio~. Epeidh de kai nekrwsew~ esti sumbolon o stauro~,
praxew~ de kai iscuo~ o wmo~, oimai dia toutwn kai touto
dhlousqai oti th~ logikh~ fusew~ tw~ anqrwpwn dia praxew~
kai th~ auth suzugou apaqeia~ uyoumenh~ en Pneumati kata

²⁴ Lampe, *A Patristic Greek Lexicon*, p. 808.

²⁵ სამოციქულოს კომენტარების კოლოფონი (cod. Jer. 16, 1r); თვალთვადე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 205.

mustikhñ kai aulon twñ qeiwn qewrian kai metousian auto~
legetai sunuyousqai o Cristo~.²⁶

განმაცხოვრებელად რა ვნებად მოვიდოდა უფალი, მწართა თვსთა ზედა აღილო ჯუარი და ამაღლდა რა მას ზედა, დაიპყრა ყოველი ცასა ქუეშე და ყოველნი მიიზიდნა მისსა მიმართ. მაშინ იქმნა „მთავრობა მისი მწართა მისთა ზედა“, ვითარცა სკიპტრაჲ რაჲმე ნიში სამეუფოჲ, *რომელ არს (add. Iber.)* ჯუარი. რამეთუ მწართა მიერ ძალი და სიმტკიცე მოასწავა საწინააღმართმეტყუელმან სიტყუამან. ვინაჲთგან ყოველი ძალი ჩუენი მკლავთა შინა არს (*add. Iber.*) და მწართა. ითქუმის სადმე მკლავ მამისა ძეცა, *რომლითა ქრისტე ღმრთისა ძალ არს (add. Iber.)*. ხოლო ვინაჲთგან ჯუარი სიკუდილისა სახე არს, ხოლო მწარნი – საქმისა და ძალისანი, ვჰგონებ ამის მიერ ამისაცა უწყებასა, ვითარმედ სიტყვერი ბუნებაჲ კაცთაჲ საქმისა მიერ და მეუღლისა მისისა, უვნებელობისა, ამაღლდებოდის რა სულითა საიდუმლოთა და უნივთოთა საღმრთოთა ხედვათა მიმღებელობისა მიერ, მაშინ თავადისა ქრისტესი „ჯუარსა თანა ამაღლებაჲ“ ითქუმის.

ამ პასაჟშიც დასტურდება *ყოფნა* ზმნის ჩართვის შემთხვევა; ბერძნულისათვის დამახასიათებელი მიმღებური კონსტრუქციები ქართულად აქაც ზმნური ფორმებით არის გადმოტანილი:

- *hkwn (participium praes. act.)* – რა ვნებად მოვიდოდა
- *uywqeĩ~ (participium aorist. I pass.)* – ამაღლდა რა
- *elkusa~ (participium aorist. I act.)* – მიიზიდნა
- *uyoumenh~ (participium praes. med.-pass.)* – ამაღლდებოდის რა

ნიშანდობლივია, რომ ამ პატარა მონაკვეთში არ არის დაცული ტერმინოლოგიური ერთგვაროვნება – ლექსიკური ერთეული *sumbolon*, რომელიც ორჯერ არის გამოყენებული ტექსტში და რომელსაც მოცემულ კონტექსტებში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, ნათარგმნია ორგვარად: *ნიში* და *სახე*.

ამგვარად, ბასილი მინიმუსის კომენტართა თეოლოგიური ხასიათის განმარტებების ქართული თარგმანი ტექსტობრივად მისდევს ბერძნულს,

²⁶ *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 22; შდრ. Max. Conf., *Ambigua*, PG 91, 1284 C -1285 B.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენობრივად ელინიზებულს ამ თარგმანს ვერ ვუწოდებთ. მეტ-ნაკლებად ელინიზებული ფორმები, რომლებსაც ამ პასაჟებში ვხვდებით, უკვე დამკვიდრებული ჩანს XI საუკუნის ქართულ სალიტერატურო ენაში, რაზეც მიუთითებს მსგავს ფორმათა არსებობა ორიგინალურ ქართულ ტექსტებში.²⁷ მაგალითად, X საუკუნეში იოანე ათონელის ცნობილი ანდერძის მავედრებელი მიმართვა პირიანი ზმნებით არის ფორმულირებული:

- ან გევედრებით ყოველთა, რომელთა მიიწიოს ესე წიგნი, რომელთაცა აღწეროთ, რომელნიცა იკითხვიდეთ და რომელნიცა ისმენდეთ...²⁸

XI საუკუნის ბოლოსათვის კი ეფრემის ანდერძში, ამ ტიპის მავედრებელ ფორმულაში, ზმნის პირიან ფორმებს უკვე ბუნებრივად ენაცვლება მიმღეობები:

- გევედრები ყოველთა, მკითხველთა და მსმენელთა და გარდამწერელთა...²⁹

• იმიტაცია

ბერძნულს ზედმიწევნით, ტექსტობრივად მისდევს ბასილი მინიმუსის ეპისტოლის ქართული თარგმანიც, რომელიც ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში, ბერძნულის ანალოგიით, წინ უძღვის გრიგოლ ღვთისმეტყველის 38-ე სიტყვის კომენტარს.

ბასილი მინიმუსის ეპისტოლე ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე VII პორფიროგენეტის მიმართ ტიპური ნიმუშია იმ წინათქმებისა, რომლებსაც ბიზანტიელი ავტორები ურთავდნენ თავიანთ ნაწარმოებებს. მართალია, ამ წინათქმა-ეპისტოლეებს თავიანთი კონკრეტული ადრესატი ჰყავდა, უმეტესწილად – თხზულების დამკვეთი, მაგრამ ეს მცირე მოცულობის ტექსტები აუდიტორიისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის ითხზებოდა. თხზულების შექმნის მიზეზები და ისტორიულ-კულტურული წინაპირობები, ავტორის ლიტერატურულ-თეორიული შეხედულებები და მხატვრული ამოცანები ის თემებია, რომლებიც

²⁷ სარჯველაძე, *ძველი ქართული ენა*, გვ. 174.

²⁸ წმ. იოანე ოქროპირი, *თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ*, I, გვ. 19

²⁹ „ფილოთეონ ისტორიის“ კოლოფონი (cod. A-689, 277r); თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 216.

ყველაზე ხშირად არის განხილული ამ ტიპის ტექსტებში.³⁰ ამ თემებსა და პრინციპებზე არის აგებული ბასილი მინიმუსის ეპისტოლე კონსტანტინე პორფიროგენეტის მიმართ. როგორც ეპისტოლიდან ირკვევა, ბასილის ნაშრომი – გრიგოლის საკითხავების კრებული კომენტარებითურთ – უშუალოდ იმპერატორს ეძღვნება. უნდა ითქვას, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტირებული კრებულის მირთმევის ფაქტი დამატებით შტრიხს ჰმატებს განსაკუთრებული მნიშვნელობითა და განსწავლულობით ცნობილ ბიზანტიის იმპერატორს. ეს უნდა მომხდარიყო ქრისტეს შობის დღესასწაულზე, რომელსაც ერთვოდა ბიზანტიის სამეფო კარზე გამართული მტერზე გამარჯვების სახალხო დღესასწაული, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ეპისტოლის პანეგირიკული ხასიათი, მაღალფარდოვანი, ამაღლებული სტილი.

ბასილის ეპისტოლე შესრულებულია მთელი იმ წესების დაცვით, რომლებიც ბიზანტიურ ეპისტოლოგრაფიაში არსებობდა ამ ჟანრის განვითარების ე. წ. საშუალო ბიზანტიურ პერიოდში (X–XIV სს.) და რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობდა ამ ჟანრის ტექსტებში რიტორიკის ელემენტების ფართო შეღწევას.³¹ ნიშანდობლივია, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის სტილის, სინტაქსის, მხატვრული სამყაროს შესახებ ფილოლოგიური რიტორიკული კომენტარების ავტორი, ბასილი მინიმუსი, რიტორიკულ ხელოვნებაში თავადაც კარგად გაწაფული მნიშვნობარი იყო.

ეპისტოლეში გატარებულია კლასიკური რიტორიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი – ამაღლებულის შესახებ უნდა დაინეროს ამაღლებულად, მაღალფარდოვნად. ამ მიზნის მისაღწევად ტექსტში ამოქმედებულია ბერძნული ენის როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური შესაძლებლობები; მაღალფარდოვნება ბასილის ეპისტოლეში მიღწეულია ზედსართავთა და ზმნიზედათა ხარისხის ფორმების, ასევე კომპოზიტივის ხშირი გამოყენებით; ნიშანდობლივია, რომ ეს სიტყვები ხშირად სინტაქსურ წყვილებს ქმნის, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მაღალფარდოვნების ეფექტს. რიტორიკული ეფექტი გაძლიერებულია ასევე რთული სინტაქსური კონსტრუქციებით, რომლებიც საკმაოდ გრძელ პერიოდებშია გაერთიანებული.

ეპისტოლის ეფრემისეული თარგმანი არა მარტო სიტყვასიტყვით მისდევს ბერძნულს, არამედ მასში, ეფრემის მთარგმნელობითი ოსტა-

³⁰ Hunger, *Prooimion*.

³¹ Попова, Византийская эпистолография, с. 205-224.

ტობის წყალობით, შენარჩუნებულია ბასილის ეპისტოლის სტილისტური თავისებურებები, ის დეტალები და ნიუანსები, რომლებიც ეპისტოლის მხატვრულ სამყაროს ქმნის. ეს არის ე. წ. იმიტაციური თარგმანი, როდესაც ხდება დედნის სტილის მიბაძვა – ტექსტის სტილისტური სპეციფიკის შემქმნელი ენობრივი ელემენტების (მორფოლოგიურის, სინტაქსურის თუ ლექსიკურის), ასევე რიტორიკული დეტალების გადმოტანა თარგმანში.

როგორც აღვნიშნეთ, ეპისტოლისათვის დამახასიათებელია შედარებითი ხარისხის ზედსართავეებისა და ზმნიზედების ხშირი ხმარება. ქართულ თარგმანში ეს სახელები, უმეტესად, აღმატებითი ხარისხის ფორმით არის გადმოტანილი:

- timiotero~ – უპატიოსნეს
- oikeiotero~ – უსაკუთრეს
- lamprotero~ – უბრწყინვალეს
- erasmiwteron ... timalfesteron – უპატიოსნეს და უბრწყინვალეს
- epitomwteron kai safesteron – უშემოკლებულესად და უგანცხადებულესად.

ბასილის ეპისტოლეში ამაღლებულობის, მაღალფარდოვნების ეფექტს ქმნის კომპოზიტთა ხშირი გამოყენებაც. ქართულად თითქმის ყველა კომპოზიტი ნათარგმნია შემადგენელი ნაწილების მიხედვით, ეტიმოლოგიურად:³²

- polutelh~ – მრავალსასყიდელი
- poluanqh~ – მრავალყუავილოანი
- proqumia h euporia – გულსმოდგინებისა გინა კეთილპოვნიერობისაჲ

- autarkeia – კმასაყოფელი
- filotimon – პატივისმოყუარება
- poikilhn ... kai polutelh~ – თითოფერისა და მრავალსასყიდლისა.

რაც შეეხება სინტაქსს, აქაც იგრძნობა ბერძნულის გავლენა; ბერძნული წინადადების წყობა ზოგ შემთხვევაში მექანიკურად არის გადმოტანილი ქართულში, რის შედეგადაც დარღვეულია ძველი ქართული ენის ნორმები; მაგალითად, სინტაქსური წყვილი, რომელიც ქართულში ჩვეულებრივ ერთად არის წარმოდგენილი, ბერძნულის გავლენით გათიშულია:

³² ამ ტერმინის გამოყენების შესახებ კომპოზიტური ლექსიკური ერთეულების თარგმნასთან დაკავშირებით იხ. აქვე, გვ 58, სქ. 90.

- Toiouto toi to hmeteron, galhnotate, dwron: toiouto soi tw filologw to prosferomenon – ესევეთარი არს ჩუენი ძლუენი, მ ყოვლადმშკდო, შენ, ეგევეთარისა სიტყვსმოყუარისა, მოძლუანებული.

ბერძნულის გავლენით გათიშულია მსაზღვრელ-საზღვრული: ძლუენი ... მოძლუანებული. ფრაზის ელინიზებულ სახეს აძლიერებს მიმღეობის მიმღეობითვე გადმოტანა: *παροφέρμενος* – მოძლუანებული; ეფრემის მიერ ბერძნულისაგან დამოუკიდებლად, მხატვრული ეფექტის გაძლიერების მიზნით, გამოყენებულია ალიტერაციის ხერხი:³³ ძლუენი ... მოძლუანებული (ბერძნულშია: dwron ... prosferomenon).

წინადადებაში შემასმენლის დაკლება, უმეტესად, ყოფნა ზმნისა, ხშირი მოვლენაა ბერძნულში, რაც ზოგ შემთხვევაში გარკვეულ რიტორიკულ ეფექტს ქმნის ტექსტში. მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ ჰომილიებში ლაკონურობის ეფექტის მისაღწევად ხშირია შემასმენლის დაკლების შემთხვევები, რაც ასახულია კიდევ გრიგოლის ჰომილიათა ეფრემისეულ თარგმანში.³⁴ ბასილის ეპისტოლეშიც ვხვდებით ისეთ წინადადებებს, რომლებსაც აკლია ყოფნა ზმნა; ბასილის ეპისტოლის თარგმნისას ეფრემი ამგვარ წინადადებაში ზოგჯერ ამატებს ხოლმე ზმნას. მაგალითად:

- Pollwn oun w~ eiko~ suntelountwn kai poikilhn umin kai polutelh thn eisforan empoiountwn.

- ვინაჲთგან უკუე, ვითარ-იგი შეჰგავს, მრავალ არიან (*add. Iber.*) მომრთუმელნი და თითოფერისა და მრავალსასყიდლისა შემოსაღებელისა მყოფელნი.

ზოგჯერ კი ეფრემი თავად აკლებს ყოფნა ზმნას იქ, სადაც ბერძნულში ეს ზმნა წარმოდგენილია. ამას ეფრემი აკეთებს ფრაზის შეკუმშვისა და ამ გზით გარკვეული სტილისტური ეფექტის მიღწევის მიზნით:

³³ საყურადღებოა, რომ ქართველი მთარგმნელები, ექვთიმე ათონელი და ეფრემ მცირე ალიტერაციის ხერხს დედნისაგან დამოუკიდებლად, გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების თარგმნის დროსაც მიმართავენ. სათარგმნი დედნისაგან დამოუკიდებლად მხატვრული დეტალების ჩართვა ტექსტში ზოგადად ქრისტიანული აღმოსავლეთის თარგმანებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 656, 658; Garitte, *Traduttore traduttore*, p. 75.

³⁴ მხატვრული ეფექტის მიზნით ზმნების დაკლების საუკეთესო მაგალითია გრიგოლის 38-ე სიტყვის დასაწყისი, ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 83.

- tino~ abusson sofia~, tino~ uyo~ qeologia~, h frasew~ ama kallo~ kai megeqo~ h osa pantoia~ esti (om. Iber.) tecnh~ kai qewria~ kai carito~.

- ვისი უბსკრული სიბრძნისაჲ, ვისი სიმაღლე ღმრთისმეტყუელები-საჲ, ანუ თარგმანებისა თანა სიდიდე შუენიერებითურთ, ანუ რაოდენი რაჲ – ყოვლისავე ჯელოვნებისა და ხედვისა და მადლისაჲ?

ყურადღებას იპყრობს ქართულ თარგმანში ბერძნული ინფინიტი-ვური კონსტრუქციების კალკირება – ბერძნული საწყისების ქართუ-ლად ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისებით გადმოტანა. ქართულ თარგმანში ამას თითქმის სისტემატური ხასიათი აქვს, რაც ზოგჯერ გარკვეულ სტილისტურ ეფექტსაც ქმნის ეპისტოლის ტექსტში:

- cersin autoi~ udwr eugnwmonw~ arutein, kai pan o ti ge dunatwn ... proskomizein – პევშებითა ამით წყალსა ერთგულებით მიჰყრო-ბად და ყოველივე, რაჲცა რაჲ შესაძლებელ ... მო რ თ უ მ ა დ .

- Grhgorion kai ta Grhgoriou enoptizesqai te kai akoutizesqai – გრიგოლისსა და გრიგოლისდა ხ ე დ ვ ა დ და ს მ ე ნ ა დ .

ამგვარად, ბასილი მინიმუმის ეპისტოლის ეფრემისეულ თარგმანში, ტექსტობრივ ზედმიწევნითობასთან ერთად, ასახულია ბასილის ეპისტო-ლის სტილისტური თავისებურებანი. მაღალფარდოვნების ეფექტის გა-სამძაფრებლად ეფრემი ზოგჯერ, ბასილისაგან დამოუკიდებლად, თუმცა მისი მიზაძვით, მიმართავს სათანადო ხერხებს თავის თარგმანში ამაღ-ლებული, მაღალფარდოვანი სტილის ასახვის მიზნით. ლექსიკური და სინტაქსური კალკებით ელინიზებული ენა ხელს უწყობს ორიგინალის სტილის გამოკვეთასა და შენარჩუნებას თარგმანში.

როგორც ცნობილია, მაღალფარდოვანი სტილი, სტილისტური ეფე-ქტის შემქმნელი ენობრივი ელემენტების გამოყენებასთან ერთად, ტე-ქსტის რიტორიკული სამკაულებით შემკობასაც გულისხმობს. შესაბა-მისად, ბასილის ეპისტოლეში უხვად ვხვდებით ეპითეტებს, მეტაფო-რებს, შედარებებს, ანტითეზებს და სხვ., რომლებიც დედნის მიხედვით არის დამუშავებული და თანამიმდევრულად გადმოტანილი ეპისტოლის ქართულ თარგმანში.³⁵

³⁵ მხატვრულ სახეთა ანალიზისათვის ბასილის ეპისტოლეში იხ. ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარების ისტორიიდან, გვ. 25-26; აქვე, გვ. 87-92.

დედნის სტილის მიზიდვის, იმიტაციის პრინციპით არის ნათარგმნი ეფრემის მიერ გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვაც.³⁶ როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრიგოლის საკითხავების გამოკვეთილი სტილი – სიტყვასიმოკლე და სიღრმე – ზედმიწევნით არის ასახული გრიგოლის საკითხავთა ეფრემისეულ თარგმანში. ცხადი ხდება, რომ ეფრემი იმიტაციური თარგმანის მეთოდს მიმართავს იმ შემთხვევაში, როდესაც სათარგმნი მასალა თავისთავად წარმოადგენს სტილისტურად დამუშავებულ ტექსტს. ამ დროს მისთვის მნიშვნელოვანია დედანთან არა მარტო ტექსტობრივი სიახლოვე, არამედ ორიგინალის მხატვრული სამყაროს, მისი ყველა მხატვრული დეტალისა თუ ნიუანსის გადმოცემა თარგმანში, რასაც ეფრემი სხვადასხვა ენობრივი საშუალებების ამოქმედებით აღწევს. ეს ეფრემის ელინოფილური მთარგმნელობითი საქმიანობის კიდევ ერთი, მეტად საინტერესო მხარეა.

სხვათა შორის, თავისთავად სიტყვასიტყვითი თარგმანი ყოველთვის რომ ვერ ახერხებს დედნის სტილისტური სპეციფიკის ასახვას, კარგად ჩანს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა VII საუკუნის სომხური ულტრაელინოფილური თარგმანის მაგალითზე, რომელიც ზედმიწევნით მისდევს ბერძნულს, მაგრამ მასში საერთოდ არ არის ასახული გრიგოლის პროზის სტილისტური თავისებურებები.³⁷

თავისუფალი თარგმანი

• შემოკლება-გავრცობა

თეოლოგიური პასაჟებისა და ბასილის ეპისტოლისაგან განსხვავებით, გრიგოლის მოკლე, ალუზიური ფრაზებისა თუ ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა განმარტებები, ასევე განმარტებები, რომლებშიც საუბარია გრიგოლის სტილზე, სინტაქსსა და მხატვრულ ხერხებზე, ქართულად თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის გადმოტანილი – ისინი მხოლოდ შინაარსობრივად მისდევს ბერძნულს; შეინიშნება ამ ტიპის განმარტებების როგორც გავრცობის, ისე შემოკლების შემთხვევები. ამ

³⁶ ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 459.

³⁷ *Sancti Gregorii Nazianzeni Opera. Versio armeniaca* I, p. XXXV-XXXVII.

მთარგმნელობით მეთოდს ეფრემი „კლება-მატებას“ უწოდებს ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის დახასიათებისას.

მაგალითისათვის:

ბასილის მიერ განმარტებულია შემდეგი პასაჟი გრიგოლის 38-ე საკითხავიდან:

- Ta arcaia parhlqen: idou gegone ta panta kaina. To gramma upocwrei, to pneuma pleonektei, ai skiai paratreousin, h alhqeia epeisercetai.³⁸

ამ პასაჟის ეფრემისეული თარგმანია:

- ძუელნი წარვდეს, აჰა, იქმნა ყოველივე ახალ! წიგნი მიჰრიდებს, სული მიიხუეჭს, აჩრდილნი წარიბინებენ, ჭეშმარიტებაჲ ზედა-შემოვალს.³⁹

პასაჟში მოცემულია ძველი და ახალი რჯულის შეპირისპირება. ta arcaia (ძუელნი), to gramma (წიგნი) და ai skiai (აჩრდილნი) მეტაფორულად, მიფარულად ძველ რჯულს გამოხატავს. ბასილის განმარტება სწორედ ამ სახეთა გახსნას ემსახურება:

- ta tou nomou dhladh. Kai auto~ o palaio~ kai skiwdh~ parehl-luqe Nomo~, o~ kai gramma kai skia kaleitai, th alhqeia htoi th nea paraballomeno~ cariti.⁴⁰ – [იგულისხმება], რა თქმა უნდა, რჯული. თავად ძველი და აჩრდილისებრი რჯული ჩავლილია, რომელიც ასევე წოდებულია „ასოდ“ და „აჩრდილად“ შეპირისპირებით ჭეშმარიტებასთან, რომელიც არის ახალი მადლი.

ამ განმარტების ეფრემისეული თარგმანია:

- „ძუელად“ შჯულისათა მათ უწოდს და მათვე – „წიგნ“ და „აჩრდილ“, რომელნი-ესე წარვდეს მათ ზედა შემოსლვითა ახლისა მადლისათა, რომლისაჲ ყოველივე სულიერ არს. და ესევეთარი იგი სული მიიხუეჭს ცხოვრებასა კაცთასა, არღარა ერთისა ჰურიათა ნათესავისა, არამედ ყოველთა წარმართთა შორის განფენითა ქადაგებისათა.⁴¹

ეფრემი, ბერძნულისაგან განსხვავებით, იძლევა გრიგოლის ტექსტიდან კიდევ ერთი დამატებითი ფრაზის to pneuma pleonektei (სული მიიხუეჭს) განმარტებას.

³⁸ PG 36, col. 313 A 11-14.

³⁹ Oratio 38, Iber. p. 53.

⁴⁰ Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii, p. 18.

⁴¹ Comm. 38, Iber. 8.

შინაარსობრივი თარგმანისა და, ამასთანავე, დამატებითი ინფორმაციით ტექსტის გავრცობის ტიპური ნიმუშია განმარტება, რომელშიც ახსნილია გრიგოლის 38-ე საკითხავის შემდეგი პასაჟი:

- palin Aigupto~ skotw kolazetai.⁴²

- კუალად ეგვპტე ბნელითა იგუემების.⁴³

ამ პასაჟის ბასილი მინიმუსის განმარტებაა:

- Aigupton tropikw~ thn amartian h grafh kalei, Israhel de noun orwnta Qeon. H oun amartia skotw kolazetai wsper h Aigupto~ pote, o de Qeon orwn kai ginwskwn nou~ w~ en stulw th qeognwsia fwtizetai wsper pote o Israhel⁴⁴ – ეგვიპტეს ფიგურალურად „ცოდვას“ უწოდებს ბიბლია, ისრაელს კი – „ღვთის მხილველ გონებას.“ ცოდვა სიბნელით ისჯება, როგორც ოდესლაც ეგვიპტე. ხოლო გონება, ღვთის მხილველი და შემმეცნებელი, განათებულია ღვთისმეცნიერების სვეტით, როგორც ოდესლაც ისრაელი (*Exod.* 13, 21).

ამ განმარტების ეფრემისეული თარგმანი შინაარსობრივად მისდევს ბერძნულს, ოღონდ დასაწყისში დამატებით განმარტებულია palin-ის მნიშვნელობა მოცემულ კონტექსტში:

- ძუელისა მის მოსეს ზე ეგვპტის მგუემელობისაგან აწინდელსა ამას ცოდვისმგუემელობასა „კუალად“ ეწოდების, რამეთუ ეგვპტე სახისმეტყუელებით ცოდვისა სახელად უწყის წერილმან. ესე ეგვპტე ცოდვისაჲ ბნელითა იგუემების, რაჲთა ახალი ესე გონებაჲ ღმრთისმხილველი, რომელ არს ჭეშმარიტი ისრაელი, ღმრთისმეცნიერებითა განათლდებოდის, ვითარ-იგი ძუელი – სუეტითა ცეცხლისაჲთა.⁴⁵

ეფრემთან ვხვდებით ასევე საპირისპირო შემთხვევებსაც – ბასილის განმარტებათა მოკლედ, რეზიუმირებულად თარგმანის ნიმუშებს. მაგალითად:

- o lao~ o kaqhmeno~ en skotei th~ agnoia~ idetw fw~ mega th~ epignwsew~.⁴⁶

- ერი, რომელ სხდა ბნელსა შინა უმეცრებისასა, იხილეს ნათელი დიდი მეცნიერებისა.⁴⁷

⁴² PG 36, col. 313 A 8.

⁴³ Oratio 38, Iber: p. 53.

⁴⁴ Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii, p. 16.

⁴⁵ Comm. 38, Iber: 6.

⁴⁶ PG 36, col. 313 A 9-11.

⁴⁷ Oratio 38, Iber: p. 53.

ბასილი მინიმუსის კომენტარი:

- Ek tou Hsaiou touto kata parwdian pareilhptai tw Patri. O lao~ fhsin ekeino~ o poreuomeno~ en skotei eide fw~ mega, laon to ex eqnwn plhqo~ dhlwn to prin men th agnwsia w~ en skotw diion, th de Cristou epilamyei fw~ to mega th~ gnwsew~ teqeako~⁴⁸ – ესაიას-გან არის მოძღვრის მიერ ციტირებული არასიტყვასიტყვით. ის ამბობს: ხალხმა, რომელიც დადიოდა სიბნელეში, იხილა დიდი ნათელი (Is. 9, 2). „ხალხი“, ცხადია, ეთნოსთა დიდი რაოდენობაა, რომელიც თავდაპირველად დაიარებოდა უმეცრებაში, როგორც სიბნელეში, მაგრამ ქრისტეს წყალობით იხილა ცოდნის დიდი ნათელი.

ეფრემს მოკლედ, კონსპექტურად აქვს ნათარგმნი ეს განმარტება:

- ესაიასგან მოუღიეს ესე მოძღუარსა, რომლითა წარმართთა ერსა, პირველ უმეცრებისა ბნელსა შინა მყოფსა, ნათლად ქრისტეს მიერ აღ-
მობრწყინვებულად მოუწოდს.⁴⁹

• ადაპტაცია

ცალკე გამოყოფთ ბასილის იმ განმარტებებს, რომლებიც ეხება გრიგოლის საკითხავებში პუნქტუაციის სისტემას.

თავის ეპისტოლეში კონსტანტინე იმპერატორის მიმართ ბასილი ახსენებს წერტილებს (ta stigmata), რომლებსაც *შეცდომილნი* არაფრად აგდებენ, რის შედეგადაც გრიგოლის ჰომილიათა გარკვეულ პასაჟებს სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად კითხულობენ, რითაც სიტყვის წესს რყვნიან – იმას, რაც გაბმით არის წასაკითხი, ანაწევრებენ, დასანაწევრებელს კი, პირიქით, გაბმით კითხულობენ. ბასილის მიხედვით, წერტილთა განლაგება ორატორული ხელოვნების წესია. ისინი მიანიშნებს, თუ როგორ უნდა შეეწყოს ერთმანეთს პერიოდები და როგორ უნდა გაერთიანდეს თხრობის ნაწილები.

აქ საუბარია ნიკანორის პუნქტუაციურ სისტემაზე⁵⁰, რომელიც ბასილმა შეიტანა გრიგოლის საკითხავებში და რომელსაც ის საკმაოდ დეტალურად განმარტავს თავის კომენტარებში.

⁴⁸ *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 18.

⁴⁹ *Comm. 38, Iber. 7.*

⁵⁰ Blank, *Remarks on Nicanor*, p. 48-67.

ბასილი მინიმუსის განმარტებები პუნქტუაციის შესახებ ეფრემის მიერ თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის ნათარგმნი. ხშირ შემთხვევაში ამ ტიპის განმარტებები ქართულ ვერსიაში შინაარსობრივად დაშორებულია ბერძნულს; არის შემთხვევები, როდესაც განმარტებები პუნქტუაციის შესახებ საერთოდ გამოტოვებულია ეფრემის თარგმანში. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ განმარტებები სასვენი ნიშნების შესახებ მისადაგებულია გრიგოლის ქართულ თარგმანთან, რაც მიღწეულია ამ ტიპის განმარტებებისა და მათში დაცული ტერმინოლოგიის მაქსიმალური ადაპტაციით.

მაგალითისთვის განვიხილავთ პუნქტუაციასთან დაკავშირებული განმარტებების ქართულ-ბერძნულ მიმართებას გრიგოლის 38-ე საკითხავის კომენტარის მიხედვით.

1. *teleia stigmh* – ყველაზე ხანგრძლივი შესვენება (4 *cronoi*). ნიკანორის მიხედვით, ის ყოფს ორ დამოუკიდებელ წინადადებას; მოსდევს, აგრეთვე, მიმართვას – წოდებით ბრუნვაში დასმულ სახელს და მოწოდებითი ხასიათის გამოთქმას. ბასილთანაც ეს ნიშანი, ძირითადად, იხმარება დამოუკიდებელი წინადადებების ბოლოს (*Comm.* 38, *Gr.*⁵¹: 1b, 4, 19, 20a, 37, 53, 136), აგრეთვე კითხვითი წინადადების ბოლოს (*Comm.* 38, *Gr.* 139) და მიმართვაში (*Comm.* 38, *Gr.* 4). ამ ნიშანს ვხვდებით რამდენიმე კოლონისაგან შემდგარ ჰიპოთეტურ წინადადებაშიც (*Comm.* 38, *Gr.* 121). ბასილთან ეს ნიშანი უპირისპირდება პუნქტუაციის ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: *upostigmh* (*Comm.* 38, *Gr.* 19), *anw prwth* (*Comm.* 38, *Gr.* 24), *anupokrito~* (*Comm.* 38, *Gr.* 121).

ათი განმარტებიდან, რომლებშიც პუნქტუაციის ეს ნიშანია ნახსენები, ორი (*Comm.* 38, *Gr.* 53 და 121) ქართულად საერთოდ არ არის თარგმნილი. ოთხში (*Comm.* 38, *Gr.*: 4, 20a, 136, 139), რომლებიც ეფრემის მიერ თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის გადმოტანილი (ქართულ თარგმანში შესაბამისი განმარტებებია: *Comm.* 38, *Iber.*: 3, 16, 113, 116), *teleia stigmh*-ს ქართულ ეკვივალენტს ვერ ვხვდებით. *Comm.* 38, *Iber.* 16-ში არის მხოლოდ ასეთი ფრაზა:

- თვსთვსად განიკუთვებოდედ თითოეული სიტყუაჲ (*teleiai stizonta*-ს აღწერითი თარგმანი).

⁵¹ *Comm.* 38, *Gr.*-თი ამ ქვეთავში აღნიშნულია გამოცემა: *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*; რიცხვები აღნიშნავს განმარტებათა ნომრებს.

მხოლოდ ოთხ განმარტებაში დასტურდება ამ ტერმინის შესაბამისი ლექსიკური ერთეულები: *teleia stigmh* – სრულწერტილობა (*Comm.* 38, *Iber.* 1), *teleia* – სრულწერტილი (*Comm.* 38, *Iber.* 15, 20, 30).

2. *upoteleia stigmh* – ხანგრძლივი შესვენება (3 *cronoi*). ეს ნიშანი ყოფს *de*-თი ან მისი მსგავსი ნაწილაკებით – *gar*, *alla*, *autar* – დაკავშირებულ წინადადებებს. ბასილი 38-ე სიტყვის კომენტარში ორჯერ ახსენებს ამ ნიშანს. ერთგან ის აღნიშნავს, რომ, საჭიროების მიუხედავად, არ გამოიყენა ეს ნიშანი *gar*-ის წინ (*Comm.* 38, *Gr.* 29). სხვაგან (*Comm.* 38, *Gr.* 59) კი მიუთითებს, რომ ამ ნიშანს იყენებს, მაგრამ მიზეზს არ ასახელებს. თუმცა ცხადია, რომ იგი ამ ნიშანს წინადადებაში სვამს *mallon de*-ს გამო.

38-ე სიტყვის კომენტარის 29-ე განმარტება ქართულად არ არის ნათარგმნი. 59-ე ქართულად თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის გადმოტანილი. ტერმინი *upoteleia* ნათარგმნია იმავე ლექსიკური ერთეულით, რითაც *teleia* – სრულწერტილი. ბერძნულისაგან დამოუკიდებლად ქართულ თარგმანში განმარტებულია ამ ნიშნის ფუნქცია:

- რაღათა სრულწერტილთა ზედა ისუენოს,სრულწერტილითა სრულ-ყოს (*Comm.* 38, *Iber.* 47).

3. *anw prwth (stigmh)* – შესვენების ხანგრძლივობა 2 *cronoi*. ყოფს წინადადებებს, რომლებიც დაკავშირებულია კორელატივებით – *men ... de*, *h ... h*, *ouk ... alla*. ბასილთან ეს ნიშანი გამოყენებულია წინადადებებში, რომლებშიც ვხვდებით ნაწილაკებს: *men ... de* (*Comm.* 38, *Gr.* 24, 29) და *men ... alla* (*Comm.* 38, *Gr.* 35). ეს ნიშანი, ხანგრძლივობის თვალსაზრისით, *teleia stigmh*-სა და *upoteleia stigmh*-ზე გაცილებით სუსტია, 24-ე განმარტებაში უპირისპირდება კიდევ *teleia stigmh*-ს, თუმცა თანამედროვე მიმდებარე ძლიერია.

განმარტებები *Gr.* 29 და *Gr.* 35 ქართულად თარგმნილი არ არის. *Gr.* 24 თავისუფალი მეთოდით არის გადმოტანილი (= *Comm.* 38, *Iber.* 20). *anw prwth*-ს შესატყვისი ტერმინი აქ არ ჩანს, თუმცა სწორად არის ახსნილი მისი დანიშნულება. ეფრემის განმარტებით, ეს არის არა სრულწერტილი, არამედ ნაკლული-რე – ანუ მასზე მცირე (უნდა იგულისხმებოდეს მისი ხანგრძლივობა – 2 *cronoi*, სრულწერტილის ხანგრძლივობასთან მიმართებით – 4 *cronoi*).

4. *anw deuthera (stigmh)* – შესვენების ხანგრძლივობა 1 *crono*~. ყოფს წინადადებებს, რომლებიც *kai*-თი არის შეკავშირებული. ბასილ-თანაც ამ ფუნქციით იხმარება (*Comm.* 38, *Gr.*: 3*a*, 59).⁵²

Gr. 3*a* ქართულად არ არის თარგმნილი. *Gr.* 59, როგორც აღვნიშნეთ, თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის გადმოტანილი (= *Iber.* 47). *anw deuthera*-ს შესატყვის ტერმინს და ვერც მის აღწერით თარგმანს ამ განმარტებაში ვერ ვხვდებით.

5. *enupokrito~ (upostigmh)* ან *meq upokrisew~* – ყოფს რთული წინადადების ნაწილებს; მისი ადგილია გამართულ პერიოდებში (*orqh periodo~*) პროტასისსა და აპოდოსისს შორის, რომლებიც შემდეგი ნაწი-ლაკებით იწყება: *ofra ... tofra*, *hmo~ ... thmo~*, *ote ... tote*, *ew~ ... tew~*, *opou ... ekei*. ამ ნიშანს *enupokrito~* იმიტომ ეწოდა, რომ ის ხმის დრამატულ აწევას გულისხმობს პროტასისის ბოლოს. ამ ფუნქციით ის იხმარება ბასილთან (*Comm.* 38, *Gr.*: 3*a*, 20*a*, 86*c*). ბასილის მიხედვით, ის ასევე დაისმის ჩანართის ბოლოს (*Comm.* 38, *Gr.* 55); მას ვხვდებით შედარებით ნაწილაკთანაც *h* (*Comm.* 38, *Gr.* 115*a*). ბასილი ამ ნიშნის გამოყენების წესსაც გვაცნობს (*Comm.* 38, *Gr.* 121).

დასახელებული ექვსი განმარტებიდან ოთხი (*Comm.* 38, *Gr.* 3*a*, 55, 86*c* 121) ქართულად თარგმნილი არ არის. *Gr.* 115*a*-ს შესაბამისი ქართუ-ლი განმარტება არ მისდევს ბერძნულს. რაც შეეხება *Comm.* 38, *Gr.* 20-ს, რომელშიც, *enupokrito~*-თან ერთად, კიდევ ერთი პუნქტუაციის ნიშანი – *diastolh* – არის ნახსენები, შესაბამის ქართულ განმარტებაში (*Comm.* 38, *Iber.* 20) ამ ნიშანთა ტერმინოლოგიური შესატყვისები არ დასტურდე-ბა. ეფრემი იძლევა ამ განმარტების თავისუფალ თარგმანს, უფრო სწო-რად, თავისებურ თარგმანს, რომელიც, მართალია, აზრობრივად არ მის-დევს ბერძნულს, მაგრამ იმავე საკითხს – მოცემული პასაჟის ნაკითხვის წესს ეხება. ეფრემის თარგმანის მიხედვით, გრიგოლის ტექსტის ერთი მონაკვეთი – *მაშინ ჰრწმენისითგან ვიდრე უკუანახსენელადმდე* – ხმის შეცვლით იკითხება (შდრ. *enupokrito~*-ის ერთ-ერთი ფუნქცია – ხმის დრამატული აწევა), ხოლო ბოლოში *სრულ-ჰყოფს გაკუეთითა*.

6. *anupokrito~ (upostigmh)* – შესვენების ხანგრძლივობა 1 *crono*~. ამ ნიშნით გამოყოფილია ჩანართი, რომელიც პროტასისსა და აპოდო-

⁵² ნიკანორი ასევე იყენებს პუნქტუაციის ნიშანს *anw trith (stigmh)* – შესვე-ნების ხანგრძლივობა 1 *crono*~; ერთმანეთისაგან გამოყოფს *te*-თი დაკავში-რებულ წინადადებებს. ბასილთან ეს ნიშანი არ დასტურდება.

სისს შორის არის მოთავსებული. ბასილთან ამ ნიშნით ჩანართის დასაწყისია აღნიშნული (*Comm. 38, Gr.: 29, 55. 86c, 121, 139*). მისი დღევანდელი ეკვივალენტია ტირე.

ჩამოთვლილ განმარტებათაგან ოთხი (*Comm. 38, Gr.: 29, 55. 86c, 121*) ქართულად არ არის გადმოტანილი. *Comm. 38, Gr. 139* თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის ნათარგმნი, არ შეიცავს *anupokrito*-ის შესაბამის ქართულ ტერმინს, თუმცა მოცემული პასაჟის კითხვის წესს ეხება:

- ამიერიდან ვიდრე „თანა-აღრაცხამდე“ ერთ შენადგამად და მცირედ სუენებით უჭმარ კითხვად (*Comm. 38, Iber. 116*).

7. *diastolh* და *upodiastolh* – როგორც ნიკანორთან, ისე ბასილთან ეს ნიშნები იხმარება ელიპტური (ნაკლული) ფრაზების გამოსაყოფად (*Comm. 38, Gr.: 1b, 4*), ინვერსიული წყობის წინადადებაში (*Comm. 38, Gr.: 4, 20a, 29, 121, 15*); ზოგჯერ მათი ფუნქცია ბოლომდე გარკვეული არ არის (*Comm. 38, Gr.: 129, 59*), ზოგ შემთხვევაში კი ეს ნიშნები ერთმანეთს უპირისპირდება კიდეც (*Comm. 38, Gr. 136*).

დასახელებული ცხრა განმარტებიდან ქართულად არ არის ნათარგმნი სამი – *Gr.: 15, 29, 121*. ორი (*Comm. 38, Gr. 20a, 136*) წარმოადგენს თავისუფალ თარგმანს (= *Comm. 38, Iber. 16, 113*), სადაც ეს ტერმინები საერთოდ არ არის გამოყენებული; ხოლო ოთხ განმარტებაში (*Comm. 38, Gr. 1b, 4, 59, 129*), რომლებიც ასევე თავისუფლად არის ნათარგმნი ქართულად (= *Comm. 38, Iber. 1, 3, 47, 105*), ამ ტერმინების შესატყვისია *იგურდივმოქცევი / იგურდივმოქცეობა*. მიუხედავად თავისუფალი თარგმანისა, ქართულში, ისევე როგორც ბერძნულში, ეს ტერმინი ფრაზის *ნაკლულე-ბასთან / ნაკლულევენებასთან* არის დაკავშირებული (მდრ. *eleiph, leipei*). ნიშანდობლივია, რომ ქართულ თარგმანში, ბერძნულისაგან განსხვავებით და მისგან დამოუკიდებლად, ახსნილია *იგურდივმოქცევის* ფუნქცია:

- რაჲთა იგურდივმოქცევითა განყოს (*Comm. 38, Iber. 47*);

- რაჲთა რაჟამს სთქუა „ერთი“, მცირედ იპყრა იგურდივმოქცევითა და ეგრეთღა სთქუა „ორთაგან წინააღმდგომთა“, რაჲთა ერთგუამოვნებაჲცა ცხად-ყოს სიტყუამან ორბუნებაობასა თანა (*Comm. 38, Iber. 105*).

ამგვარად, ეფრემის მიხედვით, *იგურდივმოქცევი* მცირე პაუზაა, რომელიც წინადადებაში აზრის გამოყოფას, გამოკვეთას ემსახურება.

8. *upostigmh* – ეს ნიშანი ნიკანორთან არ არის. ბასილთან ის უპირისპირდება *teleia*-ს (*Comm. 38, Gr. 19*). წინადადებაში უნდა ასრულებდეს დღევანდელი მძიმის ფუნქციას და *diastolh*-სა და *upodiastolh*-ს სინონიმი უნდა იყოს.

ამ ტერმინის ქართული შესატყვისი კომენტარში არის *უკმოკრული* (*Comm. 38, Iber. 15*).

ნიშანდობლივია, რომ ზოგ შემთხვევაში ბერძნულ ტექსტში არაფერია ნათქვამი პუნქტუაციის ნიშნების შესახებ, ქართულ თარგმანში კი პუნქტუაციაზეა საუბარი. მაგალითად, 38-ე სიტყვის კომენტარის მე-2 განმარტებაში ვკითხულობთ:

- „ქრისტე ჯორცითა“ ამისასაცა ნაკლულსა, ვითარმედ „იშვა“, იგურდივმოქცევი აღმოაგებს, რამეთუ ესევითარნი ნაკლულნი ფილოსოფოსთა ჯელოვნებისანი არიან და არა ვითარ ვინ ჰგონოს, უსრულობისანი (*Comm. 38, Iber. 2*).

შესაბამის ბერძნულ განმარტებაში არაფერია ნათქვამი არც ამ ფრაზის *ნაკლულოვანებაზე*, არც რაიმე სასვენი ნიშნის გამოყენებაზე – *esti, pefuke dhladh, eit oun meta sarko~ th~ hmeta~* (*Comm. 38, Gr. 6*). საფიქრელია, რომ განმარტება ეკუთვნის ეფრემს, რომელიც კარგად არის გარკვეული ბასილის მიერ შემოთავაზებულ პუნქტუაციის ნიშანთა სისტემაში და ბერძნულის ანალოგიით, სადაც საჭიროდ მიიჩნევს, თვითონ ურთავს განმარტებას.

ამგვარად, ეფრემი თავის თარგმანში გამარტივებული სახით წარმოადგენს ბასილის პუნქტუაციურ სისტემას, განმარტებების საკმაოდ დიდ ნაწილს, რომლებშიც სასვენი ნიშნებია ნახსენები, ის ან საერთოდ არ თარგმნის, ან თარგმნის თავისუფლად, უმეტესწილად ტერმინების გადმოტანის გარეშე. პუნქტუაციის ნიშნებიდან თარგმანში იხსენიებს მხოლოდ სამს (*სრულწერტილი, იგურდივმოქცევი* და *უკმოკრული*). ზოგ შემთხვევაში ეფრემი ბერძნულისაგან დამოუკიდებლად საუბრობს პუნქტუაციის ნიშნებზე, მარტივად, გასაგებად განმარტავს მათ ფუნქციას. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ბასილი მინიმუსის პუნქტუაციური სისტემა და მისი განმარტებები ეფრემის მიერ ადაპტირებული სახით არის გადმოტანილი ბასილის კომენტართა ქართულ თარგმანში.⁵³

⁵³ სხვა და, შეიძლება ითქვას, სრულიად შეუსწავლელი საკითხია, რამდენად აისახა ბასილის პუნქტუაციური სისტემა გრიგოლის ბერძნულ ტექსტებში, არის თუ არა ის წარმოდგენილი დღეისათვის ცნობილ გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერებში; შესაბამისად, რთულია იმაზე საუბარი, რა ვითარებაა ამ მხრივ გრიგოლის ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში. ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 192-199.

• მთარგმნელის ჩანართები

ცალკე გამოვეყოფთ მთარგმნელისეულ ჩანართებს, რომლებსაც ბასილი მინიმუსის კომენტართა ქართულ თარგმანში გამოკვეთილად ახსნა-განმარტებითი, ექსპოზიციური დანიშნულება აქვს.

ბასილი მინიმუსის ქართულ თარგმანში ეფრემის ჩანართები (ა) ზოგ შემთხვევაში ბასილის განმარტებებშია შეტანილი, (ბ) ზოგჯერ კი ბასილის კომენტარში ცალკე განმარტების სახით არის ჩართული, ანუ დამოუკიდებელ, ორიგინალურ განმარტებას წარმოადგენს.⁵⁴

(ა) ბასილი მინიმუსი გრიგოლის 39-ე საკითხავის კომენტარში საუბრობს გრიგოლის მიერ გამოყენებულ რიტორიკულ ხერხზე, პროკატასტასისზე (*prokatastasi~*), რომელიც გულისხმობს საკითხავში ახალ საკითხზე გადასასვლელად თხრობის წინასწარ შემზადებას – მოკლე შესავლის შეთხზვას:

- *prokatastasew~ tupon ecei tauta: h de prokatastasi~ eit oun prodihghsi~ efodo~ estin pro~ tou~ agwna~ w~ Ayinh~ fhsi diastellwn oun o auto~ thn katastasin th~ dihghe~: logon fhsi ei nai tauthn pro~ to sumferon kaqistanta thn dihghe~sin: kai ta antiptonta proanairounta o safw~ enestin en toutoi~ oran.*⁵⁵

- წინაგანკაზმვისა წესი აქუს სიტყუათა ამათ. ხოლო წინაგანკაზმვა არს განმზადებაჲ გზათა სიტყუსათაჲ, რაჲთა ადგილ-სცენ თხრობასა მისსა. გინათუ წინათხრობაჲ ვერაგობა არს ჴელოვან-ყოფად ღუანლთა მიმართ, ვითარცა მოიწესენებს აფსინი, რაჟამს მიმოგანჴყოფდეს წესსა

⁵⁴ ამ ტიპის განმარტებები ბასილი მინიმუსის თხზულების ქართული თარგმანის ორგანული ნაწილია. ისინი, ისევე როგორც ეფრემის ექსპოზიციური ხასიათის მარგინალური შენიშვნები („ზეპირით დანერილი თარგმანები“, ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 136-138), ქართულ ხელნაწერებში (*cods.* A-109, *Jer.* 43, *Jer.* 15 – XII-XIII სს.) აშიებზეა მოთავსებული, მაგრამ ეს ტექსტები იმთავითვე უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან. ეფრემის მარგინალური შენიშვნები ძირითადად თარგმნის დროს შექმნილ ტექსტოლოგიურ, ლინგვისტურ და მისთ. პრობლემებს ეხება, ხოლო ბასილის კომენტარებში ჩართული ეფრემის განმარტებები უშუალოდ გრიგოლის ტექსტის კომენტარს წარმოადგენს და ორგანულად ერწყმის ბასილის ტექსტს. ამგვარ მიდგომას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ხელნაწერში *Jer.* 13 (XIII-XIV სს.), რომელიც გაბმული ტექსტის სახით შეიცავს ბასილი მინიმუსის კომენტარებს, გრიგოლის ტექსტის ეფრემისეული განმარტებები უშუალოდ ჩართულია ბასილის კომენტარებში, ხოლო ეფრემის „ზეპირით დანერილი თარგმანები“ აშიებზეა მოთავსებული.

⁵⁵ *Cod. Paris. Coisl.* 240, 52v.

თხრობათასა და ყოველსავე წინააღმდეგომსა განარჩევდეს და აღიღებდეს მიერ, რომელი ან მოძღურისაგანცა იხილვების, რამეთუ პირველ მოიქმს ქუეყანასა და ეგრეთ სთესავს თესლსა.⁵⁶

ეს განმარტება ეფრემის მიერ თავისუფლად, პერიფრაზირებულად არის გადმოტანილი. თარგმანი შინაარსობრივად მისდევს ბერძნულს; რიტორიკული თხრობის შემადგენელი ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებიდან – *katastasi~*, *prokatastasi~*, *dihghsi~*, *prodihghsi~* – ეფრემთან გადმოტანილია მხოლოდ ორი – *prokatastasi~* (წინაგანკაზმვა), *prodihghsi~* (წინათხრობა); ბერძნულის შესაბამისად დამონშებულია რიტორი აფსინესი.⁵⁷ ქართულ თარგმანს ბერძნულისაგან შინაარსობრივად განასხვავებს ბოლო წინადადება:

- რამეთუ პირველ მოიქმს ქუეყანასა და ეგრეთ სთესავს თესლსა.

ეს წინადადება ეფრემის მიერ უნდა იყოს ჩართული ბასილის განმარტებაში. რიტორიკული ხერხის, პროკატასტასისის გამოყენება – ახალი თემის შემზადება შემდგომი გავრცობისათვის – მიმსგავსებულია თესლის დათესვის წინ მიწის დამუშავებათან. ეფრემის მიერ ტექსტში ჩართული ყოფითი ხასიათის ანალოგია ექსპოზიციის მეტად ორიგინალური და, ამასთანავე, ეფექტური საშუალებაა. ის ქართველ მკითხველს ეხმარება უცნობი რიტორიკული ხერხის გაგებასა და გააზრებაში.

(ბ) გრიგოლ ღვთისმეტყველის 43-ე საკითხავის „ბასილი დიდის ეპიტაფიის“ ერთ პასაჟში საუბარია გრიგოლისა და ბასილის ურთიერთობაზე:

- *kanone~ onte~ allhloi~ kai staqmai, oi~ euqe~ kai mh dia-krinetai.*⁵⁸

გრიგოლის მიხედვით, ის და ბასილი ერთმანეთისათვის წარმოადგენდნენ სიმართლისა და არა(სიმართლის) განმარჩეველ საზომს – *სახ-წორსა და კანონს*. ამ პასაჟში გრიგოლი მიმართავს მხატვრულ ხერხს, ევფემიზმს, რომელიც გულისხმობს უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სიტყვის ჩანაცვლებას გარკვეული მინიშნებით. ანტონიმური წყვილის, *სიმართლე – ტყუილი*-ს ერთ-ერთი კომპონენტი, *ტყუილი*, ტექსტში

⁵⁶ *Comm. 39, Iber. 22.*

⁵⁷ აფსინეს გადარელი, ახ. წ. III საუკუნის რიტორი, თავისი თხზულების – *Tecnh rhetorikh*-ს მე-2 თავში რიტორიკული ფიგურის, *პროკატასტასისის* შედგენის ცხრა ხერხს სთავაზობს მკითხველს.

⁵⁸ *PG 36, col. 521 C 13-15.*

პირდაპირ კი არ არის დასახელებული, არამედ მხოლოდ მინიშნებულია – *eude~ kai mh* – *სიმართლე და არა* (ანუ *არასიმართლე, ტყუილი*).

ეფრემ მცირე სიტყვასიტყვით თარგმანის ამ პასაჟს. მის თარგმანში ევფემური მხატვრული სახის შემადგენელი მეორე კომპონენტი (*mh*) გადმოტანილია ქართული ენისათვის უჩვეულო ფორმით: *ვერეგრეთობა* – უარყოფითი ნაწილაკი + ნაცვალსახელი აბსტრაქტული სახელის დაბოლოებით:

- კანონ ვიყვენით ურთიერთას და სასწორ, რომელთა მიერ განირჩევის სიმართლე და ვერეგრეთობაჲ.⁵⁹

საყურადღებოა ამ პასაჟის ექვთიმესეული თარგმანი. ის თავისუფლად თარგმნის ამ ფრაზას, აზრი ექსპლიციტურად არის წარმოდგენილი – ევფემური სახე *eude~ kai mh* ექვთიმეს თარგმანში ანტონიმური წყვილით *მართალი – დრკუ* არის გადმოტანილი; *mh* ჩანაცვლებულია კონტექსტისათვის შესაბამისი ლექსიკური ერთეულით *დრკუ*.

- კანონნი ვიყვენით ერთმანეთისანი, განმრჩეველნი მართლისა და დრკუჲსანი.⁶⁰

ბასილი მინიმუსის ბერძნულ ტექსტში ამ პასაჟის განმარტება არ ჩანს, მაგრამ ეს ევფემური სახე განმარტებულია კომენტარის ეფრემისეულ თარგმანში:

- ესე იგი არს, ვითარმედ „სიმართლე და არასიმართლე“, რამეთუ ესე გარეშეთა სიტყუაპატიოსნებისა ჩუეულეზაჲ არს, რაჲთა ქებასა ცხადად იტყოდინ, ხოლო ძაგებასა – ფარულად. და ნაცვალად ამისსა, ვითარმედ: „კეთილნი და ბოროტნი“, ესრე თქუან: „კეთილნი და არა-ეგრეთნი“; და ჯეროვანთა და უჯეროთა წილ ესრეთ: „ჯეროვანნი და ვერეგევეთარნი“.⁶¹

განმარტებაში გახსნილია გრიგოლთან მოცემული მხატვრული სახის შინაარსი (*ესე იგი არს „სიმართლე და არასიმართლე“*); დასახელებულია მხატვრული ხერხი – *სიტყუაპატიოსნება* (*eufhmia*), მითითებულია, თუ საიდან მომდინარეობს ეს ხერხი (*გარეშეთაგან*, ანუ ანტიკური ეპოქის მწიგნობრებისაგან); მოცემულია ევფემიზმის განმარტება (*ქებასა ცხადად იტყოდინ, ხოლო ძაგებასა – ფარულად*) და მოყვანილია

⁵⁹ *Oratio 39, Iber. p. 99.*

⁶⁰ იქვე, p. 98.

⁶¹ *Comm. 43, Iber. . 59.*

დამატებით ორი მაგალითი (*კეთილნი და ბოროტნი* = *კეთილნი და არაეგრეთნი*, *ჯეროვანნი და უჯერონი* = *ჯეროვანნი და ვერეგევითარნი*).

ნიშანდობლივია, რომ მსგავს განმარტებას ვხვდებით არეოპაგიტული კორპუსის განმარტებათა ეფრემ მცირისეულ თარგმანშიც. განმარტებულია ევფემური სახე არეოპაგელის ტექსტიდან – *სულნელთა* - *სხუებრთა მათ არაეგრეთთა*:

- შეისწავე, ვითარმედ სიტყუაჲ პატიოსნებისათჳს ესე ჩუეულებად მოუპოვებიეს გარეშეთა სიბრძნესა, რაჲთა კეთილთა სახელ-სდებდენ, ხოლო ბოროტთა სახისმეტყუელებით მოიჴსენებდენ, ვითარ-ესე ან თქუნა რაჲ „სულნელნი“, ნაცვალად „სულმყრალთა“ იგავით თქუნა: „სხუებრნი და არაეგრეთნი“; ვითარ თუმცა სთქუ ნაცვალად ამისა, ვითარმედ: „კეთილნი და ბოროტნი“, ესრეთ ვითარმედ: „კეთილნი და არაეგრეთნი“.⁶²

განმარტება შინაარსობრივად, სტრუქტურულად და ტერმინოლოგიურად ძალიან ახლოს დგას ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ მაგალითთან. მხატვრული ხერხი, ევფემიზმი იმავე ტერმინით (*სიტყუაჲ პატიოსნებისაჲ*) არის წარმოდგენილი; აქაც მითითებულია რიტორიკული ხერხის ანტიკური წარმომავლობა, ახსნილია მხატვრული ხერხის არსი (*რაჲთა კეთილთა სახელ-სდებდენ, ხოლო ბოროტთა სახისმეტყუელებით მოიჴსენებდენ*, შდრ. *რაჲთა ქებასა ცხადად იტყოდინ, ხოლო ძაგებასა – ფარულად*); განმარტებულია ევფემიზმის კონკრეტული ნიმუში არეოპაგიტული ტექსტიდან და მეტი სიცხადისათვის, ისევე როგორც ბასილის კომენტარში ჩართულ განმარტებაში, მოყვანილია დამატებითი მაგალითი, რომელიც ემთხვევა ბასილი მინიმუსის კომენტარის ჩანართის ერთ-ერთ მაგალითს (*კეთილნი და ბოროტნი* = *კეთილნი და არაეგრეთნი*). არეოპაგიტული ტექსტის კომენტარში სიტყვებით *სახისმეტყუელებითი*, იგავით ხაზგასმულია ევფემიზმის მხატვრული დანიშნულება. ნიშანდობლივია, რომ არც ამ განმარტებას ეძებნება შესატყვისი არეოპაგიტული კორპუსის ბერძნულ ტექსტში.

თავისი მწყობრი ლოგიკით, დასაბუთების მანერით – როდესაც ერთ-მანეთს ენაცვლება და ავსებს თეორიული მსჯელობა და მაგალითები, – ორივე განმარტება ძალიან ჰგავს ეფრემისეული განმარტებების მწყო-

⁶² ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ, გვ. 106, 174.

ბრი, თანამიმდევრული მსჯელობის სტილს (შდრ. ეფრემის შენიშვნას *სიტყვათა შედგმის ხელოვნების შესახებ*).⁶³

შეგვიძლია თუ არა ამ ორი ძეგლის – ბასილი მინიმუსის კომენტარებისა და არეოპაგიტული კორპუსის კომენტარების ბერძნული ვერსიის შესწავლის დღევანდელ ეტაპზე ჩვენ მიერ განხილული განმარტებების მიჩნევა ეფრემისეულად? დღეისათვის, როდესაც არეოპაგიტული კორპუსის კომენტართა ბერძნული ვერსიის კრიტიკული ტექსტი არ არის დადგენილი, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ბერძნულ ვერსიაში არ იძებნება მისი ერთ-ერთი პასაჟის შესატყვისი, ცხადია, არ მოგცემდა ამ განმარტების ეფრემისეულად მიჩნევის საშუალებას; მაგრამ ბასილი მინიმუსის კომენტართა ბერძნული ვერსიის კვლევის დღევანდელ ეტაპზე, როდესაც უკვე შესაძლებელია ავთენტური ტექსტის იდენტიფიკაცია, ამ თხზულების სხვაენოვან ვერსიაში დადასტურებული პასაჟები, რომლებსაც ბერძნული შესატყვისი არ ეძებნება, შეიძლება ჩაითვალოს მთარგმნელისეულ დამატებებად. ჩვენ შემთხვევაში საბოლოო დასკვნის გამოტანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, ორ ჩანართს შორის რომელია პირველადი – ბასილი მინიმუსისა თუ არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებისა. ამ თხზულებებზე დართული კოლოფონების ანალიზის საფუძველზე დღეისათვის დადგენილია, რომ ორივე თხზულება ეფრემის მიერ XI საუკუნის ბოლო ათწლეულშია ნათარგმნი; ამასთანავე გარკვეულია, რომ ეფრემს თავდაპირველად უნდა ეთარგმნა გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვა ბასილი მინიმუსის კომენტარებითურთ, ხოლო შემდეგ – არეოპაგიტული კორპუსი და მისი კომენტარები.⁶⁴ შესაბამისად, რადგან ბასილი მინიმუსის კომენტართა ბერძნულ-ქართული ტექსტების ურთიერთმიმართების კვლევა გვაძლევს საფუძველს ეფემიზმის განმარტება მთარგმნელისეულ ჩანართად მივიჩნიოთ, მაშინ ბასილი მინიმუსის კომენტართა შემდგომ ნათარგმნ ტექსტში ამ განმარტების ანალოგიური ტექსტის გაჩენაც, არ იქნება უსაფუძვლო, უშუალოდ ეფრემს რომ დავუკავშიროთ.

⁶³ იბ. აქვე, გვ. 150.

⁶⁴ Rapava, Coulie, *Les colophons d' Ephrem Mtsire et les traductions géorgiennes de Gregoire de Nazianze*, p. 116; ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, გვ. 555; ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 130.

ამგვარად, საფიქრელია, რომ ევფემიზმის განმარტება ეფრემმა თავად შექმნა და ჩართო ბასილი მინიმუსის კომენტართა თარგმანში, ხოლო შემდეგ მსგავსი შინაარსისა და დანიშნულების განმარტება შეიტანა არეოპაგიტული კორპუსის კომენტარებშიც.

ვფიქრობთ, ეფრემისათვის ბიძგის მიმცემი ამ განმარტებათა შეთხზვისას ბასილი მინიმუსის რიტორიკული ხასიათის კომენტარები, კერძოდ, 39-ე საკითხავის ერთ-ერთი პასაჟის განმარტება შეიძლება ყოფილიყო, რომელშიც მოცემულია ევფემიზმის განმარტება, თუმცა მხატვრული ხერხი, ევფემიზმი, დასახელებული არ არის:

- *eiwqo~ tw~ poqoumenwn pollaki~ anakalein ta onomata w~ oude apax tw~ misoumenwn*⁶⁵ – რამეთუ ჩუენულებაჲ არს მრავალგზის ცხად – სახელსა სასურველისასა, ვითარ-იგი არცაღათუ ერთგზის – საძულელისასა.

მთლიანობაში კი შეიძლება ითქვას, რომ ეფრემის ზემოთ განხილული განმარტებები, მათში წარმოდგენილი ტერმინოლოგია, დამოუკიდებელი ოპერირება მხატვრული სახეებით და მათი ფუნქციის გააზრება ეფუძნება იმ ცოდნას რიტორიკასა და, ზოგადად, ლიტერატურის თეორიაში, რომელიც ანტიკურობიდან გადმოსული და დამკვიდრებული იყო ბიზანტიური განათლების სისტემაში. განხილული მაგალითებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ, როგორც ჩანს, ბიზანტიელ მნიგნობართა ინტელექტუალური მოღვაწეობის ამ სფეროსთან ეფრემი უშუალოდ იყო ნაზიარები და კარგადაც ფლობდა მის ხერხებსა და მეთოდებს.

ამგვარად, იმ შემთხვევაში, თუ ბასილის განმარტებები, ეფრემის აზრით, არ იყო საკმარისი გრიგოლის ტექსტის სრული გაგებისათვის, ის ბასილის კომენტართა ქართულ თარგმანში ურთავდა განმარტებით ფრაზებს, ხოლო თუ ბასილი მინიმუსი საერთოდ არ უკეთებდა კომენტარს გრიგოლის ამა თუ იმ პასაჟს, ეფრემს, საჭიროების მიხედვით, თავად შეჰქონდა საკუთარი განმარტება ბასილის კომენტარში.

ნიშანდობლივია, რომ ბასილი მინიმუსის კომენტართა ეფრემისეულ თარგმანში დადასტურებულ ჩანართებს ზოგ შემთხვევაში ეძებნება წყარო. ეს არის გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული სიტყვების ექვთიმესეული თარგმანი, რომელიც ექვთიმესათვის ჩვეული თავისუფალი

⁶⁵ Cod. Paris. Coisl. 240, 48v.

მთარგმნელობითი მეთოდით არის შესრულებული და რომელშიც უხვად ვხვდებით განმარტებითი ხასიათის ინტერპოლაციებს.⁶⁶

მაგალითისთვის:

43-ე ჰომილიაში – „ბასილი დიდის ეპიტაფია“ – გრიგოლი საუბრობს ახალგაზრდობის წლებზე, რომლებიც მან და ბასილმა ერთად გაატარეს ათენში. ის მიუთითებს, თუ რა გზა აირჩიეს მათ ახალგაზრდობიდანვე:

- kai teloumen ei~ andra~ ex ageneiwn, andrikwteron th filosofia prosbainonte~.⁶⁷

ეფრემი სიტყვასიტყვით თარგმნის ამ პასაჟს:

- და სრულ-ვიქმენით მამაკაცობად უნუერულობისაგან, უმწესობით ფილოსოფოსობად შევედით.⁶⁸

ლექსიკური ერთეული eteloumen ნათარგმანია ზედმინევნით, მისი ძირისეული მნიშვნელობით (ზმნა telew, tel- ძირიდან ნაწარმოები სიტყვები: *სრული, სრულყოფილი, დასრულება*); ლექსიკური ერთეული filosofia გადმოტანილია ტრანსლიტერაციით – *ფილოსოფოსობა*.

ეს პასაჟი ექვთიმეს თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით აქვს ნათარგმნი:

- და ესრეთ უნუერულობისაგან გამოვედით და განვმწესენით და შევედით სიბრძნესა მას ჭეშმარიტსა მონაზონებისასა.⁶⁹

ლექსიკური ერთეული eteloumen და, შესაბამისად, ფრაზა eteloumen ... ex ageneiwn შინაარსობრივად, აღწერითად არის ნათარგმნი: *უნუერულობისაგან გამოვედით და განვმწესენით* (*მწესი* – დიდი, გაზრდილი); ამასთანავე, ლექსიკური ერთეული filosofia – *ფილოსოფია*, რომელსაც ბიზანტიურ ბერძნულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს,⁷⁰ კონტექსტის გათვალისწინებით, მისი ერთ-ერთი მნიშვნელობით – *მონაზონება / ჭეშმარიტი მონაზონება* – არის გადმოტანილი; ანუ გრიგოლის ტექსტში *მიფარულად* გამოთქმული აზრი ექვთიმესთან ცხადად არის წარმოდგენი-

⁶⁶ ბასილი მინიმუსის კომენტართა ეფრემისეულ თარგმანზე ექვთიმე ათონელის გავლენის საკითხი განხილული გვაქვს სტატიაში: *მემკვიდრეობითობა ძველ ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*, გვ. 237-247.

⁶⁷ PG 36, 529 C 5-6.

⁶⁸ Oratio 43, Iber. p. 119.

⁶⁹ იქვე, p. 118.

⁷⁰ Lampe, *A Patristic Greek Lexicon*; იხ. ასევე, ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 178.

ლი: ყრმობის ასაკიდან სიჭაბუკის ასაკში გადასვლისთანავე გრიგოლმა და ბასილმა მონაზვნური ცხოვრების წესი აირჩიეს.

ეს პასაჟი კომენტირებული აქვს ბასილი მინიმუსს:

- anti tou ekmeirakiwn kai ageneiwn ei~ andra~ hdh eteloumen: tout esti andre~ hmen loipon geneiante~⁷¹ – მოზარდობისა და უწვე-რულობის საპირისპიროდ ჭაბუკებად განვსრულდით, ეს კი ნიშნავს, რომ საბოლოოდ წვერიან ჭაბუკებად ვიქეცით.

ბასილი მინიმუსის განმარტებაში ახსნილია ლექსიკური ერთეულის – eteloumen მნიშვნელობა; ბიზანტიელი კომენტატორისათვის მოცემულ კონტექსტში მხოლოდ ეს ლექსიკური ერთეული საჭიროებს განმარტებას.

აი, როგორია ეს განმარტება ეფრემის თარგმანში:

- ესრეთ იტყვს, ვითარმედ სრულ-ვიქმნენით რაჲ უწუერულობისაგან მამაკაცად შემოსითა წუერთაგან, მყის შევედით ღუანლსა ჭეშმარიტსა სიბრძნისმოყუარისასა, რომელ არს მონაზონებისა ღუანლი.⁷²

ამგვარად, ეფრემი დამოუკიდებლად უკეთებს კომენტარს მოცემულ პასაჟს; გრიგოლის ტექსტში მისი განმარტების საგანი, ისევე როგორც ექვთიმესი, არის ლექსიკური ერთეული *filosofia*. ოღონდ ექვთიმესა-გან განსხვავებით, რომელიც უშუალოდ გრიგოლის ტექსტის თარგმნი-სას განმარტავს ამ სიტყვას, ეფრემი კომენტარში იძლევა ამ ლექსიკური ერთეულის განმარტებას; ჯერ კალკირებულად, შემადგენელი ნაწილე-ბის მიხედვით თარგმნის *filosofia*-ს – (სიბრძნისმოყუარება), შემდეგ კი შინაარსობრივად განმარტავს მას: *რომელ არს მონაზონებისა ღუანლი*. ვფიქრობთ, ბასილის კომენტარებში ამ განმარტების ჩართვისას ეფრემი გრიგოლის ტექსტის ექვთიმესეული თარგმანით ხელმძღვანელობს.

ტერმინ *φίλοςοφία*-ზე, როგორც ღრმა – პოლისემიურ სიტყვაზე, ეფრემი სხვაგანაც მსჯელობს; ამ ლექსიკური ერთეულის *მონაზონების* მნიშვნელობით განმარტებას ის იძლევა გრიგოლის ერთ-ერთი არალი-ტურგიკული საკითხავის თარგმანშიც მარგინალური შენიშვნის სახით:

შეისწავე, ვითარმედ სიბრძნისმოყუარება, რომელ არს ფილოსო-ფოსობა, არა ეგოდენ სოფლიოესა სწავლულებისა, რაოდენ მონ-აზონებისა სახელ არს წმიდათა წერილთა შინა.

⁷¹ Cod. Paris. Cois. 240, 28v.

⁷² Comm. 43, Iber. 79.

შეისწავე, ვითარმედ ფილოსოფოსობად, ესე იგი არს სიბრძნის-
მოყუარებად, მონაზონებისა ცხორებასა სახელ-სდებენ წმიდა-
ნი.⁷³

ფილოსოფია – სიბრძნისმოყვარება – მონაზონობაზე საუბრობს
ეფრემი „ფილოთეონ ისტორიის“ წინასიტყვაობაში და აქაც ღრმა (პო-
ლისემიური) სიტყვის, *სიტყუათა მოქცეობის* კონტექსტში განიხილავს ამ
ლექსიკურ ერთეულს.⁷⁴

გრიგოლის ლიტურგიკულ საკითხავებზე დართულ კოლოფონში
ეფრემი აღნიშნავს, რომ ექვთიმეს თავისუფალ თარგმანებზე აღზრდილი
მკითხველი უკვე მზად არის მისი ზედმინევენითი თარგმანების აღსაქმე-
ლად. მაგრამ ეფრემს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ, თავისი სპე-
ციფიკიდან გამომდინარე, ლიტერალურ თარგმანებს, განსაკუთრებით
კი ისეთი ავტორისა, როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველია, ესაჭიროება
განმარტება. ამიტომ საკუთარ განმარტებებს ის ურთავს ბასილი მინი-
მუსის კომენტართა თარგმანში და ამას, ზოგ შემთხვევაში, ექვთიმეს
თარგმანზე დაყრდნობით აკეთებს.

სხვა მაგალითი:

„ბასილი დიდის ეპიტაფიაში“ გრიგოლი ასევე საუბრობს თავისი და
ბასილის პონტოში გამგზავრებაზე:

- sun hmin pro~ ton Ponton metacwrei kai toi~ ekeise fron-
tisthrioi~ epistatei⁷⁵.

ექვთიმე სიტყვასიტყვით თარგმნის ამ პასაჟს, ოღონდ ლექსიკური
ერთეული frontisthrioi~ – *სამზრუნველო* ექვთიმესთან გადმოტანი-
ლია ლექსიკური ერთეულით *მონასტერი*:

- ჩემ თანა წარმოვიდა პონტოდ და მუნ მყოფნი იგი მონასტერნი
განანათლნა.⁷⁶

გრიგოლის მოცემულ პასაჟში ლექსიკური ერთეულით *სამზრუნვე-
ლოები* მართლაც მონასტრებია მოხსენიებული. ეს არის ფიგურალური
გამოთქმა, მეტაფორული სახე – *მონასტერი* გააზრებულია, როგორც
ადგილი, რომლის დანიშნულება სულის გადარჩენაზე ზრუნვაა. ექვთი-
მეს თარგმანში გრიგოლის მხატვრული სახე – *სულის სამზრუნველო*

⁷³ Cod. A-292, 259 v, 260 r.

⁷⁴ თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 214.

⁷⁵ PG 36, col. 536 B 8-9.

⁷⁶ Oratio 43, Iber. p. 132.

დაკარგულია; *frontisthrio* ჩანაცვლებულია იმ სიტყვით, რომელიც ამ მხატვრულ სახეშია ნაგულისხმევი – *მონასტრით*.

ეფრემის თარგმანში გრიგოლის ეს ფიგურალური გამოთქმა შენარჩუნებულია:

- ჩუენ თანა პონტოდ აღმოვიდა და მუნათა მათ სამზრუნველოთა ზედა დაადგა.⁷⁷

რაც შეეხება ამ ადგილის ბასილი მინიმუსის კომენტარს, მასში უბრალოდ პერიფრაზირებულია მოყვანილი პასაჟი და ყურადღება არ არის გამახვილებული არც *frontisthrio*-ზე და არც მის მხატვრულ დატვირთვაზე:

- *oion kaqhgeitai w~ monaco~ dhladh monacwn epistatei*⁷⁸ – ანუ ცხადია, რომ დაბრუნდა, როგორც მონაზონი, და მონაზვნებს სათავეში ჩაუდგა.

შედარებით ვრცელია ამ კომენტარის ეფრემისეული თარგმანი:

- „სამზრუნველო“ უწოდს მონასტერთა, ვითარცა სულისა სამზრუნველოდ განკუთვნილთა; რამეთუ, ვითარცა მონაზონი, მონასტერთა და მონაზონთა პონტოჰსათა ზედამდგომელ იქმნა დიდი ბასილი.⁷⁹

კომენტარის ეფრემისეულ თარგმანში წარმოდგენილია *frontisthrio*-ის მნიშვნელობა მოცემულ კონტექსტში („სამზრუნველო“ უწოდს მონასტერთა). ვფიქრობთ, ეფრემმა ბასილის კომენტარი განავრცო სწორედ ექვთიმეს თარგმანზე დაყრდნობით.

გრიგოლ ღვთისმეტყველის 39-ე საკითხავში „სიტყუაჲ ნათელთათჳს“ საუბარია იმის შესახებ, რომ ეკლესიისათვის წესად ვერ იქცევა ის, რაც იშვიათად ხდება:

- All ou nomo~ Ekkhlhsia~, to spanion: eiper mhde mia celidwn ear poiei, mhde grammh mia ton gewmetrhñ, h plou~ ei~ ton qalattion.⁸⁰

ეს პასაჟი ეფრემს სიტყვასიტყვით აქვს ნათარგმნი:

- არამედ არა შჯულ ეკლესიისა იშვითი, ვითარ-იგი ვერცა ერთმან მერცხალმან ყვის გაზაფხული, ვერცა წაზიდულმან – ქუეყნისმზომელი, ვერცა ერთგზის ნავით სლვამან – მეზღვაურნი.⁸¹

⁷⁷ *Oratio* 43, *Iber.* p. 133.

⁷⁸ *Cod. Paris. Cois.* 240, 29v.

⁷⁹ *Comm.* 43, *Iber.* 86.

⁸⁰ *PG* 36, col. 352 B 1-4.

⁸¹ *Oratio* 39, *Iber.* p. 85.

აზრის ნათელსაყოფად გრიგოლი მიმართავს ანალოგიას. მოყვანილია სამი მაგალითი, რომელთაგან ერთია ანტიკურ მწერლობაში საკმაოდ გავრცელებული ფრთიანი გამოთქმა ერთი მერცხლისა და გაზაფხულის დადგომის შესახებ, ხოლო ორი – პროფესიათა წარმომადგენლებსა და მათი საქმიანობის თემაზეა აგებული (გეომეტრი – ხაზვა, მეზღვაური – ნავის მართვა); ამ მაგალითებში დევს შემდეგი აზრი: ერთჯერადი ქმედება არ არის მთლიანი მოვლენის განმსაზღვრელი.

ამ პასაჟის ექვთიმესეული თარგმანია:

- გარნა იშვთად სამე ქმნილი არა შჯულ არს ეკლესიისა, რამეთუ არცა ერთმან მერცხალმან მოიყვანის არც, ანუ ერთგზის ნავად შესვლამან განაჩინის მენავეთმოძღუარი, ანუ ერთისა ასოჲსა გამოსუმამან სახელოვან-ყვის მნიგნობარი.⁸²

ექვთიმეს თავისუფლად აქვს ნათარგმნი ეს პასაჟი: ანალოგიებიდან გამოტოვებულია ერთი – მაგალითი გეომეტრისა და ხაზვის შესახებ, სამაგიეროდ დამატებულია ანალოგია სხვა პროფესიის სფეროდან, კერძოდ, მნიგნობრისა და ერთი ასოს დაწერის მაგალითი: *ერთისა ასოჲსა გამოსუმამან სახელოვან-ყვის მნიგნობარი*. ანუ „მათემატიკური“ ანალოგია ექვთიმეს ჩანაცვლებული აქვს მნიგნობრობასთან დაკავშირებული ანალოგიით,⁸³ თუმცა სტრუქტურულადაც და ფუნქციითაც ექვთიმეს ანალოგია ტოლფარდია გრიგოლისეული ანალოგიისა.

გრიგოლის 39-ე საკითხავის ეს პასაჟი ბასილი მინიმუსს კომენტირებული არა აქვს, მაგრამ ბასილი მინიმუსის კომენტართა ეფრემისეულ თარგმანში ჩართულია ამ პასაჟის განმარტება, რომელიც ეფრემს ეკუთვნის:

- ვინაჲთგან მსგავსად ასოთა ანბანისათა, თჳსაგანი ანბანი აქუს ქუეყანისმზომელობასა, რომელთაგანი ერთი არს წაზიდული.⁸⁴

⁸² *Oratio 39, Iber. p. 84.*

⁸³ ექვთიმეს მიერ თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდის გამოყენების შესახებ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმნისას, ასევე გრიგოლ ღვთისმეტყველის მყარი ბერძნული ტექსტუალური ტრადიციის შესახებ იხ. ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 28-33.

⁸⁴ *Comm. 39, Iber. 48.* გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავებისა და ბასილი მინიმუსის კომენტარების ეფრემისეული თარგმანების შემცველ ერთ-ერთ ხელნაწერში *Jer. 13 (XIV ს.)* არის ორი სქოლიო, რომლებშიც წარმოდგენილია ბერძნულიდან ტრანსლიტერაციით გადმოტანილი გეომეტრიული ტერმინები ქართული შესატყვისებით. მათ შორის დასახელებულია *წაზიდულიც: სტიოდი*

ამ კომენტარში ეფრემი ხსნის გრიგოლის მათემატიკური შინაარსის ანალოგიაში გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულს – *ნაზიდულს* (ხაზს) და ამისათვის მიმართავს მხატვრულ ხერხს, შედარებას. შევნიშნავთ, რომ საზოგადოდ, ეგზეგეტიკურ თუ კომენტარულ ტექსტებში შედარებას, მეტაფორას ხშირად დაკარგული აქვს მხატვრული ფუნქცია და ისინი, უმეტესწილად, ჰერმენევტიკური დატვირთვით არის ხოლმე გამოყენებული.⁸⁵ *ნაზიდულის* განსამარტავად ეფრემი მას ადარებს ანბანის შემადგენელ ელემენტს, ასოს, და, განმარტებასთან ერთად, თავისთავად ქმნის საინტერესო მხატვრულ სახეს – ასოებისაგან შემდგარი ანბანის მსგავს გეომეტრიების ანბანს, რომელიც შეიცავს ხაზს, როგორც ერთ-ერთ ელემენტს. საყურადღებოა, რომ ასო – ანბანის შემადგენელი ელემენტი და გეომეტრიის შემადგენელი ელემენტები (ნერტილი, ხაზი და ა. შ.) ბერძნულში წარმოდგენილია ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულით – *stoiceion*-ით, რაც, თავის მხრივ, მთელის შემადგენელ ნაწილს ნიშნავს. ამგვარად, როგორც ვხედავთ, ეფრემი ექვთიმესაგან განსხვავებულად იქცევა; მას სიტყვასიტყვით გადმოაქვს გრიგოლის ტექსტი, ხოლო თავის ახსნას, კერძოდ, მათემატიკური შინაარსის ანალოგიის განმარტებას ის ბასილი მინიმუსის კომენტარებში რთავს. მათემატიკური შინაარსის მაგალითის განმარტებისათვის ის, ექვთიმეს გავლენითა თუ მიბაძვით, მნიგნობრულ საქმიანობასთან დაკავშირებულ შედარებას მიმართავს.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ნიმუშებიდან ნათლად ჩანს, რომ ბასილის კომენტარების თარგმანის ექსპოზიციური ფრაზებითა თუ ახალი განმარტებებით შევსების და, ამ გზით, გრიგოლის კომენტარების გაღრმავების ერთ-ერთი ნყარო ეფრემისათვის გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ სიტყვათა ექვთიმე ათონელის თარგმანი იყო. ის ეფრემი-

– *ნერტილი, ღრამმა – ნაზიდულ, ეპიფანა – საჩინო, სტერეო – მყარი* (381v, 382r). ასეთივე სქოლიო დართულია, აგრეთვე, იოანე დამასკელის „*დიალექტიკის*“ არსენ იყალთოელის თარგმანზეც. იოანე დამასკელი, *დიალექტიკა*, გვ. 180. როგორც ჩანს, ამ ტიპის ტერმინები სპეციალურ განმარტებას საჭიროებდა ქართველი მკითხველისათვის. ამ სქოლიოთა შესახებ, იხ. აბულაძე, ზოგიერთი ქართული მეცნიერული ტერმინის ისტორიისათვის, გვ. 78-85.

⁸⁵ მხატვრული ხერხის, მეტაფორის, როგორც შემეცნების საშუალების შესახებ შუა საუკუნეების ლიტერატურულ-თეორიულ ტექსტებში იხ. დობორჯგინიძე, ძველ ქართველ მთარგმნელთა თეორიის ტექნიკური და მეტაფორული დისკურსი, გვ. 197-209.

სათვის წარმოადგენდა ერთგვარ გზამკვლევს, რომელიც მიანიშნებდა მას, თუ სად საჭიროებდა გრიგოლის ტექსტი განმარტებას ქართველი მკითხველისათვის.

ეფრემის დამოკიდებულება გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების ექვთიმესეული თარგმანის მიმართ გამჟღავნებულია გრიგოლის 16 ლიტურგიკული სიტყვის კოლოფონში.⁸⁶ ეს დამოკიდებულება საკმაოდ რთული და არაერთმნიშვნელოვანია. მაგალითად, ეფრემი ექვთიმეს თავისუფალი თარგმანის ზეპირად ხსოვნას გრიგოლის საკუთარი თარგმანის ტექსტზე მუშაობის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ, ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევს;⁸⁷ ის ექვთიმეს თავისუფალი მეთოდით შესრულებულ თარგმანს ასახელებს გრიგოლის საკითხავთა ხელახალი თარგმნის მიზეზად, რასაც, ექვთიმეს უდიდესი ავტორიტეტის გამო, შავი მთის ქართველთა გარკვეულ წრეებში დიდი შფოთი და მღელვარება გამოუწვევია.

ამ დაბრკოლებათა გადალახვით, ექვთიმეს თარგმანისა თუ მისი ავტორიტეტის ზეგავლენისაგან თავის დაღწევით, ეფრემმა შექმნა სრულიად განსხვავებული, ახალ მთარგმნელობით პრინციპებზე დამყარებული თარგმანი, ახლებურად, განსხვავებულად (*უჩუეველად, სხუებრად*) აამეტყველა ქართულად ღვთისმეტყველი.

ყოველივე ამის მიუხედავად, ეფრემის კოლოფონი გამსჭვალულია ექვთიმეს მიმართ დიდი მონივნებითა და მაღლიერებით. ის თავის თავს ექვთიმეს საქმის გამგრძელებლად მიიჩნევს:

⁸⁶ ეფრემის ეს კოლოფონი (*ეპისტოლე კვირიკე ალექსანდრიელის მიმართ*) არაერთხელ არის განხილული როგორც ქართულ, ისე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში: Esbroek, Euthyme l'Hagiorite: Le traducteur et ses traductions, p. 73-107; Rapava, Coulie, Les colophons d'Ephrem Mtsire et les traductions géorgiennes de Grégoire de Nazianze, p. 109-124; რაფავა, ეფრემ მცირის ცნობები გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების შესახებ, გვ. 109-130; ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 332- 339; თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 114-117.

⁸⁷ ...რამათა ზედადართული ყოველი და თარგმანისაგან ჩართული დაუტეო და თვთ წმიდისა ოდენ სიტყუანი მარტოდ ვთარგმნენ. ამის პირისათჳს დიდად დაეიყოვნე და ოდეს ძუელმან ნამზიდნის ზეპირით ჳსოვნებისა ჩუეულებამან, რამეთუ ძუელი წინა არა მდებია, გარნა დაღათუ დავნერი რაჲმე, რომელი არა იყვის დედასა, არა დავიცონი კულა აჳოცად და მართლად დანერას (Cod. Jer. 43, 3r); ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა* გვ. 149.

ყოველი მჭელი ღმრთისმეტყუელისაჲ მას აედვა ურემსა ქართ-
ველთასა, ხოლო მე მისითავე სანთლითა ჴუვილნილა აღმიკრე-
ბიან დატვრთვად ურემსა მისსა.

ამ პასაჟში, ძნისა და თავთავის მეტაფორის მოშველიებით, რომე-
ლიც ამავე დროს დაპირისპირებასაც შეიცავს (*დიდი, მნიშვნელოვა-
ნი – მცირე, უმნიშვნელო*),⁸⁸ ეფრემი მისთვის ჩვეული თავმდაბლობით
საუბრობს, ერთი მხრივ, ექვთიმეს უზარმაზარ ღვანლზე, ხოლო, მეორე
მხრივ, თავის უმნიშვნელო წვლილზე გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზუ-
ლებათა თარგმნის საქმეში; „ქართველთა ურემი“ აქ ქართული ინტელე-
ქტუალური საგანძურის – ნათარგმნი თუ ორიგინალური მწერლობის
მეტაფორაა, ხოლო „სანთელი“ – გზის გამნათებელი, გეზის მიმცემი –
მეტაფორულად იმ დახმარებაზე მიაწინებს, რომელიც ექვთიმეს თარგ-
მანს გაუწევია ეფრემისათვის გრიგოლის თხზულებათა თარგმნისას.

ამგვარად, მიუხედავად მის მიერ არჩეული სრულიად ახალი გზისა,
ეფრემს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თავის წინამორბედთა როლი
ქართულ მთარგმნელობით საქმეში და თავისი საქმიანობა ქართული
მთარგმნელობითი მემკვიდრეობითობის უწყვეტ ჯაჭვში ჰქონდა გააზ-
რებული. წინამორბედ მწიგნობართა როლს თავის საქმიანობაში ეფრემი
ასეც აფასებს:

რამეთუ ანბანი ბერძულისა და ქართულისაჲ მათგან მისწავიეს
შემდგომად ღმრთისა და მიერიტგან რაჲცა-ღა ვისგან ვისწავ-
ლო, მას მათდადვე შევჰრაცხ, რამეთუ მათითა ენითა ვზრახავ
და მათითა ყურიითა მესმის და მათითა ჴელითა ვშურები.

ამ სიტყვებით, ვფიქრობთ, ეფრემი ქრისტიანული თავმდაბლობით
ეხმიანება გვიანდელი ეპოქის ევროპელი განმანათლებლების ცნობილ
გამონათქვამს: „თუ ჩვენ ვიყურებით ძველებზე უფრო შორს და მათზე
მეტს ვხედავთ, ეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ჩვენ ამ ბუმბერაზ-
თა მხრებზე ვდგავართ.“ ეფრემისაგან ეს რომ უბრალო რიტორიკა არ
არის, ამას გრიგოლ ღვთისმეტყველის ეფრემისეული და ექვთიმესეული
თარგმანების ურთიერთმიმართების, ამ თარგმანების ბასილი მინიმუსის
კომენტარებთან მიმართების დეტალური კვლევა ადასტურებს.

⁸⁸ მხატვრულ სახეთა ორმაგი ბუნებისათვის ქრისტიანულ მწერლობაში იხ. Ru-
ether, *Gregory of Nazianzus Rhetor and Philosopher*.

2. ლექსიკა

ბასილი მინიმუსის თხზულების ქართულ ვერსიაში თუ კი რამ განსაკუთრებული ელინიზების ნიშნით გამოირჩევა, ეს, უპირველეს ყოვლისა, მისი ლექსიკაა.⁸⁹ კომენტართა ქართულ თარგმანში დიდი რაოდენობით ვხვდებით ქრისტიანული აღმოსავლეთის ელინოფილური თარგმანებისათვის დამახასიათებელ ლექსიკური კალკებს, რომლებიც ორგვარი ტექნიკით – ეტიმოლოგიურად (ანუ შემადგენელი კომპონენტების მიხედვით)⁹⁰ და ტრანსლიტერაციით (ანუ უთარგმნელად) არის გადმოტანილი ქართულად.

ეფრემ მცირეს თავის კოლოფონებში გამოთქმული აქვს არაერთი თეორიული შეხედულება ბერძნულ-ქართული ლექსიკისა და ლექსიკური მიმართებების შესახებ. ბერძნულ ლექსიკურ კალკებს, როგორც ლექსიკურ ერთეულთა ეტიმოლოგიურ თარგმანებს, ისე უთარგმნელად გადმოტანილ სიტყვებს, ეფრემი „ბერძნულად სასწავლელს“ უწოდებს, რითაც მიანიშნებს, რომ მათი გააზრება და გაგება ბერძნულის გზით არის შესაძლებელი.

• ეტიმოლოგიური თარგმანი

ბასილის თხზულების ქართულ ვერსიაში ეტიმოლოგიურად ძირითადად ბერძნული კომპოზიციები და პრეფიქსიანი სიტყვებია ნათარგმნი. ამ ტიპის ბერძნულ ლექსიკურ ერთეულთა შემადგენელი კომპონენტები

⁸⁹ ბასილი მინიმუსის თხზულების ქართული თარგმანის შესწავლის ამ ეტაპზე, ლექსიკის კვლევისას, ჩვენი მიზანი არის ლექსიკური ერთეულების ბერძნულიდან ქართულად გადმოტანის ტექნიკის შესწავლა და არა ზოგადად ტერმინოლოგიური კვლევა, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად გამოიცემა ბასილი მინიმუსის კომენტართა ქართული ვერსია და შედგება ლექსიკონი.

⁹⁰ ტერმინი *ეტიმოლოგიური თარგმანი* კალკირების იმ სახეობის აღსანიშნავად, რომელიც გულისხმობს კომპოზიციური ლექსიკური ერთეულის ერთი ენიდან მეორეზე გადატანას შემადგენელი ნაწილების მიხედვით, ეფუძნება „ეტიმოლოგიის“ შუასაუკუნეობრივ გაგებას (*სიტყვების დაშლა შემადგენელი ნაწილების მიხედვით, რითაც მათი ჭეშმარიტი მნიშვნელობა ცხადდება*, დეტალურად იხ. აქვე, გვ. 179-180). ეს ტერმინი ამ მნიშვნელობით გამოყენებულია მთარგმნელობით მეთოდსა და პრაქტიკაზე არსებულ ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში, იხ. Brock, *Aspects of Translation Technique in Antiquity*, p. 84-86.

ქართულად მეტყველების სხვადასხვა ნაწილებით არის გადმოტანილი, რომლებსაც, ქართული ენის ნორმების საჭიროების მიხედვით, ზოგ შემთხვევაში ადგილები აქვს შეცვლილი:⁹¹

- mikrologia – სულმოკლეობა
- kakopistia – ბოროტადმორწმუნეობა
- isotimia – სწორპატივობა
- filoponia – შრომისმოყუარება
- filoteknia – შვილისმოყუარება
- filomarturo~ – მონამეთმოყუარება
- mustagwia – საიდუმლოთმასწავლებლობა
- kenodoxo~ – ცუდდიდებულება
- fusiologya – ბუნებათმეტყუელება
- pansofw~ – ყოვლადსიბრძნით / ყოვლადბრძნად
- kakoxhlw~ – ბოროტადშურვებით
- eukairia – ჟამკეთილობა
- euboulia – კეთილგანზრახვა
- eustoco~ – კეთილადგანგება
- autoceirotontw~ – თვთადადგინებული და სხვ.

კომენტარების თარგმანში საკმაოდ ბევრია ბერძნული ზმნისწინიანი ფორმების კალკირების შემთხვევები. ეფრემი განსაკუთრებულად თანამიმდევრულია sun- და pro- წინდებულების გადმოტანისას:

- sunarimeisqai – თანააღრიცხუვა
- suntrofo~ – თანაზრდილი
- sugkrinein – თანაშეტყუება
- sumpageia – თანალმობა
- sumbouleutikh – თანამზრახობითი
- suggeneia – თანამონათესვეობა
- proqura – წინაბჭე
- protasi~ – წინადადება
- prokeimeno~ – წინამდებარე და სხვ.

⁹¹ დანელია, *ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები*; მელიქიშვილი, *სიტყვანარმოების საერთო საშუალებანი* იოანე პეტრიწისა და ეფრემ მცირის ენაში; მელიქიშვილი, *გელათის სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები*; მელიქიშვილი, *ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან*; ზეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 497.

საზოგადოდ, ბერძნული კომპოზიტების, ასევე ზმნისწინიანი ფორმებისა და eu- და auto-თი შედგენილი სიტყვების კალკირების შემთხვევებს ეფრემამდელ ქართულ ტექსტებშიც ვხვდებით, მაგრამ განსაკუთრებით დიდი რაოდენობითა და ამასთანავე სისტემატურად ისინი სწორედ ქართველ ელინოფილთა თარგმანებში დასტურდება.

ეტიმოლოგიური თარგმანის თვალსაზრისით, ბასილი მინიმუსის კომენტართა ქართულ თარგმანში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ტექნიკური ტერმინები, რომლებიც ბიზანტიელი მწიგნობრის მიერ გამოყენებულია გრიგოლის თხზულებათა რიტორიკული, ლიტერატურულ-თეორიული თუ გრამატიკული ანალიზის, ასევე გრიგოლის საკითხავებში მის მიერ შეტანილი პუნქტუაციის შესახებ საუბრისას. როგორც აღვნიშნეთ, ბასილთან გრიგოლის ტექსტის ანალიზი ძირითადად ეფუძნება ელინისტური ეპოქის რიტორთა, აგრეთვე, მეორე სოფისტიკის ორატორული ხელოვნების თეორეტიკოსთა ნაშრომებს, ასე რომ, ბასილის კომენტარებში მთელი თავისი მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი გვიანანტიკური ეპოქის რიტორიკული და გრამატიკული ტერმინოლოგია. ამ ტერმინთა დიდი ნაწილი სწორედ კომპოზიტებს წარმოადგენს.

როგორც მივუთითეთ, ეფრემ მცირე სიტყვასიტყვით, დედანთან ახლოს არ თარგმნის ბასილის რიტორიკული ხასიათის განმარტებებს, შესაბამისად, ქართულ თარგმანში ბასილის რიტორიკულ-გრამატიკული, ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინოლოგია სრულად არ არის წარმოდგენილი, თუმცა ამ ტიპის ზოგიერთი ტერმინი მაინც გადმოსულია ქართულ თარგმანში.

მაგალითად, საკითხავთა სტრუქტურის აღმნიშვნელი ტერმინებიდან ქართულ თარგმანში გადმოტანილია შემდეგი:

- prooimion – წინადაწყება
- dihghsi~ – თხრობა
- antiqesi~ – წინადადება
- lusi~ – აღწსნა
- epilogo~ – სიტყუათშემდგომი

ამათგან სამი პრეფიქსიანი სახელი (pro-oimion, anti-qesi~, epilogo~) შემადგენილი ნაწილების მიხედვით არის გადმოტანილი ქართულად, ხოლო ორისათვის (dihghsi~, lusi~) ქართულ ენაში არსებული ლექსიკური ერთეულებია მისადაგებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბასილის კომენტარებში წარმოდგენილი მსჯელობა პუნქტუაციის შესახებ ეფრემთან ადაპტირებულად არის

გადმოტანილი, რის შედეგადაც ქართულ თარგმანში პუნქტუაციის აღმნიშვნელი ტერმინების მხოლოდ ნაწილია გადმოსული. ამ ტერმინთა უმეტესობაც ბერძნულში კომპოზიტებს წარმოადგენს და ისინი ეტიმოლოგიურად არის ნათარგმნი ქართულად. მაგალითად:

- makrokwlia – გრძელშენადგამობა
- teleia stigmh / teleia – სრულწერტილობა / სრულწერტილი
- diastolh / upodiasolh – იგურდივმოქცევი / იგურდივმოქცეობა
- upostigmh – უკმოკრული

ეტიმოლოგიურად არის გადმოტანილი მხატვრული ხერხის აღმნიშვნელი შემდეგი ტერმინიც:

- prokatastasi~ – წინაგანკაზმვა / წინათხრობა (მდრ. katastasi~ – განკაზმვა) და სხვ.

საყურადღებოა ისეთი შემთხვევები, როდესაც, ბასილის კომენტართა თარგმნისას, ეფრემი თავად გვევლინება გრიგოლის ტექსტის კომენტატორად და მისი დამოუკიდებელი განმარტებები გრიგოლის ტექსტის მხატვრულ ანალიზს უკავშირდება. ამ ტიპის განმარტებებში დასტურდება მხატვრული ანალიზისათვის საჭირო ტექნიკური ტერმინები, რომლებიც ეფრემის მიერ ბასილისაგან დამოუკიდებლად არის შემოტანილი ტექსტში. ასეთია, მაგალითად, მხატვრული ხერხის აღმნიშვნელი კომპოზიტური ტერმინი – eu-fhmia, რომელიც ეფრემის მიერ ეტიმოლოგიურად არის გადმოტანილი ქართულად – *სიტყუა-პატიოსნება*.⁹² არ არის გამორიცხული, რომ ეფრემი ამ ტერმინს იცნობდა უშუალოდ ბერძნული რიტორიკის სახელმძღვანელოებიდან. როგორც ცნობილია, რიტორიკული ტერმინოლოგიის შემცველი სასწავლო დანიშნულების კრებულები ფართო მიმოქცევაში იყო იმდროინდელ მნიგნობრულ სამყაროში – როგორც ბიზანტიაში, ისე, საფიქრელია, ქრისტიანული აღმოსავლეთის ინტელექტუალთა წრეებშიც.

⁹² ამასთან დაკავშირებით იხ. აქვე, გვ. 45-46.

• ტრანსლიტერაცია ⁹³

თავის თარგმანებზე დართულ მარგინალურ შენიშვნებში ეფრემი ნათლად განმარტავს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება გადმოიტანოს მთარგმნელმა დედნიდან ლექსიკური ერთეული თარგმანის გარეშე. მისი აზრით, ბერძნული სიტყვის უთარგმნელად გადმოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუკი მისი ეკვივალენტის მოძიება ქართულში ვერ ხერხდება. მაგალითად, ეფრემის მიხედვით, ბერძნული ლექსიკური ერთეულის – *hnioco~ (მეეტლე)* – შესატყვისი ქართულში არ არსებობს. *ამისთჳს ბერძულივე დავწერე, ინიოხი* – მიუთითებს მთარგმნელი.⁹⁴ სხვა მაგალითები: ეფრემმა ქართულში ვერ მოიძია სხვადასხვა ხელობის აღმნიშვნელი ბერძნული ლექსემების შესატყვისი ქართული სიტყვები, ამიტომ ამ ტერმინების უთარგმნელად გადმოტანაც მას დასაშვებად მიაჩნია: *ამისთჳს დაგდებასა, ანუ ტყუვილით დაწერასა, ბერძულადვე დაწერაჲ ვირჩიე*.⁹⁵ ამ მხრივ მისაბადი ეფრემისთვის ბერძნები არიან, რომლებსაც ასეთ შემთხვევაში უცხო საგანთა აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები პირდაპირ გადმოაქვთ უცხოური ენიდან, მაგალითად, არაბულიდან *შაქარი* – *სახარად*, *ყულყასი* – *კულკასად*, *ზაფრანა* – *ზაფარად*. ეფრემმა ვერც ბერძნული *sfaira*-სა და *hmisfaira*-ს შესატყვისი მოიძია ქართულში: *ხოლო მე, ვინაჲთგან ძუელითგანი სახელი ქართულად ვერაჲ ვპოე ვისგან, იგივე ბერძული სფერი დავდევე*,⁹⁶ – აღნიშნავს მთარგმნელი.

ბასილი მინიმუსის კომენტართა ქართულ თარგმანშიც დიდი რაოდენობით ვხვდებით ბერძნულიდან ტრანსლიტერაციით გადმოტანილ ლექსიკურ ერთეულებს. ამ სიტყვათა ერთი ნაწილი ეფრემამდეა შემოსული და დამკვიდრებული ქართულ ენაში ზეპირი თუ მწიგნობრული გზით. ეს არის, ძირითადად, საეკლესიო ტერმინები: *პატრიარქი*, *კათოლიკოსი*, *ეპარხოსი*, *ემბაზი*, *ტრაპეზომოდლუარი*, *ტრაპეზი*, *ტარიგი*, *სკიპტრა*, *მი-*

⁹³ ტრანსლიტერაციის საკითხი ეფრემ მცირის თარგმანებში განხილული გვაქვს სტატიაში: ეფრემ მცირე და „ბერძულად სასწავლელი“ სიტყვები, გვ. 139-151.

⁹⁴ Cod. A-689, 238v; სარჯველაძე, *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*, გვ. 203.

⁹⁵ Cod. A-1115, 223r; სარჯველაძე, *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*, გვ. 203-204.

⁹⁶ ამ მარგინალური შენიშვნის შესახებ დეტალურად იხ. აქვე, გვ. 207-218.

ტროპოლიტი, სამიტროპოლიტო, მონაზონი, სამონაზუნო, მონაზონება, პასეჩი, პასქა, მიჰრონი, ლიტანიობა, კჳრიაკე, კანკელი და ა. შ.

ნიშანდობლივია, რომ კომენტართა ქართულ თარგმანში დასტურდება რამდენიმე უცხოური სიტყვა, რომელიც ეფრემის ამ თარგმანის საშუალებით უნდა იყოს პირველად შემოტანილი ქართულში. მაგალითად, სწორედ ბასილი მინიმუსის კომენტართა ეფრემისეული თარგმანის საშუალებით ქართულ ენაში უნდა იყოს შემოსული კარგად ცნობილი სალექსნყობო ტერმინი *ტაეპი*, რომელიც მომდინარეობს ბერძნული ლექსიკური ერთეულის, *το ερσο~*-ის მრავლობითი რიცხვის ფორმიდან *τα ερη*. ქართულ თარგმანში ბერძნული ლექსიკური ერთეული გადმოტანილია უთარგმნელად – ტრანსლიტერაციით, მრავლობითი რიცხვის ფორმით, არტიკლთან ერთად. ბასილთან *ტაეპს* სალექსო სტრიქონის, ამასთანავე, ზოგადად, პოეზიის მნიშვნელობა აქვს.⁹⁷ ბასილი მინიმუსის ეფრემისეული თარგმანის შესწავლამდე ამ ტერმინის შემოტანა ქართულ ენაში გაცილებით გვიანდელ ეპოქასთან, სულხან-საბა ორბელიანის სახელთან იყო დაკავშირებული.⁹⁸

ბასილი მინიმუსის კომენტართა ეფრემისეულ თარგმანში ასევე პირველად დასტურდება კლასიკური რიტორიკის ერთ-ერთი ხერხის აღმნიშვნელი ტერმინი *dilhmma* – *რიტორებრი დილიმმა* – პრობლემა, რომლის გადასაწყვეტად არსებობს რამდენიმე ალტერნატივა, რომელთაგან არც ერთი არ არის განსაკუთრებულად მისაღები. ბასილის მიერ განმარტებულია, თუ როგორ აგებს გრიგოლი ამ რიტორიკულ ორნამენტს სიტყვით *უკუეთუ* მანიპულირების საშუალებით და ამ გზით ამხელს ელინებს. ეს პროცესი შედარებულია ჭიდაობასთან, რომლის დროსაც მოჭიდავე სხვადასხვა ილეთის გამოყენებით ამარცხებს მოწინააღმდეგეს.⁹⁹ ბასილი მინიმუსის თხზულებაში დადასტურებული ლექსიკური ერთეული

⁹⁷ ბეზარაშვილი, ტერმინ „ტაეპის“ ეტიმოლოგიისათვის, გვ. 53-59.

⁹⁸ მიქაძე, ქართულ ლექსთა სახეები, გვ. 26; ხინთიბიძე, *ქართული ლექსთმცოდნეობა*, გვ. 109-110.

⁹⁹ *Comm.* 39, *Iber.* 13. ლექსიკური ერთეული *დილიმმა* შესულია სულხან-საბას ლექსიკონში სწორედ ბასილი მინიმუსის კომენტარებიდან, მაგრამ არა რიტორიკული ხერხის მნიშვნელობით, არამედ როგორც *საჭიდაო ილეთი* (*დილიმანი – მორკინალთა ხრიკია* – სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, გვ. 221) იმ კონტექსტიდან გამომდინარე, რომელშიც ეს სიტყვა არის ნახსენები ბასილთან (შედარება მოჭიდავესთან).

დილიმმა რამდენიმე საუკუნით უსწრებს წინ გვიანდელ ეპოქაში ევროპიდან (ალბათ, რუსულის გზით) ქართულში შემოსულ ტერმინს *დილემა*.¹⁰⁰

ბერძნულიდან ტრანსლიტერაციით გადმოტანილ ტერმინებს, ბასილის კომენტარებისგან დამოუკიდებლად, ეფრემისეულ ჩანართებშიც ვხვდებით. მაგალითად, ჩანართში *სიტყვათა შედგმის*, ანუ კომპოზიტად ქცევის შესახებ ის იყენებს ბერძნულიდან უთარგმნელად გადმოტანილ ლექსიკურ ერთეულებს – პალეოგრაფიულ ტერმინებს – *სენემბა*, *იოტა*, *ოქსია*.¹⁰¹

ბასილი მინიმუმის კომენტართა ეფრემისეულ თარგმანში დასტურდება ისეთი სიტყვების ბერძნულიდან უთარგმნელად გადმოტანის შემთხვევებიც, რომლებსაც ძველ ქართულში მკვიდრი შესატყვისები აქვს. მაგალითად, უთარგმნელად არის გადმოტანილი:

- ear – არე / არი – გაზაფხული
- arcto~ – არკტო – ჩრდილოეთი

მსგავსი ვითარებაა ეფრემის მიერ ნათარგმნ ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტარებშიც. ამ თარგმანში ტრანსლიტერაციის გზით გადმოტანილია ფლორასა და ფაუნასთან დაკავშირებული ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ადეკვატი ეძებნება ქართულში, ესენია: *rodon* – როდო (ვარდი), *kumindi~* – კუმინდი (ქორი), *krokodeilo~* – კროკოდილო (ნიანგი, რომლის შესატყვისი ძველ ქართულში არის *ხვთქი*).¹⁰²

საზოგადოდ, ამ ტიპის ტერმინოლოგიის ტრანსლიტერაციით გადმოტანის შემთხვევები ადრეული პერიოდიდან დასტურდება ძველ ქართულ ლექსიკაში; მაგალითად, ამ ტიპის ლექსიკურ ერთეულებს ელინოფილურ მთარგმნელობით ტრადიციამდელ თარგმანებშიც ვხვდებით: ear – არე (გაზაფხული), ივი – ibi~ (იბისი), კოხლიო – kogculion (მოლუსკი), კროკო – kroko~ (ზაფრანა), კკკნო – kukno~ (გედი).¹⁰³ როგორც ჩანს,

¹⁰⁰ იგივე შეიძლება ითქვას ექვთიმე ათონელთან, ხოლო შემდგომში იოანე პეტრინთან დადასტურებულ ლექსიკურ ერთეულზე – *ენტესიობა* / *ენტესიობდეს* / *ენტუსიაქმნილი* (ბერძნული ზმნიდან *enqousiazw*) – ენთუზიაზმი, *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica*, p. LII; ალექსიძე, *იოანე პეტრინი და ანტიკური ფილოსოფია*, გვ. 56-57.

¹⁰¹ დეტალურად ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 152.

¹⁰² *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica*, p. 292-293.

¹⁰³ აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, გვ. 9, 188, 201, 202, 206.

საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული ტერმინების ტრანსლიტერაციით გადმოტანის ტენდენცია არსებობდა ჯერ კიდევ წინაელლინოფილურ ტრადიციაში და ეს მოვლენა განსაკუთრებით გამოიკვეთა ეფრემის თარგმანებში.

ზოგ შემთხვევაში უთარგმნელად სიტყვის გადმოტანის მიზეზი ის კონტექსტია, რომელშიც ეს სიტყვაა წარმოდგენილი. მაგალითად, ბასილის კომენტარის ქართულ ვერსიაში უთარგმნელად არის გადმოტანილი ლექსიკური ერთეული *hrw~* – *იროელ*, რომლის ლექსიკური ადეკვატი ქართულში არის *გმირი*; პასაჟში, რომელშიც ეს სიტყვაა გამოყენებული, საუბარია ანტიკური მითოლოგიის ე. წ. ნახევარგმირებზე:

- იროელ უწოდდეს, ესე იგი არს კერძოდმერთ, ვითარმედ ნახევარი მათი ღმერთთაგან არს და ნახევარი – კაცთაგან.¹⁰⁴

ვფიქრობთ, სწორედ ანტიკურმა კონტექსტმა განაპირობა ამ სიტყვის ელინური ფორმის გამოყენება მოცემულ პასაჟში.

მსგავსი ვითარებაა ბერძნული იდიომატური გამოთქმების ქართულად გადმოტანისას. მაგალითად, *ევრიპოობა* – *მერყეობა*, *ცვალებადობა* (არსებითი სახელიდან – *euripos~* – ზღვის მიქცევა) უთარგმნელად არის გადმოტანილი ქართულში.¹⁰⁵ აღსანიშნავია, რომ ამ გამოთქმის მნიშვნელობა და წარმომავლობა ბასილის კომენტარშია განმარტებული:

- ესე საკუთრებით ზღვსა მიმომქცეობისათჳს ითქუმის ევრიპოობაჲ, რომელი გადმოითარგმანების ადვილმოქცეობად, რამეთუ არს ადგილები ზღვსაჲ, რომელი დღესა შინა მრავალგზის იცვლის ოდესმე განწყობასა და ოდესმე მწყურნეობასა ... და ამათგან მოღებითა შეეტყუებიან რქუმად ესე ადვილმიმომქცევთა კაცთა.¹⁰⁶

ეფრემის შენიშვნებში იკვეთება ბერძნული სიტყვების უთარგმნელად გადმოტანის კიდევ ერთი საყურადღებო მიზეზი. ეფრემის ერთ-ერთ მარგინალურ შენიშვნაში, რომელშიც ტრანსლიტერაციით გადმოტანილი სიტყვის, *ეპიტაფიის* მნიშვნელობაა განმარტებული, ვკითხულობთ:

¹⁰⁴ *Comm. 43, Iber. 16.*

¹⁰⁵ ამავე პრინციპით არის გადმოტანილი იდიომატური გამოთქმა ფსევდონონეს კომენტართა ეფრემისეულ თარგმანშიც: *კერდობა... მელისა მზაკუარება. კერდო ეწოდების მელსა, რომლისა მსგავსებითა მელებრ მცბიერსა კაცსა სახელ-ედვა კერდოს, Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica, p. 50.*

¹⁰⁶ *Comm. 42, Iber. 118.*

- შეისწავე, რამეთუ ეპიტაფია ბერძულისაგან ქართულად „საფლავ-სა ზედად“ გამოითარგმანების. ხოლო მე, ვინაჲთგან სხუაჲ, თჳსაგან განკუთვნილი ძალი აქუნდა, ამისთვის ბერძულიცა სიტყუა დავჴწერე და ძალიცა მისი.¹⁰⁷

ეფრემს ლექსიკური ერთეული epitafio~ (საკითხავის სახეობა – გარდაცვლილის საპატივცემულოდ საფლავთან წარმოთქმული სიტყვა) ბერძნულად იმიტომ დაუნერია (ანუ ტრანსლიტერაციით – *ეპიტაფია* – გადმოუტანია), რომ ამ სიტყვისთვის *სხუა* – უცხო, მისთვის დამახასიათებელი, თავისებური ძალი შეენარჩუნებინა. თვალსაზრისი სიტყვათა ძალის შესახებ საკმაოდ აქტუალური იყო ჯერ კიდევ გვიანანტიკური ეპოქის, ხოლო შემდგომ – ბიზანტიის მნიგნობულ წრეებში და უშუალოდ უკავშირდებოდა *წმინდა, ღრმა* ტექსტების თარგმნის ტექნიკას, თავისუფალი და ლიტერალური მთარგმნელობითი მეთოდების, *sensus de sensu* და *verbum e verbo* თარგმნის პრობლემატიკას: *ყველა ენას აქვს ისეთი თავისებურებები, რომელთა გადატანა სხვა ენაზე შეუძლებელია. სიტყვები შეიძლება ითარგმნოს, მაგრამ ისინი თარგმნისას თავიანთ ძალას კარგავენ* (იამბლიხოსი, თეურგ., 7, 5). ამ პრობლემას ეხმაურება ეფრემიც თავის ანდერძ-მინაწერებსა და შენიშვნებში. ის საუბრობს *ღრმა წიგნური სიტყვების* შესახებ, რომლებიც, როგორც მისი კოლოფონების კვლევის შედეგად ირკვევა, ორი სახისაა: ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინები და ტექსტის მხატვრული ორნამენტები, რიტორიკული ფიგურები.¹⁰⁸ *ეპიტაფიის* უთარგმნელად გადმოტანასა და ამ სიტყვის ძალზე საუბრისას ეფრემი სწორედ ამ უკანასკნელს უნდა გულისხმობდეს. კლასიკური რიტორიკის თეორიის მიხედვით, ძალი – *dunami~* – რიტორიკული ტერმინია, რომელიც კლასიკური რიტორიკული ფორმის მშვენიერებას აღნიშნავს. ეფრემი სიტყვას *ეპიტაფია* თავისი თარგმანის, ამ შემთხვევაში, ჰომილიის სათაურის დასამშვენებლად უნდა იყენებდეს, ანუ ბერძნულ სიტყვას ტექსტში რიტორიკული ორნამენტის დანიშნულება, მხატვრული ფუნქცია უნდა ჰქონდეს. დღეს ძველ ქართულ ტექსტებში უთარგმნელად გადმოტანილი ბერძნული სიტყვები ძნელად თუ აღიქმება

¹⁰⁷ Cod. A-292, f. 180 – გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავთა ეფრემისეული თარგმანების კრებული. სქოლიოში ასევე განმარტებულია ეპიტაფიის ჟანრის საკითხავთა სახეობანი. ამ კუთხით სქოლიოს ლიტერატურული წყაროს შესახებ იხ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის ლიტერატურულ-თეორიული ნააზრევადან, გვ. 78-83.

¹⁰⁸ ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 379.

მხატვრულ სახეებად, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სიტყვები – ელინური განათლებულობის სიმბოლოები – ტექსტს განსაკუთრებულ ელფერს, უცხოურ ჟღერადობას, ამაღლებულობის, მნიგნობრულობის ეფექტს მატებდნენ.

კიდევ ერთი მაგალითი: ბერძნულთან განსაკუთრებული სიახლოვით ნათარგმნ, რიტორიკული ორნამენტებით საკმაოდ დატვირთულ ტექსტში – ბასილის ეპისტოლეში კონსტანტინე პოროფიროგენეტის მიმართ – ვხვდებით დედნიდან უთარგმნელად გადმოტანილ ერთადერთ სიტყვას *უეპაფროდიტო*¹⁰⁹ – *anepafrodito* – *მშვენიერებამოკლებული, უშნო* (ასე თავმდაბლად იხსენიებს ბასილი თავის ნაშრომს, რაც ეპისტოლარული რიტორიკის ერთ-ერთი ხერხია). ზედსართავის *anepafrodito* ადეკვატური ქართული შესატყვისის მოძიება, რა თქმა უნდა, არ უნდა ყოფილიყო რთული, მაგრამ ტექსტის რიტორიკული ეფექტის გასაძლიერებლად, მისი ელინიზებული სახის გამოსაკვეთად, ეფრემმა სიტყვის უთარგმნელად გადმოტანის ხერხს მიმართა.¹¹⁰

ეფრემის თარგმანებში დასტურდება ბერძნულიდან ტრანსლიტერაციით გადმოტანილი სიტყვის გამოყენების კიდევ ერთი სპეციფიკური ფუნქცია. ეს არის ბერძნული პოლისემიური სიტყვის (*ღრმა ნიგნური სიტყვის*) თარგმნისას და შესაბამისი ლექსიკური ერთეულების შერჩევისას, მისი განსხვავებული მნიშვნელობის გამოსაკვეთად, სიტყვის ტრანსლიტერაციით გადმოტანის მეთოდის მოშველიება. როგორც ცნობილია, *filosofia*-ს პატრისტიკულ ლიტერატურაში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან ჩვენთვის საყურადღებოა ორი: *filosofia*, როგორც *საღვთო სიბრძნე*, და *filosofia*, როგორც *წარმართული სიბრძნე*. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა და მათი

¹⁰⁹ ამ ლექსიკურ ერთეულს უთარგმნელად მივიჩნევთ იმდენად, რამდენადაც მისი ძირითადი ნაწილი, ძირი, არის გადმოტანილი ტრანსლიტერაციით. თუმცა ნიშანდობლივია, რომ ლექსემაში *უეპაფროდიტო anepafrodito*-ის პრეფიქსი *a(n)* – *alpha privatium* (უარყოფითი აღფა) იმავე შინაარსის (უქონლობის მანარმოებელი) ქართული წინსართით (უ-) არის გადმოცემული.

¹¹⁰ „ფილოთეონ ისტორიის“ კოლოფონში რიტორიკული ორნამენტის ნიმუშად ეფრემს მოჰყავს ანტიკური მწერლობიდან ნასესხები *სტადიონი* (ბერძნულიდან ტრანსლიტერაციით გადმოტანილი სიტყვა) – ათლეტთა წვრთნის ადგილი – გამარჯვებათა მოპოვების ასპარეზი. ქრისტიან ავტორთა ტექსტებში, ეფრემის მიხედვით, მას ახალი შინაარსი აქვს შეძენილი: მონასტერი – სულიერი წვრთნის ადგილი. ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 287.

კომენტარების ეფრემისეულ თარგმანებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეფრემი ცდილობს ლექსიკურ დონეზე განასხვავოს ეს ორი მნიშვნელობა – იქ, სადაც გრიგოლი საუბრობს საღვთისმეტყველო სიბრძნეზე, ეფრემი იძლევა ამ სიტყვის ეტიმოლოგიურ თარგმანს – *სიბრძნისმოყუარება*, ხოლო იქ, სადაც საუბარი წარმართულ სიბრძნეზეა, ეფრემს ტრანსლიტერაციით გადმოაქვს ეს სიტყვა – *ფილოსოფია*. ნიშანდობლივია, რომ ამ ლექსიკურ „ხრიკზე“¹¹¹ ეფრემი მინიშნებასაც აკეთებს გრიგოლ ღვთისმეტყველის 22-ე სიტყვის თარგმანში, რომელიც მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზეა შესრულებული შედარებით თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით. ტექსტში საუბარია ანტიკური სამყაროს სამ სასწავლო დისციპლინაზე: გრამატიკაზე, სოფისტიკასა და ფილოსოფიაზე (ცხადია, წარმართულზე). ქართულში *filosofia* გადმოტანილია ტრანსლიტერაციით *ფილოსოფოსობა*, რასაც ერთვის ეფრემისეული ჩანართი:

- რამეთუ ახალმან ამაჲ და ჩუენმან სიბრძნისმოყუარებამან მიუღო მას სახელი ესე – ჩვენ, ახალი (ქრისტიანი) სიბრძნისმოყუარენი ამ სახელით / ტერმინით ვიხსენიებთ წარმართულ სიბრძნისმეტყველებას.¹¹²

საზოგადოდ, თარგმანში უცხოური ლექსიკური ერთეულების არსებობა მთარგმნელის ბილინგვურობის მაჩვენებელია.¹¹³ ორენოვანია ეფრემი და შავი მთის მწიგნობართა ის წრეც, სადაც ეფრემი მოღვაწეობს (თავისი ერთ-ერთი მასწავლებლისა და მოძღვრის, შავი მთის მოღვაწის, კვირიკე ალექსანდრიელის შესახებ ეფრემი აღნიშნავს, რომ მან *კარგად უწყის რაბამობაჲ ქართველთა და ბერძულთა ენებისაჲ*¹¹⁴). მართალია, ეფრემი თავის თარგმანებს განსწავლული, განათლებული მკითხველისათვის ქმნის – გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების ეფრემისეული თარგმანი, მისივე სიტყვებით, *იშვთ ვიეთოჲსმე გულისწმისმოყოფელთათჲსაჲ გამიზნული*, მაგრამ ეფრემი არ

¹¹¹ ეფრემი ლექსიკურ ერთეულს *ხრიკს* იყენებს ხერხის, საშუალების აღსანიშნავად ბასილის რიტორიკული ხასიათის კომენტარების თარგმანისას. დეტალურად ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 250-251.

¹¹² ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის დასამშვიდებელ სიტყვათა ეფრემ მცირისეული თარგმანი, გვ. 132-145.

¹¹³ Brock, *Syriac Perspectives on Late Antiquity*, II, p. 1-17.

¹¹⁴ Cod. Jer. 43, 1r. გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკული საკითხავების კოლოფონი, ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 147.

ივინყებს, რომ მისი მკითხველები ქართველები არიან და ამიტომ უცხოურ, გარეშეთა სიტყვებს ის უმეტეს შემთხვევაში ურთავს ხოლმე განმარტებებს.

ამგვარ შენიშვნებს ეფრემი თავისი ლიტერალური თარგმანების აშეებზე ათავსებს ხოლმე, მაგრამ ბასილი მინიმუსის თხზულების შემთხვევაში (ასევე ფსევდონონეს კომენტარების ეფრემისეულ თარგმანშიც) ისინი ძირითად ტექსტშია ჩართული. ეფრემის შენიშვნები უმთავრესად ერთი აგებულებისაა. ტრანსლიტერაციით გადმოტანილ ბერძნულ სიტყვას მოსდევს განმარტება, უმეტეს შემთხვევაში – სიტყვის ეტიმოლოგიური თარგმანი, ზოგჯერ კი ეფრემი განმარტების სახით იძლევა სიტყვის პერიფრაზირებულ თარგმანს, ან მის კულტურულ ეკვივალენტს:¹¹⁵

- გენეთლია – შობისა დღე, ეპიტაფია – საფლავს-ზედა (gennhsiv, epitafio~).¹¹⁶
- არკტოდ მიდრკების, რომელ არს ჩრდილოეთად (arkto~).¹¹⁷
- არი, რომელ არს გაზაფხული (ear).¹¹⁸
- „მოქალაქე“ უწოდიან სამეუფოელთა, რომელ არიან პოლიტნი (polith~).¹¹⁹
- შეისწავე, ვითარმედ გარეშეთანი არიან გამომეტყუელებანი ესე, რამეთუ ტრაგიკოელნი – გოდებათა მეტყუელ, ხოლო კომიკოელნი მოკიცხაობათა მწერალ არიან¹²⁰ (tragwdiografoi, kwmwdiografoi).

¹¹⁵ მსგავსი სურათია ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ეფრემისეულ თარგმანშიც: *ამისთჳს ტრიესპეროს ეწოდა, რომელი-ესე სამ ღამედ გამოითარგმანების* (triespero~: trei~ – სამი, espero~ – ღამე); *ენოდების არტემის ღმერთი ელაფივოლო, ესე იგი არს ღმერთი ირმის მოისარი* (elafhbolov: elafio~ – ირემი, bolh – ტყორცნა), *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio iberica*, p. 48, 244; ამ ტიპის განმარტებები დასტურდება, ასევე, „ფსალმუნთა გამოკრებილი თარგმანების“ ანონიმურ ელინოფილურ თარგმანშიც, იხ. დობორჯგინიძე, ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური ხასიათის კომენტარები „ფსალმუნთა გამოკრებილი თარგმანებიდან“, გვ. 188-194.

¹¹⁶ Cod. A-292, 89v; შენიშვნა მოთავსებულია აშიაზე.

¹¹⁷ Comm. 44, Iber. 77.

¹¹⁸ Comm. 44, Iber. 65.

¹¹⁹ Comm. 19, Iber. 64.

¹²⁰ Comm. 21, Iber.-ის მარგინალური შენიშვნა, cod. Jer. 43, 140v, Jer. 13, 344v.

დიაქრონულად რომ გავადევნოთ თვალი ორი ტერმინის, *ტრაგედია* და *კომედიის* გადმოტანის პროცესს ეფრემის სხვადასხვა დროს ნათარგმნ ტექსტებში, დავინახავთ, რომ ერთ-ერთ ადრინდელ თარგმანში, გრიგოლის 22-ე არალიტურგიკულ საკითხავში, ისინი შინაარსობრივად, აღწერითად არის ნათარგმნი: *kwmwdia* თარგმნილია, როგორც *სასაცილო*, ხოლო *tragwdia*, როგორც *საღმობაჲ ესე გულისა ჩემისაჲ*. ხოლო გვიანდელ თარგმანში, ბასილი მინიმუსის კომენტარებში, ეს სიტყვები უკვე ტრანსლიტერაციით არის გადმოტანილი, თუმცა განმარტების გარეშე არ არის დატოვებული.

ბერძნულიდან ტრანსლიტერაციით გადმოტანილ სიტყვებში ასახულია *X-XI* საუკუნეების ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის თავისებურებები. ზოგ შემთხვევაში ბერძნული კომპოზიციის გადმოტანისას მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი (ძირითადად, პირველი) ქართულად არის ნათარგმნი, ბოლო მეორე ნაწილი ტრანსლიტერაციით არის გადმოტანილი, მაგალითად:

- *hmisfairion* – კერძოსფერი
- *upodiakonwn* – კერძოდიაკონი¹²¹

უთარგმნელად გადმოტანილი სიტყვები, ძირითადად, არსებითი სახელებია, იშვიათ შემთხვევაში – ხელობის აღმნიშვნელი ტერმინები ან აბსტრაქტული სახელები, აგრეთვე საწყისები. ეს სიტყვები უმთავრესად დენომინატივებია, რომლებიც ძველი ქართული ენის გრამატიკული ნორმების მიხედვით არის ნაწარმოები. მაგალითად:

- ავლ, მეავლე, მეავლეობა (*aulo~* – სალამური)
- ევრიპოობა (*euripo~* – ზღვის მიქცევა)
- ენკენიობა (*Egkainia* – განახლების დღესასწაული)¹²²
- ელენ-ყოფა (*ellhnizein* – გაელინურება)¹²³ და სხვ.

• „ნიგნური“ და „სოფლური“

მოკლედ შევჩერდებით ბასილი მინიმუსის კომენტართა ეფრემისეული თარგმანის ლექსიკასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საკითხზე, რო-

¹²¹ *Comm.* 19, *Iber.* 42; *Comm.* 24, *Iber.* 33.

¹²² *Comm.* 14, *Iber.* 37; *Comm.* 42, *Iber.* 118, *Comm.* 21, *Iber.* 82, *Comm.* 43, *Iber.* 70.

¹²³ დეტალურად ამ ტერმინის შესახებ და მისი მნიშვნელობისათვის ელინოფილურ მწიგნობრულ ტრადიციაში იხ. ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 389.

მელიც ბიზანტიური ლიტერატურული აზროვნების აქტუალურ პრობლემას, ე. წ. სტილთა თეორიას უკავშირდება.

როგორც ბიზანტიური ეპოქის, ისე თანამედროვე მკვლევართა მიერ გრიგოლ ღვთისმეტყველი ე. წ. მაღალი ლიტერატურული სტილის წარმომადგენლად არის მიჩნეული. მაღალი კლასიკური სტილით გამოხატული ღრმა ქრისტიანული შინაარსი – ეს არის გრიგოლის მხატვრული პროზის ძირითადი მახასიათებელი.¹²⁴ ტექსტის მხატვრული სტილის ერთ-ერთი განმაპირობებელი მისი ლექსიკაა; გრიგოლის საღვთისმეტყველო-რიტორიკულ სტილსაც, სხვა კომპონენტებთან ერთად, მისი ლექსიკაც ქმნის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრიგოლი თავის საკითხავებში ხშირად მიმართავს ანტიკური მწერლობის ლექსიკურ ფონდს, ბაძავს ანტიკურ ავტორთა, განსაკუთრებით ძვ. წ. V-IV საუკუნეების მწერალთა ლექსიკას, იყენებს ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც მის ეპოქაში უკვე არქაიზმს წარმოადგენს. ამას ემატება ამ თუ იმ ლექსიკური ერთეულის მისთვის უჩვეულო გრამატიკულ ფორმასა თუ შინაარსობრივად უჩვეულო კონტექსტში ჩასმა, რის შედეგადაც ეს სიტყვა თავისი ძირითადი მნიშვნელობისაგან განსხვავებულ შინაარსს იძენს ხოლმე. ყოველივე ეს ქმნის გრიგოლის პროზის სპეციფიკურ სტილს, ამაღლებულობისა და ამავე დროს მიფარულობის ეფექტს.¹²⁵ სწორედ ამიტომ ბასილი მინიმუსის კომენტარებში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ლექსიკური

¹²⁴ ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 260-261. ფსელოსი გრიგოლის სტილს საუკეთესოდ აღიარებდა; მისი აზრით, გრიგოლი ამ მხრივ აღემატებოდა თავად დემოსთენეს და ისოკრატესაც; რიტორიკის სახელმძღვანელოებში დემოსთენეს ციტატები ხშირად იყო ჩანაცვლებული გრიგოლის ტექსტებით, Ševčenko, *Levels of Style in Byzantine Prose*, p. 300; Mayer, *Psellos' Rede über den rhetorischen Character des Gregorios von Nazianz*, s. 27.

¹²⁵ შევჩენკოს აზრით, პრაქტიკოსი ბიზანტინისტი, თავისი ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე, სტილთა დონეებს ინსტიტუტურად გრძნობს. მისთვის მაღალი სტილის ნაწარმოები არის ტექსტი, რომელშიც დასტურდება გრძელი პერიოდები, ძნელად გასაგები ლექსიკა, კლასიკურ ფორმებზე დაფუძნებული *hapax legomena*, პლუსპერფექტული ფორმის ატიკური ზმნები, დიდ რაოდენობით კლასიკურ ავტორთა ციტატები, ბიბლიის არაპირდაპირი ციტაცია, იხ. Ševčenko, *Levels of Style in Byzantine Prose*, p. 291. მაღალი სტილის ეს დახასიათება კარგად მიესადაგება გრიგოლის მხატვრულ პროზას.

ხასიათის განმარტებებს, რომლებშიც ზოგჯერ მაღალი და დაბალი სტილის თემაც არის შემოსული.

ეფრემ მცირის ინტერესი მაღალი და დაბალი სტილის, *წიგნურისა* და *სოფლურის* მიმართ, უპირველეს ყოვლისა, მის თარგმანებზე დართულ კოლოფონებსა და მარგინალურ შენიშვნებში არის გამოვლენილი.¹²⁶ ეფრემის მიხედვით, არსებობს სალიტერატურო ენის ლექსიკური ერთეულები – *წიგნური სიტყუა* / *ღრმა სიტყუა* / *ლექსი* (lexi~), რომელსაც თავისი შესატყვისი (*ნაცვალი*) აქვს სალაპარაკო ენაში (*სოფლურ, უშუერ, ლიტონ* საუბარში).¹²⁷ ეფრემს მოჰყავს მაგალითებიც: *მედგარი* წიგნური სიტყვაა, იგივეა *მზაკუარი სოფლურად*. *ტვრთვა* წიგნურია, ხოლო მისი შესატყვისი *სოფლურად* არის *აღება* და *სხვ*.¹²⁸

ამ საკითხთან დაკავშირებულ მსჯელობას ვხვდებით ბასილი მინიმუსის კომენტარებშიც. მაგალითად, გრიგოლის მე-19 საკითხავის კომენტარის შესავალში საუბარია ხარკის ამკრეფ ივლიანზე, რომელსაც გრიგოლი საკითხავის სათაურში იხსენიებს, როგორც *exiswth~* (*exiswth~* – არსებითი სახელი, ნაწარმოები ზმნიდან *exisow* – *გათანაბრება, გასწორება*). ეფრემი ამ ლექსიკურ ერთეულს ზედმიწევნით, ფუძისეული მნიშვნელობით თარგმანის – *განმასწორებელი*. ბასილი ასე განმარტავს ამ სიტყვას:

- *exiswth~ o twn dhmosiwn diorqwth~ kai kata analogian twn agrwn tou~ forou~ kai ta teletattwn: epopta~ toutou~ kalein h sunhqeia*¹²⁹ – განმასწორებელს წესრიგში მოჰყავს გადასახადები და შესანიშნავები მიწების მიხედვით (სიტყვასიტყვით: *განმასწორებელი – მიწების მიხედვით გადასახადებისა და შესანიშნავების გამათანაბრებელი*). ჩვეულებრივად მათ ზედამხედველები ეწოდებათ.

ეფრემი მეტ-ნაკლებად თავისუფლად თარგმნის ამ პასაჟს, თუმცა ჩვენთვის საყურადღებო აზრი აქ წარმოდგენილია:

- „განმასწორებელ“ უწოდიან განმმართველსა საეროთა საქმეთასა, ვითარ-იგი არს მიწათათჳს და აგარაკთა, რაჲთა შემსგავსებულად ადგი-

¹²⁶ სარჯველაძე, *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*, გვ. 232-236.

¹²⁷ იქვე, გვ. 232.

¹²⁸ იქვე, გვ. 232-234.

¹²⁹ Cod. Vat. gr. 437, 156r.

ლისა და სოფლებისაგან უსწოროს ხარკიცა. ვინაჲცა ჩუეულებაჲ მსოფლელთაჲ „მომხილველ“ უწოდს ესევეითართა.¹³⁰

ამგვარად, ეფრემის თარგმანის მიხედვით, *განმასწორებელს* „ჩუეულებაჲ მსოფლელთაჲ“ (*sunhqeia*) *მომხილველს* უწოდებს, ანუ *განმასწორებლის* ტოლფარდი სალაპარაკო ენაში არის *მომხილველი*. ვფიქრობთ, ეს პასაჟი ქართულ ნიადაგზე ადაპტირებული არ არის – *მო-მ-ხილვ-ელ-ი* კალკირებული თარგმანია ლექსიკური ერთეულისა – *ep-opt-h~* (მზნიდან *ep-optew* – *ზედა-მხედველობა, თვალყურის დევნება*, ძირიდან *-op* – *-ხედვ-*). შესაბამისად, *მომხილველი* არ უნდა იყოს მნიგნობრული სიტყვის – *განმასწორებლის* – სოფლური ადეკვატი ქართულ სალაპარაკო ენაში. ვფიქრობთ, *exiswth~* – *განმასწორებლის* „ჩუეულებრივი“, უფრო ბუნებრივი შესატყვისი ქართულში არის *მეხარკე / მოხარკე*, რომელსაც *exiswth~*-ის შესაბამისად ვხვდებით გრიგოლის მე-19 საკითხავის სათაურის ექვთიმესეულ თარგმანში.¹³¹

ბასილი მინიმუსის ეფრემისეულმა თარგმანმა ძველი ქართული სალაპარაკო ენის ერთი ფრაზა შემოგვინახა. გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-19 საკითხავში არის პასაჟი:

- ei d ouk, alla toũto ge ...¹³²

ეფრემს ეს ფრაზა სიტყვასიტყვით აქვს ნათარგმნი:

- ხოლო ესე თუ არა, არამედ ესე-ღა სად-მე...¹³³

ამ ნაწილაკებისა და კავშირებისაგან შემდგარ ფრაზას, რომელსაც მოცემულ კონტექსტში რიტორიკული დატვირთვა აქვს, ბასილი მინიმუსი შინაარსობრივად განმარტავს. როგორც არაერთხელ მივუთითეთ, ამგვარ განმარტებებს ეფრემი თავისუფლად თარგმნის ხოლმე და გამოწაკლისს არც ამ შემთხვევაში უშვებს. მას ბასილის შინაარსობრივი განმარტება ნაწილობრივ გადმოაქვს ქართულად, ხოლო შემდეგ, ბასილის კომენტარისაგან დამოუკიდებლად, აკეთებს ამ ფრაზის რიტორიკულ ანალიზს:

- ესევეითარი მოქცევი თვს-ეყვის რიტორებრსაცა ჴელოვნებასა, რაჲთა „ესე“ და „ესე“ ანაცვალნეს ურთიერთას, ხოლო „არასა“ წინა-

¹³⁰ *Comm. 19, Iber. (Arg.).*

¹³¹ *Oratio 19, Iber. p. 156.*

¹³² *PG 35, col. 1045 A 8-9.*

¹³³ *Oratio 19, Iber. 159.* ექვთიმეს მიერ თავისუფლად ნათარგმნ ამ ფრაზას რიტორიკული დატვირთვა საერთოდ არა აქვს: *ამისთვისცა ესე ვზრახავ, Oratio 19, Iber. p. 158.*

ალუდგინოს „სად-მე“, ნაცვალად სიტყვსა მის მსოფლელთაჲსა, ვითარ-მედ: „უკუეთუ ამას არა ჰყოფ, ბარე ესე მიყავ“.¹³⁴

ეფრემი გამოკვეთს ფრაზის რიტორიკულ ხასიათს, სტრუქტურულად აანალიზებს მას – მიუთითებს, რომ ფრაზა დაპირისპირების ხერხზეა აგებული: ერთმანეთს დაპირისპირებულია ფრაზის პირველი და მეორე ნაწილის *ესე – ესე*, ასევე *არა – სად-მე*; დაბოლოს, მოჰყავს ამ რიტორიკული ფრაზის *სოფლური* ვარიანტი ძველი ქართული სალაპარაკო ენიდან: „უკუეთუ ამას არა ჰყოფ, ბარე ესე მიყავ“.

ბასილი მინიმუსის კომენტარებში ეფრემის კიდევ ერთმა ჩანართმა შემოგვინახა საინტერესო მაგალითი, ამ შემთხვევაში – ლექსიკური ერთეულის სახით. ბასილის მიერ განმარტებულია ლექსიკური ერთეული გრიგოლის 38-ე საკითხავიდან – *kolafismata*.¹³⁵ გრიგოლთან ეს ალუზიაა, არაპირდაპირი მინიშნება იესოს ჯვარცმის კონტექსტზე: *tote eneptusan ei~ to proswpon autou kai ekolafisan auton – მაშინ ჰნერწყვიდეს პირსა მისსა და ჴურთითა სცემდეს თავსა მისსა და რომელნიმე ყურიმაღსა სცემდეს (Matth. 26, 67)*. ზმნას *kolafizw ჴურთით ცემა* (სილის განწა) სახარებაში ხშირად ვხვდებით, მაგრამ არა იმ გრამატიკული ფორმით (გასუბსტანტივებული – *kolafisma*), რა ფორმითაც ეს სიტყვა გრიგოლთან არის წარმოდგენილი; ეს არის ძალიან იშვიათად გამოყენებული ლექსიკური ერთეული (*hapax legomenos*), რომელიც, გრიგოლის ამ პასაჟის გარდა, მხოლოდ ერთგან, ფსევდოიოანე დამასკელთან დასტურდება და სწორედ ამიტომ უნდა იყოს კომენტირებული ბასილთან:¹³⁶

- *kolafizein esti to pugmh tina paiein: pugmh de esti daktulwn sugkleisi~, o gronqo~*¹³⁷ – სილის განწა არის ერთგვარი მუშტით დარტყმა, მუშტი კი არის თითების შეკვრა, მუჭი.

- „*ჴურთით ცემა*“ არს მჯიღი, მიმოქცევიტა თითთაჲთა ძლიერად ტკივნებად შემძლებელი, რომელსა სოფლიონი „ქიურჯ“ უწოდიან.¹³⁸

ეფრემი თავისუფლად თარგმნის ბასილის განმარტებას და დედნი-საგან დამოუკიდებლად იძლევა განმარტებაში გამოყენებული ერთ-ერთი ლექსიკური ერთეულის, *ჴურთით ცემის* სოფლურ ადეკვატს: *ქიურჯი*.¹³⁹

¹³⁴ *Comm. 19, Iber. 8.*

¹³⁵ *PG 36, col. 332 C 10.*

¹³⁶ *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii, p. 116-117, n. 74.*

¹³⁷ იქვე, p. 116.

¹³⁸ *Comm. 38, Iber. 140.*

¹³⁹ ეს მაგალითი მოყვანილი აქვს სარჯველაძეს, *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*, გვ. 232.

ჭურთით ცემის ეს განმარტება შესულია სულხან-საბას ლექსიკონში ბასილის კომენტარების დამონშებით: *გრიგოლი ღმრთისმეტყველის სხოლიო(ნ)საცა შინა ეწერა*. აქვე მოყვანილია კიდევ ერთი, უკვე სულხან-საბას ეპოქის შესატყვისი ლექსიკური ერთეული სალაპარაკო ენიდან – *ბლიკვი*:

- ხოლო ქურჯვასა მას ან სოფლიონი ბლიკვსა უწოდენ.¹⁴⁰

ვფიქრობთ, ბასილი მინიმუსის კომენტართა ქართული თარგმანის ლექსიკოლოგიური განმარტებები კარგად წარმოაჩენს იმას, თუ როგორ აზროვნებდნენ, თხზავდნენ *ნიგნურად*, ლიტერატურულად შუა საუკუნეების ქართველი მწიგნობრები; ამასთანავე, გარკვეულწილად, გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებაც, თუ როგორ საუბრობდნენ ჩვეულებრივად, *სოფლურად* ძველი ქართველები.

3. ბასილი მინიმუსის კომენტარები და გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებათა ეზრამისაჲს თარგმანები

კომენტარული ხასიათის ტექსტის მთავარი დანიშნულებაა, დაეხმაროს მკითხველს ძირითადი ტექსტის გაგებაში. შესაბამისად, თავისი ფუნქციიდან გამომდინარე, კომენტარი დიდ დახმარებას უწევს მთარგმნელსაც ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე გადატანისას.

კომენტარები (*თარგმანებები*¹⁴¹) და მათი ფუნქცია რამდენჯერმეა ნახსენები გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავების ეფრემისეულ კოლოფონში.

ამ კოლოფონში ეფრემი საუბრობს სათარგმნი თხზულების კომენტარების მოძიების მნიშვნელობაზე. ის ასახელებს ნათარგმნ ტექსტებში ხარვეზების გაჩენის მიზეზებს. ესენია: მთარგმნელის აჩქარება, პრო-

¹⁴⁰ სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II გვ. 447.

¹⁴¹ ძველ მწიგნობრულ კულტურაში კომენტირება-თარგმანის ერთიან კონტექსტში გააზრების შესახებ თუნდაც ის ფაქტი მიუთითებს, რომ ინტერპრეტაციის, ახსნა-განმარტების აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს, მაგალითად, *ermhneia*, განმარტებასთან ერთად, *თარგმნის*, *ერთი ენიდან მეორეზე გადატანის* მნიშვნელობაც აქვს, Lampe, *A Patristic Greek Lexicon*, p. 549. ანალოგიური ვითარებაა ძველ ქართულში ლექსიკური ერთეულების – *თარგმანი* – *თარგმანების* მნიშვნელობასთან დაკავშირებითაც.

ბლემა სანდო დედნისა და კომენტარის მოძიებაში და ნათარგმნი ტექსტის შებღალვა გადამწერთა მიერ.

ხოლო უკუეთუ მათთა თარგმნილთაცა შინა რამე ვიხილოთ დაშთომილად ანუ სისწრაფისაგან, ანუ დედისა და თარგმანთა ვერ პოვნისაგან, ანუ შემდგომთა გარდამწერელთა [გ]ანრყუნისა¹⁴² ...

ნიშანდობლივია, რომ მთარგმნელობით სამუშაოში სათარგმნი ტექსტის კომენტარების შერჩევა გათანაბრებულია ისეთ საკვანძო მომენტთან, როგორიც თარგმანისათვის გამართული, სანდო დედნის მოპოვებაა.

ეფრემის კოლოფონიდან ასევე ვიგებთ, თუ როგორ, რა დანიშნულებით იყენებდნენ შუა საუკუნეების მთარგმნელები კომენტარებს, რა შემთხვევაში მიმართავდნენ მათ. ირკვევა, რომ ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა მიზანს ისახავდნენ მნიგნობრები ამა თუ იმ თხზულების თარგმანზე მუშაობისას.

როგორც აღვნიშნეთ, ეფრემის მიზანი იყო გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების ახალი თარგმანის შექმნა, რომელიც ძველი, ექვთიმესეული თარგმანისაგან განსხვავებით, ბერძნულთან მაქსიმალურად იქნებოდა დაახლოებული. ბერძნულთან დაახლოებაში კი, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმებოდა ტერმინოლოგიური ზედმიწევნითობა.¹⁴³ როგორც ეფრემის კოლოფონიდან ირკვევა, გრიგოლის ტექსტზე მუშაობის პროცესში ეფრემს უხდებოდა გრიგოლის გარკვეული ლექსიკური ერთეულებისათვის ძველი თარგმანისაგან განსხვავებული, ბერძნულთან უფრო დაახლოებული ეკვივალენტების შერჩევა. სწორედ კონტექსტისათვის ადეკვატური ლექსიკური ერთეულების შერჩევისას, ტერმინთა დაზუსტების მიზნით, ეფრემი, უპირველეს ყოვლისა, მიმართავდა კომენტარებს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომენტარებზე დაყრდნობით ვერ გადაჭრიდა პრობლემას, ის კონსულტაციებს იღებდა ანტიოქიის საპატრიარქოსგან:

რამეთუ არცაღა შესაძლებელ იყო გარენარად ქმნაჲ ამათ ადგილთაჲ, სადა სიტყუათა შეცვალებაჲ მიხუდებოდა. რამეთუ

¹⁴² გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავების კოლოფონი, cod. Jer. 43, 1v; ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 148.

¹⁴³ ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, გვ. 546.

რაჟამს ცვალებად მინდის სიტყვსაჲ, პირველად თ ა რ გ მ ა ნ ი -
თ ა გავჰმართი და თ ა რ გ მ ა ნ ი არავე კმა ვიყვი უმეტესისა
გულსავსებისათჳს, არამედ უმრავლესი მათ სიტყუათაჲ წერით
ანტიოქს შვეიტანი და დიდისა საპატრიარქოსა ფილოსოფოსთა
და მიტროპოლიტთა და თჳთ მათ ყოველთა უბრძნესისა წმიდისა
მეუფისა მიერ გამოვიძიე საეჭჳ ყოველივე.¹⁴⁴

როგორც ეფრემის კოლოფონიდან ირკვევა, სათარგმნი თხზულებ-
ის კომენტარებით სარგებლობდა ექვთიმე ათონელიც, რომლის მიზა-
ნიც ქართველი მკითხველისათვის გასაგები, ექსპოზიციური თარგმანის
შექმნა იყო. შესაბამისად, ის განსხვავებული ფუნქციით იყენებდა კომენ-
ტარებს: ბასილი მინიმუსის კომენტარებიდან იღებდა ინფორმაციას და
რთავდა მათ გრიგოლის ტექსტში – კომენტარებით (*სულიერი წყლით*)
„განაზავებდა“ გრიგოლის სიბრძნეს (*ურწყულ ღვინოს*):

[ექვთიმე] ურწყულობასა ძლიერისა ამის ღმრთისმეტყუელისა
წიგნისა ღვინისასა განჰზავებდა წყალთაგან სულიერთა, რაჟამს
სიტყუაჲ-სიმოკლე მოძღურისაჲ განავრცის ლიტონისა ერი-
სათჳს, რამეთუ მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩულ მის-
დადმდი. ამისთჳს რომელიმე თ ა რ გ მ ა ნ თ ა გ ა ნ ი ც ა წმიდისა
სიტყუათა შინა განეზავა.

ეფრემის კოლოფონში *თარგმანი* (კომენტარი) ასევე იხსენიება
კონტექსტში, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება მეტად საყურა-
დლებო მთარგმნელობითი საქმიანობის – „ახლად“ თარგმნის საკითხს.
როგორც ცნობილია, „ახლად“ თარგმნა შუა საუკუნეების მთარგმნელო-
ბით ტრადიციაში გულისხმობდა უკვე ნათარგმნი თხზულების როგორც
ხელახლა, და მთლიანად თ ა რ გ მ ა ნ ა ს , ისე რედაქტირე-
ბ ა ს სათარგმნ წყაროსთან ხელახალი შეჯერებით. ორივე შემთხვევაში
მიზეზი, უმეტესწილად, ერთი და იგივე იყო: განსხვავებული მთარგმ-
ნელობითი კონცეფციები, მიდგომები, მოთხოვნები თუ მიზნები, რისი
არაერთი მაგალითი დასტურდება როგორც ქართულ, ისე ქრისტიანული
აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის სხვადასხვა ეპოქის მთარგმნელობით
ტრადიციაში.

¹⁴⁴ გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავების კოლოფონი, cod. Jer. 43, 2v; ბრე-
გადე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა*
აღწერილობა, გვ. 148.

გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა ეფრემისეული თარგმანი ექვთიმე ათონელის ამავე თხზულებათა თარგმანისაგან დამოუკიდებელ შესრულებული თარგმანია, თუმცა, როგორც ამ თარგმანზე დართული კოლოფონიდან ჩანს, ეფრემის მიერ გრიგოლის ბერძნული ტექსტის თარგმანზე მუშაობა გულისხმობდა ადრინდელი, ექვთიმესეული თარგმანის ცოდნას (ეფრემს ზეპირადაც კი ახსოვდა ეს თარგმანი) და მის ღრმა ანალიზს (ეფრემისათვის ცნობილი იყო ექვთიმეს მთარგმნელობითი პრინციპი – კლება-მატების მეთოდი და მისი ჩანართების წყარო).¹⁴⁵

ამ ცოდნაზე დაყრდნობით არის შექმნილი ეფრემის ახალი, დამოუკიდებელი თარგმანი; კვირიკე ალექსანდრიელის დავალებითა და მითითებით, უკუგდებულია, უგულებელყოფილია ექვთიმესეული ჩანართები (თავად ექვთიმესეული ინტერპოლაციები – *ზედადართული* და ექვთიმეს მიერ ბასილის კომენტარიდან ჩართული ფრაზები – *თარგმანისაგან ჩართული*¹⁴⁶) და ყოველგვარი ჩანართის გარეშე, „ოდენ“ გრიგოლის ტექსტია ნათარგმნი:

ხოლო შენ, თავადი ესე წინამძღუარი ჩუენ, მის მიერ აღზრდილთაჲ, მებრვე ამას წადიერ ექმენ, რაჲთა ზედადართული ყოველი და თარგმანისაგან ჩართული დაუტეო და თვთ წმიდისა ოდენ სიტყუანი მარტოდ ვთარგმნენ.¹⁴⁷

ამგვარად, რომ გრიგოლის ლიტურგიკულ საკითხავთა ეფრემისეული და ექვთიმესეული თარგმანების შედარებითი კვლევის საფუძველზე დასტურდება ის, რის შესახებაც ეფრემი საუბრობს თავის კოლოფონში:

¹⁴⁵ აქაჲ უწულილეს გამოძიებული (cod. Jer. 43, 3v) – ასე მოიხსენიებს ეფრემი კოლოფონში წარმოდგენილ ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდის საკუთარ ანალიზს. ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 149.

¹⁴⁶ *ზედადართული* შდრ. *სიტყუადართვით* (cod. A-292, 279v), რაც ნიშნავს სიტყვადამატებით, ანუ გავრცობილად თარგმნას, თავისუფალ მიდგომას სათარგმნი ტექსტის მიმართ; ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, გვ. 546. *თარგმანისაგან ჩართული* – კომენტარიდან, *თარგმანებიდან* ჩართული, იხ. ასევე, Bezarashvili, *The Problem of the so-called "Aporeta"*, p. 131-142.

¹⁴⁷ გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავების კოლოფონი, Jer. 43, 3r; ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 149.

ა. ეფრემთან ექვთიმეს თარგმანის არაერთი სიტყვა თუ გამოთქმა შეცვლილია განსხვავებული ლექსიკური ერთეულით და გამოთქმით, რაც ზოგ შემთხვევაში ბასილის კომენტარის გავლენით ხდება.

ბ. ეფრემს სიტყვასიტყვით, ყოველგვარი ჩანართის გარეშე აქვს ნათარგმნი გრიგოლის საკითხავთა ის პასაჟები, რომლებშიც, ექვთიმეს თარგმანში, დასტურდება ჩანართები ბასილის კომენტარებიდან. უნდა ითქვას, რომ ეს, ალბათ, ბასილის კომენტართა გარეშეც ასე იქნებოდა, რადგან ეფრემი, თავისი მთარგმნელობითი პრინციპებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა ბერძნულ დედანს მისდევდა და ლიტერალურ თარგმანს ქმნიდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ბასილის კომენტარები გარკვეულწილად ეხმარებოდა ეფრემს ამ საქმეში, კერძოდ, ექვთიმეს თარგმანის სპეციფიკის გააზრებასა და მისი ზეგავლენის დაძლევაში.

ა. ლექსიკური ერთეულის შეცვლა

გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-15 ჰომილიაში „მაკაბელთა მიმართ“ მაკაბელი ყრმების მოძღვრის, ელიაზარის შესახებ ვკითხულობთ:

– prooimion aqlhsew~ dexion.¹⁴⁸

ამ ფრაზის ექვთიმესეული თარგმანია:

– დანყებაჲ წამებისაჲ კეთილად.¹⁴⁹

ეფრემს ეს ფრაზა განსხვავებული ლექსიკური ერთეულებით გადამოაქვს:

– წინაშესავალი ღუანლისაჲ მარჯუენე.¹⁵⁰

მოყვანილი მაგალითი გრიგოლის მიერ ლექსიკით ოპერირების თვალსაჩინო ნიმუშია. prooimion ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინია, ნიშნავს *შესავალს*, *პრეამბულას*, *წინასიტყვაობას*. ამ ლექსიკურ ერთეულს ხშირად ხმარობს ბასილი მინიმუსი გრიგოლის საკითხავების კომპოზიციაზე საუბრისას. გრიგოლთან ეს სიტყვა უჩვეულო კონტექსტში – ელიაზარის მარტვილობის *დასაწყისის* მნიშვნელობით არის გამოყენებული. ლექსიკური ერთეული aqlhsi~ ანტიკური ეპოქის ტექსტებში, უმეტესწილად, ბერძენ გმირთა და ათლეთთა შეჯიბრებების აღწერის კონტექსტში არის ხოლმე გამოყენებული *საგმირო საქმეების*, *სასახ-*

¹⁴⁸ PG 35, col. 913 C 7.

¹⁴⁹ Oratio 15, Iber. p. 8.

¹⁵⁰ Oratio 15, Iber. p. 9.

ელო ღვანლის მნიშვნელობით. *aqlhsi~* ქრისტიანულ ლიტერატურაში მხატვრულ სახედ არის ქცეული – მონამეობის ასპარეზზე მარტივლის ღვანლს არის მისადაგებული.¹⁵¹ გრიგოლის ტექსტშიც ეს სიტყვა მონამის, ელიაზარის ნამების მნიშვნელობით არის ნახმარი. *dexio~*-ის თავდაპირველი მნიშვნელობაა *მარჯვენა*, აღნიშნავს ასევე *დადებითს*, *სიკეთეს*.

ამ ფრაზის ბასილი მინიმუსის კომენტარში ახსნილია ორი ლექსიკური ერთეულის – *dexio~* და *prooimion* – მნიშვნელობა მოცემულ კონტექსტში:

- „მარჯუენეობაჲ“ კეთილისა და სახიერისა ნილ უთქუამს, ხოლო „წინაშესავალობაჲ“ – რამეთუ პირველ ყრმათაჲსა იწამა (ეფრემის თარგმანი).¹⁵²

ექვთიმემ ექსპოზიციურად თარგმნა გრიგოლის ფრაზა; ლექსიკური ერთეულები გადმოიტანა არა მათი პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ იმ მნიშვნელობით, რომელიც მოცემულ კონტექსტში ამ ლექსიკურ ერთეულებში იგულისხმება, ფაქტობრივად, განმარტა, გახსნა გრიგოლის „მიფარული“ კონტექსტი. არ არის გამორიცხული, რომ ეს მან ბასილი მინიმუსის კომენტარზე დაყრდნობით გააკეთა.

რაც შეეხება ეფრემს, მან, ვფიქრობთ, ასევე ბასილის კომენტარზე დაყრდნობით, შეცვალა ექვთიმეს ექსპლიციტური ლექსიკური ერთეულები და მოგვცა ბერძნულის ადეკვატური თარგმანი, რის შედეგადაც გრიგოლის *მიფარულების* ეფექტი, რომელიც ექვთიმეს თარგმანში საერთოდ დაკარგულია, ეფრემთან სრულად არის შენარჩუნებული.

კომენტარში არაფერია ნათქვამი ლექსიკურ ერთეულზე *aqlhsi~*, მაგრამ ეფრემმა ამ სიტყვის ექვთიმესეული თარგმანიც (*წამება*) შეცვალა *ღუანლით*. ნიშანდობლივია, რომ ამავე ძირიდან ნაწარმოები სიტყვაც – *aqlō~* – ეფრემს ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტარების თარგმანში გადმოაქვს ლექსიკური ერთეულით *ღუანლი*. მითოლოგიურ კომენტარებშიც ეს სიტყვა ანტიკურობის კონტექსტშია გამოყენებული, კერძოდ, ანტიკური მითოსური გმირის, ჰერაკლეს თორმეტ გმირობას აღნიშნავს.

გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-19 ჰომილიაში არის შემდეგი ფრაზა:

- *Taūta th~ kakia~ emoi ta epiceira*.¹⁵³

¹⁵¹ ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 287, 297.

¹⁵² *Comm. 15, Iber. 8.*

¹⁵³ *PG 35, col. 1060 D 1.*

- ესე არიან ბოროტთა ჩემთა ნაცვალნი (ექვთიმეს თარგმანი).¹⁵⁴

- ესე – ბოროტთა ჩემთა ჯელისჯელადნი (ეფრემის თარგმანი).¹⁵⁵

ლექსიკური ერთეულის *ta epiceira* (ძირი *ceir-* ხელ-ი) თავდაპირველი მნიშვნელობა არის *ხელიდან ხელში გადაცემული*; ნიშნავს, ასევე, *ჯილდოს, სამაგიეროს, სანაცვლოს*. ამ ფრაზის ბასილი მინიმუსის განმარტებაში წარმოდგენილია *ta epiceira*-ს ეტიმოლოგია და შინაარსობრივი განმარტება:

- მოქმედებისაგან ჯელთაჲსა შემოდებულ არს სიტყუაჲ ესე, ვითარმცა სასყიდელსა ნამუშავევისასა მიიღებდა (ეფრემის თარგმანი).¹⁵⁶

აშკარაა, რომ სწორედ ამ კომენტარის გათვალისწინებით არის ეფრემის მიერ შერჩეული *ta epiceira*-ს ქართული ეკვივალენტი – *ჯელისჯელადნი* – ექვთიმესეული ლექსიკური ერთეულის, *ნაცვალნის* მაგიერ.

ორივე შემთხვევაში, ვფიქრობთ, კარგად ჩანს ის პრინციპი, რომელსაც თითოეული მთარგმნელი მიმართავს კომენტარის გამოყენებისას – ექვთიმე ბასილის კომენტარებიდან აღებული განმარტების მიხედვით იძლევა ლექსიკური ერთეულის შინაარსობრივ თარგმანს, ხოლო ეფრემი ასევე ბასილის კომენტარების საშუალებით არჩევს ბერძნულის ადეკვატურ ლექსიკურ ერთეულს.

ლექსიკური ერთეულის შერჩევისას კომენტარის მოშველიება სხვადასხვა დანიშნულებით ქართველი მწიგნობრების მთარგმნელობითი მუშაობის კიდევ ერთი საინტერესო მხარეა.

ბ. კომენტარებიდან ჩართული ფრაზების უგულებელყოფა

გრიგოლის მე-19 ჰომილიაში არის ფრაზა:

- *Metaqwmeqa thn zwhn.* ¹⁵⁷

- შევცვალოთ ცხოვრება ჩუენი უ ვ ა ღ რ ე ს ა დ (ექვთიმეს თარგმანი).¹⁵⁸

- გარდავცვალოთ ცხოვრებაჲ (ეფრემის თარგმანი).¹⁵⁹

¹⁵⁴ *Oratio 19, Iber.* p. 210.

¹⁵⁵ იქვე, p. 211.

¹⁵⁶ *ek th~ twn ceirwn energeia~*, *Paris. Coisl.* 52 (XI s.), 105 r.

¹⁵⁷ *PG 35*, col. 1049 C 4.

¹⁵⁸ *Oratio 19, Iber.* p. 176.

¹⁵⁹ იქვე, p. 177.

ამ პასაჟის ბასილი მინიმუსის კომენტარია:

- thn ceirona pro~ thn bel tiona dhlonoti h thn aisqhthn pro~ thn nohthn¹⁶⁰ – უდარესი – უ ა ლ რ ე ს ა დ, გინათუ გრძნობადი – საცნაურად (ეფრემის თარგმანი).¹⁶¹

ჩანს, რომ მოცემული ფრაზის ექვთიმესეული თარგმანი გავრცობილია ბასილი მინიმუსის განმარტების საფუძველზე; ეფრემს ეს ფრაზა სიტყვასიტყვით, ყოველგვარი ჩანართის გარეშე აქვს გადმოტანილი ქართულად.

ქართველი მწიგნობრების მიერ სხვადასხვა მთარგმნელობითი პრინციპით არის ნათარგმნი შემდეგი ფრაზა:

- Dote tw Logw ton logon.¹⁶²

- მიეცით სიტყუანი თქუენი ს ა ლ მ რ თ ი ს ა მას სიტყუასა (ექვთიმეს თარგმანი).¹⁶³

- მიეცით სიტყუასა სიტყუაჲ (ეფრემის თარგმანი).¹⁶⁴

ამ ფრაზის ბასილი მინიმუსის კომენტარია:

- htoi tw logw te kai Q ew dote to kalon kai summetron – ანუ ღვთის სიტყვას მიეცით მშვენიერი და შესაფერისი [სიტყვა].¹⁶⁵

- ვისსა სიტყუასა? არამედ ღ მ რ თ ი ს ა ს ა (ეფრემის თარგმანი).¹⁶⁶

ამ შემთხვევაშიც ექვთიმეს ტექსტის მატების წყარო ბასილი მინიმუსის კომენტარია. ეფრემის თარგმანი, როგორც მოსალოდნელი იყო, სიტყვასიტყვით მისდევს ბერძნულს.

ამგვარად, ბასილი მინიმუსის კომენტარები, რომლებიც ექვთიმესათვის „მატების“ ერთ-ერთი წყარო იყო გრიგოლის საკითხავების თარგმნისას, დახმარებას უწევდა ეფრემს ექვთიმეს თავისუფალი თარგმანის ზეგავლენის დაძლევისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ბერძნულის ადეკვატური თარგმანის შექმნაში.

¹⁶⁰ Cod. Paris. Coisl. 52, 97 r.

¹⁶¹ Comm. 19, Iber. 29.

¹⁶² PG 35, col. 1053 D 4.

¹⁶³ Oratio 19, Iber. p. 190.

¹⁶⁴ იქვე, p. 191.

¹⁶⁵ Vat. gr. 437 (X ს.), 158v.

¹⁶⁶ Comm. 19, Iber. 62.

გ. გრიგოლის საკითხავთა სტილისტური სპეციფიკის გადმოტანა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავთა ეფრემისეული თარგმანი, ექვთიმეს თარგმანისაგან განსხვავებით, აშკარად ატარებს ღვთისმეტყველის მხატვრული სტილის სპეციფიკის ნიშნებს.¹⁶⁷

ბასილი მინიმუსის კომენტარები, რომლებშიც დიდი ადგილი ეთმობა გრიგოლის მხატვრული სახეების, ორატორული ხერხების, რიტორიკული გამოთქმების ანალიზს, დიდ დახმარებას უწევდა ეფრემს გრიგოლის პროზის ყველა მხატვრული დეტალისა თუ ნიუანსის გადმოტანაში.

ამ კუთხით საინტერესოა გრიგოლის 38-ე სიტყვის დასაწყისი, მისი ბასილის კომენტარი და ეფრემის თარგმანი:

- Cristo~ ex ouranwn, anthsate, Cristo~ epi gh~, uywqhte.¹⁶⁸

ეს არის მოკლე ფრაზებისაგან, ე. წ. კოლონებისაგან შემდგარი პასაჟი – ლიტურგიკული საკითხავის მეტად ეფექტური დასაწყისი. ლაკონურ სტილს ქმნის ორ ადგილას ზმნის გამოტოვება. „აზიური კოლონების სწრაფი ცეკვა, რომლის კითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მსმენელი დიდი საიდუმლოს მონაწილეა“ – ასეა დახასიათებული 38-ე საკითხავის დასაწყისი მკვლევართა მიერ. ეფრემი ზედმინევნით თარგმნის ამ პასაჟს. მასთან, ისე, როგორც ბერძნულში, ორ ადგილას არ არის ზმნა:

- ქრისტე – ზეცით, მიეგებვოდით! ქრისტე – ქუეყანასა ზედა, ამაღლდით!¹⁶⁹

ამ პასაჟის ბასილი მინიმუსის კომენტარია:

- რაჟამს თქუას „ქრისტე ზეცით,“ ნაკლულად დაუტევებს ამას, ვითარმედ „მოვიდა.“ და კუალად – „ქრისტე ქუეყანასა ზედა“, ამისცა ნაკლულებასა იგურდივმოქცეობითა აღმოაგებს, რამეთუ ესევეითარნი

¹⁶⁷ შუა საუკუნეების მკითხველისთვის გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავები, როგორც ჩანს, მართლაც გამოირჩეოდა თავისი სპეციფიკური სტილით – სიტყვა-სიმოკლითა და სიღრმით. შავი მთის მოღვაწეთა, გაბრიელ და იოანე ივანენიძელ-საფარელთა მიერ გადწერილ გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების კრებულში ერთ-ერთ საკითხავს ახლავს მინაწერი, რომელშიც ზუსტად და თან მხატვრულად არის გადმოცემული გრიგოლის მხატვრული პროზის ეს სპეციფიკა: *ტკბილო, ვინ იკითხავ, ნელადრე იარებოდე, წმიდასა ამას ფონი დაუტეობია და სიღრმით გამოღელავს* (Cod. P-3, 27 r.).

¹⁶⁸ PG 36, col. 312A3-4.

¹⁶⁹ *Oratio* 38, *Iber*: p. 51.

ნაკლულნი ფილოსოფოსთა ჯელოვნებისანი არიან და არა ვითარ ვინ ჰგონოს, უსრულობისანი (ეფრემის თარგმანი).¹⁷⁰

კომენტარში წარმოდგენილია მოცემული პასაჟის კითხვის წესი, რომლის მიხედვითაც ნაკლულ ადგილებს – გამოტოვებულ ზმნებს, რომლებიც ტექსტში აზრობრივად იგულისხმება, *იგურდივმოქცევი* (პაუზა) ავსებს. გრიგოლის 38-ე ჰომილიის დასაწყისი ეფრემის მიერ, ფეიქრობთ, ამ კომენტარის გათვალისწინებით არის ნათარგმნი. ამ პასაჟის ექვთიმესეულ თარგმანში ორივე ადგილას ჩართულია ზმნები:

- ქრისტე ზეცით მოვალს, მიეგებვოდით! ქრისტე ქუეყანასა ზედა არს, ამაღლდით!¹⁷¹

ბასილის კომენტარის მიხედვით, გრიგოლის მე-19 ჰომილიის ერთი პასაჟი *კითხვის სახედ* (რიტორიკული შეკითხვების სახით) უნდა იყოს ნაკითხული. კომენტატორის შენიშვნით:

- ესე კითხვაჲ თანად კითხვაჲცა არს და აღჴსნაჲცა საძიებლისა მის¹⁷²
- ანუ ეს შეკითხვები ამავე დროს მათზე პასუხებსაც შეიცავს.

ამ პასაჟს ეფრემი კითხვითი წინადადებებით თარგმნის:

- არა აღვიხილნეთ-ა ზეცად ზე? არა განვიფრთხოთ-ა, არა მოვიძარცვოთ-ა კამში თუალთაჲ? არა მეცნიერ ვიქმნეთ-ა ... არა მოვიგნეთ-ა ... არა სასოებით ვიშუებდეთ-ა ... არა შევემეცნნეთ-ა წმიდათა მონამეთა? ... რაჲსთჳს წყლულებანი და კრულებანი და მიმოქცევანი ...¹⁷³

ეფრემის თარგმანში დაცულია დედნისეული კითხვითი ინტონაცია და, შესაბამისად, შენარჩუნებულია ის რიტორიკული ეფექტი, რომელსაც ღვთისმეტყველის ეს პასაჟი დედანში ატარებს. ეს ნიუანსი დაკარგულია ექვთიმესთან – იგი ამ მონაკვეთს თითქმის მთლიანად ბრძანებითი წინადადებებით თარგმნის.¹⁷⁴

თავისებური გავლენა ბასილი მინიმუსის კომენტარებს, კერძოდ, ბასილი მინიმუსის ეპისტოლეს კონსტანტინე იმპერატორის მიმართ, უნდა

¹⁷⁰ *Comm.* 38, *Iber.* 1.

¹⁷¹ *Oratio* 38, *Iber.* p. 50.

¹⁷² *Comm.* 19, *Iber.* 19.

¹⁷³ *Oratio* 19, *Iber.* p. 169, 171.

¹⁷⁴ იხ. იქვე, p. 168, 170. ეს საკითხები შესაბამისი მაგალითებით განხილული გვაქვს წერილში: კომენტართა გავლენა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართულ თარგმანებზე, გვ. 150-163.

მოეხდინა ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი 16 ლიტურგიკული სიტყვის კოლოფონზე – ეფრემის ეპისტოლეზე კვირიკე ბერის მიმართ.

როგორც ცნობილია, ეფრემი ავტორია არაერთი კოლოფონისა, ე. წ. *თავისა* თუ *ბოლოჲსა ანდერძისა*.¹⁷⁵ მისი ანდერძები – მცირე ზომის ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის ტექსტები – ერთვის იოანე დამასკელის „დიალექტიკისა“ და „გარდამოცემის“ თარგმანს, თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიას“, არეოპაგიტულ კორპუსს, ფსალმუნთა და სამოციქულოს კომენტარებს, გრიგოლის 16 ლიტურგიკულ სიტყვას და სხვ. ეს ე. წ. *წინა-შესავლებია* – ბიზანტიური ტიპის *prooimion*-ები.

შინაარსობრივად და თავისი ფუნქციით გრიგოლის ლიტურგიკულ საკითხავებზე დართული ეფრემისეული კოლოფონი ახლოს დგას მის სხვა კოლოფონებთან. მასში, როგორც ეფრემის სხვა კოლოფონებში, საუბარია იმ მთარგმნელობით ხერხებსა და მეთოდებზე, რომლებსაც ეფრემი მიმართავს მოცემული თხზულების თარგმნისას, ლიტერატურულ-კულტურულ გარემოზე, რომელშიც მიმდინარეობდა თარგმნა, ეფრემის მასწავლებლებისა და კოლეგების მატერიალურ თუ სულიერ შემწეობაზე და ა. შ. ერთი რამ, რაც გამოარჩევს გრიგოლის 16 საკითხავის კოლოფონს ეფრემის დანარჩენი კოლოფონებისაგან, არის ფორმა – ტექსტის ეპისტოლარული ხასიათი და განსაკუთრებული მხატვრულობა, რასაც, თავის მხრივ, ეპისტოლარული ნარატივი განაპირობებს. სწორედ აქ უნდა ჩანდეს, ჩვენი აზრით, ბასილი მინიმუსის ეპისტოლის გავლენა ეფრემზე.

16-სიტყვიანი კრებულის კოლოფონი იწყება ეპისტოლისათვის დამახასიათებელი ფორმულით:

- ბერსა კვირიკეს მცირე ეფრემ (შდრ. კონსტანტინე პორფიროგენეტის მიმართ ბასილის ეპისტოლის დასაწყისს / სათაურს: *Basileio~ elacisto~ o Kaisareia~ Kappadokia~ tw filocristw despoth Kwnstantinw autokratori*).

ეფრემის სხვა კოლოფონებს ადრესატი არა ჰყავს; სათაურებში, თუ კი ისინი ამ კოლოფონებს აქვს, აღნიშნულია, რომ ეს ტექსტები წარმოადგენს *შესავალს, უწყებას, წინაბჭეს*.¹⁷⁶

ერთმანეთს ემთხვევა ეფრემისა და ბასილის ეპისტოლეთა ტონიც. განსაკუთრებული პატივისცემა, მადლიერება, მოწინება ადრესატის

¹⁷⁵ თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 47.

¹⁷⁶ თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 173, 200, 210, 217.

მიმართ და საკუთარი თავის, საკუთარი ნაშრომის დამცრობა, დამდაბლება. ეს, საზოგადოდ, ეპისტოლარული ჟანრისათვის დამახასიათებელი ეტიკეტის გამოხატვის ფორმაა. ეფრემი ეპისტოლეში თავის თავს იხსენიებს, როგორც *ყოველთა კაცთა უცოდვილესს და უუღირსესს, ცარიელს ყოველთა კეთილთა საქმეთაგან*.¹⁷⁷ თავის მხრივ, ბასილი თავის შრომას უწოდებს: *agleukh~ (უტკბილოს), akallh~ (უშუერს), an-epafrodito~ (უეპაფროდიტოს)*¹⁷⁸. ამ კუთხით ნიშანდობლივია ბასილის ზედსახელი *elacisto~ – მცირე, უმნიშვნელო*. ეფრემს ბასილის ზედწოდება *elacisto~* გადმოაქვს ლექსიკური ერთეულით *უნდო* (იხ. ბასილის ეპისტოლის სათაურის ეფრემისეული თარგმანი: *ბასილი უნდოჲ კესარია-კაბადუკიისაჲ ქრისტესმოყუარესა მეუფესა ...*). საყურადღებოა, რომ გრიგოლის ლიტურგიკულ საკითხავებზე დართულ საკუთარ აკროსტიხში ეფრემი თავის თავსაც ამ ეპითეტით იხსენიებს, შესაძლოა, სწორედ ბასილი უნდოს ანალოგიით: *შემნე ჩემდა იქმენ დღესა განშჯი-სასა, რომლისათჳსცა გხადი უნდო მცირე ეფრემ*.¹⁷⁹

რაც შეეხება ადრესატის მიმართ დამოკიდებულებას: ბასილი კონსტანტინე პორფიროგენეტს ამკობს ისეთი ეპითეტებით, როგორიცაა *filologo~ (სიტყვსმოყვერე), agafo~ (სახიერი), filanqrwpo~ (პატიოსანი sic), galhnotato~ (ყოვლადმშვიდი), pantimo~ (ყოვლადპატიოსანი)*. ყურადღება გამახვილებულია იმპერატორის *მეცნიერებისმოყუარებაზე* – *filepisthmwn*.¹⁸⁰ ეფრემის ეპისტოლეშიც შექმნილია ადრესატის, კვირიკე ალექსანდრიელის – ბრძენი, განსწავლული მოძღვრის – მეტად შთამბეჭდავი სახე. საზოგადოდ, ეფრემის ეპისტოლეებში ყოველთვის დიდი პატივით არიან ხოლმე მოხსენიებულნი შავი მთის ქართული სათვისტომოს მწიგნობრები, რომლებიც, როგორც ეფრემის კოლოფონებიდან ირკვევა, უდიდეს სულიერ, ინტელექტუალურ თუ მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ეფრემს, მაგრამ არც ერთი არ არის ისე შექებული, ხოტბაშესხმული, როგორც ეპისტოლის ადრესატი, კვირიკე ალექსანდრიელია. სხვათა შორის,

¹⁷⁷ Cod. Jer. 43, 3v-4r; ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 149.

¹⁷⁸ Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii, p. 4. ბერძნულ ეპითეტებთან ერთად კავებში წარმოდგენილია მათი ეფრემისეული თარგმანი.

¹⁷⁹ Cod. Jer. 13, 278 r; ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 164.

¹⁸⁰ Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii, p. 2-6.

კვირიკე ასევე მოხსენიებულია „ფსალმუნთა თარგმანებისა“ და არეოპაგიტული კორპუსის ანდერძებში,¹⁸¹ ასევე დიდი მადლიერებით, მაგრამ არა ისეთ აღმატებულ კონტექსტში, როგორც ეფრემის ეპისტოლეშია. ამიტომ ვფიქრობთ, კვირიკეს განსაკუთრებული განდიდება გრიგოლის ლიტურგიკულ საკითხავთა ეფრემისეულ კოლოფონში სწორედ ამ ტექსტის ეპისტოლარული ხასიათით არის განპირობებული, რისი კარგი მაგალითიც ეფრემისათვის ბასილი მინიმუსის ეპისტოლე უნდა ყოფილიყო.

კვირიკეს სახე და მისი ღვაწლი გრიგოლის თხზულებათა თარგმნის საქმეში ეპისტოლეში მხატვრული ორნამენტებით, ძირითადად, მეტაფორებით არის გამოკვეთილი. მართალია, ეფრემის სხვა კოლოფონებშიც ვხვდებით მხატვრულ სახეებს,¹⁸² მაგრამ არა იმ რაოდენობითა და ისეთი დიდი მხატვრული დატვირთვით, როგორიც ეს ეფრემის ეპისტოლეშია.

ეპისტოლეში დასტურდება 10-ზე მეტი მხატვრული სახე, ამათგან დიდი ნაწილი სწორედ კვირიკეს მხატვრულ კონტექსტში წარმოდგენას ემსახურება. კვირიკე, რომელიც ეფრემს ავალებს გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავების ახლად თარგმნას და ამ გზით ცდილობს შეანელოს დაძაბულობა, რომელიც არსებობდა შავი მთის ქართველ და ბერძენ მნიგნობართა შორის, გვევლინება, როგორც:

- *მოსე, შუამდგომელი, ჭიდი წიაღმყვანებელი* – ეფრემის შემწე და დამხმარე გრიგოლის თხზულებათა ქართულად თარგმნაში;

- *ჯერეთ ჯორთალა შინა მყოფი ჯორცთ-ზეშთაჲ* – ამაღლებული, წმინდა პიროვნება;

სავარაუდოდ, ასევე:¹⁸³

¹⁸¹ ფსალმუნთა კომენტარების კოლოფონში კვირიკე მოხსენიებულია ანტონ ტბელთან ერთად, როგორც *წმინდა მამა და მნათობი*, ეფრემის *ძალ-მწე სიტყვთა და საქმით* (cod. Q-37, 316v); თვალთვალ, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 199.

¹⁸² მაგალითად, „გარდამოცემის“ კოლოფონის ეფრემისეული მხატვრული სახე – *ვენახის შემოზღუდვა ეკლოვანი ზღუდით* – საღვთო სიბრძნის დაცვა *გარეშეთა* სიბრძნის მეშვეობით (წარმართთა სიბრძნისადმი სქოლასტიკური მიდგომის ამსახველი მეტაფორა). ასევე, ქრისტიან მამათა მიერ წარმართთა განგმირვა *მათივე ისრებით*, ანუ მათივე სიბრძნით, იხ. ბეზარაშვილი, „გარეშე სიბრძნისადმი“ დამოკიდებულებისათვის ეფრემ მცირის კოლოფონებში, გვ. 134-157.

¹⁸³ *სავარაუდოდ* – იმიტომ, რომ ეპისტოლის დასაწყისი, სადაც მეტაფორათა ნაწილია წარმოდგენილი, საკმაოდ დაზიანებულია, რასაც ემატება ეპისტოლარული ჟანრისათვის დამახასიათებელი თხრობის გაბუნდოვანება ამაღლებულობის ეფექტის გამძაფრების მიზნით.

- საღრტილისაგან (კაჟის ქვისაგან) ცეცხლის გამომცემელი – ორატორული ნიჭის მქონე, პოლემიკის განსაკუთრებული უნარით დაჯილდოებული პიროვნება;¹⁸⁴ არ არის გამორიცხული, რომ ეს იყოს მრისხანების გამომხატველი მეტაფორაც.¹⁸⁵

- აღმავსებელი ესე ჯევთა და დამმდაბლებელი მთათა ბორცუებისა – შავ მთაზე შექმნილი რთული, კონფლიქტური სიტუაციის დამარეგულირებელი.

- ყვავილებიდან ფიჭაში შეკრებილი თაფლის სიტკბოსთან – გრიგოლის საღვთისმეტყველო სიბრძნესთან ეფრემის მაზიარებელი.¹⁸⁶

მეორე თემა, რომელიც ასევე მეტაფორულად არის გააზრებული ეპისტოლეში, არის მნიგნობრის უმთავრესი საქმიანობა – თარგმნა, რომელიც რამდენიმე ასპექტით არის წარმოდგენილი ეფრემთან: პროცესი, რომელსაც საფუძვლად უდევს მემკვიდრეობითობის პრინციპი, ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდი და ამ მეთოდის გამოყენების მიზეზები, საკუთარი და ექვთიმესეული თარგმანისა და მთარგმნელობითი პრინციპების შეპირისპირება.¹⁸⁷

¹⁸⁴ ცეცხლის გამომცემა – ორატორული ნიჭის მეტაფორა – დასტურდება გრიგოლის „ბასილი დიდის ეპიტაფიაში“ – *thn puro~ meno~ pneousan* (PG 36, 528 A 3-4) – ესოდენ ცეცხლმბერველი მოიპოვა (Oratio 43, Iber. p. 111), რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ანტიკური მითოლოგიის ცეცხლისმფრქვეველ არსებას, ჰიმერას, რომელიც შედგება სამი ცხოველის – ლომის, ვაცისა და გველის ნაწილებისაგან. ეს ალუზია „ბასილის ეპიტაფიაში“ შემოსულია ჰომეროსიდან (Iliad. VI, 182). იხ. აგრეთვე „ბასილის ეპიტაფიის“ ამ პასაჟის ნიკიტა ჰერაკლიელის კომენტარი, რომელშიც დასტურდება რიტორიკის სამი სახეობისა და ჰიმერას, როგორც სამნაწილიანი არსების ანალოგია, იხ. ოთხმეზური, ბეზარაშვილი, იოანე პეტრინის ე. წ. ბოლოსიტყვაობის ერთი ფრაგმენტის ბერძნული დედანი, გვ. 213-214, 231.

¹⁸⁵ ცეცხლის გამომცემა – როგორც მრისხანების მეტაფორა – დასტურდება გრიგოლის პირველ სიტყვაში იმპერატორ ივლიანეს მიმართ (Oratio 4, PG 35, 613 A 6) – ივლიანეს რისხვა – ცეცხლისმფრქვეველი ვულკანის, ეტნას მიწისქვეშა გრუზუნი, ეტნას გიგანტთა ხმები, Guignet, *St. Grégoire de Nazinaze et la rhétorique*, p. 165.

¹⁸⁶ ფუტკრების მიერ ყვავილებიდან ფიჭაში შეკრებილი თაფლის მეტაფორა, რომელიც წმინდა მამათა ტექსტებში ხშირადაა დადასტურებული, შემოქმედებითად იყო ათვისებული ქართველ მნიგნობართა მიერ, მაგალითებისათვის იხ. დობორჯგინიძე, ძველ ქართველ მთარგმნელთა თეორიის ტექნიკური და მეტაფორული დისკურსი, გვ. 206, შენ. 32.

¹⁸⁷ თარგმანთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების მეტაფორებით (ოქრო, ოქროს გამომღებელი ჯელოვანი, თიჯა და ბრპენი, ბრძმედი, ცეცხლი) აღწე-

- წინამორბედი მთარგმნელების მიერ ლოდებისაგან განმედილ ყანაში დარჩენილი ქვების ამოძირკვა მათივე კეტებით და უროებით – წინაპართა მთარგმნელობითი საქმიანობის გაგრძელება მათივე ხერხებითა და მეთოდებით;

- *სიჩროებაში* მყოფი ქართველების *სძითა და მხლით* (მსუბუქი საკვებით – რძითა და ფხლით) გამოკვება, რისი წყალობითაც ისინი უკვე *მტკიცე საზრდელს* საჭიროებენ – ექვთიმეს თავისუფალი თარგმანების მეშვეობით გამოცდილი ქართველი მკითხველის ჩამოყალიბება, რომელიც უკვე მზად არის ლიტერალური თარგმანების აღსაქმელად.

- ღვთისმეტყველის *ურწყული* (განუზავებელი) ღვინის განზავება *სულიერი წყლით ლიტონი ერისათვის* – ექვთიმეს მიერ გრიგოლის რთულ ტექსტში განმარტებითი ჩანართების შეტანა გამოუცდელი მკითხველისათვის.

- ლომი, რომელიც *ციდამტკაველივით* (მაიმუნივით) არ ხტის *ფილასოფოსთა*¹⁸⁸ კართან – ექვთიმე, რომელსაც თავის თარგმანში გრიგოლის საღვთო სიბრძნე აქვს გადმოცემული (ამიტომაც არის ის *ლომი*), არ ზრუნავს *გარეშეთა* გამომსახველობითი ფორმების, რიტორიკული სამკაულების გადმოტანაზე და ამ კუთხით არ ბაძავს გრიგოლს (ბაძვა მაიმუნის ჩვევაა).¹⁸⁹

- ექვთიმეს მიერ *მჭელის* (ძნის), ხოლო ეფრემის მიერ, ექვთიმეს *სანთლის* შემწეობით, *ჭუვილის* (თავთავის) დადება *ქართველთა ურემზე* – ქართული ინტელექტუალური საგანძურის გამდიდრებაში, ანუ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმნის საქმეში ექვთიმეს უდიდესი ღვაწლის ხაზგასმა და საკუთარი უმნიშვნელო წვლილის აღნიშვნა.¹⁹⁰

რის შესახებ იხ. ასევე, დობორჯგინიძე, ძველ ქართველ მთარგმნელთა თეორიის ტექნიკური და მეტაფორული დისკურსი, გვ. 200-206.

¹⁸⁸ ლექსიკური ერთეულის *ფილოსოფოსის* შეცვლილი ფორმა – *ფილასოფოსი* – დაკნინებული, დამცირებული შინაარსით ხშირად აღნიშნავს ანტიკურ, *გარეშეთა* სიბრძნეს როგორც ეფრემამდელ თარგმანებში, ისე ეფრემთანაც. მაგ., ექვთიმე ათონელთან – *ფილასოფოზი*, იხ. *ბასილი კესარიელის „სწავლანი“*, გვ. 053; *საფილასოფოსო* – ეფრემთან, „გარდამოცემის“ კოლოფონში, იხ. იოანე დამასკელი, *დიალექტიკა*, გვ. 66.

¹⁸⁹ ამ მხატვრული სახის ინტერპრეტაციისა და ზოგადად, ლომისა და მაიმუნის მხატვრული გააზრებისათვის ანტიკურ და ბიზანტიურ მწელობაში იხ. ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 187-192.

¹⁹⁰ ამ მხატვრული სახის შესახებ ასევე იხ. აქვე, გვ. 57.

- *შეუვალში შესღვა* – განსაკუთრებული სირთულის დაძლევა – გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმნა.

მსგავს რიტორიკულ ორნამენტებს ვხვდებით ბასილის ეპისტოლე-შიც. ბასილი უფრო ხშირად შედარებებს მიმართავს:

- საკუთარი თავის შედარება მაიმუნთან და ეთიოპთან, რომლებსაც თავიანთი ნაშობნი ისევე უყვართ, როგორც ბასილს – თავისი ნამუშე-ვარი – თავის დამცირება მდაბალ არსებებთან შედარების გზით.¹⁹¹

- ქრისტეს შობის დღესასწაულზე უაზროდ, უქმად ყოფნის შედარე-ბა ძაღლისა და ათენელის, ანუ მდაბალი არსებების უგუნურებასთან.¹⁹²

- პეშვებით (*პეშვებით*) წყლის დანაფება – გრიგოლის სიბრძნესთან სულმოუთქმენლად ზიარება.

შესაძლებელია გარკვეული პარალელების გავლება ეფრემისა და ბა-სილის მხატვრულ სახეთა შორის; მაგალითად, ორივე მიმართავს მაიმუ-ნის, ასევე წყლის მხატვრულ სახეს, მაგრამ ეს ხდება სხვადასხვა მხატ-ვრული დატვირთვით, ასე რომ, ბასილის უშუალო გავლენაზე, ეფრემის ეპისტოლეში ბასილის ეპისტოლის ციტაციასა თუ ალუზიებზე ვერ ვი-ლაპარაკებთ.

ნიშანდობლივია, რომ ეფრემის მხატვრული სახეები უფრო მეტ კავ-შირს ავლენენ თავად გრიგოლ ღვთისმეტყველის მხატვრულ სამყაროს-თან. მათი წყარო, ხშირ შემთხვევაში, უშუალოდ გრიგოლის საკითხავე-ბია. მაგალითად:

- ჯერეთ ჭორცთალა შინა ყოფასა შენ, ჭორცთხეშთაჲსასა (ეფრე-მის ეპისტოლე, მიმართვა კვირიკესადმი) – შდრ. განცხადებულად უჭორცონო ჭორცთა შინა (გრიგოლის მე-15 საკითხავი, მიმართვა მაკაბელებისადმი).¹⁹³

¹⁹¹ როგორც ანტიკურ, ისე ბიზანტიურ ტექსტებში სიტყვას Αἰθίοψ დაკარგული აქვს ეთნიკური შინაარსი და ზოგადად შავკანიანის მნიშვნელობით გვევლინე-ბა როგორც *უცხოვს*, *უშნოს*, *გროტესკული ტიპის* მეტაფორა, Opelt, Griechische und lateinische Bezeichnung des Nichtchristen. Ein terminologischer Versuch, p. 1-22.

¹⁹² Αἰθναῖοι – *ათენელს* მოცემულ კონტექსტში დაკარგული აქვს ეთნიკურო-ბის გაგება და აღნიშნავს *წარმართს*, *არაქრისტიანს*. ბიზანტიურ ეპისტო-ლეებში ხშირად დასტურდება ამგვარი რიტორიკული ხერხის გამოყენების შემთხვევები. მაგალითად, მანუელ პალეოლოგის ერთ-ერთ ეპისტოლეში დას-ახელებული არიან *სკვითები*, რომლებშიც ავტორი ზოგადად ბარბაროსებს გულისხმობს, Попова, Византийская эпистолография, с. 218.

¹⁹³ *Oratio 15, Iber*: p. 43.

- სიჩჩოებასა ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა და მხლითა, ხოლო ან მის მიერ აღზრდილი ერი მისითავე მადლითა მტკიცისა საზრდელისა მოქენე იქმნა (ეფრემის ეპისტოლე) – შდრ. არამედ კეთილ სადმე ჟამსა კეთილსა მიღებული ... ხოლო არა კეთილ ჯერეთ უმარტივესთათჳს და ნებებითა უძღებთა-რე, ვითარ-იგი არცა საზრდელი სრული უმჯობეს ჯერეთ ჩჩვლთათჳს და სძის მოქენეთა (გრიგოლის 45-ე საკითხავი; საუბარია *ხე ცნობადისას* შესახებ და მასთან შეხების თაობაზე).¹⁹⁴

- უკუეთუ ლომი ვერ ციდამტკავლებრ ხლდებოდა კარებსა ფილასოფოსთასა (ეფრემის ეპისტოლე) – შდრ. ნუუკუედა ლომსაცა აბრალეზდის ვინ, რამეთუ არა ციდამტკავლურად ხედავს, არამედ სილაღით და მეუფებით, რომლისა კრთომანიცა სიმჴნე და საკრველებისავე თანა საყუარელ (გრიგოლის 43-ე საკითხავი; საუბარია ბასილი დიდზე, რომელიც ყოველთვის ვერ ახერხებდა ადამიანთა გულის მოგებას).¹⁹⁵

როგორც ვხედავთ, ეფრემი თავის კოლოფონში სარგებლობს გრიგოლის მხატვრული ენით, მისი ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის გამოყენებით ქმნის ახალ მხატვრულ სახეებს და მათში საკუთარ შინაარსს დებს. ასეთია ლომისა და ციდამტკაველის, ასევე ჩვილისა და რძის მხატვრული სახეები. რაც შეეხება მხატვრულ სახეს *უწორცო – ჯორცთა შინა*, ეს, ვფიქრობთ, გრიგოლის ციტაციაა. ნმ. მამათა თხზულებებიდან მომდინარე მხატვრული სახეებით ოპერირება ეფრემის ლიტერატურული მოღვაწეობის კიდევ ერთი მეტად საინტერესო მხარეა.

¹⁹⁴ *Oratio 45, Iber. p. 53*, შდრ. ასევე *I Cor. 3, 1-2*. პავლეს ეპისტოლეზე დაყრდნობით შექმნილი ჩვილისა და რძის მხატვრული სახე ხშირად დასტურდება ნმ. მამათა თხზულებებში. ეფრემთან ამ მხატვრულ სახეს ვხვდებით ასევე *Jer. 13*-ში დაცულ კოლოფონში: *პავლეს მსგავსად სძითა მზრდელ ჩუენისა სიჩჩოებისასა და ესოდენ ჰასაკად მიმანვენელსა ... ან უმტკიცესისა საზრდელისათჳს აღვისურვეთ* (cod. *Jer. 13, 250r*); ბრეგადე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 163; აგრეთვე, „ფილოთეონ ისტორიის“ კოლოფონში: *მრავალჟამ ზრდილ არიან სძითა სიტყუათა მარტივობისაჲთა და მიწვენულ ჰასაკსა, მოქენესა მტკიცისა საზრდელისასა* (cod. *A-689, 187v*); თვალთვადე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 214. ამ მხატვრული სახის შესახებ იხ. ასევე ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 214-231.

¹⁹⁵ *Oratio 43, Iber. p. 179*. ამ მხატვრული სახის შესახებ იხ. *ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი*, გვ. 122; ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 184-193.

გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების მხატვრული სისტემის გავლენა იგრძნობა ბასილი მინიმუსის ეპისტოლეზეც. მაგალითისთვის: ბასილი ეპისტოლეში საუბრობს ქვეშევრდომების მიერ იმპერატორისათვის მირთმეულ მატერიალურ ძღვენზე, რომელსაც უპირისპირებს მის მიერ ნაჩუქარ გრიგოლის საკითხავთა კომენტირებულ კრებულს:

- რომელნიმე ოქროსა და ვეცხლსა და მარგალიტთა, გინა ქვათა ბრწყინვალეთა, ანუ სხუათა რათმე ჭურჭელთა მრავალსასყიდლისათა, გინა ქსელთა მრავალყუავილონთა მომრთუმელობითა პატივისმოყუარებასა გაჩუენებენ ...

ეს თემა დასტურდება გრიგოლის პირველ საკითხავშიც. საუბარია იმის შესახებ, რომ ღმერთისათვის არაფერს წარმოადგენს მატერიალური ძღვენი:

- ნუუკუედა ოქროსა ... ანუ ვეცხლსა, ანუ ნაქსოვთა, ანუ ქვა საჩინოთა და პატიოსანთაგან მიწითმდინარეთა ნივთთა და ქუედამშთომთა ... (ეფრემ მცირის თარგმანი).¹⁹⁶

ვფიქრობთ, აქ როგორც შინაარსობრივი, ისე ლექსიკური თანხვედრა აშკარაა.

ამგვარი ალუზიები და რემინისცენციები თავად გრიგოლ ღვთისმეტყველის მხატვრული სტილის ერთ-ერთი მახასიათებელია. მის ტექსტებში, ბიბლიის არაპირდაპირი ციტაციისა თუ ბიბლიური ალუზიების გვერდით, უხვად ვხვდებით ანტიკური მწერლობის ნიმუშთა იმპლიციტური ციტირების მაგალითებს.¹⁹⁷

კიდევ ერთი ასპექტი: ეფრემი, ისევე, როგორც ბასილი, ზრუნავს თავისი ეპისტოლის კეთილხმოვანებაზე. ორივე ამ მიზნით მიმართავს ალიტერაციას. მაგალითად, ბასილთან კეთილხმოვანების ეფექტს ქმნის პასაჟში სხვადასხვა ბრუნვაში დასმული ერთი და იმავე კითხვითი ნაცვალსახელის განმეორებით აგებული რიტორიკული შეკითხვები (ti ... ti ... tino~ ... tino~ ...), ასევე შედარებითი ხარისხის ზედსართავებისა და საწყისების წყვილებისაგან შემდგარი ჰომოიოტელევტონები (erasmiw-teron ... timalfes-teron ... enoptr-izesqai ... akout-izesqia).¹⁹⁸

ალიტერაციის ხერხი გამოყენებულია ეფრემის ეპისტოლეშიც:

¹⁹⁶ *Oratio 1, Iber.* p. 9.

¹⁹⁷ Demoen, *The Attitude Towards Greek Poetry in the Verse of Gregory Nazianzen*, p. 235-252; ოთხმეზური, *პინდაროსი ძველ ქართულ მწერლობაში?* გვ. 210-217.

¹⁹⁸ *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 4, lin. 30-34.

- რამეთუ ანბანი ბერძულისა და ქართულისაჲ მათგან მისწავიეს შემდგომად ღმრთისა და მიერითგან რაჲცა-ღა ვისგან ვისწავლო, მას მათდადვე შევჰრაცხ, რამეთუ მათითა ენითა ვზრახავ და მათითა ყურითა მესმის და მათითა ჴელითა ვშურები. და უკუეთუ მათითავე ჩემდა დატევებულითა კეტებითა და უროებითა მათსა ახოდ გაკაფულსა და ლოდოვანობისაგან ყანობირ ქმნილსა შინა ადგილ-ადგილ სიმაშურალითა დაშთომილი მათდა ძირი ანუ კლდე აღმოვჰკაფო, ამას მათსა მათთაგან მათდავე შევსწირავ.¹⁹⁹

ეფრემი მათ ნაცვალსახელით „თამაშის“ საშუალებით საკმაოდ ძლიერ ალიტერაციურ ეფექტს აღწევს და მხატვრულ გავლენას ახდენს მკითხველზე. როგორც ცნობილია, ალიტერაციის ხერხის გამოყენებით არის შექმნილი გრიგოლის პროზის საუკეთესო მხატვრული პასაჟებიც.²⁰⁰

ამგვარი პარალელებისა თუ გავლენების შესახებ საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ: შუა საუკუნეების ავტორები არ ცდილობდნენ ყოფილიყვნენ ორიგინალურნი. მათი მიზანი უმთავრესად იყო არ ახლის შექმნა, არამედ კარგად დასწავლილის, ნაცნობის იმიტაცია.²⁰¹ შუა საუკუნეების აზროვნებისათვის ეს არ იყო პლაგიარიზმი ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით; ეს იყო მიბადვა (*mimesis*), რომელიც მწერლურ ნიჭად, განსაკუთრებულ უნარადაც კი იყო მიჩნეული იმის მიხედვით, თუ რამდენად შემოქმედებითად უდგებოდა ამ პროცესს ავტორი და რამდენად ოსტატურად ახერხებდა ალუზიებითა თუ რემინისცენციებით ოპერირებას, ძველი სახეების დაშლას და მათი ნაწილებისაგან ახლის, მხატვრულობის თვალსაზრისით, კვლავ ფასეულის აგებას.

ასეთია ბიზანტიური ესთეტიკა, ერთი მხრივ, გაუგებარი პლაგიარიზმის შესახებ დამკვიდრებული უარყოფითი აზრის გამო, ხოლო, მეორე მხრივ, დღევანდელ, პოსტმოდერნისტულ ესთეტიკაში გათვითცნობიერებული მკითხველისათვის – სავსებით გასაგები და ნაცნობი.²⁰²

¹⁹⁹ Cod. Jer. 43, 2r. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 148.

²⁰⁰ ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გვ. 314.

²⁰¹ Bourbouhakis, Nilsson, Byzantine Narrative: the Form of Storytelling in Byzantium, p. 263-274.

²⁰² Randall, “Imperial Plagiarism”, p. 131-140.

**კომენტართა შამცველი ქართული ხელნაწერები:
ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი გრიგოლ
ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების
კრებული**

ღვთისმეტყველის ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების – 16-სიტყვიანი კომენტირებული კრებულის ოთხი XII-XIV საუკუნეების ნუსხა არის ცნობილი. ესენია: *Jer.* 43, *Jer.* 15, A-109 და *Jer.* 13.¹

ბერძნულ ხელნაწერთა ტრადიციაში გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიების საერთო რიცხვიდან, 45 სიტყვიდან 16 ლიტურგიკული საკითხავის გამოყოფა და ცალკე კრებულად ჩამოყალიბება IX საუკუნიდან იწყება. ეს პროცესი კარგად ჩანს IX საუკუნის ხელნაწერის, *Paris. Gr.* 514-ის მაგალითზე, რომლის დასაწყისში გარკვეული თანამიმდევრობით არის დალაგებული 45 საკითხავიდან ამოკრებილი 16 საკითხავი.² გრიგოლის ამ საკითხავებს ბერძნულ მნიშვნობრულ ტრადიციაში *oi anaginwskomenoi logoi* – „საკითხავი სიტყვები“ (ქართული ტრადიციის მიხედვით, „ათექუსმეტი საღვთისაწაულო“, „ათექუსმეტი საეკლესიო“) ეწოდა. თემატიკის მიხედვით შერჩეული 16 ჰომილია საეკლესიო ღვთისმეტყველებზე ავსებდა სახარების საკითხავებს. დადგინდა საკითხავთა გარკვეული თანამიმდევრობაც, რომელიც შეესაბამებოდა საეკლესიო წლის ღვთისმეტყველების ციკლს.

¹ ხელნაწერთა დეტალური აღწერილობისათვის იხ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 133, 144, 151, 159; გრიგოლ ღვთისმეტყველის ქართული ხელნაწერების აღწერილობის შემოკლებული ვერსიისათვის იხ. Bregadze, Répertoire des manuscrits de la version géorgienne, p. 19-126.

² Galavaris, *The Illustrations of the Liturgical Homilies of Gregory Nazianzenus*, p. 10.

ნაულთა რიგს. სწორედ ეს კრებული თარგმნა ეფრემ მცირემ შავი მთის ბერის, კვირიკე ალექსანდრიელის დავალებით.³

საზოგადოდ, ქართულ ხელნაწერთა ტრადიციაში ეფრემ მცირის თარგმანების შემცველი კრებულები განსაკუთრებული მნიგნობრულობით გამოირჩევა. მდიდარი ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის წინასიტყვაობები თუ ბოლოსიტყვაობები, პინაქსები, პუნქტუაციის ნიშნებით გამართული ტექსტი, მდიდარი, მრავალფეროვანი მარგინალური ატრიბუტიკა ის თავისებურებებია, რომლებიც ეფრემისა და, საზოგადოდ, შავი მთის მნიგნობრული სკოლის ხელნაწერებს ახასიათებს. ამ ტიპის არის სწორედ გრიგოლის 16 ლიტურგიკული საკითხავის შემცველი კრებულებიც.

გრიგოლის ქართულ კრებულებზე, მათ სტრუქტურაზე დაკვირვება თვალნათლივ წარმოაჩენს ქართველი მნიგნობრის გრიგოლის კრებულებზე მუშაობის პროცესს, საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ გრიგოლის ქართული კრებულის შედგენის ეტაპები, მისი შექმნის ისტორია.

1. ლიტურგიკული საკითხავების შიმცველი კრებულის ტიპები

გრიგოლის 16-სიტყვიანი საკითხავების შემცველი ხელნაწერები შედგენილობის, აგრეთვე მთელი რიგი დეტალებისა და ატრიბუტიკის მიხედვით, ქმნის გრიგოლ ღვთისმეტყველის ქართული კრებულის ორ ტიპს, რომელთაგან ერთს პირობითად კვირიკესადმი მიძღვნილ კრებულს ვუნოდებთ მასში ჩართული ეფრემის წინასიტყვაობის (ეპისტოლის) მიხედვით – „ბერსა კვრიკეს მცირე ეფრემ“; ხოლო მეორეს – *Jer.* 13-ის ტიპს, რადგან ამ ხელნაწერმა შემოგვინახა კრებულის ეს სახე ყველაზე სრულად.

• კვირიკე ალექსანდრიელისადმი მიძღვნილი კრებული

კრებულმა მეტ-ნაკლებად სრული სახით ჩვენამდე *Jer.* 43 ხელნაწერის სახით მოაღწია. ეს არის XII საუკუნის ხელნაწერი, არც ისე დიდი

³ ამის შესახებ იხ. ეფრემ მცირის კოლოფონები *Cods. Jer.* 43, 1r-4r; A-292, 279v. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 147-149, 174.

ზომის – 284 x 215. შეიცავს შობის ციკლის მიხედვით დალაგებულ გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკულ სიტყვას, რომელსაც უძღვის:

– ეფრემ მცირის ეპისტოლე კვირიკე ბერის მიმართ (1r-4r) – ლიტურატურულ-ისტორიული ხასიათის წინასიტყვაობა;⁴

– იაზიკო აკროსტიხი კიდურწერილობით „გეორგი“ (4r) – გრიგოლისადმი მიძღვნილი 6-სტრიქონიანი ლექსი;

– თექვსმეტი ლიტურგიკული სიტყვის ზანდუკი (4v);

– მარგინალური ნიშნების – მზისთვალის, ვარსკვლავის, „შუენიერისა“ და „შეისწავეს“ განმარტებითი სქოლიო (4v);⁵

16 სიტყვას ბოლოში ერთვის:

– გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება“.⁶

– ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარები – გრიგოლის 43-ე და 39-ე საკითხავებში მოხსენიებულ ანტიკურ სახეთა განმარტებები.⁷

– ასეული იამბიკო – გრიგოლის იამბური ლექსების კომპილაციური ვერსია.⁸

16 ლიტურგიკულ საკითხავს შორის, კერძოდ, 43-ე საკითხავის, „ბასილი დიდის ეპიტაფიის“ შემდეგ ჩართულია გიორგი ათონელის მიერ ნათარგმნი ნიკიტა პაფლაგონელის „ბასილი დიდის ეპიტაფიის პარაფრასი“.⁹

⁴ ეფრემ მცირის ეპისტოლე კვირიკეს მიმართ არაერთხელ არის გამოცემული: ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 147-151; Esbroeck, Euthyme l' Hagiorite, p. 92-95; Rapava, Coulie, Les Colophons d' Ephrem Mtsire et les traductions Géorgiennes de Grégoire de Nazianze, p. 111-113; *Orationes* 1, 45, 44, 41, p. XXXII-XXXIX (ფრანგული თარგმანით); Doborjginidze, *Die georgische Sprache im Mittelalter*, s. 190-194 (გერმანული თარგმანით); თვალთვადე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 224-228.

⁵ ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 125-126.

⁶ CPG 7975.

⁷ *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica*, p. 192-277.

⁸ ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, გვ. 87-112.

⁹ ბეზარაშვილი, გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი „ნიკიტას პარაფრაზი“, გვ. 19-39. საზოგადოდ, ეფრემის კრებულებში სხვა მწიგნობრების თარგმანების გამოჩენა არ არის იშვიათი მოვლენა. მაგალითად, ექვთიმეს თარგმანებს ეხვდებით აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკურ კრებულში – S-1276 (XI ს.), იხ. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, გვ. 120. გრიგოლის არალიტურგიკულ

ხელნაწერი ბოლონაკლულია.

კრებულის აშეებზე მოთავსებულია გრიგოლის ჰომილიათა ბასილი მინიმუსის კომენტარები. მათ შემდეგი სტრუქტურა აქვს: ცალკეული კომენტარი შედგება სხვადასხვა სიდიდის განმარტებებისაგან, რომელთა რიცხვი თითოეულ კომენტარში სხვადასხვაა: 20-დან 150-მდე. კომენტართა უმეტესობა იწყება ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის მოკლე შესავლით (*upoqesi~ – argumentum – მიზეზი*), რომელშიც, უმეტესწილად, საუბარია საკითხავის შექმნის მიზეზზე, მისი წარმოთქმის დროსა და ადგილზე, ასევე სხვადასხვა რიგის რიტორიკულ-მხატვრულ საკითხებზე. კომენტარებს ახლავს ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის ნარკვევი – ბასილი მინიმუსის ეპისტოლე ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე პორფიროგენეტის მიმართ, რომელიც უძღვის 38-ე სიტყვის კომენტარს. აშეებზე მოთავსებული განმარტებები ტექნიკური ნიშნებით (ვარდული, სამკუთხედი, წრე და ა. შ.) უკავშირდება ძირითადი ტექსტის განსამარტავ სიტყვასა თუ პასაჟს. კომენტარები შესრულებულია ხელნაწერის ძირითადი ხელით, ოღონდ უფრო წვრილი ნუსხურით.

ხელნაწერის აშეებზე ასევე წარმოდგენილია მცირე სიდიდის შენიშვნები, რომლებიც, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ქართველ მწიგნობარს უნდა ეკუთვნოდეს; შენიშვნათა ეს ჯგუფი პალეოგრაფიულად არის გამიჯნული მათ გვერდიგვერდ, აშეებზე მოთავსებული ბასილი მინიმუსის კომენტარებისაგან. ქართველი მწიგნობრის შენიშვნები კიდევ უფრო წვრილი და ამასთანავე გაკრული ხელით არის შესრულებული, ფოტოპირის მიხედვით, სავარაუდოა, სინგურით (ნაწერი უფრო ფერმკრთალად გამოიყურება). ამ ტიპის შენიშვნებში პირველი სიტყვა, უმეტესწილად, არის ხოლმე „შეისწავე“, რომელიც მთავრული ასოებით, დაქარაგმებულად არის წარმოდგენილი: *შ~სქ* (შ~სწ) ან *შს~ქ* (შს~წე), ბასილი მინიმუსის იმ კომენტარებისაგან განსხვავებით, რომლებიც იშვიათად, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ამავე სიტყვით – *shmeiwsai – შეისწავეთ* იწყება; ბერძნული-

საკითხავებში თავად ეფრემის მიერ უნდა იყოს ჩართული გრიგოლის მე-4 საკითხავის დავით ტბელის თარგმანი, იხ. ეფრემ მცირის ანდერძი, რომელიც ერთვის გრიგოლის მე-4 ჰომილიის ტბელისეულ და მის საკუთარ თარგმანს A-292-ში: *დიდება ღმერთსა, ყოვლისავე სრულმყოფელსა, რამეთუ აჰა, „მეორეცა განქიქებაჲ ივლიანესი“ სრულ იქმნა „პირველსავე“ თანა დიდისა დავით ტბელისმიერსა, მცირისა ეფრემის მიერ თარგმნილი ბერძულისაგან (215v), ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 171.*

დან ნათარგმნ განმარტებებში ეს სიტყვა დაქარაგმების გარეშე, ნუსხური დანერვილობით, სრულად არის მოცემული: *შეისწავე*.

ხელნაწერის ძირითად ტექსტში შეინიშნება დიაკრიტიკული ნიშნები: ასოს მოკვეცის ნიშანი – (), სიტყვათა შემაერთებელი რკალი – (+), მკვეთრი მახვილი – ().¹⁰ საკითხავების ბოლოს აღნიშნულია სტიქომეტრია – მითითებულია მუხლების რაოდენობა საკითხავში.

Cod. Jer. 43

F. 1-4: *Epistula ad Kvirikem*; – f. 4v: *pinax, iamb., explanatio signorum marginalium*; – f. 5-13v: **19** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 14 – 23: **38** (*cum Epist. ad Constantinum Imp. VII Porphyrogenitum. arg. et schol. marg. Bas. Minim.*); – f. 23v – 76: **43** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 76 – 78v: *Nicetas*; – f. 78v – 90v: **39** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 91 – 123v: **40** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 124 – 127v: **11** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 127v – 148v: **21** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 148v – 165v: **42** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 166 – 189: **14** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 189 – 202v: **16** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 202v – 204v: **1** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 204v – 223: **45** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 223 – 229: **44** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 229 – 239: **41** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 239v – 248: **15** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 248 – 258: **24** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 258v – 289: *Vita*; – f. 289v – 295v: *in 43 Ps.-Nonniana Historiae mythologicae*; – f. 295v – 299: *in 39 Ps.-Nonniana Historiae Mythologicae*; – f. 300 – 307: *Iamb. vers.*

ამავე ტიპის კრებულს წარმოადგენს ეფრემის თარგმანების შემცველი კიდევ ორი ხელნაწერი – Jer. 15 (XII ს.) და A-109 (XIII ს.).

Jer. 15-ში ძირითადი ტექსტი, თავ-ბოლონაკლულობის გამო, გრიგოლის კრებულის პირველი საკითხავის, მე-19 ჰომილიის შუა ნაწილიდან იწყება და კრებულის პირველი დამატების, გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ

¹⁰ ამ ნიშნებისა და მათი ფუნქციის შესახებ ქართულ ხელნაწერში იხ. აქვე, გვ. 152-157.

ღვთისმეტყველის ცხოვრების“ შუაში წყდება. თავ-ბოლონაკლულია A-109-ის ადრინდელი, XIII საუკუნის ხელით შესრულებული ნაწილიც (საერთოდ, ამ ხელნაწერში ძირითად ხელთან ერთად დასტურდება კიდევ ორი ხელი: XIV-XV სს.-ისა და XVIII ს.-ის). ისიც იწყება მე-19 საკითხავით, რომლის დასაწყისი XVIII საუკუნეშია აღდგენილი, და წყდება კრებულის მესამე დამატების, ასეული იამბიკოს ბოლო ნაწილზე.

ორივე ნუსხა *Jer.* 43 ტიპის კრებულად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი მონაცემების მიხედვით: ორივე ხელნაწერის დღეისათვის შემორჩენილ ნაწილებში წარმოდგენილია მთელი ის დეტალები და ატრიბუტები, რომლებსაც *Jer.* 43-ში ვხვდებით. ესენია: აშიებზე მოთავსებული ბასილი მინიმუსის კომენტარები და ქართველი მწიგნობრის ის შენიშვნები, რომლებიც *Jer.* 43-შია. ნიშანდობლივია, რომ ისინი იმავე პალეოგრაფიული ნიშნით – მთავრული დაწერილობის დაქარაგმებული ႁႵႴႱ-თი არის გამიჯნული ბასილის კომენტარებისაგან. ამ შენიშვნების შესრულებისას *Jer.* 43-ის ფოტოპირით ნავარაუდები სინგურის გამოყენება A-109-ის მიხედვით დასტურდება. *Jer.* 15-სა და A-109-ში ვხვდებით დიაკრიტიკულ ნიშნებს ძირითად ტექსტში, სქოლიოს აღმნიშვნელ ტექნიკურ ნიშნებს (იხ. სურ. 1, გვ. 100) და სტიქომეტრიის მინიშნებას ჰომილიების ბოლოს. ამგვარი თანხვედრა, ვფიქრობთ, გვაძლევს ვარაუდის გამოთქმის საფუძველს, რომ *Jer.* 15-ისა და A-109-ის დღეისათვის დაკარგული დასაწყისი, *Jer.* 43-ის ანალოგიურად, შეიცავდა ეფრემის ეპისტოლეს კვირიკეს მიმართ, ზანდუკს, იამბიკოს აკროსტიქით „გეორგი“ და მარგინალურ ნიშანთა განმარტებით სქოლიოს. *Jer.* 15-ს, ისევე როგორც *Jer.* 43-სა და A-109-ს, ვფიქრობთ, ბოლოში, „გრიგოლის ცხოვრებასთან“ ერთად, ერთვოდა ფსევდონონეს კომენტარები (A-109-ში ამ თხზულების ნაწილი ამჟამად შეცდომით არის ჩაკინძული გრიგოლის 43-ე საკითხავის შუაში) და ასეული იამბიკო.

აღსანიშნავია, რომ ამ ორ ნუსხაში ბასილი მინიმუსის კომენტარების ტექსტი უფრო სრული სახითაა წარმოდგენილი, ვიდრე *Jer.* 43-ში.¹¹ აშკარაა, რომ *Jer.* 43-ს ახასიათებს აშიებზე მოთავსებული მასალის შემოკლების, შეკეცვის ტენდენცია, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, ამ ნუსხის მცირე მოცულობა (284×215) უნდა იყოს საკმაოდ დიდი ზომის ხელნაწერებთან, *Jer.* 15 (360×260) და A-109-თან (425×310) შედარებით.

¹¹ ამასთან დაკავშირებით იხ. პირველი და 39-ე სიტყვების ბასილი მინიმუსის კომენტართა გამოცემის სამეცნიერო აპარატი.



სურ. 1. cod. A-109, 27r.

სქოლიოთა აღმნიშვნელი ტექნიკური ნიშნები – 0, 1, 2 – სქოლიოთა დასაწყისსა და ძირითად ტექსტში (col. I, l. 17; col. II, l. 2; col. II, l. 13).

Cod. Jer. 15

[*Epistula ad Kvirikem, Pinax, Iamb., Explanation signorum marginalium*]; – f. 1-10: **19** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 11 – 21v: **38** (*cum Iamb., Epist. ad Constantinum Imp. VII Porphyrogenitum. arg. et schol. marg. Bas. Minim.*); – f. 22 – 76v: **43** (*cum Iamb., arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 77 – 79v: *Nicetas*; – f. 80 – 91v: **39** (*cum Iamb., arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 91v – 121v: **40** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 122 – 126: **11** (*cum Iamb., arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 126v – 146v: **21** (*cum Iamb., arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 147 – 164: **42** (*cum Iamb., arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 164 – 181v: **14** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 182 – 194v: **16** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 195 – 197v: **1** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 197 – 217: **45** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 217v – 224: **44** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 235 – 224: **44** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 224 – 234v: **41** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 235 – 244: **15** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 244v – 255: **24** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 255v – 282v: *Vita*; [in 43 et 39 *Ps.-Nonnianae Historiae Mythologicae*; *Iamb. vers.*

Cod. A-109:

[*Epistula ad Kvirikem, Pinax, Explanation signorum marginalium*]; – f. 2-8v: **19** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 9v – 16: **38** (*cum Epist. ad Constantinum Imp. VII Porphyrogenitum. arg. et schol. marg. Bas. Minim.*); – f. 16v – 41v, 51 – 70: **43** (*cum Iamb., arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 42 – 46: in **43** *Ps. Nonnianae Historiae Mythologicae*; – f. 46 – 50v, 266: in 39 *Ps. Nonnianae Historiae Mythologicae*; – f. 71 – 72v: *Nicetas*; – f. 74 – 84v: **39** (*cum Iamb., arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 84 – 116: **40** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 116 – 120: **11** (*cum Iamb., arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 121 – 139: **21** (*cum Iamb., arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 140 – 154v: **42** (*cum Iamb., arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 155 – 175: **14** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 176 – 187: **16** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 188 – 189: **1** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 190 – 204: **45** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 205 – 210: **44** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 211 – 219:

41 (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 220 – 227: **15** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 228 – 235v: **24** (*cum arg. et schol. mrg. Bas. Minim.*); – f. 236 – 262v: *Vita*; – f. 266 – 269v: *Iamb. vers.*

აქვე შევნიშნავთ, რომ კვირიკესადმი მიძღვნილი კრებულის ხელნაწერებში არის მცირე რაოდენობის დეტალები, რომლებიც მასში გვიანდელი შეტანილი უნდა იყოს. *Jer.* 15-სა და A-109-ში გრიგოლის რამდენიმე ჰომილიას (*Or.*: 38, 43, 39, 11, 21, 42) უძღვის იამბიკოები, რომლებიც გელათური სკოლის წარმომადგენელს უნდა ეკუთვნოდეს; ისინი ქართული წყაროდან – გვიანელინოფილურ სკოლაში შექმნილი ქრისტეფორე მიტილენელის გალექსილი პროლოგ-სვინაქსარის ტიპის ქართული პროლოგ-სვინაქსარიდან არის გადმოტანილი გრიგოლის კრებულში.¹² იამბიკოები ქართულ კრებულში, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გრიგოლის ბერძნული ხელნაწერული ტრადიციის ღრმა ცოდნითაა შეტანილი. გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერებშიც დასტურდება ჰომილიების წინ იამბიკოების დართვის საკმაოდ მკვიდრი ტრადიცია.¹³

გრიგოლის 16-სიტყვიან ეფრემისეულ კრებულში არის ასევე მარგინალური ნიშნების ერთი ჯგუფი, რომელიც ტერმინოლოგიურად კავშირს ავლენს გვიანელინოფილურ სკოლასთან. მაგალითად, *განიგეძე ესე შუენიერი, / განიგეძელა, მკითხველო, შუენიერებაჲ მაგალითისაჲ*;¹⁴ ისინიც მოგვიანებით უნდა იყოს ჩართული გრიგოლის 16-სიტყვიან კრებულებში.

• *Jer.* 13-ის ტიპის კრებული

მეტ-ნაკლებად სრული სახით გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული კრებულის ამ ტიპმა XIII-XIV სს.-ის ნუსხის, *Jer.* 13-ის სახით მოაღწია. ამ კრებულის აგებულება, რომელიც განსხვავდება კვირიკე ალექსანდრიელისადმი მიძღვნილი კრებულისაგან, ქმნის იმის საფუძველს, რომ მასზე ვიმსჯელოთ, როგორც დამოუკიდებელ ტიპზე.

¹² ბეზარაშვილი, გრიგოლ ღვთისმეტყველის ეფრემ მცირისეულ კრებულებზე დართული იამბიკოებისათვის, გვ. 253-263; ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, გვ. 542-559.

¹³ Macé, Somers, *Sur la beauté du livre et la contemplation du Divin*, p. 51-68.

¹⁴ ეს მოსაზრება გამოთქმული აქვს ე. ჭელიძეს.

Jer. 13 თავ-ბოლო ნაკლული კრებულია, ზომა: 364 × 251, გადამწერი – ვინმე გიორგი ქვიტირელი. იწყება გრიგოლის 16-სიტყვიანი კრებულის პირველი საკითხავის, *Or.* 19-ის შუა ნაწილიდან, რასაც მოსდევს დანარჩენი თხუთმეტი საკითხავი იმავე თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც ეს სიტყვები კვირიკესადმი მიძღვნილ კრებულშია დალაგებული. თექვსმეტი ლიტურგიკული საკითხავის შემდეგ *Jer.* 13-ში თავს იჩენს ის სპეციფიკური ნიშნები, რომლებითაც ის სხვაობს კვირიკეს კრებულისაგან:

– ეფრემის კოლოფონი – ე. წ. *ბოლოჲსა ანდერძი*¹⁵ (250r) – ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის მცირე ზომის ტექსტი, კვირიკესადმი მიძღვნილი ეპისტოლის კონსპექტური ვერსია. ინფორმაციული თვალსაზრისით ეს ანდერძი კრებულში ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც კვირიკეს ეპისტოლე – *Jer.* 43-ში.

– სოფრონ იერუსალიმელის „გრიგოლ ღვთისმეტყველის შესხმა“¹⁶ (250v-277r). ამ თხზულებას კრებულში იგივე დანიშნულება აქვს, რაც გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრებას“ კვირიკესადმი მიძღვნილ კრებულში.

– გრიგოლ ღვთისმეტყველისადმი მიძღვნილი ეფრემ მცირის აკროსტიხი, რომლის კიდურწერილობაში იკითხება ავტორის სახელი (277v-278v).¹⁷

ყოველივე ამას მოსდევს თექვსმეტი ლიტურგიკული სიტყვის ბასილი მინიმუსის კომენტარები გაბმული ტექსტის სახით; კომენტარები იმავე თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი, როგორც გრიგოლის ჰომილიები კრებულის პირველ ნაწილში:

¹⁵ თავისა და ბოლოჲსა ანდერძების შესახებ იხ. თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 74-76.

¹⁶ სოფრონ იერუსალიმელის ამ თხზულების ბერძნული დედანი დაკარგულად არის მიჩნეული. მან ქართული (ეფრემისეული) თარგმანით მოაღწია ჩვენამდე. ქართულ მნიგნობრულ ტრადიციაში ეს თხზულება კიდევ ერთ ხელნაწერში, ეფრემის ავტოგრაფად ცნობილ კრებულში – S-1276-ში არის დაცული, იხ. მარგაიანი, სოფრონ იერუსალიმელის „სიტყუაჲ შესხმისაჲ წმიდისათჳს და დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა“, გვ. 131-143.

¹⁷ გამოცემულია თ. ბრეგადის მიერ cod. A-292-ის მიხედვით, იხ. ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 180-181.

Cod. Jer. 13:

F. 279-284 r: in **19** *arg. et schol. Bas. Minim.*; – f. 284r – 298v: *Epist. ad Constantinum Imp. VII Porphyrogenitum*, in **38** *arg. et schol. Bas. Minim.*; – f. 299r – 322r: in **43** *arg. et schol. Bas. Minim.*; – f. 322 r -328 r: in **39** *arg. et schol. Bas. Minim.*; – f. 328r-336v: in **40** *arg. et schol. Bas. Minim.*; – f. 336v -338r: in **11** *arg. et schol. Bas. Minim.*; – f. 338r -346 v: in **21** *arg. et schol. Bas. Minim.*; – f. 346v – 355 v: in **42** *arg. et schol. Bas. Minim.*; – f. 355 v – 361 v: in **14** *arg. et schol. Bas. Minim.*; – f. 361 v – 364 r: in **16** *arg. et schol. Bas. Minim.*; – f. 364 – 365 v: in **1** *arg. et schol. Bas. Minim.*; – f. 365 v – 372 v: in **45** *arg. et schol. Bas. Minim.*; – f. 372 v – 380 v: in **44** *arg. et schol. Bas. Minim.*; – f. 381 – 384 v: in **41** *arg. et schol. Bas. Minim.*

ხელნაწერი წყდება 41-ე სიტყვის კომენტარის შუა ნაწილზე. გარდა ამ კომენტარის დაბოლოებისა, ნუსხას აკლია მე-15 და 24-ე სიტყვათა კომენტარები.

Jer. 13-ს, კვირიკეს კრებულის მსგავსად, აშეიშვე ახლავს ქართველი მნიშვნობის განმარტებითი ხასიათის შენიშვნები. ისინი ეხება როგორც გრიგოლის, ისე კომენტარების ტექსტს. ერთი მხრივ, *Jer.* 43-ის, *Jer.* 15-ის და *A-109*-ის, ხოლო, მეორე მხრივ, *Jer.* 13-ის შენიშვნათა შესწავლამ გამოავლინა შემდეგი: ოთხივე კრებულს აქვს შენიშვნათა ერთი და იგივე ფენა, ე. ი. შენიშვნები, რომლებსაც ვხვდებით როგორც *Jer.* 43-ში, *Jer.* 15-სა და *A-109*-ში, ისე *Jer.* 13-ში. ესენია:

- შეისწავე, „თავთმნდე“ ახლად სიტყუად, მოკლედ ამის წილ, ვითარმედ „მინდობილ იყვნეს თავთა თჳსთა“ (*Jer.* 15, 165v; *Jer.* 13, 135r).

- შეისწავე, ვითარმედ ვარიაჲ არს უკმოსაზიდავი, არა ქარაგმაჲ (*A-109*, 157; *Jer.* 13, 137v).

- შეისწავე, რამეთუ სხუათა ბერძულთა დედათა ... (*Jer.* 15, 226v; *A-109*, 212v, *Jer.* 13, 213r).

- თარგმანი იტყჳს ეფრემ, ხოლო სხუასა დედასა – „სულისა აღდგომილებაჲ“ (*Jer.* 15, 254r, *Jer.* 13, 248r)

გარდა ამისა, არსებობს ისეთი ჯგუფი შენიშვნებისა, რომელიც დასტურდება მხოლოდ *Jer.* 43-ში, *Jer.* 15-სა და *A-109*-ში. ესენია:

- შეისწავე, რამეთუ ანთროპოს კაცად გამოითარგმანების ... (*Jer.* 15, 93v, *Jer.* 43, 93v, *A-109*, 87v).

- შეისწავე, ამიერითგან რასა სწავლულებისათჳს სიტყჳსმწერლობს მოძღუარი (*Jer.* 15, 28v, *A-109*, 21v).

- შეისწავე, თუ რაჲ მიიღეს მოძღუართა სასწავლოთაგან (*Jer.* 15, 29r, A-109, 21v).

დაბოლოს, არსებობს შენიშვნების ისეთი ჯგუფი, რომელსაც მხოლოდ *Jer.* 13-ში ვხვდებით. ესენია:

- შეისწავე, ნაცვალად „მიიღე სწავლისა“ „იმჯუღვი სწავლაჲ“ (*Jer.* 13, 77r).

- შეისწავენ, შვდნი ასონი უგმონი (*Jer.* 13, 188r).

- შეისწავე, „ვითარ სიტყუაჲ“, ესე-იგი „ვითარ სიტყუაჲ აბესალომისი მოვალსო“ (*Jer.* 13, 97v).

ამასთანავე, ზოგიერთი შენიშვნა, რომელიც ოთხივე კრებულშია, *Jer.* 13-ში შემოკლებულად არის მოცემული. მაგალითად:

- შეისწავე, რამეთუ ბერძულ არს სიტყუაჲ ესე პიტვ, არა დიდი ხე, არამედ მცირე კიცვ ფიჭვსაჲ უზარდი (*Jer.* 15, 151v, *Jer.* 43, 152v, A-109, 143v), შდრ. შეისწავე, ბერძულ – პიტვ, ხოლო ქართულ – კიცუ ფიჭვსა (*Jer.* 13, 119r).

ეს განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც აშკარად იკვეთება კომენტარებული კრებულების კვლევისას, საშუალებას იძლევა, დავაჯგუფოთ გრიგოლის ლიტურგიკული კრებულის ეფრემისეული თარგმანების შემცველი დანარჩენი ნუსხებიც. ამ პრინციპის მიხედვით, *Jer.* 8 (XII ს.) მიეკუთვნება *Jer.* 13-ის ტიპის კრებულს. მასში წარმოდგენილია შენიშვნათა ზუსტად ის ჯგუფი, რომელიც მოცემულია *Jer.* 13-ში და არ დასტურდება *Jer.* 43, *Jer.* 15-სა და A-109-ში.

Jer. 13-ის ტიპის კრებულს უკავშირდება ასევე *Sin.* 79 (XII-XIII სს.). ეს ნაკლული კრებული თექვსმეტი ჰომილიიდან დღეს მხოლოდ ხუთს შეიცავს. აშეიბზე შემორჩენილია ერთადერთი მარგინალური შენიშვნა, რომელიც მხოლოდ *Jer.* 13-ის ტიპის კრებულშია დადასტურებული. ამ ტიპთან ახლოს უნდა იდგეს A-1490 (XII-XIII სს.). მართალია, ამ ხელნაწერის აშეიბზე მოთავსებულ შენიშვნათა დიდი ნაწილი დღეისათვის დაზიანებულია და არ იკითხება, მაგრამ შემორჩენილი შენიშვნები აშკარად მიუთითებს მის კავშირს *Jer.* 13-ის ტიპის კრებულთან. სპეციფიკურობით გამოირჩევა ამ კრებულის დანართი, რომელიც შეიცავს გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრებას“ და ფსევდონონეს კომენტარებს, რითაც ის სხვაობს *Jer.* 13-ის ტიპისაგან და თითქოს უახლოვდება კვირიკესადმი მიძღვნილ კრებულს, თუმცა ფსევდონონეს

კომენტართა შედგენილობის მიხედვით ამ ტიპის კრებულისაგანაც განსხვავდება.¹⁸

მარგინალური შენიშვნების მიხედვით, *Jer.* 13-ის ტიპის კრებულთან ასევე ახლოს დგას *K-9* (XIII ს.),¹⁹ თუმცა *Jer.* 13-საგან განსხვავებით, 16 ლიტურგიკულ საკითხავს ამ ხელნაწერში ერთვის გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება“ (შევნიშნავთ, რომ *Jer.* 13-ის ტიპის კრებულებიდან მხოლოდ *Jer.* 13 შეიცავს სოფრონ იერუსალიმელის „გრიგოლ ღვთისმეტყველის შესხმას“, გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრების“ ნაცვლად).

Jer. 13-ის ტიპის არის ასევე გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ და არალიტურგიკულ საკითხავთა შემცველი გვიანდელი კრებულის, *A-292*-ის (1800 წ.) პირველი ნაწილი, რომელიც გრიგოლის 16 ლიტურგიკულ სიტყვას შეიცავს. ნუსხის ამ ნაწილში ძირითადად ის მარგინალური შენიშვნებია წარმოდგენილი, რომლებიც *Jer.* 13-ის ტიპის კრებულებში დასტურდება. თუმცა ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მათ გვერდით მანამდე უცნობ შენიშვნებსაც ვხვდებით, რომლებიც, როგორც ჩანს, გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავების ეფრემისული თარგმანის კრებულს მოგვიანებით შეემატა.

რაც შეეხება ბასილის კომენტარებს, ისინი *Jer.* 13-ის ტიპის კრებულებიდან მხოლოდ *Jer.* 13-შია დაცული კრებულის ბოლოს, გაბმული ტექსტის სახით. ამ ტიპის სხვა ხელნაწერებში ბასილის კომენტარები საერთოდ არ ჩანს. მართალია, *Jer.* 13-ის ტიპის კრებულები, ძირითადად, ბოლონაკლულია, მაგრამ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, შეიცავდნენ თუ

¹⁸ ფსევდონონეს კომენტარების შედგენილობა *A-1490*-ის მიხედვით შემდეგია: 39-ე საკითხავის კომენტარი (მოკლე რედაქცია), 43-ე საკითხავის კომენტარი და მე-4 (არალიტურგიკული) საკითხავის კომენტარი. ეს ბოლონაკლული კრებული, სავარაუდოდ, შეიცავდა ასევე მე-5 საკითხავის კომენტარსაც, რომლის ტექსტის აღდგენა ხერხდება 39-ე საკითხავის მოკლე და ვრცელი რედაქციების, აგრეთვე დავით ბატონიშვილის „მითოლოგიური ლექსიკონის“ მიხედვით, იხ. *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica*, p. XXXI.

¹⁹ *K* ლიტერით აღვნიშნავთ ქუთაისის კოლექციის ხელნაწერებს. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 158. აღწერილობაში არ არის მითითებული ხელნაწერში მარგინალური ატრიბუტიკის არსებობა. ქუთაისის მუზეუმში დაცული ამ ხელნაწერის ადგილზე შესწავლის შედეგად გამოვლინდა ის დეტალები, რომლებიც იძლევა მისი დაკავშირების საშუალებას *Jer.* 13-ის ტიპთან.

არა ისინი თავიდან კომენტარებს. შესაძლოა, გრიგოლის კრებულის ეს არაძირითადი ნაწილი მალევე ჩამოშორდა *Jer.* 13-ის ტიპის კრებულს და გრიგოლის 16 საკითხავი იმთავითვე გადაიწერა და გავრცელდა კომენტარების გარეშე.

2. კომენტარული ტექსტის ტექნიკური გაფორმება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვირიკესადმი მიძღვნილი კრებულისა და *Jer.* 13-ის ტიპის კრებულის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ბასილი მინიმუსის კომენტართა ადგილმდებარეობაა ხელნაწერებში: *Jer.* 43-ში, *Jer.* 15-სა და A-109-ში კომენტარები აშიებზეა მოთავსებული, ხოლო *Jer.* 13-ში – კრებულის ბოლოს.

ამ კუთხით ბერძნულ ტრადიციაში შემდეგი სურათია: არსებობს გრიგოლის ჰომილიათა ბასილის კომენტარების შემცველი ორი ტიპის კრებული – გრიგოლის საკითხავთა კრებულები, რომლებშიც ბასილის კომენტარები გრიგოლის საკითხავებს აშიებზე ერთვის, და ბასილის კომენტართა კრებულები, ე. წ. ლემებიანი ხელნაწერები, რომლებშიც ჰომილიიდან ამოღებულ განსამარტავ ფრაზას (*lemma*-ს), ბასილის განმარტებები გაბმული ტექსტის სახით მისდევს.²⁰

ამგვარად, კვირიკესადმი მიძღვნილ კრებულში კომენტარების აშიებზე განლაგებას საფუძვლად ბიზანტიური / ბერძნული ტრადიცია უდევს; *Jer.* 13-ში გრიგოლის 16 საკითხავის შემდეგ კომენტარების განთავსებას კი ანალოგი ბერძნულ ტრადიციაში არ ეძებნება.

საზოგადოდ, ვრცელი კომენტარული ტექსტების განლაგება ხელნაწერი წიგნის აშიაზე შედარებით გვიანდელი მოვლენაა. თუ ელინისტური ეპოქის ხელნაწერებში აშიებზე მხოლოდ მოკლე შენიშვნები და პირობითი ნიშნები იყო დასმული, ხოლო ტექსტის კომენტარი ცალკე იყო მოთავსებული, ბიზანტიურ ხელნაწერში მაიუსკულური დამწერლობის უფრო ეკონომიური დამწერლობით, მინუსკულით შეცვლის შედეგად, შე-

²⁰ Sajdak, *Historia Critica Scholiastarum*, p. 37-59; Cantarella, *Basilio Minimo*, I, p. 295-297. კანტარელა ბასილი მინიმუსის კომენტართა ხელნაწერებთან ერთად განიხილავს და მესამე ჯგუფად გამოჰყოფს ე. წ. *Sylloge*-ს, რომელშიც ბასილის კომენტარებთან ერთად წარმოდგენილია გრიგოლის თხზულებათა სხვა კომენტატორების – მაქსიმე აღმსარებლის, გიორგი მოკენუსის, თეოფილეს განმარტებებიც. ლემატიზაციის პრინციპზე ბასილი მინიმუსთან იხ. აქვე, გვ. 22.

საძლებელი გახდა კომენტარისათვის სკოლიოს ფორმის მიცემა – მისი განლაგება ხელნაწერის აშიაზე.²¹

ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში პირველი ცნობა კომენტირებული კრებულის ქართულად თარგმნის შესახებ ეფრემ მცირის პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ანდერძშია წარმოდგენილი და ექვთიმე ათონელის სახელს უკავშირდება. ამ ცნობის მიხედვით, ექვთიმეს *მცირედ ნაკლულ* – ნაკლული სახით უთარგმნია კირილე ალექსანდრიელის კომპილაციური ნაშრომი – *პავლეს თარგმანად გარემონერილი წიგნი*, ანუ პავლეს ეპისტოლეთა წიგნი კომენტარებით აშიებზე.²² თუმცა არ არის ცნობილი, იყო თუ არა ეს თხზულება ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში წარმოდგენილი იმ სახით, რა სახეც მას, ეფრემის აღწერით, ბერძნულ ტრადიციაში ჰქონდა, ანუ იყო თუ არა ის კომენტარებით *გარემონერილი წიგნი*, რადგან ექვთიმეს ამ თარგმანის შემცველ დღეისათვის ცნობილ ერთადერთ ხელნაწერში – *Ath.* 39-ში (XI ს.) – კომენტარებს ხელნაწერი გვერდის ცენტრალური ნაწილი უკავია.²³ საზოგადოდაც, ათონური თუ ათონამდელი ტრადიციის ქართულ ხელნაწერებში ეგზეგეტიკურ ტექსტებს ყოველთვის გვერდის ცენტრალური ნაწილი უჭირავს: განსამარტავი ტექსტიდან მოყვანილ ლემას – ბიბლიურ პასაჟს, რომელიც, კომენტარისა და ძირითადი ტექსტის ერთმანეთისაგან გამიჯვნის მიზნით, ხშირ შემთხვევაში მთავრულით არის შესრულებული, მოსდევს ნუსხურით ნაწერი განმარტება.²⁴

ასე რომ, ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში კომენტარული ხასიათის ტექსტების აშიებზე მოთავსების ტრადიცია პირველად შავი მთის მწიგნობრულ წრეში, კერძოდ, კომენტარული ხასიათის ტექსტების ეფრემისეული თარგმანების შემცველ ხელნაწერებში იჩენს თავს. ეს ხელნაწერებია სწორედ გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული საკითხავისა და ბასილი მინიმუსის კომენტარების, ასე-

²¹ Wilson, *The Relation of Text and Commentary in Greek Books*, p. 103; Nimmo Smith, *The Early Scholia on the Sermons of Gregory of Nazianzus*, p. 76-77.

²² თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 210.

²³ *პავლეს ეპისტოლეთა განმარტება*, გვ. 322-325.

²⁴ ასეთი ვითარებაა, მაგალითად, იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტების ექვთიმესეული თარგმანის შემცველ ხელნაწერებში: *Ath.* 13, 4, 10, XI ს.

ვე არეოპაგიტული კორპუსისა და მისი კომენტარების²⁵ ეფრემისეული თარგმანების კრებულები.

საზოგადოდ, ეფრემი თავის კოლოფონებში საკმაოდ ბევრს მსჯელობს ტექსტის აშიაზე განლაგების შესახებ, რაც, როგორც ჩანს, ეტაპობრივი პროცესი იყო. ხელნაწერის აშიაზე მოთავსებულ კომენტარებს „გარდამოცემის“ ანდერძში ის *კიდესა წარწერილ თარგმანებს* უწოდებს, რომლებსაც, წარმომავლობის მიხედვით, ორ ჯგუფად ყოფს: ერთია *ზეპირით დაწერილი*, ანუ მთარგმნელის შენიშვნები,²⁶ ხოლო მეორე – *დედისაგან*, ანუ სათარგმნი ტექსტის დედნიდან მომდინარე განმარტებები, რომლებიც ძირითად ტექსტთან ერთად ითარგმნება ხოლმე.

ეფრემის კოლოფონებში ასევე აქტუალური საკითხია მარგინალური სივრცე და მისი გამოყენება. ეფრემი კარგად ხედავს ამ სივრცის გამოყენების აუცილებლობას ისეთ კომპლექსურ პროცესში, როგორიც ლიტერალური თარგმანის შექმნაა. მისი ანდერძებიდან ისიც ჩანს, რომ აშეიბზე ტექსტის განლაგება იმდროინდელი ქართველი მწიგნობრისათვის რთულად გადასაწყვეტი ტექნიკური ამოცანა იყო. პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების კოლოფონში ეფრემი საუბრობს კირილე ალექსანდრიელის მიერ შედგენილ პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ბერძნული ხელნაწერის შესახებ, რომელშიც პავლეს ეპისტოლეთა ტექსტს *მოთხვითად მოწერილი*, ანუ გარშემო ჰქონდა შემოწერილი სხვადასხვა ავტორთა განმარტებები, რის გამოც ეფრემი მას *პავლე თარგმანიანს* უწოდებს. (ეს არის ქართულ წყაროში დაცული თავისთავად უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პირველი კატენური კომენტარების შედგენა უკავშირდება V საუკუნის ავტორს, კირილე ალექსანდრიელს. ბიზანტიური წყაროების მიხედვით, პირველი კატენური კომენტარების ავტორად VI საუკუნის მოღვაწე, პროკოფი ლაზელია მიჩნეული).²⁷ ეფრემის შენიშვნით, ბერძნულ ხელნაწერში განსამარტავი პასაჟი აშიაზე მოთავსებულ შესაბამის განმარტებასთან საგანგებო ნიშნებით – *რიცხვთა ოდენ და ნიშნითა* – არის დაკავშირებული. ეს იმ ტიპის კრებულია, რომელიც ასევე ხელთ ჰქონდა ექვთიმეს პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების თარგმნისას.

²⁵ მაგალითად, cods. A-110 (XII ს.), A-684 (XI ს.) და სხვ.

²⁶ *ზეპირით დაწერილი* თარგმანებების შესახებ იხ. აქვე, გვ. 136-137.

²⁷ თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 145, 164.

ეფრემი ასევე საუბრობს აშიაზე კომენტარის მოთავსების უპირატესობაზე – ეს საჭიროა იმისათვის, რომ განსამარტავი ტექსტი და მისი თარგმანება მთლიანობაში იყოს აღქმული:

ხოლო გარემონერაჲ იგი ამისთჳს უქმნია, რაჲთა არა განი-
კუეთოს სამოციქულო სიტყუაჲ.²⁸

მიუხედავად იმისა, რომ ეფრემი კარგად ხედავს ხელნაწერში ძირითადი ტექსტისა და კომენტარის ერთ გვერდზე წარმოდგენის უპირატესობას, მას პავლეს ეპისტოლეთა კომენტარები ქართულ ხელნაწერში არ გადმოაქვს იმ სახით, რა სახითაც ისინი წარმოდგენილია ბერძნულში. მთარგმნელი ამას შემდეგნაირად ხსნის:

ვინაჲთგან გარემონერილი იგი პატივთა და რიცხუთა საძიებელი საეკლესიოდ საკითხავად და საწერელადცა ძნელ იყო, ამისთჳს ვითა თვთ წმიდისა იოანე ოქროპირისა დიდთა თარგმანთა შინა არს მართლ განყობილ, ეგრეთ უმჯობესად წამეს ბერთა ჩუენთა და იგი მოთხვითად მონერილი წმიდისა კკრილეს მიერ მართლ გავანყვეთ უადვილესობად მწერალთა და მკითხველთა.²⁹

ამგვარად, ეფრემს ქართველ ბერთა რჩევით, საეკლესიო ხმარებისა და მომავალი გადამწერებისათვის საქმის გაიოლების მიზნით, სამოციქულოს კომენტარი, ბერძნული ხელნაწერული ტრადიციის საპირისპიროდ, ქართულ ხელნაწერში გაბმული ტექსტის სახით გადმოუტანია; თუმცა აქვე ეფრემი ბერძნულ ტრადიციასაც იმონმებს, რომლის მიხედვით, იოანე ოქროპირის კომენტარების ვრცელი ვერსია, რომელსაც ეფუძნებოდა კირილეს კომპილაციური შრომა, ასევე მართლ განყობილი ყოფილა.

სხვა ტაქტიკას მიმართავს ეფრემი არეოპაგიტული კორპუსის კომენტარული ნაწილის გაფორმებისას; არეოპაგიტული კორპუსის კომენტარები ხელნაწერის აშეებზე გარემონერის ტექნიკით არის განთავსებული, ე. ი. შენარჩუნებულია ბერძნული ხელნაწერის ფორმა; თუმცა ამის გამო ეფრემი იძულებული გამხდარა, შეემოკლებინა კომენტარები:

²⁸ Cod. Ath. 18, f. 236; პავლეს ეპისტოლეთა კოლოფონი, თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 211.

²⁹ Cod. Ath. 18, f. 237; პავლეს ეპისტოლეთა კოლოფონი, თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 212.

თავ-თავიდან შევამოკლეთ განმარტებაჲ, რაოდენი იტევდა გარემონერაჲ წიგნისაჲ და თარგმანებაჲ.³⁰

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაშიც ეფრემი მოქმედებდა ბერძენი მწიგნობრის, პროკოფი ღაზელის მსგავსად, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნული ტრადიციის მიხედვით, მიენერება ბიბლიის პირველი კომპილაციური ხასიათის ეგზეგეტიკური კრებულის შექმნა. როგორც მისი ნაშრომის შესავლიდან ირკვევა, თავისი კომპილაციური ნაშრომის შედგენისას ის ამოკლებდა სხვადასხვა ავტორთა თხზულებებიდან თუ ბიბლიის კომენტარებიდან ამოკრებილ პასაჟებს;³¹ არ არის გამორიცხული, რომ პროკოფი ღაზელი ამას აკეთებდა ხელნაწერ წიგნში სწორედ ტექნიკური პრობლემების გადასაჭრელად.

გრიგოლის 16-სიტყვიანი კომენტირებული კრებულის წინათქმაში – ეფრემის ეპისტოლეში კვირიკეს მიმართ – არაფერია ნათქვამი ამ კრებულში კომენტართა განლაგებისა თუ მათი ადგილმდებარეობის შესახებ, თუმცა ეფრემი არაერთხელ მიაწიშნებს, რომ გრიგოლის თხზულებებზე მუშაობისას მისთვის ამოსავალი ბერძნული მასალაა, ხოლო მიზანი – ისეთი ქართული კრებულის შექმნა, რომელიც ბერძნულის ანალოგიური იქნებოდა როგორც ენობრივად, ისე ფორმითაც, სტრუქტურულადაც.

მართლაც, გრიგოლის 16-სიტყვიანი კომენტირებული კრებულის ორი ტიპიდან გრიგოლის ბერძნულ 16-სიტყვიან კომენტირებულ კრებულებთან როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმით, ძალიან ახლოს დგას კვირიკესადმი მიძღვნილი კრებული. მის ყველა ნაწილსა თუ დეტალს ბერძნულ ხელნაწერებში ეძებნება ანალოგი. მართალია, XI-XII საუკუნეების ბერძნულ ტრადიციაში უფრო დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი აღდგომის საეკლესიო კალენდრის მიხედვით დალაგებული გრიგოლის 16 ლიტურგიკული სიტყვის კრებულები, მაგრამ მათ გვერდით, კვირიკესადმი მიძღვნილი კრებულის მსგავს, შობის კალენდერზე განწყობილ გრიგოლის ლიტურგიკულ კრებულებსაც ვხვდებით;³² გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება“ და ფსევდო-

³⁰ Cod. A-110, f. 1-8; თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 222. შემოკლების შემთხვევები იხ. *ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ*, გვ. 15, 21, 27, 32, 33, 39, 43, 45, 50 და სხვ.

³¹ *suneidon nun pro~ metron eustale~ sunelein thn gra fh~* – Nimmo Smith, *The Early Scholia on the Sermons of Gregory of Nazianzus*, p. 76-77.

³² გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შემცველ ბერძნულ ხელნაწერებთან დაკავშირებით იხ. Mossay, *Repertorium Nazianzenum, Orationes, Textus Graecus*, 1-6.

ნონეს მითოლოგიური კომენტარები გრიგოლის ბერძნული კრებულების, როგორც ლიტურგიკულ საკითხავთა, ისე შერეულ ხელნაწერთა ტიპური დანართებია;³³ აღნუსხულია ათობით XI-XII სს. ბერძნული ხელნაწერი, რომლებშიც ბასილი მინიმუსის კომენტარები აშიებზე ერთვის გრიგოლის ტექსტს;³⁴ სტიქომეტრიაც ქართულ ხელნაწერებში მითითებულია ბერძნულის ანალოგიით და ჰომილიებში მუხლების რაოდენობა ხშირად ემთხვევა ხოლმე ბერძნულს;³⁵ ბერძნულ ხელნაწერებში ეძებნება შესატყვისი მარგინალურ ნიშანთა განმარტებით სქოლიოსა და მარგინალურ ნიშნებს;³⁶ რაც შეეხება იამბიკოს აკროსტიხით „გეორგი“, რომელიც *Jer.* 43-ში, კრებულის დასაწყისში, ეფრემის ეპისტოლის შემდეგ არის მოთავსებული, ისიც ბერძნულიდან ჩანს თარგმნილი და იმ ბერძნული ნუსხიდან უნდა იყოს გადმოსული ქართულ კრებულში, საიდანაც ითარგმნა გრიგოლის ჰომილიები. აკროსტიხიანი ლექსების მოთავსება გრიგოლის კრებულის დასაწყისში (აკროსტიხში უმეტესწილად კრებულის დამკვეთის სახელია ხოლმე წარმოდგენილი) გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერებში დადასტურებული მოვლენაა.³⁷ თავის მხრივ, ნიკიტა პაფლაგონელის „პარაფრასის“ არსებობა გრიგოლის კრებულებში იშვიათი, მაგრამ ასევე დადასტურებული ფაქტია.³⁸

ამგვარად, კვირიკესადმი მიძღვნილი კრებული XI-XII საუკუნეების გრიგოლის ბერძნული კომენტირებული კრებულების ანალოგიით არის

³³ გრიგოლ ღვთისმეტყველის ბერძნულ ხელნაწერთა აღწერილობებში იხ. Hist. myth. in 4, 5, 39, 43 / Ps.-Nonnianæ *Historiæ mythologicæ* in 4, 5, 39, 43, Mossay, *Repertorium Nazianzenum, Orationes, Textus Graecus*, 1-6; *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii*, p. 15-19.

³⁴ Schmidt, *Les Commentaires de Basile le Minime*, p. 155-181.

³⁵ Somers, *La stichométrie des collections complètes des Discours de Grégoire de Nazianze*, p. 44.

³⁶ Astruc, *Remarque sur les signes marginaux de certains manuscrits de S. Grégoire de Nazianze*, p. 289-295.

³⁷ გრიგოლ ღვთისმეტყველის ბერძნულ ხელნაწერთა აღწერილობებში იხ. Epigramma dedicatorium in S. Gregorium Nazianzenum – Mossay, *Repertorium Nazianzenum, Orationes, Textus Graecus*, 1-6; ასევე Somers, *Histoire des collections complètes des discours de Grégoire de Nazianze*; რაფავა, ეფრემ მცირის კრებულების შედგენილობისათვის, გვ. 77. ბეზარაშვილი, გრიგოლ ღვთისმეტყველის ეფრემ მცირისეულ კრებულებზე დართული იამბიკოებისათვის, გვ. 253-263.

³⁸ ბეზარაშვილი, გიორგი მთანმინდელის მიერ ნათარგმნი „ნიკიტას პარაფრაზი“, გვ. 19-39.

შედგენილი, თუმცა უშუალოდ ბერძნულ ხელნაწერულ ტრადიციაში ისეთი კომპლექსური, სრული კორპუსი, როგორიც ქართული 16-სიტყვიანი კრებულია, არ ჩანს. ეს გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ კვირიკესადმი მიძღვნილი კრებული ქართულ მნიგნობრულ ტრადიციაშია შედგენილი, გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერთა ტრადიციის ღრმა ცოდნითა და გათვალისწინებით. კრებულს ბიზანტინიზებულ სახეს, მარგინალიებზე განლაგებულ სქოლიოებთან ერთად, აძლევს ბიზანტიელ ავტორთა პროოიმიონის ტიპის ეფრემ მცირის შესავალი – ეპისტოლე კვირიკე ალექსანდრიელისადმი, რომელიც აშკარად ატარებს ამავე კრებულში დაცული ბასილი მინიმუსის კონსტანტინე იმპერატორისადმი მიმართული ეპისტოლის გავლენის კვალს.³⁹

კვირიკესადმი მიძღვნილ კრებულთან შედარებით, *Jer.* 13-ის ტიპი გამოიყურება როგორც ე. წ. სამუშაო ეგზემპლარი, 16-სიტყვიანი კრებულის ის ფორმა, რომელიც მას ჰქონდა უშუალოდ ეფრემის ხელიდან გამოსვლისას. *Jer.* 13-ის ტიპი კრებულზე მუშაობის ის ეტაპი უნდა იყოს, როდესაც გრიგოლის 16-სიტყვიან კრებულს ქართულ ტრადიციაში ჯერ კიდევ არა აქვს მიღებული თავისი საბოლოო, ელინიზებული სახე არა მარტო გარეგნულად (ბასილის კომენტარები ჯერ არ არის განთავსებული აშიებზე), არამედ შედგენილობის თვალსაზრისითაც, მას ჯერ არ ერთვის 16-სიტყვიანი კრებულის მნიშვნელოვანი დამატებები – ფსევდონონეს კომენტარები და გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება“.

3. ლიტურგიკული საკითხავების კრებულის ბერძნული დედანი

იმის წარმოსაჩენად, თუ რა სამუშაო იყო ჩატარებული ეფრემ მცირის მიერ გრიგოლ ღვთისმეტყველის ქართული 16-სიტყვიანი კრებულის შედგენისას, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, თუ რას წარმოადგენდა ბერძნული დედანი, რომელიც ეფრემს ჰქონდა ხელთ ამ კრებულზე მუშაობისას. ამის შესაძლებლობას იძლევა კვირიკესადმი მიწერილ ეპისტოლეში ბერძნულ დედანზე მოწოდებული ინფორმაცია და ეფრემ მცირის შენიშვნა, რომელიც გრიგოლის ერთ-ერთი საკითხავის ერთი პასაჟის ვარიანტულ წაკითხვას ეხება.

³⁹ ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 84-87.

საზოგადოდ, შუა საუკუნეების მნიგნობრულ წრეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სათარგმნელად თუ გადასაწერად შერჩეული მასალისათვის სანდო წყაროს მოძიებას. გადამწერი თუ მთარგმნელი თავის ნაშრომზე დართულ კოლოფონში ხშირად ეხება ხოლმე წყაროს წარმომავლობის საკითხს, ასახელებს პიროვნებებს, რომლებმაც მას დედანი მიაწოდეს, თუ მნიგნობრებს, რომელთა ნარედაქციევი ტექსტებითაც ის სარგებლობდა თავისი სამუშაოს შესრულებისას. ამგვარი დამოწმებებით ხაზი ესმება დედნის განსაკუთრებულ ავტორიტეტს, შესაბამისად – მნიგნობრის მიერ შესრულებული სამუშაოს, გადანერილი თუ ნათარგმნი ტექსტის სანდოობას. კარგი, გამართული დედნის მოძიება იმ პირობებში, როდესაც დედნების ფალსიფიცირება – *განწყუნა* – არ იყო იშვიათი მოვლენა, ნამდვილად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მნიგნობრულ საქმიანობაში.

ვფიქრობთ, XI საუკუნის ქრისტიანულ აღმოსავლეთში განსაკუთრებული სანდოობით სარგებლობდნენ ანტიოქიის ბიბლიოთეკების ბერძნული ხელნაწერები, რაზეც მიუთითებს კონტექსტი, რომელშიც მათ ქართველი მთარგმნელები იხსენიებენ: *საჩინონი* და *სახელოვანნი*, *სახელოვანნი* და *წმიდანი* – ასე ახასიათებს გიორგი ათონელი „თვენების“ თარგმანისათვის პეტრენმიდისა და სვიმეონმიდის ბიბლიოთეკებიდან შერჩეულ ბერძნულ წყაროებს.⁴⁰

ეგრემ მცირე დედნის შერჩევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კონსულტაციებს შავი მთის განსწავლულ მნიგნობრებთან. ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ სათარგმნელად ბერძნული წყაროს შერჩევისას ის არ კმაყოფილდება სვიმეონმიდის ორი და თუალთას ერთი ბიბლიოთეკის ხელნაწერებით და კონსულტაციებს *ბრძენთა უბრძნესი* და *უსულიერესი* პირებისაგან იღებს:

რამეთუ თვთ ბერძულნიცა წიგნნი, ვითარცა ვინ დედაჲ პოვის, ეგრე გარდაწერებიათ და თვთ ორთა წიგნისსაცავთა სვმეონმიდისათა „ასკეტიკონნი“ სხვთა და სხვთ ჰმატდეს ურ-

⁴⁰ დიდებაჲ და მადლი ღმრთისა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, რომლისა შეწევნითა სრულ იქმნა ესეცა თუჴ ივნისი, კეთილად და ბრწყინვალედ და ვრცელად ორთა დედათაგან – პეტრენმიდისა და სვმეონმიდისათა, საჩინოთა და სახელოვანთა, cod. Ath. 98, 216r; ერთი დედაჲ პეტრენმიდისაჲ მყვა ანტიოქიით და ერთი სვმეონმიდით, ორნივე ბერძულნი, სახელოვანნი და წმიდანი, cod. Ath. 65, 195v. გიორგი მთაწმიდელის თვენი, გვ. 465, 466.

თიერთას. ამისთვის თუალისაჲცა მოვიღეთ და თვთ მათვე ბრძენ-
თა უბრძენსთა და უსულიერესთა კითხვითა ძალისაებრი სისრუ-
ლე და სიმრთელე ვიხარკე.⁴¹

პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ანდერძში ეფრემი იხსენიებს
ბერძენ მწიგნობარს, სვიმეონმდიელ მამა კლიმს, რომელსაც ქართველი
მწიგნობარი სანდო დედნებით მოუმარაგებია:

ბერძულთა დ ე დ ა თ ა შინა ვითა გვპოვნია, რჩეულთა და სარნ-
მუნოთა, რომელნი მოგუეხუნეს უშურველად კლიმისგან მამა და
წინამძღუარყოფილისა სვიმეონმდიელთაჲსა, კაცისა ბრძნისა და
ჩუენდა დიდად თანაშემწისა.⁴²

როგორც კვირიკეს მიმართ ეპისტოლიდან ირკვევა, ეფრემს გრი-
გოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების სათარგმნელად
შეურჩიეს ვინმე ბასილი ღრამატიკოსის მიერ რედაქტირებული ბერძნუ-
ლი დედანი:

ღმერთმან თქუენითა მაღლითა აკურთხენ და ნეტარ-ყავნ სული
ბასილი ღრამატიკოსისაჲ და შეუნდვენ ამის დ ე დ ი ს ა ჩუენდა
მომცემელთა, უცთომელად და გამონულილვით გაემართა და
ყოველნი დაჯერებულ იქმნეს ამას დედასა.⁴³

რას წარმოადგენდა ბასილი გრამატიკოსის მიერ რედაქტირებული
ბერძნული დედანი და ვინ არის ეს პიროვნება? ამ საკითხთან დაკავში-
რებით საყურადღებო დასკვნის გამოტანა შეიძლება იმ ინფორმაციაზე
დაყრდნობით, რომელსაც გვანვდის გრიგოლის 41-ე საკითხავზე დარ-
თული ეფრემის ერთი შენიშვნა.⁴⁴

⁴¹ ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ კოლოფონი, cod. A-689, 187r. თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 217.

⁴² პავლეს ეპისტოლეთა *თარგმანების* კოლოფონი, cod. Ath. 18. f. 237-238. თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 212.

⁴³ გრიგოლის 16 ლიტურგიკული სიტყვის კოლოფონი, cod. Jer. 43, 3v. თ. ბრე-
გაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 149.

⁴⁴ ეს შენიშვნა განსხვავებული კუთხით განხილული გვაქვს აქვე, გვ. 200-205. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ასევე ოთხმეზური, *ეფრემ მცირის „შეისწავენი“ გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების ბერძნული წყაროს შესახებ*, გვ. 138-148.

გრიგოლის 41-ე ჰომილიის ბერძნული ტექსტის ერთი პასაჟი ბერძნულ ხელნაწერულ ტრადიციაში ორი განსხვავებული ვარიანტული წაკითხვით არის წარმოდგენილი. პასაჟში გადმოცემულია ელია წინასწარმეტყველის მიერ სარეფთელის ქვრივის ძის გაცოცხლების ამბავი მეფეთა III წიგნიდან. ბერძნულ ხელნაწერებში დასტურდება ამ პასაჟის ორგვარი ვარიანტი: *wsper de mustikhñ thñ trisshñ emfushsin* და *thñ ebdomhñ anastrofhn*. ეფრემის თარგმანი მისდევს პირველ ვარიანტულ წაკითხვას: *გულისჴმა-ვჰყოფ ... ვითარ-იგი საიდუმლოდ სამშთაბერვასა-ცა ელია წინაჲსწარმეტყუელისასა*, ხოლო ბასილი მინიმუსის კომენტარში მოცემულია მეორე, განსხვავებული ვარიანტული წაკითხვის – *thñ ebdomhñ anastrofhn*-ის (*შვიდჯერ მოქცევის*) განმარტება.

შენიშვნაში, რომელსაც ეფრემი ურთავს გრიგოლის ამ პასაჟსა და ბასილი მინიმუსის კომენტარს, ეფრემი გამოთქვამს გაოცებას იმ შეუსაბამობის გამო, რომელსაც ის ხედავს მის ხელთ არსებულ გრიგოლის ტექსტსა და ბასილი მინიმუსის კომენტარს შორის.

რა სურათია ბასილი მინიმუსის კომენტარების შემცველ ბერძნულ ხელნაწერებში ამ თვალსაზრისით: ბასილის XI-XII სს.-ის ლემებიან ხელნაწერებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ვხვდებით ვარიანტულ წაკითხვას *thñ ebdomhñ anastrofhn* (*Paris. Coisl. 240, 172r; Vat. Gr. 437, 135 r*) და მის კომენტარს. ეს ვარიანტი თავისი განმარტებითურთ დასტურდება, აგრეთვე, სქოლიოებიან კრებულებშიც, მაგალითად, *Paris. Coislin. 52 (XI ს.)*, 48v. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხელნაწერი *Mosq. Synod. 53 (147, 53/LIV)*,⁴⁵ გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიათა ბასილის სქოლიოებიანი კრებული, მეტად იშვიათი შემთხვევა, როდესაც 41-ე ჰომილიაში დასტურდება ვარიანტული წაკითხვა *thñ trisshñ emfushsin* და, ამასთანავე, ჰომილიას აშიაზე ახლავს ბასილი მინიმუსის კომენტარები. საყურადღებოა, რომ ბერძნულ ხელნაწერში ამ კონკრეტულ პასაჟს არ ახლავს განმარტება, ანუ ბასილის განმარტება, რომელიც არ შეესაბამება გრიგოლის ტექსტს, უბრალოდ არ არის ბერძნულ ხელნაწერში.

ეფრემის ბერძნული დედანი რომ ყოფილიყო ბასილი მინიმუსის კომენტარებით აშიაზე, მაშინ ეფრემთან *Or. 41*-ში იქნებოდა ვარიანტული წაკითხვა *შვდმოქცევი ელიაჲსი* და ამ პასაჟის ბასილის კომენტარი, როგორც ეს უმეტეს შემთხვევაში არის ბასილი მინიმუსის სქოლიოებიან

⁴⁵ Арх. Владимир, *Систематическое описание рукописей*.

ბერძნულ ხელნაწერებში; ან ძირითად ტექსტში იქნებოდა ვარიანტული ნაკითხვა *სამშობერვა ელიაჲსი*, რომელსაც საერთოდ არ ექნებოდა ბასილი მინიმუსის განმარტება, როგორც ეს არის მეტად იშვიათ შემთხვევაში, *Mosq. Synod.* 53-ში. მაგრამ საქმე სხვაგვარად არის: ეფრემის ბერძნულ დედანში არის *სამშობერვა*, ხოლო კომენტარში – შვიდმოქცევის განმარტება, რაც ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ ხელნაწერთა ტრადიციაში არ ჩანს და, ვფიქრობთ, ნაკლებად დასაშვებია, რომ სადმე დადასტურდეს.

შესაბამისად, ჩვენი ვარაუდით, ეფრემისათვის სათარგმნელად შერჩეული გრიგოლის ჰომილიების ბერძნული ხელნაწერი – ბასილის გრამატიკოსის მიერ რედაქტირებული დედანი – არ შეიცავდა კომენტარებს. ეფრემმა ჯერ ამ დედანიდან თარგმნა გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავები და მხოლოდ შემდეგ შეაესო ის ბასილი მინიმუსის კომენტარებით უკვე სხვა ხელნაწერიდან; ძირითადი ტექსტის თარგმნის შემდეგ მიმართა ამჯერად უკვე სხვა ბერძნულ ხელნაწერ(ებ)ს, რომლებიც შეიცავდა კომენტარებს და შეაესო მის მიერ თარგმნილი გრიგოლის 16-სიტყვიანი კრებული ეგზეგეტიკური მასალით.⁴⁶

კეკელიძეს ეფრემის ეპისტოლეში მოხსენიებული ბასილი ღრამატიკოსი გაიგივებული ჰყავს ეფრემის ორიგინალურ თხზულებაში – „უნწყებაჲ ქართველთა მოქცევისასა“ – ნახსენებ XI საუკუნის 40-იანი წლების ანტიოქიელ მწიგნობართან, ბასილი ღრამატიკოსთან, რომელიც ანტიოქიიდან საქართველოში იყო გამოგზავნილი აკაკიელთა ერესის გაჩენასთან დაკავშირებული პრობლემის მოსაგვარებლად (*განხილვად და განმარტვად წვალებათა და ცთომათა სულიერთა*).⁴⁷

მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა ეფრემის მიერ თარგმნილი გრიგოლის კრებულზე დართული კომენტარების ხასიათი, განსაკუთრებით მათი ლიტერატურულ-თეორიული, გრამატიკული, რიტორიკული მხარე, ნოდება ღრამატიკოსი კარგად მოერგო ამ კომენტართა ავტორს, ბასილი მინი-

⁴⁶ მოსაზრება ეფრემის მიერ გრიგოლის ხელნაწერებზე კომპლექსური მუშაობის ჩატარების შესახებ ტექსტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობითაც არის გამოთქმული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში: ბეზარაშვილი, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბიზანტიური რიტმული პოეზიის ადრეული ნიმუში, გვ. 88; მელიქიშვილი, გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ჰომილეტიკური სიტყვის ეფრემ მცირისეული თარგმანი, გვ. 84.

⁴⁷ კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 265. ეფრემ მცირე, *უნწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა*, გვ. 10.

მუსს, რის შედეგადაც კეკელიძის თვალსაზრისი გადაისინჯა და გაჩნდა მოსაზრება, რომ ბასილი ღრამატიკოსი იგივე ბასილი მინიმუსია.⁴⁸ შესაბამისად, ბერძნული ტექსტი, რომელსაც თარგმნიდა ეფრემი, ნარედაქციები უნდა ყოფილიყო გრიგოლის ჰომილიათა კომენტატორის, ბასილი მინიმუსის მიერ. ბასილი მინიმუსს, როგორც ის თავად მიუთითებს კონსტანტინე პორფიროგენეტისადმი მიძღვნილ ეპისტოლეში, მართლაც, გარკვეული სამუშაო ჩაუტარებია გრიგოლის ტექსტზე. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მარგინალური შენიშვნები სარეფთელის ქერივის ძის შესახებ ეჭვის ქვეშ აყენებს ბასილი ღრამატიკოსისა და ბასილი მინიმუსის იდენტიფიკაციის საკითხს. შენიშვნის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეფრემსა და ბასილი მინიმუსს ისეთი ბერძნული ტექსტები ჰქონდათ ხელთ, ერთს – სათარგმნელად, ხოლო მეორეს – განსამარტავად, რომლებიც გარკვეულწილად (ზემოთ განხილული ვარიანტული წაკითხვით, არ არის გამორიცხული, რომ სხვა მაჩვენებლებითაც, რაც სამომავლო კვლევამ შეიძლება წარმოაჩინოს) განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. აქედან გამომდინარე, ეფრემისათვის შერჩეული ბერძნული ტექსტი ვერ იქნებოდა ბასილი მინიმუსის მიერ ნარედაქციები, რაც თავისთავად ხსნის ბასილი მინიმუსისა და ბასილი ღრამატიკოსის იდენტურობის საკითხს.

დამაფიქრებლად გვეჩვენება, აგრეთვე, ბასილის მოხსენიება კონტექსტში: *აკურთხენ და ნეტარ-ყავნ სული ბასილი ღრამატიკოსისაჲ*. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართველ მთარგმნელთა ანდერძ-მინანერებში არ უნდა დასტურდებოდეს ამგვარ კონტექსტში იმ ბიზანტიელ ავტორთა მოხსენიება, რომელთა თხზულებებსაც ისინი თარგმნიან. ქართველი მთარგმნელები, მათ შორის ეფრემიც, ანდერძებში ლოცვა-კურთხევით იხსენიებდნენ იმ პირებს, რომლებიც მათ გვერდით მოღვაწეობდნენ, მათი თანამედროვენი, ან შესაძლოა, უკვე გარდაცვლილნი იყვნენ, მაგრამ გარკვეული კუთხით უკავშირდებოდნენ იმ მნიგნობრულ გარემოს, რომელშიც ეს მთარგმნელები მოღვაწეობდნენ. ამდენად, ჩვენთვის უფრო სარწმუნო ჩანს კეკელიძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ეფრემის ეპისტოლეში დასახელებული ბასილი ღრამატიკოსი უნდა იყოს ეფრემის მიერ თავის ორიგინალურ ნაშრომში „უნყებაჲ მიზეზსა

⁴⁸ Rapava, Coulie, Les colophons d'Ephrem Mtsire et les traductions Géorgiennes de Grégoire de Nazianz, p. 111-113; რაფავა, ეფრემ მცირის ცნობები გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების შესახებ, გვ. 115-116; თვალთვადი, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 118-119. *Or.* 41-ის მარგინალურ შენიშვნათა შესწავლამდე ამ თვალსაზრისს ჩვენც ვემხრობოდით.

ქართველთა მოქცევისასა“ მოხსენიებული ბასილი ღრამატიკოსი. სრულიად მოსალოდნელია, ეფრემის ანტიოქიაში მოღვაწეობის პერიოდში, XI საუკუნის ბოლო მეოთხედში, შავ მთაზე შემორჩენილი ყოფილიყო ხსოვნა XI საუკუნის 40-იანი წლების ანტიოქიელი მწიგნობრის რედაქტორული საქმიანობის შესახებ.

გრამატიკოსი განსწავლულ, ინტელექტუალურ, მწიგნობარ პიროვნებას ნიშნავს.⁴⁹ გრამატიკოსი ეპითეტიც შეიძლება იყოს და პიროვნების ზედწოდებაც. მაგალითად, არეოპაგიტული კორპუსის ეფრემისეულ თარგმანზე დართულ ანდერძში მოხსენიებულია ვინმე იოანე *საღმრთოდ ფილოსოფოსი და ჯორციელად ღრამატიკოსი*.⁵⁰ ღრამატიკოსი ამ შემთხვევაში იოანესთვის ეპითეტია. ეს ეპითეტი კარგად ესადაგება თავად ეფრემსაც მისი მწიგნობრული მოღვაწეობის მიხედვით, აგრეთვე ბასილი მინიმუსსაც მისი კომენტარების რიტორიკულ-ფილოლოგიური ხასიათის გამო. ბასილი ღრამატიკოსის შემთხვევაში კი *ღრამატიკოსი* ზედწოდება, ფაქტობრივად, მისი სახელია (შდრ. ბიზანტიელი მწერლის, ლეონ გრამატიკოსის სახელს), რომელიც ასევე ამ პიროვნების თვისებაზე – მის განსაკუთრებულ განსწავლულობაზე მიუთითებს. ცხადია, მწვალებლობის ჩასახშობად სხვა ქვეყანაში წარგზავნილი პიროვნება, რომელიც განსჯისა და არგუმენტაციის გზით უნდა დაპირისპირებოდა ერესს, განსწავლულობით გამორჩეული იქნებოდა; მწიგნობრული ცოდნის მაღალ დონეს მოითხოვდა ასევე გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულის რედაქტირებაც. დაბოლოს, ნაკლებადაა სავარაუდო, ეფრემის ორ ორიგინალურ ტექსტში, ეპისტოლეში კვირიკეს მიმართ და ნაშრომში „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“ ერთი და იმავე საკუთარი სახელითა და ზედწოდებით მოხსენიებული პიროვნება ორი სხვადასხვა მოღვაწე იყოს.

მოსალოდნელი ჩანს გრიგოლის ბერძნულ ტექსტებზე მუშაობა ანტიოქიაში, ქრისტიანული კულტურის ამ აღმოსავლეთ რეგიონში, სადაც არსებობდა საკმაოდ ძველი და მკვიდრი ტრადიცია გრიგოლის თხზულებების აღმოსავლურ ენებზე თარგმნისა. V-VII საუკუნეებში აქ შეიქმნა სირიული, ხოლო, რაც მეტად საგულისხმოა, XI საუკუნეში – ქართულთან ერთად, არაბული თარგმანები ამ ავტორის თხზულებები-

⁴⁹ Du Cange, *Glossarium ad Scriptores Mediae et Infimae Graecitatis*, col. 265.

⁵⁰ Cod. A-110, f. 195.

სა.⁵¹ ამგვარად, არ არის გამორიცხული, გრიგოლის ბერძნული ტექსტი რედაქტირებული ყოფილიყო სწორედ XI საუკუნეში ანტიოქიაში მოღვაწე მწიგნობრის მიერ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთ-ერთი ქართული რედაქციის, ეფრემის ზედმინეონითი თარგმანის სახით შემონახულია XI საუკუნეში ანტიოქიაში რედაქტირებული გრიგოლ ღვთისმეტყველის ტექსტი.

ამგვარად, ეფრემის ბერძნული დედნის საკითხის კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეფრემს კვირიკესადმი მიძღვნილი კრებულის შედგენისას უნდა ესარგებლა რამდენიმე სხვადასხვა შედგენილობის ბერძნული ხელნაწერით და მათგან თავად მოეხდინა მასალის შერჩევა კვირიკეს კრებულისათვის.

როგორც ცნობილია, გრიგოლ ღვთისმეტყველის 16-სიტყვიანი კრებულის შედგენისას ეფრემს უკვე ჰქონდა სხვადასხვა ბერძნულ ხელნაწერებზე კომპლექსური მუშაობის გამოცდილება. კომპილაციის მეთოდით მას უკვე ნათარგმნი ჰქონდა ფსალმუნის კომენტარები. საფიქრელია, რომ გრიგოლის 16-სიტყვიანი კომენტირებული კრებულის თარგმნისა და შედგენისას ის იმავე პრინციპით მოქმედებდა, რა პრინციპითაც – ფსალმუნთა კომენტარების ქართულად გადმოტანისას. არ არის გამორიცხული, რომ კვირიკესადმი მიძღვნილ კრებულზე მუშაობისას მისთვის სანიმუშო ყოფილიყო გიორგი ათონელის კრებულებზე მუშაობის სტილი. ფსალმუნთა თარგმნების წინასიტყვაობაში ის თავის ფსალმუნთა კომენტარების კომპილაციურ თარგმანს ადარებს გიორგი ათონელის სათვეო საგალობელთა კრებულს, რომელიც გიორგის მიერ კომპილაციური მეთოდით არის შედგენილი:

რამეთუ მე კუალთა წმიდისა მის მამისა და მოძღურისა ჩემისა გიორგი მთაწმიდელისათა შეუდეგ, რომლისაჲ-იგი სათუეოჲ საგალობელი არა ერთისა, არამედ მრავალთა დედათაგან ერთად შეკრებულ არს და ერთსა წიგნსა შინა ბერძულად არა რომელსა იპოების ეგოდენი საგალობელი.⁵²

⁵¹ Grand'Henry, *La tradition manuscrite de la version arabe des «Discours» de Grégoire de Nazianze*, p. 113-118. 41-ე ჰომილიის არაბულ ვერსიაში, ძირითად ხელნაწერებში, ვარიანტული ნაკითხვის ἑβδόμη ἀναστροφὴ-ის თარგმანს ვხვდებით. ეს ინფორმაცია მოგვანოდა ბელგიელმა მკვლევარმა ლაურენს ტერლინქსმა, რის გამოც მადლობას ვუხდით.

⁵² Cod. Q-37, 3r; ფსალმუნთა თარგმანების კოლოფონი, იხ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, გვ. 81.

ნიშანდობლივია ის რეზულტატი, რომელიც მიღწეულია ეფრემის მიერ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარებულ კრებულზე მუშაობის შედეგად. კრებული, უპირველეს ყოვლისა, ქართველ მკითხველს აწვდის გრიგოლ ღვთისმეტყველის შესახებ ღრმა და საფუძვლიან ცოდნას. ამასთანავე, ის ეფრემის მიერ შერჩეული ეგზეგეტიკური მასალის საშუალებით (ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარები და ბასილის რიტორიკული ხასიათის კომენტარები) აცნობს ქართველ მკითხველებს იმ იდეებსა და შეხედულებებს, რომლებიც მოწინავე და, შეიძლება ითქვას, მოდურიცაა XI საუკუნის ბოლოს ბიზანტიაში. ეს არის განსაკუთრებული დაინტერესება ლიტერატურულ-თეორიული, გრამატიკული, ლექსიკოლოგიური საკითხებით, რიტორიკის თეორიით, ანტიკურობით. ეს საკითხები საკმაოდ ფართოდ და მრავალმხრივად არის წარმოდგენილი კრებულში სწორად ეფრემის მიერ შერჩეული კომენტარული მასალის წყალობით და ამ გზით ხელმისაწვდომი ხდება ქართველი მკითხველისათვის. ამ მიზანდასახულობაში, რომელიც აშკარად ჩანს კრებულის შედგენისას, გარკვეულწილად იკვეთება ეფრემის განმანათლებლური პოზიცია.

კრებულის შედგენისას არ არის დავიწყებული დიდაქტიკური მომენტიც – მასში ჩართული ნიკიტა პაფლაღონელის „პარაფრასი“ და ასეული იამბიკო შინაარსით მორალური, დიდაქტიკური ხასიათის ტექსტებია. ამ კუთხით ეფრემი თითქოს ეხმაურება თავის წინამორბედს, ექვთიმე ათონელს, რომლის სახელთანაც ქართულ მნიგნობრულ ტრადიციაში ე. წ. სამოძღვრო-დიდაქტიკური კრებულების შექმნაა დაკავშირებული.⁵³

ყოველივე ამის შედეგად, ეფრემის თარგმნილ გრიგოლის 16 სიტყვის ლიტურგიკულ კრებულს დაკარგული აქვს თავისი პირველადი ფუნქცია – ლიტურგიკული დანიშნულება. ეს არის კრებული ინტელექტუალთა წრეებისათვის, რის შესახებაც ეფრემი მიუთითებს თავის ეპისტოლეში საკუთარი და ექვთიმეს თარგმანების შედარებისას:

იგი (იგულისხმება ექვთიმეს თარგმანი) ყოველთა ეკლესიათა ზედა განფენილი ბრწყინავს, ხოლო ესე (ეფრემის თარგმანი) იშვთ ვიეთოვსმე იდვას გულისწმისმყოფელთათჳს.⁵⁴

⁵³ მეტრეველი, იოანე და ეფთვიმე ათონელებისადმი მიძღვნილი „სამახსოვრო ნიგნები“.

⁵⁴ Cod. Jer. 43, 3v; გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების კრებულის კოლოფონი, იხ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 149.

ამგვარად, გრიგოლ ღვთისმეტყველის 16-სიტყვიანი კომენტირებული კრებულის შედგენა (როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმითაც – ვგულისხმობთ კომენტარების აშეიბზე განლაგებას) უნდა განხორციელებულიყო სწორედ ეფრემ მცირის მნიგნობრულ წრეში, მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და ინიციატივით; ბერძნული ხელნაწერების შესახებ ღრმა ცოდნის დაგროვებისა და ამგვარი კომპლექსური კრებულის შედგენის ყველა პირობა სწორედ შავ მთაზე არსებობდა. ანდერძ-მინაწერების მიხედვით, XI საუკუნის ბოლო მეოთხედის ანტიოქია – საკმაოდ ძლიერი კულტურული ცენტრი თავისი ბიბლიოთეკებით, სადაც მიმდინარეობს ინტენსიური ლიტერატურულ-მნიგნობრული მუშაობა, დასტურდება ბერძენ და ქართველ ინტელექტუალთა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ფაქტები – ცხადია, საუკეთესო გარემო იქნებოდა გრიგოლის ბერძნული ხელნაწერების ტრადიციის შესასწავლად. იმ ბერძნულ ხელნაწერთან ერთად, რომელიც ეფრემისათვის სათარგმნ დედნად იყო შერჩეული, ეფრემს შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა სხვა კრებულებსაც და ესარგებლა ამ მასალით თავისი კრებულის შედგენისას.

როგორც ჩანს, გრიგოლ ღვთისმეტყველის 16-სიტყვიანი კრებული შავ მთაზე მისი პუბლიკაციის შემდეგ საკმაოდ მნიგნობრულ, ინტელექტუალურ წრეებში მიმოიქცეოდა. ამ წრეებში უნდა დამატებოდა მას გარკვეული დეტალები, ისეთი, როგორიცაა იამბიკოები, ზოგიერთი მარგინალური ნიშანი, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი და რაც ამ კრებულში გელათელი მნიგნობრების მუშაობის კვალად არის მიჩნეული.⁵⁵

4. მარგინალური ნიშნები და მათი გამოყენების წესი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შემცველ კრებულებაში

ცალკე შევჩერდებით გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შემცველ ბერძნულ ხელნაწერთა ერთ თავისებურებაზე, რომელმაც ასახვა გრიგოლის ქართულ კომენტირებულ კრებულებშიც პოვა.

გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერთა აშეიბზე ხშირად ვხვდებით სხვადასხვა სახის მარგინალურ ნიშნებს – გრაფიკულ გამოსახულებებსა თუ აბრევიატურებს, რომელთაგან გამოირჩევა ოთხი: , “,  და CHM. ამ

⁵⁵ ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 102.

ოთხი ნიშნის განმარტება მოცემულია გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებულების დასაწყისში, პინაქსის მომდევნოდ, ან კრებულის ბოლოს წარმოდგენილ მცირე ზომის ტექსტში – სქოლიოში, რომელიც VI საუკუნის ანონიმ მწიგნობარს ეკუთვნის. ეს სქოლიოა:

To *hliakon* touto shmeion tetaktai en oi~ cwrioi~ peri geologia~ o Pathr dialegetai, dia to hlion th~ dikaiosunh~ en tai~ qeiai~ Grafai~ ton Qeon onomazesqai.

O *asterisko~* outo~ tetaktai en oi~ cwrioi~ o Qeologo~ peri th~ ensarkou oikonomia~ tou megalou Qeou kai Swthrou hmwn Ihsou Cristou dialegetai, dia ton fanenta toi~ magoi~ qeion astera.

To shmeion touto tetaktai to *wraion* en toi~ cwrioi~, en oi~ h frasi~ kekallwpistai h to nohma exhnqistai h kai amfotera uperairetai.

To *shmeion* touto tetaktai en toi~ cwrioi~, en oi~ eurisketai xenon ti h kata dogma h kaq istorian h kata frasin h kata ti toiouton ofeilon shmeiwqhna tw anagignwskonti.⁵⁶

ამგვარად, სქოლიოში მოცემული განმარტების მიხედვით, *hliakon* shmeion (ⲗ) – მზის ნიშანი გრიგოლის თხზულებათა იმ პასაჟებს აღნიშნავს, რომლებშიც საუბარი საღვთისმეტყველო თემებზეა, რადგან ბიბლიაში ღმერთი მზედ სიმართლისად არის წოდებული (*Malach.* 4, 2). *asterisko~* (Ⲁ) – ვარსკვლავით აღნიშნულია გრიგოლის თხზულებათა ის პასაჟები, რომლებშიც ქრისტეს განკაცების ამბავია მოთხრობილი, რადგან ქრისტეს შობისას მოგვებს ვარსკვლავი მოევლინათ. *wraion* (ⲱ)

⁵⁶ სქოლიო რამდენჯერმეა გამოცემული: Sinko, *De traditione orationum Gregorii Nazianzeni*, II, p. 4-5; Sakkellion, *Patmiakh Biblioqhkh*, p. 19; Lambros, *Ta palaio-grafika shmeia kai o Kaisarei~* Ἀρεῶν, p. 256; Бенешевич, *Описание греческих рукописей*, с. 201; ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ასევე Sinko, *De traditione orationum Gregorii Nazianzeni*, II, p. 2, 7; Sinko, *De traditione orationum Gregorii Nazianzeni*, I, p. 90-91. Lefherz, *Studien zu Gregor von Nazianz*, p. 124-131. სქოლიოს შემცველი ბერძნული ხელნაწერების შესახებ იხ. Astruc, *Remarque sur les signes marginaux de certains manuscrits de S. Grégoire de Nazianze*, p. 289-295; აგრეთვე, ბერძნულ ხელნაწერთა აღწერილობებში – *explanation signorum marginalium* – Mossay, *Repertorium Nazianzenum, Orationes, Textus Graecus*, 1-6; Noret, *Les manuscrits sinaïtiques de Grégoire de Nazianze*.

– მშვენიერი ტექსტის განსაკუთრებულად მხატვრულ, გამშვენებულ, ხოლო shmeion (CHM) – ნიშანი/მინიშნება შინაარსობრივად განსაკუთრებულად მნიშვნელოვან პასაჟებზე მიუთითებს.

საზოგადოდ, მარგინალური ნიშნები ალექსანდრიელ გრამატიკოსთა მიერაა შემოღებული ელინისტურ ეპოქაში. ძველი გრამატიკოსები მათ ბერძენ ავტორთა თხზულებებზე გარკვეული ტექსტოლოგიური სამუშაოების ჩატარებისას იყენებდნენ. მაგალითად, ცნობილი ალექსანდრიელი ფილოლოგი არისტარქე ჰომეროსის პოემების ტექსტზე მუშაობისას, სხვა მარგინალურ ნიშნებთან ერთად, ხშირად ხმარობდა ვარსკვლავს ამა თუ იმ სალექსო სტრიქონისა თუ პასაჟის ავთენტურობის აღსანიშნავად.⁵⁷ მზის ნიშანი და ვარსკვლავი, როგორც ციურ სხეულთა სიმბოლოები, ხშირად იყო გამოყენებული ასტრონომიული თუ ასტროლოგიური ხასიათის ტექსტებში. ბიზანტიელ ავტორთა თხზულებების შემცველ ნუსხებში მზის ნიშანი და ვარსკვლავი, სხვა პირობით ნიშნებთან ერთად, გამოიყენებოდა ძირითად ტექსტზე დართულ სქოლიოთა აღსანიშნავად. ვარსკვლავს ხშირად ხმარობდნენ ვრცელ საკითხავთა მონაკვეთებად დაყოფის მიზნით.

გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერებში წარმოდგენილი სქოლიოდან ცხადი ხდება, რომ მზის ნიშანსა და ვარსკვლავს სრულიად განსხვავებული, განსაკუთრებული ფუნქცია აქვს შეძენილი. ნიშანდობლივია, რომ გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერებშიც ისინი სქოლიოში მოცემული წესის მიხედვით არის განლაგებული. მზის ნიშანი, უმეტესად, ისეთი პასაჟის გასწვრივაა მოთავსებული, სადაც მამა ღმერთი ან სამებაა ნახსენები; ვარსკვლავი იქ არის დასმული, სადაც საუბარი ქრისტეს შობაზე, მოგვთა თაყვანისცემასა თუ ნათლისღებაზეა.⁵⁸

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მზის ნიშანი და ვარსკვლავი სქოლიოში მითითებული სპეციფიკური ფუნქციით მხოლოდ გრიგოლ ღვთისმეტყველის ბერძნულ ხელნაწერებში დასტურდება, თუმცა ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით გაირკვა, რომ ეს მარგინალური ნიშნები აღნიშნული ფუნქციით სხვა წმინდა მამათა ხელნაწერებშიც არის წარმოდგენილი. მაგალითად, ბასილი დიდის თხზულებათა

⁵⁷ Devreesse, *Introduction à l'étude des manuscrits grecs*, p. 74.

⁵⁸ ბულგარეთის წიგნთსაცავებში დაცულ გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერებში მარგინალური ნიშნების შესახებ იხ. Otkhmezuri, *Codices Bulgariae (Serdicensens)*, p. 47-54; 242-249.

X საუკუნის ბერძნულ კრებულში – *Tbilis. Gr.* 48⁵⁹ – ვხვდებით მზის ნიშნით (☉) და ვარსკვლავით (☿) მონიშნულ პასაჟებს, რომლებშიც სამებისა და ქრისტეს შობის შესახებ არის საუბარი.⁶⁰

რაც შეეხება მარგინალურ ნიშნებს – ♀ და CHM, ისინი დამოუკიდებლად, სხვადასხვა კომბინაციაში, როგორც გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერებში, ისე სხვა ქრისტიან ავტორთა კრებულებში, ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ – ამ ნიშნებით ტექსტის განსაკუთრებულად მხატვრული პასაჟები და აზრობრივად საკვანძო საკითხები არის ხოლმე მონიშნული.⁶¹

მთლიანობაში, მარგინალური ნიშნები გრიგოლის ტექსტის თავისებურ ეგზეგესს წარმოადგენს. ისინი გარკვეულ მიმართულებას აძლევს მკითხველს გრიგოლის საკმაოდ ვრცელი ტექსტების კითხვისას.⁶² ამ ნიშნებით მონიშნულ პასაჟებს მკითხველი განსაკუთრებული გულისყურით და მოწინებით უნდა მოჰყიდებოდა.

გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერთა ეს მხარე გრიგოლის ქართულ ხელნაწერებშიც აისახა; გრიგოლის ლიტურგიკულ საკითხავთა ეფრემისეულ კრებულში, *Jer.* 43-ში, პინაქსის შემდეგ წარმოდგენილია მარგინალურ ნიშანთა განმარტებითი სქოლიოს ქართული თარგმანი, ხოლო ხელნაწერებში *A-109*, *Jer.* 15, *Jer.* 43 და *Jer.* 13, აშიებზე, ბასილი მინიმუსის კომენტარებთან ერთად, ვხვდებით მარგინალურ ნიშნებს – მზის ნიშანს, ვარსკვლავს, ♀-ის შესაბამის დაქარაგმებულ ფორმას ♀✠ (შ რი, *შუენიერი*) და CHM-ის შესაბამის ♀✠-ს (შს წმ, *შეისწავე*). განმარტებითი სქოლიოს ქართულ ვერსიაში ნიშანთა გრაფიკული გამოსახულებები თითოეული განმარტების წინ არის დასმული.

☉ მზისთუალის სახე ესე ნიშანი განწესებულ არს ადგილთა, რომელთა შინა ღმრთისმეტყუელებისათჳს მეტყუელებდეს

⁵⁹ *Cod. Gr.* 48-ის აღწრილობისათვის იხ. Rudberg, *L'homilie de Basile de Cesarée sur le mot 'Observe toi-même'*, p. 120-125; Гранстрем, Неизвестный греческий сборник бесед Василия Великого, с. 173-178. მკვლევართა მიერ ხელნაწერის ამ დეტალზე ყურადღება არ არის გამახვილებული.

⁶⁰ ბეზარაშვილი, ოთხმეზური, განათლება და მეცნიერება ბიზანტიაში, გვ. 85-87.

⁶¹ ამ ნიშანთა ფუნქციების შესახებ დეტალურად იხ. ბეზარაშვილი, ოთხმეზური, განათლება და მეცნიერება ბიზანტიაში, გვ. 87.

⁶² Mossay, *Le signe héliaque. Notes sur quelques manuscrits de S. Grégoire de Nazianze*, p. 275.

მოდლური, ვინაიდან „მზედ სიმართლისად“ სახელ-ედების ღმერთსა წერილთა შინა.

“ ვარსკვლავის სახე განწესებულ არს ადგილთა, რომელთა შინა ჴორციელებისა განგებულებისათჳს დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა მეტყუელებდეს ღმრთის-მეტყუელი მოგუთა გამოჩინებულისა მის ვარსკვლავისათჳს.

ჲ³ 17 სასწაული ესე „შუენიერისა“ განწესებულ არს ადგილ-თა, რომელთა შინა მეტყუელებაჲ შეიმკვებოდის, ანუ გულის-წმისსაყოფელობაჲ აღყუაენებოდეს, ანუ ორივე ზემთა აღემა-ტებოდის.

ჲ³ 17 „შეისწავე“ ესე დაწესებულ არს ადგილთა, რომელთა შინა იპოებოდეს უცხო რაჲმე ანუ სჯულისდებითი, ანუ მოთხრობითი, ანუ გამომეტყუელებითი, რომლისაჲ უჴმს შესწავებაჲ მკითხველ-სა.⁶³

საგულისხმოა, რომ ბიზანტიურის მსგავსად, მზის ნიშანი და ვარსკვლავი ძველ ქართულ ხელნაწერებშიც დასტურდება სხვა ფუნქცი-ით. მაგალითად, ორივე ნიშანი სქოლიოთა აღმნიშვნელ პირობით ნიშნე-ბად არის ხოლმე გამოყენებული კომენტირებულ კრებულებში. სინგუ-რით შესრულებული ვარსკვლავი, როგორც მცირე ზომის დეკორატიული დეტალი, ხშირად უმშვენებს გვერდს საზედაო ასოს ქართულ ხელნაწერ-ში. ვარსკვლავის, როგორც ტექნიკური ნიშნის გამოყენების შემთხვევა დასტურდება X საუკუნის შუა წლების ლიტურგიკულ კრებულში, Sin. 34-ში. ამ კრებულის შემდგენელი, ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფი და მნიგნობარი იოანე-ზოსიმე ჟამნის შატბერდული და საბანშიდური რედაქციების გასამიჯნად, სხვა ნიშნებთან ერთად, ვარსკვლავსაც ხმა-რობს. როგორც კრებულზე დართული ანდერძიდან ირკვევა, ამ ნიშნებს იგი *ბერძულთა ძუელთა ნიგნთაგან* იღებს.⁶⁴

რაც შეეხება მარგინალურ ნიშნებს გრიგოლის თხზულებათა ეფრე-მისეულ კრებულებში, ისინი ამ ხელნაწერებში სქოლიოში მოცემული

⁶³ Cod. Jer. 43, 4v. სქოლიო რამდენჯერმე არის გამოცემული: ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 150; Otkhmezouri, *Les signes marginaux dans les manuscrits géorgiens de Grégoire de Nazianze*, p. 341; თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 41.

⁶⁴ *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია*, გვ. 132-133.

ნესის მიხედვით არის განლაგებული.⁶⁵ *Jer.* 15-ში დასტურდება ცხრა მზის ნიშანი და ექვსი ვარსკვლავი; A-109-ში – რვა მზის ნიშანი და ოთხი ვარსკვლავი; *Jer.* 43-სა და *Jer.* 13-ში თითო მზის ნიშანი. ოთხივე კრებულში ასევე საკმაო რაოდენობით ვხვდებით შ“სნ-სა და შ“ნრი-ს.

მაგალითად, მზის ნიშანი გრიგოლის ჰომილიათა შემდეგი პასაჟების გასწვრივ დასტურდება:

- ხოლო ღმერთი რაჟამს ვთქუა, ვიტყვ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა *Or.* 38 (PG 36, col. 320 B 6-7), *Jer.* 15, 14v.

- და ყოველსა შუებასა წარმოვჰწერწყუაჲ მამისა მიმართ და ძისა და სულისა წმიდისა *Or.* 40 (PG 36, col. 417 A 11-12), A-109, 110v.

- დაუსაბამოჲ და დასაბამი და დასაბამისთანაჲ ერთი ღმერთი *Or.* 42 (PG 36, col. 476 A 8-9), *Jer.* 43, 157v.

- ღმერთი უკუე არს ნათელ უპირატეს და შეუხებელ *Or.* 40 (PG 36, col. 364 B 1), *Jer.* 13, 48r, და სხვ.

ვარსკვლავით დანიშნულია შემდეგი პასაჟები:

- იშვა ქალწულისაგან და სულით და ჯორცით წინაგანწმედილისა სულისა მიერ *Or.* 45 (PG 36, col. 633 D 1-2), *Jer.* 15, 203r.

- ვარსკვლავისა თანა ვრბოდეთ და მოგუთა თანა თაყუანის-ვეცით *Or.* 39 (PG 36, col. 349, C 2-3), A-109, 80v და სხვ.

ხშირ შემთხვევაში ქართულ ხელნაწერებში მარგინალურ ნიშანთა ადგილმდებარეობა ემთხვევა მათ განლაგებას ბერძნულ ხელნაწერებში.⁶⁶ არ არის გამორიცხული ისიც, რომ ქართველი მწიგნობარი, რომელმაც იცის ამ ნიშანთა ფუნქცია, თავადაც დამოუკიდებლად სვამდეს ამ ნიშნებს ქართულ ხელნაწერებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნიშანთა მხატვრული გაფორმება გრიგოლის ქართულ ხელნაწერებში. გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერებში, რომლებიც ამ კუთხით საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, ეს ნიშნები მცირე ზომის მარტივი ფორმით არის წარმოდგენილი –  და “, მაშინ, როდესაც ქართულ ხელნაწერებში, კერძოდ, A-109-სა და *Jer.* 15-

⁶⁵ Otkhmezouri, Les signes marginaux dans les manuscrits géorgiens, p. 335-347; ოთხმეზური, მარგინალური ნიშნები და მათი მხატვრული გაფორმების წესი, გვ. 940-103.

⁶⁶ გრიგოლის ქართულ ხელნაწერებში მზის ნიშნითა და ვარსკვლავით აღნიშნული პასაჟების სრული ჩამონათვალი, ასევე მათი მიმართება ბერძნულ ხელნაწერებთან იხ. Otkhmezouri, Les signes marginaux dans les manuscrits géorgiens, p. 342-344.

ში, მზის ნიშანი და ვარსკვლავი გაცილებით დიდი ზომისაა და მეტად გამომსახველობითია; A-109-ში ნიშნები წითელი მელნით არის შესრულებული. უაღრესად ორნამენტირებულ მზის ნიშანს თევზის გამოსახულება აქვს, ხოლო ვარსკვლავი წვრილი ხვეულებით გაფორმებული დისკოს სახით არის წარმოდგენილი (იხ. სურ. 2, 3, გვ. 129, 130). საკმაოდ დიდი ოსტატობით შესრულებული ეს ნიშნები განსწავლულ კალიგრაფ-დეკორატორს უნდა ეკუთვნოდეს. ამგვარად გაფორმებულ ნიშანთა გაჩენა ქართულ ხელნაწერში გაპირობებული უნდა იყოს ქართველი ოსტატების შემოქმედებითი მიდგომით ბერძნული დედნის მიმართ. ქართველი კალიგრაფ-დეკორატორი, რომელიც ბიზანტიური წესების მიხედვით ადგენს და აფორმებს ხელნაწერს, თავის ინდივიდუალობას ავლენს ხელნაწერის ისეთი მცირე დეტალების გაფორმებისას, როგორიც მარგინალური ნიშნებია. იგი შემოქმედებითად უდგება ხელნაწერის შექმნის პროცესს და თავისი წვლილი შეაქვს მის ორნამენტულ რეპერტუარში. ნატიფად ორნამენტირებული ნიშნები ხელნაწერის გვერდს მეტ სილამაზეს სძენს, ხოლო მთლიანად კრებულს მდიდრულ, საზეიმო ელფერს ანიჭებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრიგოლ ღვთისმეტყველის ეფრემისეულ კრებულებში მარგინალური ნიშნებიც **ჟ** და **ჟ** ასევე შენიშვნაში განსაზღვრული ფუნქციით არის გამოყენებული (იხ. სურ. 5, გვ. 209).

შუენიერით, ძირითადად, გრიგოლის თხზულებათა ის პასაჟებია აღნიშნული, რომლებიც მხატვრულობით გამოირჩევა.⁶⁷ მაგალითად:


- ვინ არა უწყის ამისი მამაჲ? ... ვინ უმეცარ არს ემმელიას პირველნოდებულსა? (*Or.* 43, A-109, 20v) – რიტორიკული შეკითხვა.

- ნუუკუედა ლომსაცა აბრალეზდის ვინ, რამეთუ არა ციდამტკაველურად ხედავს, არამედ სილაღით და მეუფებით (*Or.* 43, A-109, 60v) – მეტაფორა.


- ერთსა მშვნვიდეს, ერთსა მიცემვიდეს, ერთი ცხორებისა გზაჲ უწყოდეს – ქრისტესთვის სიკუდილი (*Or.* 15, K-9, 277v) – რიტმული პასაჟი.

ნიშანდობლივია, რომ გრიგოლის ეფრემისეული კრებულების გადამწერები თავისუფლად ეკიდებოდნენ მარგინალური ნიშნებით – **ჟ** და **ჟ** — გრიგოლის საკითხავთა გარკვეული პასაჟების დანიშვნის საკითხს. როგორც ხელნაწერებზე დაკვირვება ცხადყოფს, გადამწერი ხშირად დედნისაგან დამოუკიდებლად სვამდა ამ ნიშნებს იქ, სადაც

⁶⁷ ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად იხ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, გვ. 580-585.



სურ. 2. cod. A-109, 113r. შიშვის ნიშანი (მარჯვენა აშიაზე): მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, ხოლო სახელი სამთავრე - ერთ (col. II, l. 13-14).



სურ. 3. cod. A-109, 80v. (1) ვარსკვლავის ორი ნიშანი (მარცხენა აწიზზე): ვარსკვლავისა თანა ვრბიოდეთ და მოგუთა თანა თაყუანის-გეცით (col. I, l. 2-5); ქრისტე ნათელს-ილებს, თანაგანვბრწყინდეთ (col. I, l. 23-4); (2) სიტყვათა „შედგმის“ ნიმუში: ნთლს ლილებს (col. I, l. 27).

თვითონ მიიჩნევდა საჭიროდ. გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების ქართულ კრებულებში წარმოდგენილი მარგინალური ნიშნები მნიშვნობართა სხვადასხვა თაობისა თუ წრის ინტელექტუალურ თუ ემოციურ მიმართებას გამოხატავს გრიგოლის ტექსტების მიმართ. მაგალითად, A-109-ის გადამწერისთვის განსაკუთრებული დატვირთვა „ბასილი დიდის ეპიტაფიაში“ იმ პასაჟებს აქვს, რომლებშიც საუბარი სათნოებაზეა. *სს⁷ს*-ს ვხვდებით შემდეგი პასაჟების გასწვრივ:

- ვინაჲთაჲნ უწყოდეთ, უადვილეს მიღებაჲ *ს ა თ ნ ო ე ბ ი ს ა ჲ*, ვიდრე მიცემაჲ *ს ა თ ნ ო ე ბ ი ს ა ჲ*, ვითარცა სენის მიცემაჲ უფროჲს, ვიდრე მიმადლებაჲ სიმრთელისაჲ (*Or*: 43, A-109, 27v).

- რამეთუ არაჲ მგონიეს პატიოსან, რომელი არა *ს ა თ ნ ო ე ბ ი ს ა* მიმართ მიიყვანებდეს, არცა უმჯობეს ჰყოფდეს მისსა მიმართ მოსწრაფეთა (*Or*: 43, A-109, 27v).

- რამეთუ ძნიად იქმნების სრულებისასა მიწვენაჲ საშუვალსაცა და მომსთულებულისაგან *ს ა თ ნ ო ე ბ ი ს ა* მრავალთაჲ მიზიდვაჲ საზომითსაცა (*Or*: 43, A-109, 37v).

- ვითარმედ თანაშემსჭუალულ არიან *ს ა თ ნ ო ე ბ ა თ ა* სიბოროტენი და არიან, ვითამე ბჭეთმახლობელ. და ადვილ არს სხუებრ მყოფისაჲ სხუა საგონებელყოფაჲ (*Or*: 43, A-109, 60r).

საყურადღებოა, რომ მარგინალურ ნიშნებსა და მათ ფუნქციებზე ეფრემი დამოუკიდებლადაც საუბრობს თავის კოლოფონებში. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ კოლოფონში ის იძლევა სხვადასხვა მარგინალურ ნიშანთა, მათ შორის, *შეისწავეს* განმარტებასაც:

ხოლო „*შეისწავენი*“ და „განსაზღვრებაჲ“ „განჩინებითურთ“ და „სამეცნიეროჲ“, ესე არა ოდენ ამას წიგნსა, არამედ ყოველთავე წიგნთა ბერძულთა უწერიან კიდესა, რაჲთა რაჟამს სამეცნიეროსა რასმე სიტყუასა ეძიებდეს ვინმე, ადვილად პოვოს და არა უჭმდეს მიმყოვრებული ჟამი, ანუ ყოვლისავე გარდაკითხვაჲ.“⁶⁸

ამ კოლოფონის მიხედვითაც, *შეისწავე* (ისევე, როგორც *განსაზღვრებაჲ*, *განჩინებაჲ* და *სამეცნიეროჲ*) დასტურდება ბერძნულ ხელნაწერებში და ტექსტის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პასაჟების (*სამეცნიერო სიტყვს*) დასანიშნად გამოიყენება. ეფრემი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს მარგინალურ ნიშანთა პრაქტიკულ დანიშნულებას – ისინი უადვი-

⁶⁸ იოანე დამასკელი, *დიალექტიკა*, გვ. 68.

ლებს მკითხველს სწრაფად, ზედმეტი დროის დაკარგვის გარეშე მიაგნოს ტექსტის საყურადღებო პასაჟს.

მარგინალური ნიშნის, მზისთვალის შესახებ ეფრემ მცირე საუბრობს „გარდამოცემის“ თარგმანის ერთ-ერთ სქოლიოში. ამ თხზულების მე-8 (წ) თავის სათაურის – „წმიდისა სამებისათჳს“ – გასწვრივ, აშიაზე დასტურდება შენიშვნა:

სადაცა სამებისათჳს თქუმულ იყოს, ყოველგან შუენის და ზის ბერძულთა წიგნთა ესე მ ზ ი ს თ უ ა ლ ი ს სახე ნიშანი, არა საკითხავთა, არამედ საგალობელთაცა შინა.⁶⁹

ეფრემის შენიშვნით, ნიშანი *მზისთვალი* დასტურდება ბერძნულ ხელნაწერებში – როგორც პროზაულ, ისე საგალობელთა კრებულებში. როგორც ვხედავთ, ეს ნიშანი ზოგადად ბერძნულ ხელნაწერებში ასრულებს იმ ფუნქციას, რომლის შესახებაც გრიგოლის ხელნაწერებში დადასტურებულ VI საუკუნის სქოლიოში არის საუბარი.

როგორც ცნობილია, ეფრემს იოანე დამასკელის „გარდამოცემა“ გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა კრებულამდე, თავისი მნიგნობრული მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე აქვს ნათარგმნი. შესაბამისად საფიქრელია, რომ მარგინალურ ნიშანთა შესახებ ის ინფორმაცია, რომელიც „გარდამოცემის“ კოლოფონებშია, მას მიღებული აქვს არა გრიგოლის ბერძნულ კრებულებში დაცული სქოლიოდან, არამედ იმ ბერძნული ხელნაწერებიდან, რომელთა ნახვისა და რომლებითაც სარგებლობის საშუალება მას შავი მთის სამონასტრო ბიბლიოთეკებში მუშაობისას ჰქონდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მარგინალური ნიშანი, მზისთვალი (და, საფიქრელია, ვარსკვლავიც) აღნიშნული ფუნქციით გამოიყენებოდა არა მარტო გრიგოლის ბერძნულ კრებულებში, არამედ საზოგადოდ, სხვადასხვა ტიპის ბერძნულ ხელნაწერებში. ეფრემიც ამ ნიშნებს მანამდე იცნობდა, ვიდრე გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა კრებულს თარგმნიდა.⁷⁰

⁶⁹ წმ. იოანე დამასკელი, *მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინევნითი გადმოცემა*, გვ. 45.

⁷⁰ აღვნიშნავთ, რომ „გარდამოცემის“ სქოლიო მზისთვალის შესახებ ჩვენთვის ბოლო დრომდე არ იყო ცნობილი, რის გამოც ჩვენს ადრინდელ სტატიებში მზის თვალისა და ვარსკვლავის გაჩენა ქართულ ხელნაწერებში უშუალოდ

საყურადღებოა, რომ მზის ნიშნისა და ვარსკვლავის გამოყენებამ ზემოთ განხილული ფუნქციით ასახვა პოვა არა მარტო გრიგოლის ქართულ კრებულებში, არამედ სხვა ავტორთა თხზულებების ქართულ ხელნაწერებშიც, განსაკუთრებით – ეფრემის თარგმანების შემცველ და შავ მთასთან დაკავშირებულ ნუსხებში.

მაგალითად, ჰომილეტიკურ და აგიოგრაფიულ თხზულებათა კრებულში – S-1276, რომლის რედაქტორად და ერთ-ერთ გამდამწერად ეფრემ მცირეა მიჩნეული,⁷¹ სამ ადგილას ვხვდებით მზის ნიშანს. ის გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებულებში დაცული სქოლიოს მიხედვით არის დასმული სოფრონ იერუსალიმელის ნათლისღებისადმი მიძღვნილ ორ საკითხავში.⁷² იმ პასაჟების გასწვრივ, რომლებშიც საუბარი მამა ღმერთსა და სამებაზეა, მზის ნიშანი სამ ადგილას (ერთ გვერდზე ორჯერ) დასტურდება:

- გალობასა ანგელოზებრსა ზეციერად უგალობდეთ დაუსაბამოსა ღმერთსა და მშობელსა ძისა მხოლოდშობილისა (98v).

- რამეთუ ერთ არს სამებაჲ მარადის სამსახურებელი, მარადის საქებაელი (103r).

- რამეთუ ერთ არს წმიდაჲ მხოლოჲ მამაჲ და ერთ არს წმიდაჲ მხოლოჲ ძე და ერთ არს წმიდაჲ მხოლოდწმიდად ცნობილი სული წმიდაჲ (103r).⁷³

მზის ნიშანს ეფრემის ავტოგრაფულ ხელნაწერში მარტივი ფორმა აქვს – . ეს ის ფორმაა, რომელიც ყველაზე ხშირად გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შემცველ ბერძნულ ხელნაწერებში დასტურდება. ეფრემისათვის, როგორც მწიგნობარ-მთარგმნელისათვის, ნიშნის სწორედ მარტივი ფორმის გამოყენება იყო მოსალოდნელი ავტოგრაფულ ნუსხაში.

მარგინალურ ნიშნებს (*შეისწავე, შუენიერი*, ასევე *იხილე* – სხვადასხვა კომბინაციით) უხვად ვხვდებით ეფრემ ასურის „ასკეტიკონის“ ეფრემისეული თარგმანის შემცველ ხელნაწერში – A-1115 (XII ს.). 101v-

გრიგოლის ქართულად თარგმნასა და გრიგოლის ქართულ ხელნაწერებში მარგინალურ ნიშანთა განმარტებით სქოლიოსთან გვაქვს დაკავშირებული.

⁷¹ მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, გვ. 115-125.

⁷² CPG 7643, CPG 7660.

⁷³ ოთხმეზური, ეფრემ მცირის თარგმანების შემცველ ნუსხათა ერთი თავისებურების შესახებ, გვ. 147-149.

ზე პასაჟი სამების შესახებ მარტივი ფორმის მზის ნიშნით არის მონიშნული:

- ვინაიდან ურთიერთას თანასამარადისო არს ღმრთეება ნმიდისა სამებისაჲ, მამაჲ და ძე და სული ნმიდაჲ, პირთა სამთვთებითა ერთისა არსებისა და ერთისა ღმრთეებისად იცნობებიან. ვინაიდან ერთი ღმერთი არს ნმიდაჲ და ერთარსებაჲ სამებაჲ.

ამგვარად, აშკარაა, რომ ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში მარგინალური ნიშნების სისტემატური და თანამიმდევრული გამოყენება შავი მთის მნიგნობრულ სკოლასა და ეფრემის სახელთან არის დაკავშირებული.

ნამოდგენილი მასალა, ვფიქრობთ, გვაძლევს საფუძველს, მზის ნიშნისა და ვარსკვლავის ზემოთ განხილული ფუნქციით ხელნაწერში არსებობა ამ ხელნაწერის შავი მთის მნიგნობრულ ცენტრთან კავშირის დამადასტურებელ ერთ-ერთ კრიტერიუმად მივიჩნიოთ.

„გარდამოცემის“ შესავალში ეფრემი აღწერს იმ ბერძნულ ხელნაწერებს, რომელთა ნახვისა და გაცნობის საშუალებაც მას შავ მთაზე მუშაობისას ჰქონდა. ის საუბრობს ანტიოქიის პატრიარქის, თეოდორეს მიერ სვიმეონწმინდის მონასტრისათვის შეწირულ ოთხასოც ბერძნულ წიგნზე,⁷⁴ როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათის პროზაულ კრებულებზე, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი მნიგნობრული დონით⁷⁵ – აღჭურვილი იყვნენ სამეცნიერო აპარატით, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ მარგინალურ ატრიბუტიკას ეკავა.

საზოგადოდ, სამეცნიერო აპარატის ფუნქციაა, კომპლექსური აგებულების წიგნის აღქმასა და მის პრაქტიკულ გამოყენებაში დაეხმაროს მკითხველს. მარგინალური ნიშნების სწორედ ამ ფუნქციას გამოკვეთს ეფრემი სვიმეონწმინდის ბიბლიოთეკის ბერძნულ ხელნაწერებზე საუბრისას. ეფრემის შენიშვნით, მარგინალური ნიშნების დახმარებით მკითხველს შეუძლია ადვილად პოვოს და არა უჭმდეს მიმყოფრებული ჟამი ანუ

⁷⁴ ეს უნდა მომხდარიყო მეთეთმეტე საუკუნის ორმოციან წლებში – ეფრემის მიერ „გარდამოცემის“ შესავალში მოხსენიებული პატრიარქი თეოდორე III ლასკარისი ანტიოქიის პატრიარქი იყო 1034-1042 წლებში, Crusostomou Papadopolou *Istoria th~ Ekkhsia~ Antioceia~*, s. 841.

⁷⁵ იოანე დამასკელი, *დიალექტიკა*, გვ. 68. ეფრემ მცირის შესავლის ამ პასაჟის შესახებ იხ. აგრეთვე, Djobadze, *Archeological Investigations in the Region West of Antioch on-the-Orontes*, p. 59.

ყოვლისავე გარდაკითხვაჲ. ეფრემის შენიშვნით, ხელნაწერ წიგნში ამავე ფუნქციას ასრულებს სამეცნიერო აპარატის კიდევე ერთი კომპონენტი – ლექსიკონი.⁷⁶

ამგვარად, შავი მთის ბერძნული ხელნაწერები – ერთგვარი სამეცნიერო-კრიტიკული პუბლიკაციები, რომელთა პრაქტიკულობითაც ასე იყო მოხიბლული ქართველი მწიგნობარი, საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენდა ეფრემისათვის ქართულ ხელნაწერ წიგნზე მუშაობისას. სწორედ ამიტომ გამოირჩევა თავისი მწიგნობრულობით, ელინოზებული სახით, შავი მთის წრეში შექმნილი და ამ წრიდან გავრცელებული ქართული ხელნაწერები.

დაბოლოს: დღეისათვის თუ ბიზანტინისტებს გარკვეული წარმოდგენა შეუძლიათ შეიქმნან ათონის, სინას თუ იერუსალიმის შუა საუკუნეების ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციებზე ამ კოლექციათა დღევანდელი შედგენილობის მიხედვით, თითქმის არაფერია ცნობილი ანტიოქიის ბერძნული წიგნთსაცავებისა თუ კოლექციების შესახებ, რომელთა დიდი ნაწილი განადგურდა, ხოლო ნაწილი ამჟამად გაბნეული უნდა იყოს ბერძნულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციებში. თავად ბერძნული წყაროებიც ამ ეპოქის მწიგნობრული ცხოვრების შესახებ ბევრს არაფერს იძლევა. ასეთ ვითარებაში ეფრემთან დაცული ცნობები შავი მთის ბერძნულ ხელნაწერებზე და ეფრემის მწიგნობრულ გარემოში ბერძენთა კუალსა შედგომითა შედგენილი ქართული კრებულები განსაკუთრებით ფასულია XI საუკუნის ანტიოქიის კულტურულ-მწიგნობრული ცხოვრების შესწავლისა თუ რეკონსტრუქციისათვის.

⁷⁶ ესრეთ აქუს ჩუეულებჲ წიგნებსა ბერძენთასა, რაჲთა ანბანსა ზედა განაწყობდენ ყოველთავე სიტყუათა გამოსაძიებელთა და ღრმათა, რაჲთა ადვილ იყვნენ საპოვნელად, Cod. Q-37, 3r; ფსალმუნთა თარგმანების კოლოფონი, იხ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, გვ. 81.

„ზეპირით დაწერილი“ შენიშვნები გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულებაში

ძველ ქართულ ხელნაწერებში „ზეპირით დაწერილი“¹ მარგინალური შენიშვნები – ხელნაწერის ძირითად ტექსტზე ქართველი მწიგნობრის მიერ დართული სქოლიოები – ადრეული პერიოდიდან ჩნდება, თუმცა მარგინალურ შენიშვნებს, როგორც ტექსტის ინტერპრეტაციის ჩამოყალიბებულ სისტემას, პირველად ეფრემ მცირის თარგმანების შემცველ კრებულებში ვხვდებით.

„ზეპირით დაწერილი“ შენიშვნების საჭიროების შესახებ ეფრემი „გარდამოცემის“ წინასიტყვაობაში საუბრობს:

ზეპირობისა მიზეზი ესე არს, ვინაჲთგან ყოველსა თარგმანსა უჭმს შემატებაჲ სიტყვსა რეცა განმაცხადებულად ძალისა. ხოლო მე, ვითარცა ყოველთა უნარჩევებსა, მიზეზი იგი და შემდგომად ღმრთისა მომცემელი იგი ჩემდა თარგმანობისაჲ, ბერი ჩუენი, ამას მიბრძანებდის, რაჲთა წმიდისა სიტყუაჲ მარტივად და შეუზავებულად და შეუხებულად ვსთარგმნო და უკუეთუ რაჲმე

¹ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „ზეპირით დაწერილ“, ანუ მთარგმნელისეულ შენიშვნებს ხშირად „შეისწავებად“ მოიხსენიებენ, რადგან ისინი, უმეტესწილად, სიტყვით „შეისწავე“ იწყება. ქართულ ხელნაწერში „შეისწავე“ თავისთავად დამოუკიდებელი მარგინალური ნიშანია, რომელიც დაქარაგმებული ფორმით – **სს~ქ**, **სს~ქ1** – არის ხოლმე წარმოდგენილი ხელნაწერის აშეიბზე. ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 125-126, 128. „შეისწავეს“, როგორც ტექნიკური ტერმინის მნიშვნელობა კარგად არის გარკვეული დარეჯან თვალთვადის მიერ, თვალთვაძე, ეფრემ მცირის კომენტატორულ საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინი, გვ. 86-105.

ძალისა განმაცხადებელი უგმდეს ჩუენსა ენასა, იგი კიდესა ზედა ადგილ-ადგილ და შესავალსა შინა თავსა წიგნისასა დავწერო.²

ამგვარად, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ლიტერალურ თარგმანებს – *მარტივად, შეუზავებველად და შეუხებელად* ბერძნულიდან გადმოტანილ ტექსტებს – ესაჭიროება განმარტება. ბერძნულის ადეკვატურ თარგმანზე მუშაობისას მთარგმნელი მთლიანად ორიგინალს, მის ხელთ არსებულ ბერძნულ დედანს არის დაქვემდებარებული; ამ დროს, ერთი ენიდან მეორეზე გადატანის პროცესში, იქმნება გარკვეული სირთულეები, რომელთა დასაძლევად, ეფრემის აზრით, მთარგმნელმა უნდა მიმართოს მარგინალურ შენიშვნებს. ხელნაწერის აშიები ის თავისუფალი სივრცეა, სადაც მწიგნობარს შეუძლია განმარტოს გაუგებარი პასაჟის „ძალი“, გამოთქვას, გამოსახოს, მიაწიშნოს ის, რისი თქმისა და გამოხატვის საშუალება მას არ ეძლევა ძირითად ტექსტზე მუშაობისას, სიტყვასიტყვითი თარგმანის შექმნისას; ამგვარ თარგმანზე მომუშავე მწიგნობარს შესაძლებლობა უნდა მიეცეს იყოს მთარგმნელი-ინტერპრეტატორიც, ოღონდ მხოლოდ ხელნაწერის „კიდეზე“.

ამ შესაძლებლობით – ხელნაწერის თავისუფალი სივრცით – ხშირად სარგებლობდა ეფრემი. ბასილი დიდის „ასკეტიკონის“, თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიის“, ეგზეგეტიური ტექსტების – ფსალმუნთა თუ პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების, აგრეთვე, იოანე დამასკელის „დიალექტიკისა“ და „გარდამოცემის“, არეოპაგიტული კორპუსის და სხვ. ქართულ ხელნაწერთა აშიებზე უხვად ვხვდებით სქოლიოებს, რომელთა ავტორი, უმეტეს შემთხვევაში, ამ თხზულებათა მთარგმნელი, ეფრემ მცირეა.³

თავისი მეტად საინტერესო და ფუნქციურად მრავალფეროვანი მარგინალური სამყარო აქვს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების 16 ლიტურგიკული სიტყვის შემცველ ეფრემისეულ კრებულებს: *Jer.* 43,

² იოანე დამასკელი, *დიალექტიკა*, გვ. 67.

³ ეფრემ მცირის კრებულებში დაცული მარგინალური შენიშვნების დიდი ნაწილი მკვლევართა მიერ შესწავლილია, იხ. სარჯველაძე, *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*, გვ. 198-252; ხინთიბიძე, *ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ძველი ქართული რედაქციები*, გვ. 158-175; თვალთვაძე, ეფრემ მცირის ლექსიკოგრაფიული სქოლიოებისა და სულხანსაბა ორბელიანის ლექსიკონის მიმართებისათვის, გვ. 68-77; თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 47-54.

Jer. 8, Jer. 15, Jer. 13, K-9, A-109,⁴ რომელთაგან სამში, აშიებზე, ბასილი მინიმუსის კომენტართა ეფრემისეული თარგმანი და ეფრემის სქოლიოები ერთმანეთის გვერდიგვერდ არის განლაგებული.

წარმოვადგენთ გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავთა ქართული კრებულების მარგინალურ შენიშვნებს, რომლებიც საინტერესო მასალას იძლევა შუა საუკუნეების ქართული მწიგნობრობის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის, XI საუკუნის II ნახევრის შავ მთაზე მიმდინარე ისეთი პროცესების შესწავლისათვის, როგორიცაა ქართული სამეცნიერო აზროვნებისა და მთარგმნელობითი კონცეფციების ჩამოყალიბება, გრამატიკული და ლიტერატურის თეორიის ტერმინოლოგიის შექმნა, ბერძნულ და ქართულ ხელნაწერებზე მუშაობის პრინციპები თუ სხვ.

შეგნებულად თავს ვარიდებთ ეფრემის მარგინალური შენიშვნების დაჯგუფებას თემატურად, რადგან ძნელად მოიძებნება ისეთი შენიშვნა, რომელშიც მხოლოდ ერთი რომელიმე თემა – გრამატიკული, ლექსიკოლოგიური, ტექსტოლოგიური და სხვ. – იყოს წარმოდგენილი. ლექსიკა და საბუნებისმეტყველო თემატიკა, ანტიკური მითოლოგია და ტექსტის თარგმნის ისტორია, პუნქტუაცია და რიტორიკა, ტექსტოლოგია და მთარგმნელობითი თეორიის საკითხები ამ შენიშვნებში ისეა ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული, რომ ძნელდება მათი ცალკეულ შინაარსობრივ ჯგუფებად დანაწილება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ შენიშვნათა შედგენისას, ქართველ მწიგნობარს არ ამოძრავებდა კონკრეტული – ფილოლოგიური, ტექსტოლოგიური თუ მისთ. ინტერესები. ეს არის წმინდა პრაქტიკული საჭიროებით განპირობებული მოკლე ჩანაწერები, რომლებიც უშუალოდ თარგმნის პროცესისა და ამ პროცესის დროს სხვადასხვა მიზეზით შექმნილი სირთულეების გამოა შექმნილი.⁵

⁴ ბრეგადე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 133-138, 144-158, 159-167.

⁵ მარგინალურ შენიშვნათა დანიშნულების შესახებ იხ. აქვე, გვ. 218-221.

• სქესი ძველ ქართულში

ქართულისათვის სრულიად უცხო გრამატიკული კატეგორიის, სქესის შემოტანის ცდა ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ეფრემ მცირის სახელს უკავშირდება და მის თარგმანებში რამდენიმე ადგილას არის დადასტურებული.⁶

მდედრობითი სიტყვების გამოყენებისა და მათი განმარტების რამდენიმე ნიმუშს გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა ეფრემისეულ თარგმანშიც ვხვდებით.

გრიგოლის მე-19 ჰომილიაში „ივლიანეს მიმართ განმასწორებლისა“ საუბარია მოსეს მიერ აღმართულ კარავზე, რომელსაც ებრაელები – მამაკაცები და ქალები – სხვადასხვა შესანიშნავს სწირავდნენ:

- oi de oti ekasto~, h ekasth tucoien econte~.⁷

ამ ფრაზის ეფრემისეული თარგმანია:

- ხოლო სხუანი [სწირავდნენ] რაჲცა რაჲმე მ ა ს ანუ მ ა ს ა ს ა აქუნდა დამთხუევით.⁸

პასაჟს ერთვის მარგინალური შენიშვნა:

შეისწავე, მ ა ს ი – მამაკაცისათჳს და მ ა ს ა – დედაკაცისათჳს.⁹

როგორც ვხედავთ, ეფრემმა მდედრობითი და მამრობითი სქესის ბერძნული განსაზღვრებითი ნაცვალსახელები ქართულად პირის ნაცვალსახელებით გადმოიტანა და მათი სქესის მიხედვით გამიჯვ-

⁶ ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ეფრემ მცირის თარგმანში ლექსიკური ერთეული *მდიდარი* წარმოდგენილია ფორმით *მდიდარ-ა*, რასაც ერთვის მარგინალური შენიშვნა: *შეისწავე „მდიდარაჲ“ ახლად მოპოვნებულად დედლად სიტყუად, რამეთუ დედაკაცი არს მომღებელი ჭიჭნაურისაჲ* (cod. A-1115, 154v), Сарджвеладзе, У истоков грузинской грамматической мысли, с. 117. ბერძნული გრამატიკული სქესის შესახებ ქართველ მწიგნობართა თეორიულ ცოდნასთან დაკავშირებით იხ. შანიძე, *სიტყუაჲ ართრონთათჳს – ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი*; ასევე მარგინალური შენიშვნა, რომელიც ერთვის გრიგოლ ღვთისმეტყველის „ევაგრეს მიმართ მონაზონისა ღმრთეებისათჳს“ ფრაზას: *ესე სახელი „სულისა“ დედლად ითქუმის* (ეფრემ მცირის თარგმანი, cod. A-292, 319r), ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 175.

⁷ PG 36, col. 1052 C 3-4.

⁸ *Oratio 19, Iber.* p. 183. ამ ფრაზის ექვთიმესეული თარგმანია: *და სხუათა, რაჲცა ვის ჴელ-ენიფებინ, მამათა გინა დედათა*, *Oratio 19, Iber.* p. 182.

⁹ *Cods. Jer.* 15, 4v; A-109, 4v.

ნის მიზნით, *ekasth*-ს (მდედრ. სქ.) შესაბამის ქართულ ნაცვალსახელს დაურთო სუფიქსი -ა, მდედრობითი სქესის I კანკლედობის ბერძნული სახელების დაბოლოების, -a-ს ანალოგიით. ასე შეიქმნა ქართული ენისათვის სრულიად უჩვეულო ფორმა – მდედრობითი სქესის ნაცვალსახელი მ ა ს ა. მარგინალურ შენიშვნაში სწორედ ამ მოვლენაზეა ყურადღება გამახვილებული.

მე-15 ჰომილიაში „მაკაბელთა მიმართ“ დედა მიმართავს მოწამე ჭაბუკებს:

- ფინეზის თანა დავინესნეთ, ანნაჲს თანა ვიდიდნეთ. გარნა რაბამ? რომელ მ ა ნ – ერთი, ხოლო თქუენ – ესოდენ მოშურნე სიძეს მკლველებ ... და მ ა ნ ა მ ა ნ – ერთი ღმრთივმოცემული ან შობილი იგიცა, ხოლო მე – შვდ მამაკაც და ესეცა ნეფსით ღმერთსა ვამსხუერპლენ.¹⁰

პასაჟი აგებულია გრიგოლ ღვთისმეტყველის რიტორიკული სტილისათვის დამახასიათებელი ბიბლიური პარალებებით (*Num.* 25, 7; *I Reg.* 1, 22), რომლებსაც ამავე დროს ანტიტეზის ფუნქციაც აქვს. ნაცვალსახელების მ ა ნ და მ ა ნ ა მ ა ნ შესატყვისი ბერძნულ ტექსტში არის მამრობითი და მდედრობითი სქესის ჩვენებითი ნაცვალსახელები ო და ო.¹¹ პასაჟს ქართულ ხელნაწერში ახლავს შენიშვნა:

შეისწავე აქა, რამეთუ მ ა ნ ფინეზისთჳს ითქუმის მ ა მ ლ ა დ, ხოლო მ ა ნ ა მ ა ნ ანნასთჳს – დ ე დ ლ ა დ, რამეთუ ბერძულად ფრიად განყოფილებაჲ აქჳს მამალ-დედლობისა სიტყუათა.¹²

აქ ქართულისათვის უცხო ფორმის განმარტებასთან ერთად აღნიშნულია, რომ ეს მოვლენა – გრამატიკული სქესის კატეგორია – ბერძნულისათვის არის დამახასიათებელი.¹³

¹⁰ *Oratio* 15, *Iber.* p. 49. ამ პასაჟის ექვეთმესეულ თარგმანში ნაცვალსახელების ადგილას მთარგმნელი იმეორებს საკუთარ სახელებს: *ფინეზი* და *ანა*, *Oratio* 15, *Iber.* p. 48.

¹¹ *PG* 35, col. 928 C 4-8.

¹² *Cods. Jer.* 13, 232v; *Jer.* 8, 70r. *Jer.* 8-ის შესახებ იხ. ცერაძე, რამდენიმე უცნობი იერუსალიმური ფრაგმენტის იდენტიფიკაციისათვის, გვ. 41.

¹³ შენიშნულია, რომ ძველი ქართული ლინგვისტური ხასიათის განმარტებების უმეტესობა უფრო ხშირად ბერძნული ენისთვის დამახასიათებელ მოვლენებს ხსნის, ვიდრე ქართულის, დობორჯგინიძე, ტერმინ „გრამატიკოსის“ გაგებისათვის, გვ. 13. ჩვენ მიერ განხილული მარგინალური შენიშვნა ამ მოსაზრებას ადასტურებს.

გრიგოლ ღვთისმეტყველის 39-ე ჰომილიაში „ნათელათჳს“ ნახსენები არიან ტავროსის მკვიდრნი, რომლებიც წარმართული ღვთაების, ქალწული არტემისის თაყვანისმცემლები არიან:

- oi~ timatai qea, kai tauta parqeno~.¹⁴

ამ ფრაზის ეფრემისეული თარგმანია:

- რომელთაგან პატივ-იცემების ღმერთაჲ და ესეცა ქალწულაჲ.¹⁵

-ა სუფიქსი ამჯერად არსებითი სახელების ფუძეებზეა დართული და ამ გზით არის ნაწარმოები არსებითი სახელის მდებრობითი სქესის ქართულისთვის უჩვეულო ფორმები. პასაჟს ერთვის შემდეგი სქოლიო:

შეისწავე, რამეთუ ღმერთაჲ და ქალწულაჲ დედლობისათჳს უთქუამს არტემისსა.¹⁶

საინტერესოდ გვეჩვენება თავისთავად მდებრობითი სქესის შინაარსის მქონე სიტყვის – *ქალწულის* – მდებრობითი სქესის ფორმით წარმოდგენა. როგორც ცნობილია, -ა სუფიქსს, რომელსაც ეფრემი, ბერძნულის ანალოგიით, მდებრობითი სქესის გამოსახატავად იყენებს, ქართულში კნინობითის ფუნქციაც აქვს. ასე რომ, ვფიქრობთ, ქართველი მნიგნობარი აქ გარკვეულ ხერხს მიმართავს: სიტყვიდან *ქალწული*, რომელიც ქრისტიანთათვის, უპირველეს ყოვლისა, ღვთისმშობლის სახელთან არის ასოცირებული, ის აწარმოებს ხელოვნურ ფორმას *ქალწულაჲ*, სადაც -ა სუფიქსს, მდებრობითი სქესის აღნიშვნასთან ერთად, კნინობითი დატვირთვაც აქვს, რის შედეგადაც პასაჟი წარმართთა ქალღმერთზე ქართულ თარგმანში დამცინავ, ირონიულ ელფერს იძენს. ეს იმ ტიპის მოვლენა უნდა იყოს, როდესაც ექვთიმე ათონელს ტერმინი *filosofia*, რომელსაც წარმართული სიბრძნის მნიშვნელობა აქვს ბასილი დიდის „სწავლანის“ ერთ-ერთ პასაჟში, გადმოაქვს ფონეტიკურად შეცვლილი, დამახინჯებული ფორმით – *ფილაფოზობა* – მისი დამცრობის, დაკნინების მიზნით.¹⁷ 16 ლიტურგიკული სიტყვის ეფრემისეულ თარგმანში, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნულთან განსაკუთრებული სიახლოვით არის შესრულებული, *ქალწულაჲ* ერთ-ერთ იმ

¹⁴ PG 36, col. 340 A 2.

¹⁵ *Oratio* 39, *Iber*: p. 45.

¹⁶ Cod. A-109, 74r.

¹⁷ *ბასილი კესარიელის „სწავლანი“*, გვ. 053.

იშვიათ შემთხვევათაგანია, როდესაც ტექსტში მთარგმნელის პირადი, ანტინარმართული დამოკიდებულებაა გამჟღავნებული სათარგმნი მასალის მიმართ.

ნიშანდობლივია, რომ თავად გრიგოლ ღვთისმეტყველი ხშირად მიმართავდა მსგავს ხერხს – უჩვეულო გრამატიკული ფორმების გამოყენებას საკუთარი პოზიციის, უარყოფითი დამოკიდებულების გასამჟღავნებლად ანტიკური სამყაროს მიმართ. მაგალითად, ბასილი მინიმუსის შენიშვნით, წარმართულ გმირებს, ორესტესა და პილადეს, გრიგოლი „ბასილი დიდის ეპიტაფიაში“ მრავლობით რიცხვში – *oi Orestai kai oi Puladai* (ორესტენი და პილადენი) იხსენიებს წარმართთა ჩვეულების მიზაძვით: *დაღათუ ჩუეულებითა სანარმართოჲსა სიტყჴსაჲთა სამრავლოდ იტყჴს ურესტეთა და პკლადეთა*¹⁸ (კომენტატორს აქ მხედველობაში აქვს ბერძნულისათვის დამახასიათებელი მოვლენა – საკუთარი სახელების, კერძოდ, ქალაქების სახელწოდებების მრავლობითის ფორმით წარმოდგენა, მაგალითად: *ai Aqhnai, oi Delfoi, ai Qhbai*). გრიგოლთან გრამატიკული კატეგორია, რიცხვი, იქცევა ანტიკურ პერსონაჟთა დამცირების, დაკნინების საშუალებად.¹⁹ ეფრემ მცირისათვის, ცხადია, ცნობილი იყო იმ ავტორთა მხატვრული სამყარო და მხატვრული ხერხები, რომელთა თხზულებებსაც ის თარგმნიდა. ჩანს, რომ ის დამოუკიდებლადაც ოპერირებდა ამ ხერხებით.

განხილული მაგალითები ბერძნულთან ენობრივი დაახლოების შედეგი უნდა იყოს, თუმცა²⁰ განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, გადაჭარბებული ზედმინევენითობის შედეგად გაჩენილი უჩვეულო ფორმები ამავე დროს იმ ენობრივ ექსპერიმენტებს, გრამატიკულ „თამაშებსაც“

¹⁸ *Comm. 43, Iber. 66.*

¹⁹ *ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული ვერსია*, გვ. 69-70.

²⁰ აღსანიშნავია, რომ ეფრემის სხვა თარგმანებში მსგავსი პასაჟები ამგვარი ხელოვნური, უჩვეულო ფორმებით არ არის გადმოტანილი. მაგალითად, ნყვილის სახით წარმოდგენილი მამრობითი და მდედრობითი სქესის ნაცვალსახელები ფსევდონონეს კომენტართა ეფრემისეულ თარგმანში ერთი ნაცვალსახელით არის გადმოტანილი: *pante~ kai pasai: ყოველნი* (საუბარია ეგვიპტეში ნილოსის საპატივცემულოდ გამართულ დღესასწაულზე შეკრებილ მამაკაცებსა და ქალებზე); *panta~ kai pasa~: ყოველნი* (საუბარია აპოლონის მსახურ მამაკაცებსა და ქალებზე), *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica*, p. 138-139; 240-243.

გვაგონებს, რომლებსაც შუა საუკუნეების მწიგნობრობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე მიმართავდნენ ხოლმე ძველი გრამატიკოსები.²¹

ეფრემ მცირის მიერ ქართულში შემოტანილი ეს ხელოვნური ფორმები – *ახლად მოპოვებული დედალი სიტყვები* (ამ დეფინიციაში ხაზგასმულია, რომ ეს ფორმები სიახლეს, ნეოლოგიზმს წარმოადგეს ქართულ ენაში) ჩანს გელათის სკოლის ელინოფილურ თარგმანებშიც;²² შემდგომ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სრულიად ქრება ენიდან.

გვიანდელი ეპოქიდან მხოლოდ სულხან-საბამ შემოგვინახა ქართული ელინოფილიზმის, ზოგადად, ქართული ენის ისტორიის ეს უცნაური ფაქტი; ეფრემისეული *მამალ-დედლობის* სიტყვები *მ ა ნ ი* და *მ ა ნ ა*, როგორც „სიტყვათა მიმოღვარების“ მაგალითები გრიგოლის მე-15 ჰომილიის ეფრემისეული მარგინალური შენიშვნიდან, დადასტურებულია სულხან-საბას ლექსიკონში, ლექსიკური ერთეულის, *ართრონის* განმარტებაში.²³

• *ფიჭვ* – *პიტვ* ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში

გრიგოლ ღვთისმეტყველის 42-ე ჰომილიაში („ასერგასისთა მიმართ ეპისკოპოსთა სიტყუაჲ ჯმნისაჲ“) არის ციტატა ბიბლიიდან, ზაქარიას ნიგნიდან:

²¹ უმბერტო ეკოს თავის რომანში „ვარდის სახელი“ მხატვრულად საინტერესოდ აქვს გაცოცხლებული ენობრივი თამაშებით გატაცებულ შუა საუკუნეების გრამატიკოსთა ამბები მთავარ პერსონაჟთა, ვილჰელმ ბასკერვიელისა და მისი შეგირდის, ადსონის დიალოგში, რომლებიც XIV საუკუნის სამონასტრო ბიბლიოთეკაში არისტოტელეს დაკარგულ თხზულებას ეძებენ.

²² ნიშანდობლივია, რომ გელათურ თარგმანებში მდებდრობითი სქესის სახელები განსხვავებული ფორმით, მდებდრობითი სქესის III კანკლედობის დაბოლოების -i~ (-id-ო~) ბერძნული სახელების ანალოგიით არის წარმოდგენილი, მაგალითად, *ekasth* – *თითოეულიდი*, იხ. ხარანაული, სეგმენტაციის მეთოდი „რუთის“ ნიგნის გელათურ თარგმანში, გვ. 336; დანელია, გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა ქართულში, გვ. 94-108.

²³ სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, გვ. 63-64. ართრონის განმარტება, თავის მხრივ, მთლიანად ეფუძნება ძველ ქართულ ხელნაწერებში – *Ath.* 6 (XII-XIII სს.) და S-312 (XVI ს.) – წარმოდგენილ მარგინალურ შენიშვნას ბერძნული ართრონის შესახებ, შანიძე, *სიტყუაჲ ართრონთათჳს*, გვ. 132-142.

- გოდებდინ პიტჳ, რამეთუ დაეცა ნაძჳ²⁴ – Ololazetw pitu~, oti peptwke kedro~ (Zach. 11, 2).²⁵

ეფრემისეულ თარგმანში ამ პასაჟს ერთვის მარგინალური შენიშვნა:

შეისწავე, რამეთუ ბერძული არს ესე სიტყუაჲ. პ ი ტ ჳ არს არა დიდი ხე, არამედ მცირე კიცჳ ფიჭჳსაჲ უზარდი.²⁶

როგორც ვხედავთ, ძირითადი ტექსტის ეფრემისეულ თარგმანში ბერძნული სიტყვა pitu~ ტრანსლიტერაციით არის გადმოტანილი. შენიშვნაში კი მითითებულია ამ უცხო სიტყვის წარმომავლობა (*ბერძულ არს*) და მოცემულია მისი განმარტება: პ ი ტ ჳ – მცირე კიცჳ ფიჭჳსაჲ უზარდი.

ბერძნული ლექსიკური ერთეულის πῖτυς ქართული შესატყვისი ფიჭჳ ბერძნულიდან საკმაოდ ადრეულ ეპოქაში, ეგეოსური მიგრაციების დროს ზეპირი გზით შემოსული სიტყვაა.²⁷ ადრინდელ მთარგმნელობით ტრადიციაში, კერძოდ, ბიბლიის წიგნთა უძველეს ქართულ თარგმანებში განსაკუთრებული სიზუსტე ამ სიტყვის თარგმნისას არ არის დაცული. ლექსიკური ერთეულით ფიჭჳ გადმოტანილია როგორც πῖτυς, ისე სხვა წინვოვანი მცენარეების სახელწოდებები: kuparisso~, peukh, arkeuqina.²⁸ ტერმინოლოგიური სიზუსტე ამ თვალსაზრისით არც შედარებით გვიანდელ თარგმანებში იჩენს თავს. მაგალითად, ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲს“ გიორგი ათონელის თარგმანში ფიჭჳ-ით გადმოტანილია როგორც pitu~, ისე kedro~.²⁹ რაც შეეხება ქართველ ელინოფილებს,

²⁴ გრიგოლ ღვთისმეტყველის 42-ე ჰომილიის ქართული თარგმანები გამოცემული არ არის. იხ. cods. Jer. 15, 151v, Jer. 43, 152v, A-109, 143v.

²⁵ PG 36, col. 465 B 9-10.

²⁶ cods. Jer. 15, 151v, Jer. 43, 152v, A-109, 143v; v. l. შეისწავე, ბერძულ – პიტჳ, ხოლო ქართულ – კიცჳ ფიჭჳსაჲ (Jer. 13, 119 r, Jer. 8, 163 v, A-292, 120 r).

²⁷ გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, გვ. 150; Furnee, *Vorgriechisch-Kartvelisches*, p. 28.

²⁸ kai kuparissoi toiautai en tw paradeisw tou Qeoũ, kai ai pitue~ ouc omoiai tai~ parafuasin autou kai elatai ouk egenonto – სარონი არა ეგვევითარ იყვნეს სამოთხესა ღმრთისასა და ფიჭუნი არა მსგავს იყვნეს მორჩთა მისთა, Ez., 31 8 (ოშკის ბიბლია); kai ekoya to megeqo~ th~ kedrou autou, ta eklekta kuparisswn – მოვკაფე სიმაღლე საროთაჲ, რჩეულ-რჩეული ფიჭუთაჲ, IV Reg., 19, 23 (ოშკის ბიბლია); xula kedrina kai arkeuqina kai peukana ek tou Libanou – ძელი ნაძჳსაჲ, ფიჭჳსაჲ და საროჲსა ლიბანით, II Par. 2, 8; ek kuparissw kai peukh kai kedrw – საროჲთა და ფიჭჳთა და ნაძჳთა, Is., 60, 13.

²⁹ ბასილი დიდი, *ექუსთა დღეთაჲ*, გვ. 170.

მათ ხელახლა, ამჯერად უკვე წერილობითი გზით შემოაქვთ ლექსიკური ერთეული *pitu~* ფორმით *პიტკ*. მაგალითად, თუ ბიბლიის ადრინდელ თარგმანში, ოშკის ბიბლიაში, ზაქარიას წიგნის ზემოთ მოყვანილი მუხლის თარგმანია: *ღალადებდედ ფიჭუნი, რამეთუ დაეცნეს ნაძუნი*; გვიანდელ თარგმანში – გელათურ ბიბლიაში – *ფიჭუნი უკვე შეცვლილია პიტკ*-ით: *ვალალაებდა პიტკ, რამეთუ დაეცა ნაძკ*.³⁰

ბერძნული ლექსიკური ერთეულის ტრანსლიტერაციით გადმოტანასთან ერთად, ეფრემი შენიშვნაში იძლევა *პიტკ*-ის თავისებურ განმარტებას: *პიტკ – ფიჭეს კიცკ* (ფიჭვის შვილი), ე. ი. *პატარა ფიჭვი*. ამ დეფინიციით ერთმანეთისაგან გამიჯნულია *ფიჭკ* და *პიტკ*, რომლებსაც, სინამდვილეში, ერთი მნიშვნელობა აქვს. ეს განმარტება ბერძნულიდან, ცხადია, არ მომდინარეობს, რადგან ბერძნულ ლექსიკურ ერთეულს *pitu~* აქვს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა – *ფიჭვი*. *პიტკ*-ის, როგორც *ფიჭვის შვილის* განმარტებას ვერც ადრინდელ, ეფრემამდელ ტექსტებში მივაკვლიეთ. ასე რომ, როგორც ჩანს, ეს განმარტება ეფრემისგან მომდინარეობს.

რატომ გაჩნდა საჭიროება, ეფრემს მოეცა *პიტკ*-ის ამგვარი განმარტება?

ამ კითხვას გარკვეულწილად ნათელს ჰფენს ის კონტექსტი, რომელშიც ეს სიტყვა არის მოცემული გრიგოლის ჰომილიასა და ბასილი მინიმუსის განმარტებაში. განმარტება ამ პასაჟს ერთვის როგორც ბერძნულ, ისე ქართულ ხელნაწერებში.

გრიგოლის 42-ე ჰომილიაში, ისევე როგორც ბიბლიაში, ფრაზა – *გოდებდინ პიტკ, რამეთუ დაეცა ნაძკ* – ფიგურალური გამოთქმაა, რომელიც ბასილი მინიმუსის კომენტარში შემდეგნაირად არის განმარტებული:

- h *pitu~ th kedrw paralambanomenh elegcetai: ou monon iscnote-ra, alla ge kai adranestera kai pro~ anemou embola~ asqenestera: ou gar kata baqo~ tai~ rizai~ esthriktai w~ h kedro~*, all *epipolaion ecei thn toutwn qesin. Toutoi~ oun h Grafh apeikazein eiwqen tw n anqrwpwn ta~ tuca~, pitui men tou~ asqenesterou~ kai mh basin econta~ krataioteran wste kai eparkein peirasmwn epercomenwn, kedrw de tou~ uyhlou~ kai ephrmenou~ kai iscui diaferonta~ kai*

³⁰ გელათურ ბიბლიაში პასაჟი ეზეკიელის წიგნიდან (იხ. სქ. 28) შემდეგნაირადაა ნათარგმნი: *კჳპაროზნი ესევეითარებ სამოთხესა შინა ღმრთისაჲსა, და პიტუნი არა მსგავს იყვნეს ბაბილოთა მისთა (Ez. 31, 8).*

eusqenesterou~, qreneitwsan oun oi mikroi kai asqenei~ tew~ airetikoi pro~ hma~: kai kata nooumenon kai iscuron tw~n dogmatwn kai kata to fainomenon tou kratou~ kai to uperkeimenon th~ plhqou~ kai toi~ hmeteroi~ kakoi~ efh toutoi~ paideuesqwsan³¹ – ფიჭვი, ნაძვთან შედარებული, იმხილება: [ფიჭვი] არა მარტო უფრო სუსტი, არამედ უფრო ნაზი და ქარის მიმართ უფრო არამდგრადი [ხეა]. ფესვები [მინის] სიღრმეში კი არა აქვს გადგმული, როგორც ნაძვს, არამედ მათ ზედაპირული განლაგება აქვს. [წმინდა] წერილს სჩვევია მათთან ადამიანთა ბედ-ილბლის მიმსგავსება. ის, ერთი მხრივ, ფიჭვს ამსგავსებს უძლურთ და არამძლავრი საფუძვლის მქონეთ, რაც მოწვეულ განსაცდელთა დასაძლევად იქნებოდა საჭირო. ხოლო, მეორე მხრივ, ნაძვებს [ამსგავსებს] მაღალთ, ზეაზიდულთ, ძალით გამორჩეულთ და უძლიერესთ. მაშ, იგლოვონ, – ამბობდა [გრიგოლი], – ჩვენმა მოწინააღმდეგე მცირე და სუსტმა ერეტიკოსებმა, ვართ რა სულიერადაც ძლიერნი დოგმატებით და ხილულადაც – ძალაუფლებით და ზეჭარბი სიმრავლით, და განისწავლონ ჩვენი უბედურებების [შემყურენი].

ამგვარად, ბასილი მინიმუსის კომენტარში *ფიჭვი* დახასიათებულია, როგორც სუსტი ხე ნაძვთან შედარებით, რომელიც, თავის მხრივ, სიძლიერით გამოირჩევა. კომენტარის მიხედვით, მოცემულ კონტექსტში *ფიჭვსა* და *ნაძვს* მხატვრული დატვირთვა აქვს. *ნაძვი* მართლმადიდებლობის მეტაფორაა, ხოლო *ფიჭვი* – მწვალებელთა. მთლიანად ეს მხატვრული სახე დაპირისპირებას შეიცავს: *ძირმაგარი ნაძვი – სუსტი ფიჭვი*.

წარმოდგენა ფიჭვზე, როგორც შედარებით სუსტ მცენარეზე, ძველი წყაროებითაც დასტურდება. მაგალითად, მინიშნებას ფიჭვის ნაკლებ გამძლეობაზე ვხვდებით ჰეროდოტეს „ისტორიაში“:

კროისოსი ლამფსაკელებს დაემუქრა, რომ მათ ფიჭვის ხესავით ამოაგდებდა. ლამფსაკელებს დიდხანს არ ესმოდათ, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები. ბოლოს ერთმა მოხუცმა ამოიცნო მათი მნიშვნელობა: ხეთა შორის მხოლოდ ფიჭვია თურმე ისეთი, რომ როდესაც მოჭრი, ერთ ყლორტსაც აღარ ამოიყრის და საბოლოოდ დაილუპება.³²

³¹ Cod. Vat. gr. 437, 79r.

³² Herodot. VI, 37; ჰეროდოტე, *ისტორია*, I, გვ. 371.

ბასილი დიდის თხზულებაში „ექუსთა დღეთაჲ“, იქ, სადაც საუბარია ფესვმაგარ და სუსტი ფესვების მქონე მცენარეებზე, ფიჭვის შესახებ ვკითხულობთ:

ektemnomena~ h kai epikaiomena~ ta~ pitu~ ei~ drumwna~
meqistasqai – თუ ფიჭვებს მოჭრიან ან დაწვევენ, მათ ადგილს
მუხები დაიჭერს.³³

ძველ წყაროებში დაცული ცნობები ამ მცენარის სისუსტის შესახებ სინამდვილეს შეესაბამება. ფიჭვს მართლაც აქვს ფესვთა ზედაპირული სისტემა, რის გამოც ქარი ფესვებიანად მოგლეჯს ხოლმე ამ ხეს, ნაძვისგან განსხვავებით, რომელიც ქარმა შეიძლება გადატეხოს; ფიჭვი ხრიოკ ადგილებში, კლდეებზე იზრდება. მის გასახარებლად განსაკუთრებული პირობები – მშრალი და ნათელი გარემოა საჭირო. ეს მცენარე ადვილად ექვემდებარება სუქცესიას – მცენარის ერთი ფორმაციის მეორით შეცვლას. ფიჭვნარში ერთი ნაძვის მოხვედრის შემთხვევაში ნაძვი სწრაფად მრავლდება, ჩრდილში მოაქცევს ფიჭვს და სინათლის მოყვარული ფიჭვი ადგილს უთმობს ნაძვს. ასე ხდება ფიჭვნარის ნაძვნართი ჩანაცვლება, რაც ხშირი მოვლენაა ბუნებაში. ფიჭვისა და ნაძვის ამ თვისებებს და ურთიერთმიმართებას უნდა უკავშირდებოდეს მათი მხატვრული გააზრება ძველ მწერლობაში. ამ მიმართების ცოდნის გარეშე, ნ ა ძ ვ ი – ფ ი ჭ ვ ი ძნელად თუ გაიაზრება მხატვრულ სახედ, *ძლიერისა* და *სუსტის* დაპირისპირებად.

როგორც ჩანს, ეს მხატვრული სახე შუა საუკუნეებში არ იყო საყოველთაოდ ცნობილი და ლიტერატურულ ტრადიციაში ფართოდ გავრცელებული. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მიანიშნებს, რომ გრიგოლის ამ მხატვრულ სახეს ბასილი მინიმუსის კომენტარი ერთვის.

მხატვრული სახე, დაპირისპირება ნ ა ძ ვ ი – ფ ი ჭ ვ ი, როგორც ჩანს, არც ქართული ტრადიციისთვის იყო ცნობილი. ერთ-ერთი წყარო, საიდანაც ქართველ მკითხველს შეიძლება სცოდნოდა ფ ი ჭ ვ ი ს ა და ნ ა ძ ვ ი ს ზემოთ განხილული მიმართება, ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲ“ შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ეს პასაჟი გარკვეული ცვლილებებით არის წარმოდგენილი ქართულ თარგმანებში და ამ ცოდნას ფ ი ჭ ვ ი ს ა და ნ ა ძ ვ ი ს შესახებ არ იძლევა.³⁴

³³ *Homil. in hexaem.*, PG 29, col. 109 C 10-12.

³⁴ და მუხაჲ ოდეს მოეკუეთის, გინათუ დაიწვს, კუალად აღმოსცენდის ძირი მისი და იქმნის მალნარ – უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა“

ბასილი მინიმუსის ზემოთ მოყვანილი კომენტარი ეფრემს შემოკლებულად აქვს ნათარგმნი:

- პ ი ტ ვ უნოდინ მცირე ნატაცსა კ ი ც უ ს ა ფ ი ქ ვ ს ა ს ა, რომელ ვერ ეგოდენ ძირმაგარ არს, რაოდენ ნაძვ. ხოლო ამას მწვალელებლთა სახედ მოიღებს, ვითარმედ უკუეთუ ჩუენ, მართლმადიდებელნი, ნაძუ-ებრ ძირგაბმულნი, ჟამ რაოდენმე შევირყიენით, ფიტუ ნოდებულნიცა იგი ფ ი ქ ვ ს კ ი ც უ ნ ი ოდესმე დაკუეთებად არიან.³⁵

ეფრემთან ყურადღება გამახვილებულია ფ ი ქ ვ ს ა და ნ ა ძ ვ ი ს მხატვრულ დატვირთვაზე, დაპირისპირებაზე: *ნაქცევა ელით მწვალე-ბლებს, რადგან ჩვენც კი, ნაძვებივით ძირმაგარნი, ზოგჯერ ვირყევით ხოლმე*. ნიშანდობლივია, რომ ეფრემის თარგმანში, ისევე როგორც მარ-გინალურ შენიშვნაში, პ ი ტ ვ განმარტებულია, როგორც ფ ი ქ ვ ს შ ვ ი -ლ ი: *მცირე ნატაცი კიცვ ფიქვსაჲ, ფიქვს კიცუნი*. ამგვარად, *ნაძვის / ძლიერის (მართლმადიდებელთა მხატვრული სახე) და ფიქვის / სუსტის (მწვალელებლთა მხატვრული სახე) დაპირისპირების გამოკვეთის მიზნით, ფიქვის, შესაბამისად, მწვალეებლთა სისუსტის ხაზგასასმელად, ეფრემს საჭიროდ მიუჩნევია პ ი ტ ვ -ისთვის ფიქვის შვილის მნიშვნელობის მი-ნიჭება (შვილი – მშობელზე სუსტი, მცირე, პატარა).*

თავად გამოთქმა *კიცვ ფიქვსაჲ* ეფრემს შესაძლოა, შეექმნა ტერმინის – *ახალწერგის* ასოციაციითა და ანალოგიით, რომლითაც ძველ წყარო-ებში მოხსენიებულნი არიან ხოლმე მწვალელები.³⁶ მაგალითად, ამ ტერ-მინს ვხვდებით გრიგოლ ხუტცესის „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრე-ბის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანში ბერძნული ლექსიკური ერთეულის *παιδική* შესატყვისად. ამ თხზულებაში *ახალწერგად* არიანული ერესის ერთ-ერთი განშტოება არის მოხსენიებული.³⁷ თუმცა ძველ ტექსტებში ამ სიტყვის დადებითი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებიც დას-ტურდება, მაგალითად, „გიორგი ათონელის ცხოვრებაში“ შვიდი წლის გიორგი მოხსენიებულია, როგორც *ახალწერგი შუენიერი*.

გრიგოლ ღვთისმეტყველის 42-ე საკითხავი ექვთიმე ათონელსაც აქვს ნათარგმნი. ჩვენ მიერ განხილული ფრაზის ექვთიმესეული თარგმანია:

თა დღეთაჲს“, გვ. 72. გინათუ მოიკაფოს და გინათუ მოიწუას ფიჭუნარი და მუხნარი, კუალად აღმოსცენდების და მალნარ იქმნების – ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გვ. 58.

³⁵ *Comm. 42, Iber. 38.*

³⁶ ეს აზრი მოგვანოდა ბ-ნმა ზაზა ალექსიძემ, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

³⁷ ამ ინფორმაციის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით თამარ მარგიანს.

გოდებდინ ფიჭვ, რამეთუ დაეცა ნაძვ. აქ *pitu*~ გადმოტანილია ლექსიკური ერთეულით *ფიჭვ* ყოველგვარი კომენტარის გარეშე. 42-ე საკითხავის ექვთიმეს თარგმანში ამ ფიგურალურ გამოთქმას არ გააჩნია სათანადო მხატვრული და შინაარსობრივი დატვირთვა, ის ვერ გამოკვეთს იმ მხატვრულ დაპირისპირებას (*სუსტი – ძლიერი*), რომელსაც გრიგოლის ეს პასაჟი დედანში შეიცავს. ვფიქრობთ, გრიგოლის 42-ე საკითხავის ხელმეორედ თარგმნისას, ეფრემმა სწორედ ამიტომ შეცვალა ლექსიკური ერთეული *ფიჭვ პიტვ* - ით და პასაჟზე *პიტვ* -ის, როგორც *ფიჭვის შვილის* განმარტების დართვით, შეეცადა ქართულ თარგმანში სრულყოფილად წარმოედგინა დედნიეული მხატვრული სახე, შეენარჩუნებინა პასაჟის ის მხატვრული დატვირთვა და შინაარსი, რომელიც მას ბერძნულში ჰქონდა.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ლექსიკური ერთეული *პიტვ* ეფრემისეული მნიშვნელობით (*პიტვ – ფიჭვის შვილი*) ძველ ქართულ მწერლობაში არ დამკვიდრებულა. მართალია, *პიტვ* გვიანდელ ელინოფილურ თარგმანებში ხშირად დასტურდება, მაგრამ მხოლოდ *ფიჭვის* მნიშვნელობით. არც მეტაფორა *პიტვ – მწვალე ბელი* უნდა დასტურდებოდეს სადმე ძველ ქართულ ტექსტებში.

პიტვ -ის ეფრემისეული განმარტება მხოლოდ ერთადერთხელ იჩენს თავს მოგვიანებით, სულხან-საბასთან, თან გარკვეული ვარიაციით:

პიტო (ხე) ახალნერგი ნაძვი ადვილად მოსაგლეჯი; ესე არს კიც-ვი ნაძვისა ახალნერგი, ადვილად მოსაგლეჯი.³⁸

სულხან-საბასთან *პიტვ* -ის განმარტების წყარო სწორედ ჩვენ მიერ განხილული კომენტარის ეფრემ მცირისეული თარგმანი და მარგინალური შენიშვნა უნდა იყოს, თუმცა არის გარკვეული სხვაობა ამ განმარტებათა შორის. კერძოდ, *პიტო* (*პიტვ*)-ს სულხან-საბა განმარტავს, როგორც *ნაძვის* და არა *ფიჭვის* შვილს; საბასეულ განმარტებაში, ეფრემის შენიშვნისაგან განსხვავებით, ფიგურირებს ლექსიკური ერთეული

³⁸ სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, გვ. 627. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფრემ მცირისეული კრებული თავისი მარგინალური მასალით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის არაერთი განმარტების წყაროა, იხ. თვალთვადი, ეფრემ მცირის ლექსიკოგრაფიული სქოლიოებისა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიმართებისათვის, გვ. 68-77; *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica*, p. LXV.

ახალნერგიც, რომლის ანალოგიითაც, როგორც აღვნიშნეთ, უნდა იყოს შექმნილი ეფრემისეული განმარტება.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არც სულხან-საბას ლექსიკონში მოხვედრის შემდეგ გადასულა ტერმინი პ ი ტ ვ ქართულ მნიგნობრულ ტრადიციასა თუ სალაპარაკო ენაში პატარა წინვოვანი ხის მნიშვნელობით.

როგორც ჩანს, კონკრეტული კონტექსტებისა თუ მიზნებისთვის შექმნილი ტერმინები, საზოგადოდ, ძნელად მკვიდრდებიან ენაში.

• სიტყვათა შედგმის ხელოვნება

გრიგოლ ღვთისმეტყველმა თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჰომილია – „ბასილი დიდის ეპიტაფია“ – მეგობრის, ბასილი დიდის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, 386 წელს შექმნა. „ეპიტაფიის“ შესავლის ერთი, საკმაოდ მოზრდილი პასაჟი ჰომილიის დაგვიანებით შეთხზვის მიზეზის ახსნას ეთმობა. აქ არის ფრაზა:

- Ei de tosouton aphnthka tou kairou deuterio~ ... medei~ qaumazetw³⁹ – თუკი ამას (იგულისხმება ეპიტაფიის შეთხზვა) შევუდექი მოგვიანებით, ... ნურავის გაუკვირდება.

ამ წინადადების ეფრემისეული თარგმანია:

- ხოლო რომელ ესოდენ ჟამისმეორედად დავემთხვე ... ნუცა ერთსა ვის უკვრს.⁴⁰

სიტყვათშეთანხმება tou kairou deuterio~ ეფრემს ქართულ თარგმანში კომპოზიტით აქვს გადმოტანილი: ჟამისმეორედად (o kairo~ – ჟამი, deuterio~ – მეორე). ტექსტში ეს სიტყვა შემდეგი ნიშნებით არის წარმოდგენილი: ჟამის'ამეორედად⁴¹. ჰომილიაზე დართული შენიშვნა სწორედ ამ სიტყვასა და ნიშნებს ეხება:

ესე ჴელოვნებაჲ სხუათაცა აღწერილთა შინა, ხოლო უფროჲსლა დიდისა ამის მოძღურისა, და უმეტესად თვთ ამას საკითხავსა შინა უფრო იხილვების, რაჲთა სიმოკლისათჳს სიტყჴსა ორთა

³⁹ PG 36, col. 496 B.

⁴⁰ Oratio 43, Iber. p. 17. ამ ფრაზის ექვთიმე ათონელის თარგმანია: შემდგომად რავედენთამე ჟამთა Oratio 43, Iber. p. 16; ლათინური – quam tempus (PG 36, col. 497 B).

⁴¹ Cods. Jer. 15, 22v; Jer. 43, 24r.

სიტყუათა ერთად შეადგმიდეს. და ესე აწინდელისა ამის თარგ-მანისაგან სხუათაცა ადგილთა შეისწავე ნიშნებითა ამით. რამეთუ აჰა, რაჟამს უწმდა თქუმად, ვითარმედ „მეორედად ჟამისა დავემთხვე მას“, სიმოკლისათჳს ორთა სიტყუათა ერთად შეადგამს და ანსა მოჰყუეთს „ჟამისაგან“ და, მოკუეთილისა მის წილ ასოჲსა, სანისასა ზედა იოტაჲ უზის. ხოლო რაჲთა არა ორგან განჰკრა ესრეთ, ვითარმედ „ჟამისა მეორედად“, რომელი-ესე ორ-სიტყუაობაჲ არს, ამისთჳს ქუემოჲთ შესაკრავად უზის *სკნემბაჲ*, რომელი ესრეთ გამოითარგმანების, ვითარმედ *თანა-წარველე*, ესე იგი არს *თანა-წარჰვედ პირველსა შესაკრავსა*, რაჲთა არა ორსიტყუა ჰყვნე. და წინა კერძო გაჰკარ ოქსიასა ზედა, რაჲთა ესრეთ ერთსიტყუა ჰყვნე, ვითარმედ „ჟამისა+მეორედად“. და ესეცა ესრეთ იჰყარ, სადაცა ამით ნიშნებითა ორნი სიტყუანი ერთად შედგმულ იყვნენ, რაჲთა რაჟამს იოტაჲ უჯდეს ზედა კერძო ბოლოჲსა ასოსა, მუნ იცოდი, ვითარმედ ასოჲ მოკუეთილ არს, ვითარ-იგი არს, რაჟამს: „ღმრთის'მოყუარე“, „ღმრთის'მსახური“, „ღმრთის'მშობელი“. ეჰა, ყოველგან სანთადა ანი მოკუეთილ არს და არა იტყჳს სიგრძისათვის, ვითარმედ „ღმრთისა მოყუარეო“, „ღმრთისა მსახურიო“, „ღმრთისა მშობელიო“, არამედ ვითარ ზემო წერილ არს და ვითარ ჩუეულებაჲ აქუს ძუელთა, ეგრეთვე ახალთა, შედგმულნი ესე სიტყუანი აღინიშნვოდეს და ითქუოდენ. ხოლო რაჟამს სთქუა: „ღმრთივ+შემოსილო“, „ღმრთივ+გონიერო“, აჰა, ორნი ერთად შედგმულნი, რომელთა სკნემბაჲ უნა, რაჲთა ერთგან გაჰკრა, ხოლო იოტაჲ არღარა უნა, რამეთუ ასოჲ არა აკლს, არამედ შედგმული ოდენ არიან. აგრეთვე აწ შენადგამთაცა სიტყუათა შინა, სადა ზედაჲთ იოტაჲ არა უჯდეს და ქუემეთ სკნემბაჲ უჯდეს, სცან, რამეთუ ასოჲ არა აკლს, არამედ შედგმულ ოდენ არს. და ესე არს ნიშანთათჳს.⁴²

⁴² Cods. *Jer.* 15, 22v, *Jer.* 43, 24r, *Jer.* 13, 300v-301r. შენიშვნას წარმოვადგენთ *Jer.* 13-ის მიხედვით, სადაც ის ბასილი მინიშნის კომენტარების ტექსტშია ჩართული. *Jer.* 15-სა და *Jer.* 43-ში ტექსტი საკმაოდ დაზიანებულია, ამასთანავე, *Jer.* 43-ში – საგრძნობლად შემოკლებული. A-109-ს საერთოდ აკლია ის გვერდები, სადაც ამ შენიშვნის არსებობაა სავარაუდებელი. დიაკრიტიკული ნიშნები (') (+) (') ამ ხელნაწერებში თანამიმდევრულად არ არის წარმოდგენილი. ისინი შენიშვნაში, გარკვეული კორექტივით, კონტექსტის მიხედვით, ჩვენ მიერ არის დასმული.

შენიშვნაში საუბარია ქართული სიტყვების *შედგმის*, ანუ კომპოზიტად ქცევის წესზე; ეს პროცესი თანამიმდევრულადაა აღწერილი, ტერმინები ნათლადაა განსაზღვრული, საილუსტრაციოდ მოყვანილი მასალა განზოგადებულია. განხილულია შემდეგი საკითხები: რა ხდება სიტყვათა *შედგმის* დროს, როგორ, რა საშუალებებითაა ეს მოვლენა გრაფიკულად გამოსახული, რა მიზანს ემსახურება სიტყვათა *შედგმის ჯელოვნება*. თავისთავად, სიტყვათა *შედგმა* ხდება ძველი ქართული ენობრივი ნორმების დაცვით – ნათესაობით ბრუნვაში დასმული მართული მსაზღვრელი იკვეცს ემფატიკურ -ა-ს, რომელიც კომპოზიტის შემადგენელ ნაწილთა შემტკიცებას უშლის ხელს (*ანსა მოჰკუეთს „ჟამისაგან“*).

სიტყვათა *შედგმის ჯელოვნება* ტექსტში კომპოზიტის გრაფიკულად გარკვეული ნიშნებით წარმოდგენას გულისხმობს. ესენია: ორი სიტყვის შემაერთებელი რკალი – *სკნემბა*, ასოს მოკვეცის ნიშანი – *იოტა* და მახვილი – *ოქსია*. განხილულია სიტყვათა *შედგმის* ორი სახე: (1) კომპოზიტის პირველ კომპონენტს (*შენადგამს*) ბოლო ხმოვნის მოკვეცის ნიშნად ზევით უზის *იოტა*, ხოლო ქვეშ – შემაერთებელი ნიშანი *სკნემბა*; (2) კომპოზიტის შემადგენელი კომპონენტები *იოტას* გარეშე, *სკნემბით* უკავშირდება ერთმანეთს, როდესაც ხმოვნის მოკვეცა არ ხდება. შენიშვნაში მოყვანილია ორივე შემთხვევის მაგალითები, რაც მნიგნობრის თეორიულ მსჯელობას მეტ სიცხადეს მატებს.

გრიგოლის 43-ე საკითხავის ბასილი მინიმუსის კომენტარში ქართველი მნიგნობრის მიერ ჩართულია ამ ტიპის კიდევ ერთი მოკლე განმარტება. განხილულია სიტყვათშეთანხმება *polu deuteron*,⁴³ რომელიც ქართულად გადმოტანილია კომპოზიტით – *ფრიადმეორედ*:

აჰა, სიტყუაჲ – ორსიტყუაჲ ერთად შედგმული და არა მოქენე
შუა იოტისაჲ, რამეთუ არა მოკუეთილ არს ასოჲ.⁴⁴

აქ, როგორც ვხედავთ, სიტყვათა *შედგმის* მეორე შემთხვევაა წარმოდგენილი, როდესაც კომპოზიტის წარმოებისას ასო არ იკვეცება და, შესაბამისად, არც *იოტას* დასმა არის საჭირო.

მარგინალურ შენიშვნაში განხილული ნიშნები (+) (') (') და მათი აღმნიშვნელი ტერმინები, ცხადია, ბერძნულიდან მომდინარეობს და კავშირშია ბერძნულ დიაკრიტიკულ ნიშანთა სისტემასთან.

⁴³ PG 36, col. 497 A 14; *Oratio* 43, *Iber.* p. 23.

⁴⁴ *Comm.* 43, *Iber.* 14.

როგორც ცნობილია, ბერძნულში დიაკრიტიკული ნიშნები ძვ. წ. II-I საუკუნეებიდან ჩნდება და მათი შემოღება ალექსანდრიელ გრამატიკოსებს, კერძოდ, არისტოფანე ბიზანტიელის სახელს უკავშირდება.⁴⁵ ალექსანდრიელი გრამატიკოსების მიერ ბერძნულ ხელნაწერებში შეტანილმა დიაკრიტიკულმა ნიშნებმა გააადვილა მანამდე გაბმულად ჩანერილი ტექსტების (*scriptio continua*) კითხვა,⁴⁶ შესაძლებელი გახდა ბერძნული ტექსტების კითხვის განსაზღვრული წესის შემუშავება. ამავე ეპოქის ბერძენი გრამატიკოსის, დიონისე თრაკიელის *Tecnh grammatikh*-ს ერთ-ერთი გვიანდელი კომენტატორის მიერ ეს ნიშნები სისტემის სახით არის ჩამოყალიბებული, განსაზღვრულია მათი რაობა და დანიშნულება (*Peri prosodiwn*). სისტემაში, რომელიც ოთხი ქვეჯგუფისაგან შედგება (მახვილის ნიშნები – *tonoi*, მარცვალთა სიგრძე-სიმოკლის ნიშნები – *cronoi*, ფშვინვის ნიშნები – *pneumata*, სადეკლამაციო ნიშნები – *paqh*), გათვალისწინებულია ბერძნული ენის სპეციფიკა, მისი ტონურობა, ხმოვანთა კვანტიტატური ბუნება და სხვ.⁴⁷

პროსოდიის ნიშანთა ეს სისტემა ქართულ მნიგნობრულ ტრადიციაშიც არის წარმოდგენილი. იოანე პეტრიწის პროკლეს „ღვთისმეტყველების საფუძვლების“ განმარტების თარგმანის წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობაში, აგრეთვე, მასზე დართულ სქოლიოში მოცემულია ამ ნიშანთა ახსნა.⁴⁸ პეტრიწთან ტერმინები ტრანსლიტერაციით არის გადმოტანილი: მახვილის ნიშნები – *ოქსია*, *ვარია*, *პერისპომენი*, მარცვალთა სიგრძე-სიმოკლის ნიშნები – *მაკრა*, *ვრაქია*, ფშვინვის ნიშნები – *დასია*, *ფსილი*, სადეკლამაციო ნიშნები – *აპოსტროფი*, *კფენი*, *კპოდიასტოლი*.⁴⁹ თითოეულ მათგანს ერთვის განმარტება ქართულად. როგორც ცნობილია, მოგვიანებით პეტრიწიდან ეს სისტემა გადავიდა სულხან-საბასთან,⁵⁰ ასევე ანტონ კათალიკოსის „ქართულ ღრამმატიკაში“.⁵¹

⁴⁵ *Aristophanis Byzantii Fragmenta*, p. 170.

⁴⁶ Groningen, *Short Manuel of Greek Paleography*.

⁴⁷ Wellesz, *A History of Byzantine Music and Hymnography*, p. 249.

⁴⁸ ყაუხჩიშვილი, მასალები იოანე პეტრიწის „განმარტების“ წყაროთა შესწავლისათვის, გვ. 755-759.

⁴⁹ იოანე პეტრიწის *შრომები*, II, გვ. 221.

⁵⁰ სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I: სასწავლო ყრმათა, ღრამმატიკა, გვ. 23-24.

⁵¹ ბაბუნაშვილი, უთურგაიძე, ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა“, გვ. 17-18. მკვლევართა აზრით, ამ შემთხვევაში პეტრიწთან ერთად არ არის გამოირიცხული მხითარ სებასტაციის „გრამატიკის“ გავლენაც.

რა კავშირშია ჩვენს შენიშვნაში წარმოდგენილი დიაკრიტიკული ნიშნები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები დიონისე თრაკიელის ნიშანთა სისტემასა და მათ გრაფიკულ გამოსახულებებთან?

ნიშანი *სუნემბა* (+), რომლის ფუნქცია, შენიშვნის მიხედვით, სიტყვათა შეერთებაა, პროსოდის ნიშანთა სისტემაში ასეთივე მოხაზულობისაა და ამავე ფუნქციას ასრულებს, ოღონდ მისი სახელწოდება *კფენია*. შენიშვნაში მოცემულია *სუნემბას* ეტიმოლოგიური განმარტება: *სუნემბაჲ, რომელი ესრეთ გამოითარგმანების, ვითარმედ „თანა-წარვლე“, ესე იგი არს თანა-წარჴედ პირველსა შესაკრავსა, რაჲთა ერთსიტყუა ჰყვნე*. განმარტებულია ზმნა (*თანა-წარვლე* – sunbainw), რომლიდანაც ნაწარმოებია ტერმინი *სუნემბა*, რაც ხელს უწყობს ამ ტერმინის მკაფიოდ და ცხადად გააზრებას. ეს ტერმინი ბერძნულ ტრადიციაში X საუკუნიდან სისტემატურად დასტურდება ბერძნულ სახარებებსა თუ ლექციონარებზე დართულ ეკფონეტიკურ ნიშანთა ცხრილებში.⁵² ამ ტერმინს ვხვდებით გელათურ ოთხთავზე (Q-39, XI ს.) დართულ ეკფონეტიკურ ნიშანთა ცხრილშიც.⁵³ ამგვარად, ეკფონეტიკურ ნიშანთა სისტემის *სუნემბა* არც ფორმით, არც ფუნქციით არ განსხვავდება პროსოდის ნიშანთა სისტემის *კფენისაგან*.⁵⁴

ასოს მოკვეცის ნიშანს ('), რომლის შესაბამისი ტერმინი პროსოდის ნიშანთა სისტემაში *აჰოსტროფია*, მარგინალური შენიშვნის ავტორი *იოტას* უწოდებს. ამ სახელწოდებით ეს ნიშანი არ დასტურდება არც ძველ გრამატიკოსებთან, არც მათ გვიანდელ კომენტატორებთან, არც ეკფონეტიკურ ნიშანთა სისტემაში. ამ ტერმინის წარმომავლობის გარკვევისას, ვფიქრობთ, ყურადღება უნდა მიექცეს სიტყვა *იოტას* მნიშვნელობას. *iwta*, თავის ძირითად მნიშვნელობასთან ერთად (ბერძნული ანბანის მეცხრე ასო), არის, აგრეთვე, *მცირე ნიშანი*, *პატარა ხაზი*, *ასოს უმცირესი ნაწილი*, *ხვეულა*.⁵⁵ *iwta*-ს სწორედ ამ მნიშვნელობას უნდა უკავშირდებოდეს შენიშვნაში გამოყენებული ტერმინი *იოტა*, როგორც მცირე ზომის, ხვეულას ფორმის ნიშანი.

⁵² Höeg, *La Notation ekphonétique*, p. 17-25, 37.

⁵³ ყაუხჩიშვილი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები, გვ. 455-476.

⁵⁴ Laum, *Das Alexandrinische Akzentuationssystem*, p. 139.

⁵⁵ Liddel, Scott, *A Greek-English Lexicon*, p. 847.

შენიშვნაში ნახსენები მესამე ნიშანია *ოქსია* ('). ის ამ სახელწოდებით დასტურდება როგორც დიონისე თრაკიელთან, ისე ეკფონეტიკურ ნიშანთა სისტემაში. ეს არის მკვეთრი მახვილი – *oxeia*. მისი, როგორც ინტონაციური მახვილის ფუნქცია არის ხმის შეცვლა – ხმის ამაღლება.⁵⁶ რა ფუნქცია აქვს ამ ნიშანს მარგინალური შენიშვნის მიხედვით? ჩვენი აზრით, *სკნემბასა* და *იოტასთან* ერთად შედგმულ სიტყვაზე დასმული *ოქსია* სიტყვათა *შედგმას*, კომპოზიტად ქცეული სიტყვის ერთი ინტონაციური მთლიანობით წარმოთქმას ემსახურება: *წინა კერძო გაჰკარ ოქსიასა ზედა, რაჲთა ესრეთ ერთსიტყუა ჰყვენე*. როგორც ვხედავთ, აქ მინიშნებულია *ოქსიას* გაკვრის, მისი დასმის ადგილი – *წინა კერძო* – წინა მხარე, წინა ნაწილი. როგორც *შედგმულ* სიტყვებზე დაკვირვება გვიჩვენებს, *ოქსია* ყოველთვის *იოტასა* და *სკნემბას* შემდეგ, *შედგმული* სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზეა ხოლმე დასმული. ძველ მნიგნობრულ ტრადიციაში ლექსიკურ ერთეულს, *წინას* – *მომდევნოს*, *შემდეგის* მნიშვნელობა აქვს. ამ მნიშვნელობით არის ეს სიტყვა გამოყენებული საბანმიდური სკოლის ცნობილი გადამწერ-რედაქტორის, იოანე-ზოსიმეს მიერ გადანერილ და რედაქტირებულ ნუსხათა მინაწერებში. ამ მნიშვნელობით ვხვდებით *წინას* მიქაელ მოდრეკილის იადგარში, აგრეთვე ნევმირებულ ძლისპირებშიც.⁵⁷ ასე რომ, შენიშვნაში ფრაზა – *წინა კერძო გაჰკარ ოქსიასა ზედა* – რომელიც მოსდევს *იოტას* და *სკნემბას* ფუნქციების გარკვევას, მიაწინებს სწორედ *ოქსიას* ადგილ-მდებარეობას: ის უნდა დაისვას *იოტასა* და *სკნემბას* მომდევნოდ, მათ შემდეგ. მოცემულ კონტექსტში *გაჰკარ ოქსიასა ზედა* მახვილის დასმას, მის გრაფიკულ გამოსახვას უნდა ნიშნავდეს; ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ შემთხვევაში ის ინტონაციური მახვილის – ხმის აწევა-ამაღლების როლს ასრულებდეს ქართულში.

მოკლედ შევჩერდებით *ოქსიასა* და მის ფუნქციებზე ქართულ ხელნაწერებში. ელინოფილური პერიოდის ქართულ ხელნაწერებში, განსაკუთრებით შავი მთის მთარგმნელობით სკოლასთან დაკავშირებულ

⁵⁶ სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ეყრდნობა იოანე პეტრიწის პროსოდის ნიშანთა განმარტებებს, ასე განმარტავს ამ ნიშანს: *ოქსია, რომელ არს მახვილი. სადა სიტყვასა ზედათ აკრული აქვს, მუნ წმისა ამაღლება წამს, სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 23.*

⁵⁷ ჭანკიევი, პალესტინელ გადამწერ „იოვანეთა“ შესახებ, გვ. 50; *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა*, გვ. 561, 563. *ნევმირებული ძლისპირნი*, გვ. 841.

ნუსხებში, მკვეთრ მახვილს *სკნემბასა* და *იოტასაგან* დამოუკიდებლადაც ხშირად ვხვდებით, მაგალითად, კითხვით თუ უარყოფით ნაწილაკებზე, აგრეთვე ბერძნულიდან უთარგმნელად, ტრანსლიტერაციით გადმოტანილ სიტყვებში.⁵⁸ ვფიქრობთ, ინტონაციური მახვილის ფუნქციას *ოქსია* გარკვეულწილად სწორედ ერთმარცვლიანი კითხვითი და უარყოფითი ნაწილაკების შემთხვევაში ასრულებდა. რაც შეეხება ბერძნულიდან უთარგმნელად, ტრანსლიტერაციით გადმოტანილ სიტყვებში ერთ-ერთ მარცვალზე (ეს მარცვალი უმეტეს შემთხვევაში ბოლოდან მეორეა ხოლმე) *ოქსიას* დასმას: ჩვენი აზრით, სიტყვის იმ პალეოგრაფიული ნიშნებით წარმოდგენა, რა ნიშნებიც მას ორიგინალში, ბერძნულში აქვს, გარკვეულწილად მიუთითებს ამ სიტყვის უცხოურ, ბერძნულ წარმომავლობაზე. დიაკრიტიკული ნიშნების გამოყენება გარკვეული კატეგორიის სიტყვების დასანიშნად პალეოგრაფიაში არცთუ იშვიათი მოვლენაა; მაგალითად, ბერძნულ ხელნაწერებში ტრემას (დიაერესისს), მისთვის განსაზღვრულ ადგილთან ერთად (ერთმანეთის გვერდით მდგომ *i*-სა და *u*-ის თავზე, როდესაც ისინი არ ქმნიან დიფთონგს), მეტ-ნაკლები სისტემატურობით ებრაულიდან გადმოსულ საკუთარ სახელებშიც ვხვდებით.⁵⁹ ელინოფილური პერიოდის ქართულ ხელნაწერებში მახვილი რომ უცხოურთან, ბერძნულთან კავშირის მიმანიშნებელია, ვფიქრობთ, ჩანს XI საუკუნის მეტაფრასული კრებულის მიხედვითაც, რომელშიც დასტურდება ეფრემ მცირის თარგმანები და რომელიც წარმომავლობით შავ მთასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ კრებულში სოფრონ იერუსალიმელის საკითხავის – „მიგებებისათჳს უფლისა“ – ერთი პასაჟი ასეა წარმოდგენილი:

- ამიერ დასცხრა აკადემიაჲ, ამიერ დადუმნა სტოვაჲ, ამიერ უქმ არს პერიპატოჲ, ამის მიერ მწოლარე არს ლუკიონ, ამის მიერ დათრგუნვილ არს ათინაჲ.⁶⁰

⁵⁸ მახვილის გამოყენებისა და მისი ფუნქციების შესახებ გელათური სკოლის თარგმანების შემცველ ხელნაწერებში, კერძოდ, გელათის კატენებიან ბიბლიასა და თეოდორიტე კვირელის ამოს და მიქეა წინასწარმეტყველთა წიგნების განმარტებათა ქართული თარგმანების შემცველ ნუსხებში იხ. ჯუღელი, *ნეტარი თეოდორიტე კვირელი*, გვ. 189, 215.

⁵⁹ Barbour, *Greek Literary Hands A. D. 400-1600*, p. XXIX.

⁶⁰ Cod. A-162, 58r-v.

მოცემულ პასაჟში ყველა მახვილი – არა, მაგრამ ექვსიდან ოთხი ბერძნულ სიტყვებზეა დასმული.⁶¹ შეიძლება ითქვას, რომ მკვეთრი მახვილებით მონიშნული პასაჟი, რომელიც შინაარსობრივად ელინურ სამყაროსთან არის კავშირში, გარეგნულადაც ბერძნულ დანერილობასთან ავლენს კავშირს, „ელინურად გამოიყურება“.⁶²

დაბოლოს, რატომ არის დასმული მკვეთრი მახვილი ქართულ სიტყვებში ყველაზე ხშირად ბოლოდან მეორე მარცვალზე, ჩვენ შემთხვევაში – *იოტასა და სენებას* შემდეგ? ვფიქრობთ, აქაც ქართველი მნიგნობრები მისდევენ მახვილის დასმის ბერძნულ წესს, რომლის მიხედვითაც ბერძნულ სიტყვებში მკვეთრი მახვილი ყველაზე ხშირად სწორედ ბოლოდან მეორე მარცვალს უწევს ხოლმე.

რა მიმართებაშია ქართულ ხელნაწერებში *შედგმის ჯელოვნებით* გადმოტანილი სიტყვები ბერძნულთან?

გრიგოლის ქართულ ნუსხებში *შედგმული* სიტყვების კვლევამ ბერძნულთან მიმართებით შემდეგი სურათი გამოავლინა: *შედგმის* ნიშნებით წარმოდგენილი სიტყვები, ისე როგორც ზემოთ განხილულ ორ შემთხვევაში, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ბერძნულში არ წარმოადგენს რთულ სიტყვებს – ისინი ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრულებია, ან უბრალოდ ორი ან ორზე მეტი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სიტყვაა. მაგალითად: ღამის' ღირსი (A-109, 197r, Jer. 15, 207 v) – *nukto~ ontw~ axia* (PG 36, col. 644, B 10); არ' დაცარიელებადთაგან (Jer. 15, 199 r) – *ta mh kenoumena* (PG 36, col. 625, B 10); ჩუენის' ჭამის' ნაწილებ (Jer. 15, 119 r, A-109, 191r, Jer. 13, 183r) – *tou kaq hma~ cronou tmh-mata* (PG 36, col. 625, C 3); სიბოროტის' ძირმან (Jer. 15, 202 v.) – *h th~ kakia~ riza* (PG 36, col. 633, B 7) და სხვ.

⁶¹ აქ მახვილთა დასმისას სიზუსტე არ არის დაცული. ეს არც არის გასაკვირი, რადგან გადამწერთა დიდ ნაწილს, რომელიც ავტოგრაფული თუ შუალედური ნუსხიდან აკეთებდა ტექსტის კოპირებას, ძირითადად, არ ესმოდა ამ ტიპის ნიშნების დანიშნულება, ასე რომ, ისეთი მცირე დეტალები, როგორიც მახვილია, შეიძლება არასწორად დაესვა ან გამოჩენოდა კიდეც. ვფიქრობთ, თავდაპირველ ნუსხაში ეს ნიშანი ექვსივე ბერძნულ საკუთარ სახელზე იქნებოდა დასმული.

⁶² პასაჟს ერთვის მარგინალური შენიშვნა, რომელიც ეფრემს უნდა ეკუთვნოდეს: [შეისწავე, [ესე ყოველნი (?)] სახელნი არიან ადგილისანი, რომელთა შინა იყვნეს სწავლანი საწარმართოჲსა სიბრძნისანი და მათ შორის საკერპონი, რომელთა უზორვიდეს მოსწავლენი იგი სიბრძნისანი (cod. A-162, 58v).

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის ბერძნულ ნუსხებში არსად არ დასტურდება *იოტასა* და *სუნემბას* გამოყენების შემთხვევები სიტყვათა *შედგმის*, კომპოზიტად წარმოდგენის მიზნით. ეს არც იყო მოსალოდნელი. მართალია, როგორც უკვე მივუთითეთ, ბერძნულ ხელნაწერებში (+) შემაერთებული ნიშანია, ხოლო () – ასოს მოკვეცის, მაგრამ კომპოზიტის დაწერილობაში ბერძნულ ხელნაწერებში ეს ნიშნები, და საერთოდ, არანაირი ნიშანი არ არის გამოყენებული.⁶³

ამგვარად, ქართველი მწიგნობარი ბერძნული ხელნაწერიდან იღებს დიაკრიტიკულ ნიშნებს და, ერთი მხრივ, მათი ფუნქციის, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული ენობრივი ნორმებისა და წესების გათვალისწინებით, ქართულ ხელნაწერში შეაქვს ისინი ახალი ფუნქციით და ამ გზით ამკვიდრებს სიტყვათა *შედგმის ჯელოვნებას* ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში.

საგანგებოდ შევეხებით მარგინალური შენიშვნის ავტორის ვინაობის საკითხს. მართალია, ეფრემ მცირე უმეტესად თავად ურთავს ხოლმე შენიშვნებს თავის თარგმანებს, მაგრამ ჩვენი შენიშვნის დასაწყისში არის ერთი ფრაზა, რომელიც მისი ავტორობის საკითხის გადასინჯვას მოითხოვს. შენიშვნაში ვკითხულობთ:

ესე ჯელოვნებაჲ სხუათაცა აღწერილთა შინა, ხოლო უფროჲსლა დიდისა ამის მოძღურისა, და უმეტესად თვთ ამას საკითხავსა შინა უფრო იხილვების, რაჲთა სიმოკლისათჳს სიტყჳსა ორთა სიტყუათა ერთად შე ა დ გ მ ი დ ე ს ... რამეთუ აჰა, რაჟამს უ ჯ მ და თქუმად, ვითარმედ „მეორედად ჟამისა დავემთხვე მას“, სიმოკლისათჳს ორთა სიტყუათა ერთად შეადგამს და ანსა მოჰკუეთს „ჟამისაგან“.

ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს შენიშვნის ავტორი საუბრობს ვილაც სხვა მწიგნობრის, გრიგოლის საკითხავის მთარგმნელის შესახებ, რომელმაც მოახდინა სიტყვათა შედგმა. მაგრამ პასაჟის

⁶³ შემაერთებული ნიშანი + ბერძნულ ხელნაწერებში გამოყენებულია, უმეტესწილად, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად პრეფიქსიან ან უარყოფით-ნაწილაკიან სიტყვებში, რათა მკითხველმა ერთმანეთისაგან განასხვავოს, მაგალითად: *epi+kairo~* და *epi kairon*, *amfi+krhmnō~* და *amfi krhmnw*, *oude+mia* და *oude mia*. მოკვეცის ნიშანი იხმარება უარყოფითი ნაწილაკებისა და წინდებულების ბოლო ხმოვანთა მოკვეცის აღსანიშნავად ხმოვნით დაწყებულ სახელთა წინ, მაგალითად: *kaq hmeran*, *di hma~*, *oud ercomai*.

დეტალური გრამატიკული ანალიზი, ვფიქრობთ, წარმოაჩენს ეფრემის ავტორობის მხარდამჭერ არგუმენტებს. მაგალითად, სრულიად დასაშვებია, რომ ფრაზის – *სიმოკლისათჳს სიტყჳსა ორთა სიტყუათა ერთად შეადგმიდეს* – ქვემდებარედ ვიგულისხმოთ *ესე კელოვნებაჲ*. ხოლო ფრაზა – *ოდეს უწმდა თქუმად* – უნდა ნიშნავდეს: *როდესაც საჭირო იყო თქმა*, სადაც *უწმდა* (ანმყოფი ჯამს) მოდალური ზმნაა, რომელშიც ასახულია მთქმელის დამოკიდებულება ზმნით გამოხატული მოქმედების (თქმა) მიმართ.⁶⁴

ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს არეოპაგიტული კორპუსის II წიგნის „ზეციური იერარქიის“ კომენტარის ეფრემისეული თარგმანის ერთ-ერთი პასაჟიც, რომელიც ეხება არეოპაგელის ტექსტში დადასტურებულ კომპოზიტს – *deutero fanw~*:⁶⁵

შემოკლებისათჳს სიტყჳსა ნაცვლად ამისსა, ვითარმედ „მეორითა საჩინოებითა“, ორთავე სიტყუათა ერთად შეადგამს, ვითარმედ „მეორსაჩინოდ“⁶⁶ (შდრ. ... რაჲთა სიმოკლისათჳს სიტყჳსა ორთა სიტყუათა ერთად შეადგმიდეს ... რამეთუ აჰა, რაჟამს უწმდა თქუმად, ვითარმედ „მეორედად ჟამისა დავემთხვე მას“, სიმოკლისათჳს ორთა სიტყუათა ერთად შეადგამს ... რაჲთა ესრეთ ერთსიტყუა ჰყვნე, ვითარმედ „ჟამისმეორედად“).

არეოპაგიტული ტექსტის კომენტარში გაანალიზებული ლექსიკური ერთეული ბერძნულ წყაროშიც კომპოზიტია; მართალია, ამ კომენტარში საუბარია თავად არეოპაგელის მიერ კომპოზიტის შექმნის შესახებ, მაგრამ ტექსტობრივი თანხვედრა არეოპაგიტული ტექსტის კომენტარსა და გრიგოლ ღვთისმეტყველის 43-ე საკითხავზე დართულ შენიშვნას შორის იმდენად თვალსაჩინოა, რომ ნამდვილად შესაძლებელია ამ ორი ტექსტის ავტორის გაიგივება. ეს არის ეფრემ მცირე, რომელიც სხვადასხვა ენაში,

⁶⁴ ეს ზმნა სწორედ ამ ფორმითა (*უწმდა*) და ფუნქციით დასტურდება იოანე დამასკელის თხზულების – „შესხმა იოვანე ოქროპირისაჲ“ – ქართულ თარგმანში, რომელიც XI საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული: *უწმდა სადმე, უწმდა, ჟ იოვანე ყოვლად ოქროპირო, შესხმათა შენთა შეხებად*, იხ. ჭყონია, იოვანე დამასკელის ენკომია იოანე ოქროპირის მიმართ, გვ. 134.

⁶⁵ PG 3, col. 240, B10-11.

⁶⁶ *ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ*, გვ. 153.

ბერძნულსა და ქართულში დადასტურებულ ერთსა და იმავე გრამატიკულ მოვლენაზე ერთი და იმავე ტერმინებით საუბრობს.

განმარტებას საჭიროებს კიდევ ერთი ფრაზა შენიშვნიდან:

... და ვითარ ჩუეულებაჲ აქუს ძ უ ე ლ თ ა, ეგრეთვე ა ხ ა ლ თ ა, შედგმულნი ესე სიტყუანი აღინიშნვოდეს და ითქუმოდენ...

გრამატიკული ხასიათის ლიტერატურაში სიტყვით *ძუელნი* (oi palaioi) მოხსენიებულნი არიან ხოლმე ძველი თაობის მწერლები, უფრო ხშირად – ძველი გრამატიკოსები.⁶⁷ ჩვენი აზრით, ნაკლებად დასაშვებია, ზემოთ მოყვანილი ფრაზა გულისხმობდეს: ძველ ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში, ადრეც, ეფრემამდეც, არსებობდა სიტყვათა *შედგმის* ხელოვნება. როგორც ცნობილია, XI საუკუნემდე ქართულ ნუსხებში ეს ნიშნები სიტყვათა *შედგმის* ფუნქციით არ დასტურდება. მათი გამოყენება ზემოთ განხილული ფუნქციით ტიპური მახასიათებელია ეფრემ მცირის თარგამნების შემცველი და შავ მთაზე გადანერილი ხელნაწერებისა და, ზოგადად, ქართული მწიგნობრული ტრადიციის ელინიზაციისა, რომელსაც საფუძველი ეფრემ მცირემ ჩაუყარა.

მაშ, ვის გულისხმობს შენიშვნის ავტორი *ძველებსა და ახლებში*?

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეფრემი, რომელიც გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებულზე მუშაობდა თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში, ალბათ უკვე ხანდაზმულ ასაკში, თავის თავს გულისხმობდა ძველი თაობის გრამატიკოსებში და თავის თაობას მიჯნავდა ახალი თაობის მწიგნობრებისაგან, რომლებსაც ეფრემის თაობისაგან უკვე შეთვისებული უნდა ჰქონოდათ ეს *ჯელოვნება*.

ერთი აზრიც გაგვიჩნდა: კოლოფონებში ეფრემი ხშირად საუბრობს თავის წინამორბედ მოღვაწეთა, ძველ ქართველ მთარგმნელთა ღვაწლზე და ხაზგასმით მიუთითებს, რომ მთელი თავისი საქმიანობით ის იმ ტრადიციების გამგრძელებელია, რომლებსაც საფუძველი ძველებმა ჩაუყარეს. თუმცა თავისი მთარგმნელობითი მეთოდით, აგრეთვე მთლიანად ბიზანტიური კულტურის მიმართ თავისი დამოკიდებულებით იგი ნამდვილ ნოვატორად გვევლინება ქართული მწერლობის ისტორიაში. როგორც ირკვევა, ეფრემს მუდმივად უწევდა თავისმართლება *ორკერძო* და *მრავალმომკერძო მაბრალობელთა* წინაშე სწორედ თავისი ნოვატორობის გამო, იმ ექსპერიმენტის გამო, რომლის შედეგად შეიქმნა

⁶⁷ Stephano, *Thesaurus Graecae Linguae* VI¹, col. 65.

ტრადიციული (ექვთიმესეული) თარგმანისაგან განსხვავებული, *ურუვე-ლობით* და *სხუებრობით* გამორჩეული გრიგოლის საკითხავების თარგმანი. სიტყვათა *შედგმა*, როგორც ჩანს, ერთ-ერთი იმ სიახლეთაგანი იყო, რომლის დასაწერად და დასაცავად წინამორბედ მთარგმნელთა (*ძუელთა*) დამონმება, როგორც ჩანს, გარკვეული ტაქტიკური ხერხი იყო ეფრემისათვის.

სიტყვათა შედგმის ხელოვნება რომ სწორედ ეფრემის შემოტანილი სიახლეა ქართულ ხელნაწერებში, ამას ადასტურებს კიდევ ერთი მარგინალური პენიშვნა ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი გრიგოლის 16-სიტყვიანი კრებულიდან. პენიშვნა ერთვის გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-14 ჰომილიაში სიტყვათშეთანხმებას – *tou~ eautoir qarrounta*⁶⁸ – *საკუთარ თავს მინდობილნი*. ეფრემისეულ თარგმანში ეს სიტყვათშეთანხმება გადმოტანილია ერთი ლექსიკური ერთეულით, კომპოზიციით – *თავთმნდე*, რომელიც ხელნაწერებში დიაკრიტიკული ნიშნებით არის წარმოდგენილი (*თავთ'მნდისა*). ამ ლექსიკურ ერთეულს ერთვის მარგინალური პენიშვნა:

შეისწავე, „თავთ'მნდე“ ახლად სიტყუად, მოკლედ ამის
წილ, ვითარმედ „მინდობილ იყვნეს თავთა თჳსთა.“⁶⁹

ამგვარად, დიაკრიტიკული ნიშნებით წარმოდგენილი სიტყვა, კომპოზიტი, რომელიც სიტყვათა შედგმის ხელოვნებითაა შექმნილი, პენიშვნაში შეფასებულია, როგორც ახალი სიტყვა – ნეოლოგიზმი.

დაბოლოს, რა მიზანს ემსახურება სიტყვათა *შედგმა* და რატომ მმართავს ეფრემი ამ ხელოვნებას ასე ხშირად სწორედ გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიათა თარგმნისას? ამ კითხვაზე პასუხი თავად პენიშვნაშია: ეს ხდება *სიმოკლისათჳს სიტყჳსა*.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრიგოლ ღვთისმეტყველის მხატვრული სტილის ეს თავისებურება – სიტყვა-სიმოკლე – განსჯის საგნად იყო ქცეული მისი თანამედროვეებისა და მისი თხზულებების კომენტატორების მიერ. ბასილი დიდი გრიგოლისადმი მიწერილ ერთ-ერთ ეპისტოლეში პენიშნავს: *გუშინწინ შენგან წერილი მივიღე. ნამდვილად შენგან რომ არის, ეს ჩანს არა იმდენად ხელის მიხედვით, რამდენადაც ეპისტოლის*

⁶⁸ Cod. Jer. 13, 135r. ბრეგადე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 161.

⁶⁹ Cods. Jer. 15, 165 v; Jer. 8, 178 v; Jer. 13, 135v.

თავისებურებით. მასში სიტყვები ცოტაა, აზრი კი დიდია მოცემული.⁷⁰ ეფრემის შენიშვნით, მისი თარგმანები წარმოაჩენს სიტყუა-სიმოკლესა და სიღრმესა დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყველისასა, ხოლო ექვთიმეს შესახებ მიუთითებს, მან სიტყუა-სიმოკლე მოძღურისაჲ განავრცისო.⁷¹ ეფრემი, რომლის მიზანიც გრიგოლის თხზულებათა თარგმნისას ბერძნულთან მაქსიმალური ადეკვატურობის მიღწევა იყო, ცდილობდა გრიგოლის სტილის ამ სპეციფიკის გადმოტანასაც თავის თარგმანში. სიტყვათა შედგმა – ორი სიტყვის გაერთიანება ხმოვნის ამოგდებით – ერთ-ერთი ხერხი უნდა ყოფილიყო ეფრემისთვის ლაკონურობის ეფექტის მისაღწევად.

რა ვითარებაა სიტყვათა შედგმის თვალსაზრისით ხელნაწერებში? შენიშვნაში მითითებულია:

ესე ჴელოვნებაჲ სხუათაცა აღწერილთა შინა, ხოლო უფროჲსლა დიდისა ამის მოძღურისა, და უმეტესად თუთ ამას საკითხავსა შინა უფრო იხილვების, რაჲთა სიმოკლისათჳს სიტყჳსა ორთა სიტყუათა ერთად შეადგმიდეს.

მართლაც, ეფრემს სწორედ ღვთისმეტყველის თხზულებების თარგმნისას მიუმართავს სიტყვათა შედგმის ხერხისთვის ყველაზე ხშირად. საყურადღებოა, რომ შედგმის ნიშნები გრიგოლის თხზულებათა კრებულებიდან იმ ხელნაწერებშია ყველზე დიდი რაოდენობით, რომლებშიც ნიშანთა განმარტებაა დაცული, კერძოდ, ესენია: *Jer.* 13, *Jer.* 15, *Jer.* 43, აგრეთვე, A-109-შიც (იხ. სურ. 3, გვ. 130):

ღმრთის⁺საყუარელთა (A-109, 190v), სახის⁺დასაბამისა⁺ (A-109, 193v), კაცთ⁺ზეშთა⁺ნსა⁺ (A-109, 204r), ზესთ ⁺ცათა⁺ (Jer. 15, 198v), ჭეშმარიტების ⁺ძეგლებად (Jer. 15, 199v), ღმრთის ⁺გარემოთა (Jer. 15, 200v), ნავის ⁺მსხდომთა (Jer. 13, 210v), ყრმათ ⁺მსრველობა⁺ (Jer. 13, 214v), ზეშთ ⁺აღმვლდომი (Jer. 43, 206r), ცხოვლისმყოფელის ⁺მოკლულ (Jer. 43, 218v), კლდის ⁺საკუთებელ (Jer. 207v, A-109, 197r), ღმრთის ⁺საიდუმლონი (Jer. 13, 200r, Jer. 15, 214v). არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთ ხელნაწერში შედგმის ნიშნებით წარმოდგენილი სიტყვა სხვა ნუსხაში ნიშნე-

⁷⁰ Saint Basile, *Lettres*, I, *Epist.* XIX, p. 49.

⁷¹ ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 149.

ბის გარეშე, მსაზღვრელ-საზღვრულის სახითაა მოცემული, მაგალითად: საწნახელის ჭავალისა (*Jer.* 15, 214v) – საწნახელისა ჭავალისა (*Jer.* 43, A-109) და სხვ.

გრიგოლის საკითხავთა გარდა, ეს ნიშნები ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ თხზულებათა შემცველ სხვა კრებულებშიც დასტურდება. ამ მხრივ საინტერესო მასალას ვხვდებით ხელნაწერში S-1276 – ჰომილეტიკურ-აგიოგრაფიულ თხზულებათა კრებულში, კერძოდ, მის პირველ ნაწილში (XI საუკუნის ბოლო), რომლის რედაქტორად და ერთ-ერთ გადამწერად ეფრემ მცირეა მიჩნეული⁷² (იხ. სურ. 4, გვ. 173). აქ დიაკრიტიკული ნიშნები შედგმის წესის დაცვით არის დასმული: სიტყუათ'ატადიონად (72r), ჟამის'ჟამთასა (73v), რომლის'ამსგავსი (74r), ნათელ'შარავანდსა (75r), ღმრთის'ატათნოსა (100v), ცრემლთ'ამშობელი (114r), მღვმე'მეწყუდეული, მკვეცთ'ამიცემული, მშუდობის'ადასაბამისაჲთა (9v), აჩრდილის'ამწერლობენ (12r), წინაჲსწარმეტყუელთ'ამკლველმან (16r), ელვა'ამკრთომობდედ (81v), მუსიკათ'ამოქმედობდიან (82r), დედის'აპირისაჲ (90v), ღმრთის'ასახეობით (107v).

მარგინალურ შენიშვნაში მოხსენიებული ნიშნები, კერძოდ კი, შენიშვნაში აღწერილი სიტყვათა შედგმის წესი, ეფრემის სახელთან დაკავშირებულ შავი მთის XI-XII საუკუნეების სხვა ნუსხებშიც არის გატარებული, თუმცა არცთუ სისტემატურად. ზოგ შემთხვევაში შედგმულ სიტყვას აკლია ხოლმე რომელიმე ნიშანი, უფრო ხშირად *ოქსია*.

- A-162 (XI ს., მეტაფრასული კრებული, შეიცავს ეფრემ მცირის თარგმანებს): სარწმუნოება'ამტკიცეთა, ცხოველთ'ამსხუერპლებანი, მრავალ'ღმერთი (8r); გარე'შენწერილსა (59v), ღმრთის'ასაყუარელთა (88v).

- S-384 (XI-XII სს., შეიცავს ეფრემ მცირის თარგმანებს): ვეცხლის-ფერ'ამკთომნი (1v); ბუდე'იდგემდით (2r).

- Q-1158 (XI ს. სამოციქულოს კომენტარის ეფრემ მცირის თარგმანი): ღორც'აშესხმითა (52r), ჯელთ'დასხმაჲ, მარტულ'ყვეს, სრულ'ყვეს (56r).

საერთოდაც, როგორც ჩანს, ბერძნულიდან გადმოტანილი სხვადასხვა მწიგნობრული წესებისა თუ ნიშნების დამკვიდრება ქართულ ხელნაწერებში საკმაოდ რთული პროცესი იყო. ქართულ ხელნაწერებში ხშირად ვხვდებით ქართველ მწიგნობარ მთარგმნელთა მოთხოვნას *გადანერის მნებებელთა* მიმართ, რათა ისინი განსაკუთრებული ყურადღე-

⁷² მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, გვ. 109-126.

ბით მოეპყრონ დედანში არსებულ სხვადასხვა ნიშანს და გადანუსხვისას ზედმინევნით დაიცვან განსაზღვრული წესები.

მიუხედავად ამ სირთულეებისა, სიტყვათა შედგმის ჩელოვნებამ საკმაოდ კარგად მოიკიდა ფეხი მომდევნო ხანის ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში. ეს ნიშნები მეტ-ნაკლები სიზუსტით და სისრულით დასტურდება პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში შექმნილ თარგმანთა შემცველ ქართულ ხელნაწერებშიც. აქ სიტყვათა შედგმა ხდება იმავე პრინციპით, რა პრინციპითაც შავი მთის ნუსხებში – სიტყვები სამივე ნიშნის გამოყენებით არის შეერთებული და წესი თანამიმდევრულად არის დაცული. მაგალითად: მოყუარეთ+საყუარელნი (S-2568, 50r) ქორწილის + დამცველი (S-2568, 52r), კიცუთ +მწყელისა (A-39, 2r), წინ +შესავლითა (A-39, 122r), ზედ +დანესებითი (A-39, 197 r) და ა. შ. გვხვდება ისეთი ნუსხებიც, სადაც ნიშანთა ხმარება გამარტივებულია. უფრო ხშირად, ვიდრე შავი მთის ხელნაწერებში, დაკარგულია იოტა და ოქსია, ზოგჯერ იცვლება *სკნებპას* გრაფიკული მოხაზულობა, რკალი ორმაგდება, ან სამმაგდება.⁷³

შედგმის ნიშნებს ვხვდებით ასევე ანტონ I-ის სალიტერატურო სკოლის ნუსხებშიც. როგორც ცნობილია, ანტონ კათალიკოსის სკოლამ იმეპკვიდრა ქართველ ელინოფილთა მნიგნობრული ტრადიციები, მთარგმნელობითი მეთოდი, ხელნაწერი წიგნის აგების პრინციპები და, მათ შორის, სიტყვათა შედგმის წესიც.⁷⁴ შედგმის ჩელოვნება ანტონ I-ის სკოლაში გადანერილ ხელნაწერებში შედარებით მარტივი სახით არის წარმოდგენილი. შედგმის ფუნქციას აქ ერთი დიაკრიტიკული ნიშანი – უბრალო ან გაორმაგებული რკალი ასრულებს: არ+დასაპყრობელნი (A-292, 7r), პატიჟის+მისაჟდელ (A-292, 71r), სიბრძნის+მოყუარე (A-292, 111v), ოქროს+მოყუარენი (A-292, 112r), გლახაკთ+მზრდელობად (A-292, 143v), აჩრდილის+მწერლობანი (A-292, 287r)⁷⁵ და ა. შ.

⁷³ პეტრიწული სკოლის ხელნაწერების შესახებ იხ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული ვერსია, გვ. 117-122; ბეზარაშვილი, იოანე სინელის კლემაქსის უცნობი ქართული ვერსია, გვ. 129-154.

⁷⁴ Otkhmezuri, Greek Literature and Georgian Translation Tradition, 17th-18th Centuries, p. 89-93.

⁷⁵ Cod. A-292 (1800 წ.) – გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების კრებული (ე. წ. *ორტომედი*); გადანერილია ანტონ I-ის სკოლის ცნობილი წარმომადგენლის, იოანე ოსესძის (1750-1801 წწ.) მიერ.

ამგვარად, პეტრიწული და ანტონის სკოლის ხელნაწერების შესწავლა შავი მთის ხელნაწერებთან მიმართებით, ვფიქრობთ, წარმოაჩენს, რომ ამ ხელნაწერებში გატარებულია *სიტყვათა შედგმის* ეფრემისეული, შავი მთის ტრადიცია. მათში დადასტურებული დიაკრიტიკული ნიშნები კავშირშია არა იოანე პეტრიწისა და ანტონისათვის კარგად ნაცნობ პროსოდის ნიშანთა სისტემასთან (როგორც ეს მოსალოდნელი იყო), არამედ შავი მთის ხელნაწერებთან და შავ მთაზე ეფრემის მიერ გრიგოლის სიტყვა-სიმოკლის გადმოსაცემად შექმნილ *სიტყვათა შედგმის* ხელოვნებასთან.

• **გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების თარგმნის თარიღისათვის**

ჰომილეტიკურ კრებულში S-1276⁷⁶ იოანე დამასკელის თხზულებას – „სიტყუაჲ სატფურებისათჳს იწრუსალემისა და ამაღლებისათჳს პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა“⁷⁷ – ახლავს ერთი მარგინალური განმარტება, რომელიც შუქს ჰფენს გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების კრებულის ქართულად თარგმნის დათარიღების საკითხს. შენიშვნა ერთვის შემდეგ პასაჟს:

- სამ დღე მას იონას ნაწლევთა შინა მჴეცისათა არა ველსა ზედა დამაცმენებელ ექმნა თმათა თხემისა მისისათა, არამედ მრთელად და უგეჲოდ და უბინოდ აღმოიყვანა იგი მთხრებლთაგან ზღმსათა და ნაწლევთა ვეშაპისათა – [უფალმა] სამი დღის განმავლობაში მხეცის მუცელში მყოფ იონას თავიდან თმა ველზე კი არ დააცვენინა, არამედ უვნებლად ამოიყვანა ის ვეშაპის მუცლიდან.

პასაჟში მოხსენიებულია ბიბლიური იონა, რომელმაც სამი დღე დაყო ვეშაპის მუცელში (*Ion.* 2, 1) და შემდეგ, ღვთის შეწევნით, უვნებლად ამოვიდა იქიდან. მარგინალური შენიშვნა ერთვის ამ პასაჟის ერთ ფრაზას – *არა ველსა ზედა დამაცმენებელ ექმნა თმათა თხემისა მისისათა*:

შეისწავე, რამეთუ სიტყუაჲ ესე, ვითარმედ „არა ველსა ზედა დამაცმენებელ ექმნა თმათა თხემისა მისისათა“ საწარმართო-

⁷⁶ ამ კრებულის მარგინალურ შენიშვნას გრიგოლის კრებულების მარგინალურ შენიშვნებთან ერთად განვიხილავთ იმიტომ, რომ ის უკავშირდება გრიგოლის საკითხავთა ქართულად თარგმნის საკითხს.

⁷⁷ CPG 8095.

თა წიგნისაგან არს, რომელსა „ლტკოფრონ“ უწოდიან. რამეთუ ლტკოფრონ ვინმე წარმართი შეასხამს ახოვანებათა ღმრთისა მათისა ირაკლისთა, ვითარმედ მახმლითურთ თმსით შთაჰდა ბრძოლად მუცელსა დიდისა რაისმე ვეშაპისასა და ესოდენ განგრძობილად შჭრიდა შიგანსა მისსა, ვიდრემდის რაჟამს მოკლა იგი, თმანი თხემისა ირაკლისნი შემწუველობისაგან ვეშაპისა ნაწლევთაისა მუნვე ველსა ზედა მუცლისა მის ვეშაპისასა დაცმენებულ იქმნეს. რამეთუ ესოდენ დიდად იტყმან იგინი ვეშაპთა მათ ეგევითართა, ვიდრელა ველთა და მნარცუთა აზმნობენ ყოფად მათ შინა.

ვინაიკა დიდი დამასკელი იოვანე ყუედრებით იტყმს წარმართთა, ვითარმედ არა ვითარ თქუენ ზღაპრობთ ირაკლისთმს, არამედ იონა მრთელად და უნაკლულოდ გამოიყვანა ქრისტემან სიღრმეთაგან ზღმსა და ვეშაპისა.

ესე სიტყუაი ბერძულად ესოდენ ძნელი იყო, ვიდრემდის თანანარვლნა უსახელოვნესნი ანტიოქიისა ფილოსოფოსნი და თმთ წმიდისა პატრიარქისა იოვანეს მიერ განგუემარტა ჩუენცა და მათცა. იოვანეს ვიტყმ, ახლად ოქროპირად გამოჩინებულსა და ძუელისა მის მიხუეჭლსა (*sic*), წმიდათა მიერვე მაშინ მიხუეჭელით სამეუფოთ კუალად უკმოზღულსა, რომლისა დლენი გრძელ და მოქალაქობაი წმიდათ მობაძავ, რაითა ნეტარებაიკა მათ თანა იყო⁷⁸ (იხ. სურ. 4).

სქოლიოში ცხადი, თანამიმდევრული მსჯელობაა წარმოდგენილი. თავდაპირველად დასახელებულია განსამარტავი ფრაზის – *არა ველსა ზედა დამაცვენებელ ექმნა თმათა თხემისა მისისათა* – წყარო; შემდეგ, წყაროზე დაყრდნობით, გადმოცემულია იმ მითის შინაარსი, რომელსაც უკავშირდება ეს ფრაზა, ახსნილია ამ ფრაზისა და მთლიანად პასაჟის მხატვრული ფუნქცია დამასკელთან, დაბოლოს, დასახელებულია პიროვნება, რომელმაც ეფრემს განუმარტა ეს პასაჟი.

სქოლიოში გადმოცემულია ანტიკური მითოლოგიური გმირის, ჰერაკლეს მეცხრე გმირობის ერთ-ერთი ეპიზოდის უიშვიათესი ვარიანტი – ჰერაკლეს ჩასვლა უზარმაზარი ვეშაპის მუცელში მეფე ლომედონის ასულის გადასარჩენად, ხმლით ვეშაპის მუცლის შიგთავსის დაჩეხვა

⁷⁸ Cod. S-1276, 18r.

და ნაწლავთა სიმხურვალისაგან ჰერაკლეს თმების გაცვენა. მითის ეს ვარიანტი ანტიკურ წყაროებში დასტურდება მხოლოდ ერთგან და უშუალოდ უკავშირდება მარგინალურ განმარტებაში მოხსენიებულ ძვ. წ. III საუკუნის ბერძენ ავტორს, ლიკოფრონს. ლიკოფრონი, ალექსანდრიელი პოეტი და გრამატიკოსი, ავტორია პოემისა „ალექსანდრას“, რომელშიც მოთხრობილია ტროას დაცემისა და ბერძენი გმირების სამშობლოში დაბრუნების ამბავი. პოემა გამოირჩევა თავისი რთული მხატვრული სახეებით, იშვიათი მითოსური პერსონაჟებითა და სიუჟეტებით. „ალექსანდრას“, რომელიც მნივნობართა განსაზღვრული წრისათვის, ინტელექტუალთათვის იყო განკუთვნილი, უკვე ანტიკურ სამყაროში გამოუჩნდნენ კომენტატორები, რომელთა შორის გამოირჩევა ძვ. წ. I საუკუნის გრამატიკოსი თეონი. მას ეკუთვნის ამ პოემის საკმაოდ ვრცელი და დეტალური კომენტარები. სწორედ ამ კომენტარებში დასტურდება ვეშაპის მუცელში ჩაშვებისა და თმის გაცვენის ეპიზოდი ჰერაკლეს გმირობათა ციკლიდან (*Schol. Lycophr.* 33). ამგვარად, საფიქრელია, რომ დამასკელის თხზულების სქოლიოში დასახელებული წყარო – სანარმართო წიგნი „ლკოფრონი“ – წარმოადგენდა ლიკოფრონის „ალექსანდრას“ კომენტარებიან კრებულს.

ამომწურავი და დეტალურია ამ წყაროს მიხედვით ფრაზის განმარტება და მისი ფუნქციის განსაზღვრა. დამასკელის ზემოთ მოყვანილ პასაჟს ტექსტში მხატვრული დატვირთვა აქვს; ეს არის ანტითეზა – დაპირისპირებულია ბიბლიური იონა და ანტიკური გმირი ჰერაკლე, რომელზეც ტექსტში მხოლოდ მინიშნებაა გაკეთებული. საზოგადოდ, ანტიკური მითოლოგია წმინდა მამათა ნაშრომებში უმეტესწილად მხატვრული ფუნქციით არის ხოლმე გამოყენებული. მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის „ბასილი დიდის ეპიტაფიაში“ ლაბირინთი ბასილი დიდის სიტყვათა სიღრმისა და სირთულის მეტაფორაა; ლადირი – ანტიკურ წყაროებში ხშირად მოხსენიებული გეოგრაფიული პუნქტი, ვინრო გასასვლელი ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანეში (დღევანდელი გიბლარტალის სრუტე) – ადამიანური შესაძლებლობების ზღვარის მეტაფორა, რომელიც გრიგოლს ბასილი დიდის დასახასიათებლად აქვს გამოყენებული. ასე რომ, ანტიკურ მასალაზე აგებული მხატვრული სახეები კარგად იყო ცნობილი ქართველი მთარგმნელებისათვის, განსაკუთრებით კი ეფრემ მცირისათვის, რომლის მიერ ნათარგმნ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა მითოლოგიურ და რიტორიკულ განმარტებებში, ფსევდონონეს სქოლიოებსა და ბასილი მინიმუსის კომენტარებში,

გახსნილი და განმარტებულია გრიგოლის არაერთი მხატვრული სახე თუ რიტორიკული ფიგურა.

სქოლიოში ხაზგასმულია დამასკელის მხატვრული სახის ანტითეატური ბუნება (ა რ ა ვ ი თ ა რ თ ქ უ ე ნ (ე. ი. წარმართთა) ..., ა რ ა მ ე დ ... ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ ...). ერთ მხარეს არის წარმართთა მიერ გამოგონილი, შეთხზული გმირი – თმაგაცვენილი ჰერაკლე, მეორე მხარეს – ქრისტეს შეწევნით გადარჩენილი იონა. გაშლილი და განმარტებულია ის მხატვრული სახე, რომელიც დამასკელთან მხოლოდ მინიშნებულია.

როგორც სქოლიოდან ირკვევა, ეფრემს იოანე დამასკელის თხზულების ბუნდოვანი პასაჟის გაგებაში დაეხმარა იოანე პატრიარქი, ახლად ოქროპირად გამოჩინებული. XI საუკუნის II ნახევარში, ეფრემ მცირის ანტიოქიაში მოღვაწეობის პერიოდში, ანტიოქიის პატრიარქთა შორის იკვეთება იოანე V ოქსიტესის მეტად საინტერესო სახე, რომელიც ანტიოქიის პატრიარქი იყო XI საუკუნის ბოლო ათწლეულის მანძილზე. იოანე, მიქაელ მთავარანგელოზის მონასტრის ბერი კუნძულ ოქსიიდან, 1089 წელს აკურთხეს ანტიოქიის პატრიარქად; თავისი მოვალეობის შესრულებას ის 1091 წლიდან შეუდგა და ანტიოქიის პატრიარქი იყო ცხრა წლის მანძილზე, 1100 წლამდე.⁷⁹ სარგებლობდა ბიზანტიის იმდროინდელი იმპერატორის, ალექსი I კომნენოსის კეთილგანწყობით. XI საუკუნის ბოლო ათწლეული ანტიოქიის ისტორიაში ერთ-ერთ რთულ, მძიმე პერიოდად არის მიჩნეული. თურქ-სელჩუკთა გაუთავებელ თავდასხმებს ენაცვლება ჯვაროსანთა შემოტევების ახალ-ახალი ტალღები. მიუხედავად შექმნილი მძიმე ვითარებისა, იოანე V ოქსიტესი ღირსეულად უძღვება თავის სამწყსოს, აქტიურად არის ჩაბმული ანტიოქიის ბერძენ და ლათინ სამღვდელოებას შორის გაჩაღებულ კამათებში. 1100 წლიდან, ანტიოქიის მმართველ წრეებთან გართულებული ურთიერთობის გამო, ის აღარ არის პატრიარქი და ტოვებს ანტიოქიას. სიცოცხლის ბოლო წლებს ატარებს მშობლიურ კუნძულ ოქსიაზე. გარდაიცვალა 1112 წელს. იყო საკმაოდ განსწავლული პიროვნება, ავტორი რამდენიმე თეოლოგიური ხასიათის ტრაქტატისა და ეპისტოლის.

ქართული წყარო – დამასკელის თხზულებაზე დართული სქოლიო – იოანე V ოქსიტესის პიროვნების საინტერესო მხარეებს წარმოაჩენს.

⁷⁹ Crusostomou Papadopoulou *Istoria th~ Ekkhlhsia~ Antiocia~*, p. 897-919; Gautier, Jean V, Patriarche D' Antioche, Notice bibliographique, p. 128-135; Grumel, Les Patriarches Grecs d' Antioche du nom de Jean, p. 279-299.

ეს არის განსაკუთრებული განსწავლულობა ანტიკურ მითოლოგიასა და ლიტერატურაში, ანტიკური წყაროების ღრმა და დეტალური ცოდნა, რაც, საზოგადოდ, ბიზანტიური განათლებულობის ერთ-ერთ აუცილებელ მახასიათებლად იყო მიჩნეული.

საინტერესო შტრიხი ემატება, აგრეთვე, იოანე პატრიარქის ბიოგრაფიასაც. ეს არის მისი და მის გარშემო თავმოყრილ სწავლულთა ურთიერთობა ანტიოქიაში მოღვაწე ქართველ მწიგნობრებთან; შენიშვნაში ჩანს, ასევე, ეფრემის განსაკუთრებული დამოკიდებულება – პატივისცემა და მოწინება ამ პიროვნების, მისი განსწავლულობის, ინტელექტის მიმართ.

როგორც ჩანს, ქართველ მწიგნობართა ურთიერთობა ანტიოქიის საპატრიარქოსა და პატრიარქთან არ იყო ეპიზოდური. გრიგოლის 16 ლიტურგიკული სიტყვის წინასიტყვაობაში, ეფრემის ეპისტოლეში კვირიკეს მიმართ, ნახსენებია ანტიოქიის პატრიარქი – *ყოველთა უგანათლებლესი მეუფე*, რომელიც ეხმარება ეფრემს ბერძნულ სიტყვათა ზუსტი მნიშვნელობების დადგენაში:

არამედ უმრავლესი მათ სიტყუათაჲ წერით ანტიოქს შევიტანი და დიდისა საპატრიარქოჲსა ფილოსოფოსთა და მიტროპოლიტთა და თვთ მათ ყოველთა უბრძნესისა წ მ ი დ ი ს ა მ ე უ ფ ი ს ა მიერ გამოვიძიე საექჳ ყოველივე.⁸⁰

მართალია, ამ შემთხვევაში ანტიოქიის პატრიარქი სახელით არ არის მოხსენიებული, მაგრამ ეს უნდა იყოს ეფრემის ავტოგრაფულ ნუსხაში ნახსენები ანტიოქიის პატრიარქი, იოანე V ოქსიტესი.⁸¹ შესაბამისად, XI საუკუნის ბოლო ათწლეულის მოღვაწის გამოჩენა გრიგოლის ლიტურგიკულ საკითხავთა ეფრემისეულ კრებულსა და ეფრემის ავტოგრაფულ ნუსხაში შემოსაზღვრავს ამ კრებულების თარგმნისა თუ შედგენის თარიღს 1091-1100 წლებით.⁸² ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გრიგოლის ლიტურგიკულ სიტყვათა ეფრემისეული თარგმანის სტილისტურ-ტერმინოლოგიური ანალიზის შედეგად გამოთქმულია მოსაზრება, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა კრებული ეფრემს ნათარგმნი უნდა ჰქონდეს თავისი მოღვაწეობის ბოლო ეტაპზე, როდესაც უკვე

⁸⁰ Cod. Jer. 43, 2v.

⁸¹ მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, გვ. 119.

⁸² ოთხმეზური, ეფრემ მცირის ავტოგრაფული ნუსხის, S-1276-ის, ერთი მთარგმნელისეული სქოლიოს შესახებ, გვ. 78-80; Otkhmezuri, The Liturgical Sermons of Gregory of Nazianzus, p. 469-475.

საბოლოოდ არის ჩამოყალიბებული მისი, როგორც ელინოფილი მწიგნობრის, მთარგმნელობითი კონცეფცია.⁸³ ეფრემის კოლოფონისა და მარგინალური მასალის ანალიზი ადასტურებს ამ თვალსაზრისს.

ქართულ წყაროებში ანტიოქიის პატრიარქი იოანე კიდევ ერთგან უნდა ჩანდეს. ეს არის შენიშვნა, რომელიც ერთვის დიადოქოს ფოტიკელის ასკეტურ სწავლებათა ქართულ თარგმანს XIII საუკუნის კრებულში – A-60.⁸⁴ შენიშვნაში განმარტებულია დიადოქოს ფოტიკელის სახელის ეტიმოლოგია:

შეისწავე, რამეთუ *დიადოხოს* ბერძულისაგან „მისაღებელად“ გამოითარგმანების, ხოლო *ფოტიკე* – „ნათლად“. და ამას პირსა უგალობს წმიდაჲ მ ე უ ფ ე ჩ უ ე ნ ი ი ო ა ნ ე ა ნ ტ ი ო ქ ე ლ მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი და იტყვს იამბიკოდ.

სქოლიოში მოხსენიებული *მეუფე ჩუენი იოანე ანტიოქელი მთავარეპისკოპოსი*, ჭელიძის აზრით, იგივე ანტიოქიის პატრიარქი იოანეა, რომელიც მოხსენიებულია ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ სქოლიოსა და ეფრემის ეპისტოლეში კვირიკეს მიმართ. შენიშვნას მოსდევს იოანე პატრიარქის დიადოქოსისადმი მიძღვნილი შესხმითი იამბიკო. მკვლევრის აზრით, A-60-ში წარმოდგენილი მასალა – დიადოქოსის თხზულებათა ქართული თარგმანები, ისევე, როგორც შენიშვნა და იამბიკოს ქართული თარგმანი, ეფრემ მცირეს უნდა ეკუთვნოდეს. იამბიკოს მიხედვით, ამ კრებულის, ანუ ქართული თარგმანის ბერძნული დედნის გადამწერია იოანე პატრიარქი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა წყარომ შემოგვინახა საყურადღებო მასალა ანტიოქიის პატრიარქის, იოანეს ლიტერატურულ-მწიგნობრული მოღვაწეობის შესახებ: მისი ერთი ნაწარმოები – იამბიკო და ცნობა მის მიერ ბერძნული კრებულის გადამწერის შესახებ.

წამოდგენილი მასალა, ვფიქრობთ, საინტერესოა იმ გარემოს რეკონსტრუქციისათვის, იმ ეპოქის სულისკვეთების წარმოსადგენად, რომელშიც მოღვაწეობდა ეფრემ მცირე.

გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებულზე დართული ეფრემისეული ანდერძების მიხედვით, და ზოგადად, ეფრემის მთარგმნელობითი საქმიანობიდან ჩანს, რომ შავ მთაზე XI საუკუნის ბოლო ათწლეულში არ

⁸³ ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, გვ. 545-559.

⁸⁴ ჭელიძე, წმ. დიადოქოსის ასკეტურ სწავლებათა ძველი ქართული თარგმანის შესახებ, გვ. 392-393, 435.

შენელებულა ის დაძაბულობა, რომელიც ბერძენ-ქართველთა ურთიერთობაში იჩენს თავს XI საუკუნის 60-იან წლებში, გიორგი ათონელის შავ მთაზე მოღვაწეობის პერიოდში. ბერძნები, ისევე როგორც გიორგის დროს, ეფრემის ეპოქაშიც უპირისპიდეობიან ქართველებს, თუმცა, როგორც ეფრემის კოლოფონებიდან ჩანს, ამ კუთხით და საზოგადოდაც, სიტუაცია, ურთიერთობები შავ მთაზე გარკვეულწილად შეცვლილია.

თუ გიორგი ათონელის პერიოდში ბერძენთა ბრალდება ქართველთა მიმართ ზოგადია, ისინი ცდილობენ ქართველთა სარწმუნოებას „ბინი რაჲმე დასნამონ“⁸⁵, ეფრემის დროს ბრალდება (*ყუედრება*) სრულიად კონკრეტულ ხასიათს იღებს – ბერძნები ეჭვის ქვეშ აყენებენ ქართველთა მართლმორწმუნეობას, რადგან, მათი აზრით, ქართველებს წმინდა მამის, გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხვები არათანამიმდევრულად აქვთ ნათარგმნი.

გიორგი ათონელი ქართველთა მართლმორწმუნეობას ანტიოქიის პატრიარქებთან, იოანე VI-სა და თევდოსი II-სთან პირისპირ საუბრებში იცავს. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად გიორგი ათონელი თევდოსი II-სთან საუბარში ანდრია მოციქულის საქართველში მიმოსვლას იმონმებს და ამით ასაბუთებს საქართველოში პირველმოციქულთა მიერ ქრისტიანობის გავრცელებას. ამ საუბრისას გიორგი ანტიოქიის პატრიარქს, პეტრეს სამოციქულო ეკლესიის წინამძღვარს, ხუმრობითაც კი (*განცხრომით*) მიუთითებს პეტრეს, როგორც უმცროსი ძმის, უფროსი ძმის, ანდრიასადმი მორჩილებაზე.⁸⁶

სხვა ვითარებაა შავ მთაზე XI საუკუნის ბოლო ათწლეულში. ეს უკვე აღარ არის აზრთა ზეპირი გაცვლა-გამოცვლის, საუბრების ეპოქა. ქართველთა მართლმორწმუნეობის დასამტკიცებლად ეფრემი ქმნის ქართველთა გაქრისტიანების შესახებ ბერძნული წყაროებიდან ამოკრებილი


⁸⁵ არს მონასტერსა შინა ჩუენსა ვითარ სამეოცი კაცი, რომელნი ქართველად სახელ-იდებენ თავთა თჳსთა და არა უწყით, თუ რასა ზრახვენ, ანუ რაჲ არს სარწმუნოებაჲ მათი (გიორგი მცირე, *ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა*, გვ. 213) – ასე იხსენიებენ ბერძნები სვიმეონწმინდის მონასტრის ქართველ ღვთისმსახურებს ანტიოქიის პატრიარქთან.

⁸⁶ და რეცა განცხრომით ჰრქუა პატრიარქსა: წმიდაო მეუფეო, შუენის ესრეთ, რაჲთა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს. რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რაჲთა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრეას და რაჲთა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ (გიორგი მცირე, *ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა*).

ცნობების კომპენდიუმს – „უნწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიწსენების“, ⁸⁷ რათა „წერით დაიდვას მოსაწსენებელი“, ანუ შეიქმნას წერილობითი დოკუმენტი იმის შესახებ, რაზეც შეთანხმება საუბრებით ხდებოდა გიორგის ეპოქაში. ეფრემი ასრულებს უზარმაზარ სამუშაოს – ხელახლა, ახლებური მიდგომით, ქართული და ბერძნული ენების მცოდნის, კვირიკე ალექსანდრიელის სპეციალური მოთხოვნების გათვალისწინებით, თარგმნის გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულს იმ ეჭვების გასაქარწყლებლად, რომლებიც გაჩენილია ბერძენთა წრეებში ქართველთა მართლმორწმუნეობასთან დაკავშირებით. დისტანციური, მაგრამ კონსტრუქციული ანტიოქიის საპატრიარქოსთან ქართველთა ურთიერთობაც – წერილობითი გზით გაუგებარ სიტყვებსა თუ პასაჟებთან დაკავშირებული შეკითხვების შეტანა – შეგზავნა ანტიოქიის საპატრიარქოში (საეკლესიო პირთა საპატრიარქოსთან ურთიერთობის თავისთავად საინტერესო ფორმა) და ბერძენ სწავლულთაგან მაღალკვალიფიციური კონსულტაციების მიღება.

საფიქრელია, რომ ეს ოფიციალური, დისტანციურობა, პრაგმატიზმი, დოკუმენტირებული, წერილობითი არგუმენტაცია, ინტელექტუალური თანამშრომლობა არ უნდა იყოს მხოლოდ ბერძენ-ქართველთა ურთიერთობის ფორმა XI საუკუნის ბოლო ათწლეულის შავ მთაზე. ჩვენი აზრით, ზოგადად XI საუკუნის 90-იანი წლების შავი მთა არის ასეთი – საქმიანი, პრაგმატული, რაციონალისტური. ამ გარემოსა და ეპოქის ტიპური წარმომადგენელია ეფრემ მცირეც.

⁸⁷ ეფრემ მცირე, *უნწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა*. ამ ძეგლის მნიშვნელობისათვის იხ. ასევე, დობორჯგინიძე, ქართული ენის ფუნქციური და თვისობრივი ლეგიტიმაციის საკითხები შუა საუკუნეებში, გვ. 20; Walbiner, Nanobashvili, *Nicon's Treatise on the Conversion of the Georgians*, p. 437-461.



სურ. 4. cod. S-1276, 18r. ევგრემ მცირის სქოლიო იოანე დამასკელის თხზულებაზე „სიტყუა სატყუარებისათჳს“.
სიტყვათა „შედეგის“ ნიმუშები: col. I, l. 23, 24; col. II, l. 23.

• **გრიგოლ ღვთისმეტყველის არალიტურგიკული საკითხავების კომენტარების კვალი ქართულ ტრადიციაში**

გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვის ბასილი მინიმუსის კომენტარები, რომლებიც ქართულად არის ნათარგმნი, ამ ავტორის ვრცელი თხზულების, გრიგოლ ღვთისმეტყველის 42 საკითხავის განმარტებათა მხოლოდ ნაწილია. გრიგოლის დანარჩენი 26 სიტყვის, ანუ არალიტურგიკული საკითხავების ბასილი მინიმუსის კომენტარები დღეისათვის ქართულ ხელნაწერებში არ ჩანს.

იყო თუ არა ქართულად ნათარგმნი ბასილი მინიმუსის თხზულები ეს ნაწილი – ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მასალას იძლევა ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი არალიტურგიკული საკითხავების შემცველი კრებული A-292 და მასში დაცული მარგინალური შენიშვნები.

1800 წლით დათარიღებული საკმაოდ დიდი მოცულობის ხელნაწერი – A-292⁸⁸ – ერთადერთი კრებულია, რომლის მეშვეობითაც ჩვენამდე გრიგოლის არალიტურგიკული სიტყვების ეფრემისეულმა თარგმანმა მოაღწია. ნუსხის გადამწერია XVIII საუკუნის ცნობილი კალიგრაფი იოანე ოსესძე (1750-1801 წწ.). როგორც გადამწერის კოლოფონიდან ირკვევა, იოანეს დედნად გამოუყენებია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფრემისეული თარგმანების *ორტომედი*. შესაბამისად, კრებული ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში გრიგოლის 16 ლიტურგიკული სიტყვაა დაცული, ხოლო მეორეში – გრიგოლის არალიტურგიკული საკითხავები.

ნუსხის პირველ ნაწილში ძირითადად ის მარგინალური შენიშვნებია წარმოდგენილი, რომლებიც გრიგოლის 16 სიტყვის ეფრემისეული თარგმანების შემცველ XII-XIV საუკუნეების ნუსხებში, კერძოდ, *Jer.* 13-ის ტიპის კრებულში დასტურდება.⁸⁹ თუმცა ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მათ გვერდით მანამდე უცნობ შენიშვნებსაც ვხვდებით, რომლებიც, როგორც ჩანს, გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავების ეფრემისეული თარგმანის კრებულს მოგვიანებით შეემატა.

რაც შეეხება ხელნაწერის მეორე ნაწილს, რომელშიც გრიგოლის არალიტურგიკული საკითხავებია დაცული, მის აშიებზეც დასტურდება

⁸⁸ სრული აღწერილობისათვის იხ. ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 167-183.

⁸⁹ ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 104-105.

მარგინალური შენიშვნები, რომელთა ავთენტურობის საკითხი დღეისათვის გაურკვეველია, ისევე როგორც უცნობია ჩვენამდე ამ გვიანდელი ხელნაწერით მოღწეული არალიტურგიკული საკითხავების ეფრემისეული კრებულისა და მისი ტექსტის ისტორია; თუმცა რამდენიმე შენიშვნა აშკარად ავლენს არქაულობის ნიშნებს.

გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-7 არალიტურგიკულ საკითხავში არის ფრაზა:

- pw~ adakruti thn toutwn parelqw mnhmhn.⁹⁰

- ვითარღა უცრემლოდ წარვიღო წსენებაჲ ამათი (ეფრემის თარგმანი).⁹¹

ფრაზას ერთვის მარგინალური შენიშვნა:

შეისწავე, რამეთუ დაწყებად ოდენ გლოვისა გვბრძანებს და არა განვრცომად გლოვისა, რაჲთა სწორებით განმაყენნეს უღმობელობისაგანცა და უზომოდ ღმობისა, რამეთუ არა გოდება არს დაწყებაჲ გოდებისაჲ, ვითარ-იგი არცა მგზავრობა არს დაწყებაჲ გზისაჲ, სიტყსაებრ დიდისა ბასილისა.⁹²

გრიგოლის მე-7 სიტყვის ზემოთ მოყვანილი ფრაზა კომენტირებული აქვს ბასილი მინიმუსსაც. ქართული შენიშვნა კავშირს ავლენს ამ განმარტების ბოლო ფრაზასთან:

- ou gar h arch qrhnou hdh kai qrhno~ estin, wsper oud h th~ odou arch odo~ kata thn Megan Basileion⁹³ – გოდების დაწყება არ არის გოდება, ისევე როგორც მგზავრობის დაწყება – მგზავრობა, ბასილი დიდის მიხედვით.

მეორე მარგინალური შენიშვნა უკავშირდება ამავე ჰომილიის შემდეგ ფრაზას:

- kai palaistwn metron ta~ anqrwpina~ hmera~ orizenai.⁹⁴

- და მტკავლეულსა დასდებს საზომსა დღეთა კაცობრივთასა⁹⁵ (ეფრემის თარგმანი).

⁹⁰ PG 35, col. 761 A 5-6.

⁹¹ *Oratio 7, Iber.* VI (გამოცემული არ არის. პარაგრაფის ნომერი მითითებულია ტექსტის ბერძნული პუბლიკაციის მიხედვით).

⁹² Cod. A-292, 357 r.

⁹³ Cod. Paris. Gr. 573, 163 v.

⁹⁴ PG 35, col. 777, D 7-8.

⁹⁵ *Oratio 7, Iber.* XIX. ამ ფრაზის გრიგოლ ოშკელის თარგმანია: ვითარცა ბრჭალ-

შეისწავე, ვითარმედ მუჭლი ესე ესრეთ არს, რამეთუ „ზომით ჰყვენ დღენი ჩემნი“ (*Psal.* 38, 6). უმრავლესთა საფსალმუნეთა ესრეთ წერილ არს, ვითარმედ „მტკავლეულ ჰყვენ დღენი ჩემნი“, რომლითა მოასწავებს ყოვლად სიმცირესა კაცობრივისა ცხოვრებისასა. გინათუ ესრეთცა, ვითარ-იგი თქუმულ არს კუალად სიტყუაჲ იგი: „აჰა, ესერა ზომით ჰყვენ დღენი ჩემნი.“ ზომი იგი გან-ზომისა ნაცვალ არს. და საზომი იგი ბერძულისაგან ოთხად თითად გამოითარგმანების, რომელი ესე მტკაველისა უმცრო არს.⁹⁶

მარგინალური შენიშვნა კავშირშია ამ ფრაზის ბასილი მინიმუსის კომენტართან:

- metrhton legei ariqmon: metrou gar eido~ h palaisth. palaista~ eqou ta~ hmera~ mou fhsin o Dabid, eitoun metrhta~. palaisth de esti metron tessarwn daktulwn epallhlou~ sunteqeimenwn h kai pux eisw kliqentwn twn daktulwn⁹⁷ – [გრიგოლი] საზომი ერთეულის შესახებ საუბრობს. მტკავლეული (პალესტი) საზომის სახეობაა. „მტკავლეულ ჰყვენ დღენი ჩემნი“ – ამბობს დავითი, ესე იგი „ზომით ჰყვენ“. მტკავლეული (პალესტი) კი არის ოთხი გვერდიგვერდ დაწყობილი თითის სიგანის საზომი, ან კიდევ შეკრული თითების მუჭი.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ A-292-ში აშკარად ჩანს გრიგოლის არალიტურგიკული საკითხავების ბასილი მინიმუსის კომენტართა კვალი.

აქ დასაშვებია ორი შესაძლებლობა:

(1) მარგინალური შენიშვნები ეფრემის მიერ თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით შესრულებული გრიგოლის არალიტურგიკული საკითხავების ბასილი მინიმუსის კომენტარების თარგმანის ფრაგმენტებია. როგორც ცნობილია, ეფრემი თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით თარგმნის ბასილის იმ განმარტებებს, რომლებშიც მოცემულია ლექსიკურ ერთეულთა ახსნა, ასევე გრიგოლის მოკლე, შეკუმშული

ისოდენითა რაჲთჲ საზომითა ფრიად ჯეროვნად განასაზღვრებს ყოლადქებული იგი.

⁹⁶ Cod. A-292, 363 r. ძველი ქართული ლექსიკური ერთეული მტკავლეული გაიგივებულია მტკაველთან (იხ. სარჯველაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, გვ. 152). მარგინალური შენიშვნა აზუსტებს მტკავლეულის მნიშვნელობას: ეს არის საზომი, რომელიც ერთმანეთთან მიწყობილი ოთხი თითის ზომას უთანაბრდება და მტკაველზე ნაკლებია.

⁹⁷ Cod. Paris. Gr. 573, 166r.

ფრაზების გავრცობა-განმარტება, პერიფრაზი. ჩვენ მიერ განხილული ორი მაგალითი სწორედ გრიგოლის ლაკონური ფრაზის (*უცრემლოდ წარვიღო ჴსენებაჲ ამათი*) და ლექსიკური ერთეულის (*მტკავლეული*) განმარტებებს წარმოადგენს, ასე რომ, მათი თარგმნისას გამოყენებული თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდი ამ შემთხვევაში სწორედ მოსალოდნელი და კანონზომიერი მოვლენაა. ამდენად, შეიძლება დავუშვათ, რომ ეფრემს, გრიგოლის ლიტურგიკული სიტყვების კომენტარებთან ერთად, ნათარგმნი ჰქონდა გრიგოლის არალიტურგიკული სიტყვების ბასილის კომენტარებიც, რომლებმაც ჩვენამდე ზემოთ განხილული ორი ფრაგმენტის სახით მოაღწია. სავარაუდოა, რომ ეს კომენტარები არალიტურგიკული საკითხავების ეფრემისეული თარგმანის აშიებზე იყო მოთავსებული ლიტურგიკული სიტყვებისა და მათი კომენტარების მსგავსად. არალიტურგიკულ სიტყვათა კომენტარები ადრევე, 1800 წლამდე უნდა გაუჩინარებულყო. ვფიქრობთ, იმ ორტომედში, საიდანაც იოანე ოსესძემ გადმოწერა გრიგოლის ლიტურგიკული და არალიტურგიკული საკითხავები, ბასილის კომენტარები არ უნდა ყოფილიყო დაცული, წინააღმდეგ შემთხვევაში, იოანე ოსესძე ამის შესახებ რაიმე ინფორმაციას მოგვანვდიდა. იოანე თავის კოლოფონში მიუთითებს, რომ იმ ორტომედში, საიდანაც მან გადმოწერა გრიგოლის ტექსტი, იყო *ზღაპარსიტყუაობანი ელლინთანი* – ეფრემის მიერ ნათარგმნი ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარები, რომლებიც მან, მისივე შენიშვნით, შეგნებულად არ შეიტანა თავის ხელნაწერში.⁹⁸ ვფიქრობთ, იოანეს ხელნაწერის დედანში ბასილი მინიმუსის კომენტარები რომ ყოფილიყო და იოანეს რაიმე მიზეზის გამო ისინი არ გადმოწერა, ის ამის შესახებაც გააკეთებდა მითითებას ანდერძში. იმ ფაქტმა, რომ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე გრიგოლის არალიტურგიკული საკითხავების ბასილი მინიმუსის კომენტარები ან მათი რაიმე კვალი ქართულ ხელნაწერებში არ ჩანს, ვფიქრობთ, ეჭვის ქვეშ არ უნდა დააყენოს ვარაუდი მათი ქართულ ტრადიციაში არსებობის შესახებ, რადგან 1800 წლამდე, ანუ იოანე ოსესძის კრებულამდე, არ ჩანს არც გრიგოლის არალიტურგიკულ სიტყვათა ეფრემისეული თარგმანები.

(2) შეიძლება ასევე ვივარაუდოთ, რომ მარგინალური შენიშვნები ეფრემის მიერ შედგენილია გრიგოლის არალიტურგიკული სიტყვების ბასილი მინიმუსის კომენტარების გავლენითა და გათვალისწინებით,

⁹⁸ *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica*, p. XXXI.

მსგავსად გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავების ზოგიერთი ეფრემი-სეული შენიშვნისა (მაგალითად, პიტკ-ის განმარტება ბასილის კომენტარის ზეგავლენით, შენიშვნა პუნქტუაციის შესახებ ბასილის განმარტების მიხედვით).⁹⁹

ორივე შემთხვევაში – ნათარგმნი ჰქონდა ეფრემს გრიგოლის არალიტურგიკული საკითხავების კომენტარები, თუ უბრალოდ იყენებდა მათ – ერთი რამ ცხადია: ის კარგად, დეტალურად იცნობდა ბასილი მინიმუსის მთლიან ნაშრომს, გრიგოლის როგორც ლიტურგიკულ, ისე არალიტურგიკულ სიტყვათა კომენტარებს.

იოანე ოსესძის მიერ გადაწერილ ხელნაწერს, კერძოდ, მის ერთ-ერთ ეფრემისეულ კოლოფონს უკავშირდება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ეფრემის მიერ ნათარგმნი ერთი დაკარგული კომენტარებული თხზულების შესახებ. ეფრემი A-292-ის ერთ-ერთ კოლოფონში ახსენებს *ათცხრამეტ აპორიტას*, რომელიც მან *სიტყუადართვით* თარგმნა: *ათცხრამეტნი იგი აპორიტაგანი, პირველ ჩემგანვე თარგმნილი სიტყუადართვით*.¹⁰⁰ კორნელი კეკელიძის მიერ *აპორიტები* მიჩნეული იყო გრიგოლ ღვთისმეტყველის საიდუმლო ჰიმნებად, რომლებიც ეფრემის მიერ *სიტყუადართვით*, მკვლევრის აზრით, კომენტარებითურთ უნდა ყოფილიყო ნათარგმნი. კეკელიძის მიერ ეფრემის ეს ნაშრომი დაკარგულად იყო მიჩნეული.¹⁰¹ დღეისათვის, როდესაც დაზუსტდა ტერმინის *სიტყუადართვით* მნიშვნელობა (*სიტყუადართვით* – მთარგმნელისეული გავრცობებით¹⁰²) და გაირკვა, თუ რას ნიშნავს აპორიტა (*აპორიტა* – გრიგოლის არალიტურგიკული საკითხავები¹⁰³), ეს მოსაზრება მოიხსნა. თუმცა, როგორც ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, იოანე ოსესძის მიერ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე გადაწერილი ეს უძვირფასესი ხელნაწერი კვლავაც ინახავს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარების ქართულად თარგმნის საიდუმლოს.

⁹⁹ ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 145, 195; ასევე, ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის ქართული თარგმანების შემცველი კრებულების მარგინალიები, გვ. 194-206.

¹⁰⁰ Cod. A-292, 279v; იხ. ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 174.

¹⁰¹ კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 268.

¹⁰² ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, გვ. 546.

¹⁰³ Bezarashvili, *The Problem of so-called "Aporeta"*, p. 131-142.

• ეტიმოლოგია – მზასიტყუაობა

გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრებაში“, რომელიც გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვის კრებულებშია ჩართული, საუბარია ერესზე, რომელიც ნაწილობრივ ჰგავდა არიანელთა წვალებას, მაგრამ, გარკვეული თვალსაზრისით, განსხვავდებოდა მისგან; კერძოდ, მისი მიმდევრები აღიარებდნენ მამისა და ძის თანასწორობას, მაგრამ პატივს არ სცემდნენ სული წმიდას. „ცხოვრებაში“ ვკითხულობთ:

- ou~ Hmiareiou~ ekeino~ wnomaze¹⁰⁴ – მან (იგულისხმება – გრიგოლმა) მათ ნახევარარიანელები უწოდა.

ამ ფრაზის ეფრემისეული თარგმანია:

- ზოგ-არიანოზ უწოდა ... ს ი ტ ყ ჯ თ ა მ ზ ი თ ა.¹⁰⁵

ეფრემის თარგმანი არ შეესაბამება ბერძნულს. მასში, „ცხოვრებიდან“ მოყვანილი ბერძნული ფრაზისაგან განსხვავებით, დამატებით დასტურდება გამოთქმა *სიტყვთა მზითა*.

გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერებში წარმოდგენილია ამ პასაჟის ზემოთ მოყვანილი წაკითხვისაგან განსხვავებული ვარიანტულ წაკითხვებიც: ბერძნულ ხელნაწერთა ერთ ჯგუფში ამ ფრაზაში ჩართულია ლექსიკური ერთეული etumw~ – *ნამდვილი, ჭეშმარიტი* (hmiareiou~ add. etumw~ wnomaze); სხვა ჯგუფში კი წარმოდგენილია ვარიანტული წაკითხვა: etoimw~ – *მზა, გამზადებული* (ekeino~ add. etoimw~ / hmiareiou~ add. etoimw~ wnomaze).¹⁰⁶ აქედან მომდინარეობს სწორედ ეფრემისეული ს ი ტ ყ ჯ თ ა მ ზ ი თ ა.

ლექსიკური ერთეული etumw~ უკავშირდება ტერმინს etumologia – ეტიმოლოგია და შინაარსობრივად სწორედ ეს ვარიანტული წაკითხვა შეესაბამება მოცემულ კონტექსტს. ცნობილი ბერძენი გრამატიკოსის, დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნების“ მიხედვით, etumologia~ euresi~ ტექსტის ფილოლოგიური ანალიზის ერთ-ერთი საფეხურია, რომელიც გულისხმობს სიტყვის ჭეშმარიტი არსის შესწავლას.

თრაკიელის თხზულების ერთ-ერთი გვიანდელი კომენტატორი ასე განმარტავს ამ სიტყვას:

etumologia estin h anaptuxi~ tw~ lexewn di h~ to alhqe~ safhnizetai – ეტიმოლოგია არის სიტყვების დაშლა [შემადგე-

¹⁰⁴ PG 35, col. 276 A 4.

¹⁰⁵ Cod. K-9, 319r.

¹⁰⁶ PG 35, col. 275, n. 89.

ნელი ნაწილების მიხედვით], რითაც [მათი] ჭეშმარიტი [მნიშვნელობა] ცხადდება.¹⁰⁷

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ეს ტერმინი, ძირითადად, ამ მნიშვნელობით იხმარებოდა გრამატიკული თუ რიტორიკული ხასიათის ტექსტებში. *ეტიმოლოგიის* ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით, etumw~ის ჩამატების შედეგად „ცხოვრებიდან“ მოყვანილი ფრაზა შემდეგ შინაარსს იძენს:

- რომლებსაც მან ნახევარარიანელები უწოდა [ამ სიტყვის] ეტიმოლოგიური / თავდაპირველი / ნამდვილი მნიშვნელობით.

იგულისხმება საგნისა თუ მოვლენისადმი სახელის მინიჭება მისი ჭეშმარიტი შინაარსის წვდომით – Hmiareiou~: hmi – ნახევარი, areio~ – არიანელი).

რაც შეეხება „გრიგოლის ცხოვრებაში“ ვარიანტულ ნაკითხვას etoi-mw~, ის გაჩენილია u-სა და oi-ს ორთოგრაფიული მონაცვლეობის შედეგად ამ თხზულების შემცველ ბერძნულ ხელნაწერთა ერთ ჯგუფში (ამ ხმოვნისა და დიფთონგის მონაცვლეობა, როგორც ცნობილია, ხშირი მოვლენაა ბერძნულ ხელნაწერებში, რასაც საფუძვლად მათი ერთნაირი ჟღერადობა [i] უდევს¹⁰⁸). როგორც ჩანს, სიტყვაში etumologia ეს ხშირი მოვლენა იყო, რის გამოც ასოთა მონაცვლეობის შედეგად მიღებულ ლექსიკურ ერთეულსაც გაუჩნდა თავისი განმარტება დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნების“ ბიზანტიური ეპოქის ერთ-ერთ კომენტარში. ამ კომენტარის მიხედვით, *ეტიმოლოგია* არის:

etoimo~ ermhneia lexew~ – სიტყვის მზა განმარტება.¹⁰⁹

¹⁰⁷ *Scholia in Dionysii Thracis Artem grammaticam*, I, 3, p. 14.

¹⁰⁸ ნიშანდობლივია, რომ ბერძნულში ასოთა მონაცვლეობის შემთხვევები ხშირად ისახება ხოლმე თარგმანებში. მაგალითად, ბასილი მინიმუსის ეპისტოლეში კონსტანტინე პორფიროგენეტისადმი სიტყვა o kuwn – ძალღი ეფრემისეულ თარგმანში გადმოტანილია, როგორც საზოგადო, რაც, თავის მხრივ, უნდა მომდინარეობდეს სიტყვიდან koino~ – საერთო, საზოგადო; ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 232.

¹⁰⁹ *Scholia in Dionysii Thracis Artem grammaticam*, I, p. 568. *ეტიმოლოგიის* საკუთარ განმარტებას კომენტატორი ამაგრებს შემდეგი მსჯელობით: გრამატიკოსი სიტყვათა არსის წვდომისას, შეკითხვის შემთხვევაში, მზად უნდა იყოს საპასუხოდ (erwtwmenon etoi mw~ apokrinesqai). etumologia-სთან დაკავშირებულ ძველ ქართულ ტერმინთა კვლევაში ამ წყაროს შემოტანას უნდა ვუმაღლოდეთ ქ-ნ ნელი მახარაძეს, იხ. Махарадзе, Термин etumologia (этимология) и его древнегрузинские эквиваленты, с. 90-95. იხ. ასევე, ქაროსანიძე, დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“, გვ. 49.

„გრიგოლის ცხოვრებიდან“ მოყვანილ პასაჟს – ზოგ-არიანოზ უწოდა ... სიტყვა მზითა – გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა ეფრემისეულ კრებულში ერთვის მარგინალური შენიშვნა:

შეისწავე, ვითარმედ არს ბერძულად სასწავლელი, რომელსა ეტკმოლოგია უწოდიან, ესე იგი არს მზასიტყუაობაჲ.¹¹⁰

შენიშვნის მიხედვით, გამოთქმა (*სიტყვა მზითა*) ბერძნულთან არის კავშირში, იგივეა, რაც *ეტკმოლოგია* და *მზასიტყუაობა*ს ნიშნავს. *etymologia* გადმოტანილია ტრანსლიტერაციით და მოცემულია ამ კომპოზიციური ტერმინის თარგმანი მისი შემადგენელი ნაწილების მიხედვით; მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ძირითადი *etimo-* არის მოაზრებული.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პასაჟს ერთვის განმარტებითი შენიშვნა, გამოთქმა *სიტყვა მზითა*, როგორც ჩანს, მაინც გაუგებრობას იწვევდა ქართველ გადამწერებში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ, მართალია, *etimo~ wnomaze* ხუთ ქართულ ხელნაწერში სწორადაა გადმოტანილი – *უწოდა სიტყვა მზითა*,¹¹¹ ხოლო სამში *მზითა*-ს ენაცვლება ვარიანტული ნაკითხვა – *მისითა*.¹¹²

ტერმინი *ეტკმოლოგია* და მისი განმარტება ძველ ქართულ მწერლობაში კიდევ ორჯერ გვხვდება და მას თავისი შესწავლის ისტორია აქვს.

ერთია ისევ ეფრემისეული სქოლიო, რომელიც ერთვის არეოპაგიტულ კრებულს. მასში მოცემულია ღმერთის ერთ-ერთი ეპითეტის, *ყოვლისმხედველის* განმარტება და მინიშნებულია, რომ განმარტება ხდება:

- წესითა ეტკმოლოგობისაჲთა, ესე იგი არს მზაპასუხოებისაჲთა.¹¹³

ამ შემთხვევაშიც ეფრემის მიერ ჯერ ტრანსლიტერაციით (*ეტკმოლოგობა*), ხოლო შემდეგ შემადგენელი ნაწილების მიხედვით გადმოტანილ კომპოზიტს (*მზაპასუხოება*) საფუძვლად უდევს *etimo~ (მზა)*. ეფრემისათვის ეს განმარტება ცნობილი უნდა იყოს თრაქიელის „გრამატიკის“ შუა საუკუნეების კომენტარიდან.¹¹⁴

¹¹⁰ Cod. K-9, 319r.

¹¹¹ Cods. Jer. 15, K-9, A-1490, A-79, A-292.

¹¹² Cods. A-109, Jer. 43, H-1347. ამ ინფორმაციის მოწოდებისთვის მაღლობას ვუხდით თამარ მარგიანს.

¹¹³ სარჯველაძე, *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*, გვ. 220.

¹¹⁴ Махарадзе, Термин *ἐτυμολογία* (этимология) и его древнегрузинские эквиваленты, с. 90-95.

კიდევ ერთი ქართული წყარო, რომელშიც ეტიმოლოგიის განმარტება დასტურდება, არის იოანე პეტრიწის ე. წ. „ბოლოსიტყვაობის“ ერთი მონაკვეთი, რომელიც წარმოადგენს გრიგოლ ღვთისმეტყველის 43-ე საკითხავის ნიკიტა ჰერაკლიელის კომენტარის ანონიმურ გელათურ თარგმანს.¹¹⁵ პასაჟში, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებას“, ვკითხულობთ:

- მზამეტყუელებათა, ესე იგი არს სახელისაგან თარგმანებათა.¹¹⁶

ამ შემთხვევაში etumologia გადმოტანილია ლექსიკური ერთეულით *მზამეტყუელება*. აქაც ფუძეშია *მზა* – etoimo~-ის შესატყვისი და მოცემულია მისი განმარტება – *სახელისაგან თარგმანება*.

ამგვარად, etumologia-ს ეფრემისა და გელათელი მთარგმნელის ქართული შესატყვისები *მზაპასუხოზა*, *მზასიტყუაობა*, *მზამეტყუელება* ერთსა და იმავე პრინციპზეა აგებული: სამივე შემთხვევაში etumologia ნათარგმნია შემადგენელი ნაწილების მიხედვით და სამივეგან ფუძეში დასტურდება *მზა*. განსხვავებულია ამ ორი მთარგმნელის მიდგომა ტერმინის განმარტების მიმართ. ეფრემისათვის განმარტების საშუალება ტრანსლიტერაციით გადმოტანილი კომპოზიტიური სიტყვის შემადგენელი ნაწილების მიხედვით თარგმნაა (ეფრემისათვის სწორედ განმარტებითი დატვირთვა რომ აქვს ამ შენიშვნას, ჩანს გამოთქმიდან *ესე იგი არს*); ანონიმი მთარგმნელი არ მიმართავს ტრანსლიტერაციას, არამედ თარგმანის ამ კომპოზიტს შემადგენელი ნაწილების მიხედვით, ან შესაძლოა, უბრალოდ იყენებს ეფრემის მიერ დამკვიდრებულ ტერმინს მცირეოდენი სახეცვლილებით და, ამასთანავე, იძლევა მის შინაარსობრივ განმარტებას: *ესე იგი არს სახელისაგან თარგმანებათა*.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიზანტიურ ტრადიციაში არსებობს *ეტიმოლოგიის* ორი განმარტება: დიონისე თრაკიელის ერთ-ერთი კომენტატორის მიხედვით, etumologia გულისხმობს სიტყვის ჭეშმარიტი არსის, etumo~-ის წარმოჩენას, საგნისა და მისი აღმნიშვნელი სიტყვის მიმართების დადგენას; განსხვავებული ინტერპრეტაციით კი, ეტიმოლოგია

¹¹⁵ ოთხმეზური, ბეზარაშვილი, იოანე პეტრიწის ე. წ. ბოლოსიტყვაობის ერთი ფრაგმენტის ბერძნული დედანი, გვ. 207.

¹¹⁶ ყაუხჩიშვილი, მასალები იოანე პეტრიწის „განმარტების“ წყაროთა შესწავლისათვის, გვ. 758. ყაუხჩიშვილის მიერ *ეტიმოლოგიის მზამეტყუელებად* განმარტება ქართველი მთარგმნელის შეცდომად არის შეფასებული.

სიტყვის მზა განმარტება – გრამატიკოსის მზა პასუხია სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე.

როგორც ეფრემის, ისე გელათელი მთარგმნელის ტერმინებში – მზაპასუხოზა, მზასიტყუაოზა, მზამეტყუელეზა სწორედ ეტიმოლოგიის გაგების ეს უკანასკნელი ტრადიციად ასახული, ხოლო გელათელი მთარგმნელის შინაარსობრივი განმარტება – ეტიმოლოგია – სახელისაგან თარგმანება, ანუ სახელის / სახელწოდების მიხედვით განმარტება, ამ ტერმინის იმ ინტერპრეტაციას უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც გულისხმობს სიტყვის არსის წვდომას, განმარტებას მისი სახელის / სახელწოდების მიხედვით.

ამგვარად, XI-XII საუკუნეების ქართველი მთარგმნელებისათვის კარგად იყო ცნობილი ბიზანტიურ ჰერმენევტიკაში ანტიკურობიდან შემოსული სიტყვის ანალიზის ცნება და მისი აღმნიშვნელი ტერმინი, ასევე ამ ტერმინის გააზრების ბიზანტიური ტრადიციები – „ეტიმოლოგიის“ ეტიმოლოგიები. ქართველმა მწიგნობრებმა ბერძნულის ანალოგიით შექმნეს და მიმოქცევაში შემოიტანეს ამ ტერმინის შესაბამისი ქართული ლექსიკური ერთეული. აქვე დავძენთ, რომ ისინი ხშირად მიმართავდნენ ეტიმოლოგიის წესს თავიანთ მთარგმნელობით პრაქტიკაში (სწორედ ამ ხერხს მიმართავს ეფრემი hmiareiou-ის თარგმნისას – შემადგენელი ნაწილების მიხედვით გადმოაქვს ის ქართულად, რის შედეგადაც მიღებული ლექსიკური ერთეული თავისთავად იძენს ექსპოზიციურ ფუნქციას) და თავადაც იყვნენ დაინტერესებულნი ეტიმოლოგიური ძიებებით.¹¹⁷

• ბიბლიური ციტატა: მიღება / მჯუღვა

გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-40 ჰომილიაში („სიტყუა ნათლისღებისა მიმართ მანუეველობით“) ციტირებულია ფსალმუნი:

- kai drassesqai th~ Cristou paideia~, mh pote orgisqh Kurio~¹¹⁸ (Psal. 2, 12) – მოვიხვეჭოთ / მოვიხელთოთ სწავლა, თორემ უფალი განრისხდება.

ამ ციტატის ეფრემისეული თარგმანია:

¹¹⁷ ძველი ქართული ეტიმოლოგიური ძიებებისა და მათი წყაროების შესახებ იხ. სარჯველაძე, *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*, გვ. 218; მჭედლიძე, „ზევისი“, „კრონოსის“ და „ურანოსის“ ეტიმოლოგიათა წყაროებისათვის იოანე პეტრიწთან, გვ. 219-226.

¹¹⁸ PG 36, col. 416 A 1-3.

- და იმჟღავიდეს ქრისტეს სწავლასა, ნუუკუე განრისხნეს უფალი.¹¹⁹
პასაჟს ერთვის მარგინალური შენიშვნა:

შეისწავე, ნაცვალად „მიილე სწავლისა“ – „იმჟღავი სწავლა“,
ნუუკუე განრისხნეს უფალი.¹²⁰

ფსალმუნის ამ მუხლის თარგმანი როგორც ძველი, ისე გიორგი ათონელის რედაქციის მიხედვით არის:

- მიილე სწავლა, ნუუკუე განრისხნეს უფალი.¹²¹

როგორც ვხედავთ, ეფრემმა თავის თარგმანში ბიბლიური ციტატა ფსალმუნის ქართული თარგმანიდან კი არ გადმოიტანა, არამედ ხელახლა თარგმანა; კერძოდ, სიტყვა *მიღება* შეცვალა ლექსიკური ერთეულით *მჯულვა*. *მჯულვა* drassomai-ს (*ჩაჭიდება, ხელში ჩაგდება, ჩაბლუჯვა*) ერთგვარი ეტიმოლოგიური თარგმანია. ის შესრულებულია ამ სიტყვის გრამატიკული ძირის (drag-) მნიშვნელობის გათვალისწინებით (ამავე ძირიდან არის ნაწარმოები არსებითი სახელი to dragma – *პეშვი, მუშტი, მჯილი*), რის შედეგადაც მივიღეთ გაცილებით ზუსტი შესატყვისი ბერძნული სიტყვისა drassesqai – *იმჟღავიდეს*, ვიდრე ეს ფსალმუნის გიორგისეულ თუ ადრინდელ თარგმანებშია.

ვფიქრობთ, მარგინალური შენიშვნა სწორედ იმის ხაზგასმას, გამოკვეთას ემსახურება, რომ გრიგოლის ჰომილიის ქართულ თარგმანში ციტირებული ფსალმუნი მომდინარეობს არა ფსალმუნის ქართული კანონიკური ტექსტიდან, არამედ საკითხავში წარმოდგენილია მისი განსხვავებული თარგმანი.

აქ დგება ბიბლიურ წიგნთა ციტაციის საკითხი წმინდა მამათა თხზულებების ქართულ და, საზოგადოდ, ქრისტიანული აღმოსავლეთის ენებზე შესრულებულ თარგმანებში. შენიშნულია, რომ, როგორც ნესი, იმ მთარგმნელებს, რომლებიც თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით მუშაობენ, სათარგმნ ტექსტებში მოყვანილი ბიბლიური ციტატები პირდაპირ გადმოაქვთ ბიბლიურ წიგნთა თავიანთ ენაზე შესრულებული თარგმანებიდან, ხოლო ზუსტი მთარგმნელობითი მეთოდით მომუშავე მწიგნობრები თავადვე თარგმნიან წმინდა მამათა ტექსტებში მოყვანილ ბიბლიურ ციტატებს. როგორც ცნობილია, ეს ფაქტორი თარგმანის ხასიათის განმსაზღვრელ ერთ-ერთ კრიტერიუმადაც არის მიჩნეული მკვლე-

¹¹⁹ *Oratio* 40, *Iber*: p. 281.

¹²⁰ *Cods. Jer.* 13, 77 r, *Jer.* 8, 127v, K-9, 134v, A-292, 78r.

¹²¹ *ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები*, გვ. 3.

ვართა მიერ.¹²² ამ კუთხით გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართულ თარგმანებში შემდეგი სურათია: ექვთიმე ათონელი, რომელიც თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით თარგმნის გრიგოლის ჰომილიებს, ბიბლიური ციტატების თარგმნისას ბიბლიის წიგნთა ქართულ თარგმანებს მიმართავს; ხოლო ეფრემი, რომელსაც ზუსტი მთარგმნელობითი მეთოდით გადმოაქვს გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავები, გრიგოლის ჰომილიებში მოყვანილ ბიბლიურ ციტატებს თვითონვე თარგმნის.¹²³ ამისი საუკეთესო მაგალითია თუნდაც ზემოთ მოყვანილი ბიბლიური ციტატის გადმოტანისას ექვთიმესა და ეფრემის მიერ გამოყენებული სხვადასხვა პრინციპი. ექვთიმეს, ეფრემისაგან განსხვავებით, პირდაპირ გადმოაქვს ის ფსალმუნის ძველი ქართული თარგმანიდან: *და მიიღებდენ ქრისტეს სწავლასა, ნუჟკუე განრისხნეს უფალი*.¹²⁴

ნიშანდობლივია, რომ ეფრემის მიერ ბიბლიის ქართული ტექსტის შეცვლის ნიმუშებს მის ადრინდელ თარგმანებშიც ვხვდებით, რომლებიც შედარებით თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის შესრულებული. მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის 23-ე არალიტურგიკულ სიტყვაში, რომელიც, გრიგოლის ლიტურგიკული სიტყვებისაგან განსხვავებით, ეფრემის მიერ თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდითაა შესრულებული, ლექსიკური ერთეული *βαρυκάριδι* (*Psalm. 4, 3*)¹²⁵ გადმოტანილია, როგორც *გულმძიმე*.¹²⁶ მაშინ, როდესაც ფსალმუნის როგორც ძველ, ისე გიორგისეულ რედაქციაში ეს ლექსიკური ერთეული თარგმნილია, როგორც *გულფიცხელ*.¹²⁷ ორივე ქართული სიტყვა *βαρυκάριδι*-ს ეტიმოლოგიურ თარგმანს წარმოადგენს, მაგრამ ეფრემისეული *გულმძიმე* (*βαρυ – მძიმე*) უფრო ზუსტი შესატყვისია მოცემული ბერძნული სიტყვისა, ვიდრე *გულფიცხელ*.

ეფრემ მცირეს არასოდეს უთარგმნია ბიბლიური წიგნები, თუმცა, ბიბლიურ წიგნთა კომენტარების ქართულად გადმოტანისას, საკმაოდ უმუშავია ბიბლიის ტექსტებზე. ნიშანდობლივია, რომ ბიბლიის კომენ-

¹²² Brock, *Aspects of Translation Technique in Antiquity*, p. 75.

¹²³ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. მელიქიშვილი, ფსალმუნის ციტირება, გვ. 95-96; მელიქიშვილი, ბიბლიური ციტატა, გვ. 92-97.

¹²⁴ *Oratio 40, Iber. p. 280.*

¹²⁵ *PG 35, col. 1157 B 15.*

¹²⁶ ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის დასამშვიდებელ სიტყვათა ეფრემ მცირისეული თარგმანი, გვ. 138.

¹²⁷ *ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები*, გვ. 5.

ტარების თარგმნის პროცესში ეფრემის დამოკიდებულება ბიბლიის ქართული ტექსტის მიმართ სხვადასხვაგვარი იყო. მაგალითად, ფსალმუნთა კომენტარების ქართულად გადმოტანისას მას ბიბლიის ამ წიგნის გიორგი ათონელის ტექსტისათვის ხელი არ უხლია:

მუჭლი უკუე დავითისანი პირველთარგმნილისაგან დედისა ეგრეთვე დავნერენით, ვითა ვპოეთ ახალთარგმნილთა „დავითთა“ საუკუნოდ მოწსენებულისა გიორგი მთანმიდელისაჲთა, რომელი-იგი უნაკლულად თარგმნილ იყო პირველ ჩუენსა და არცა მოქენე განმართებისა.¹²⁸

შემდგომში კი, სამოციქულოს კომენტარების თარგმნისას, „საქმე მოციქულთას“ ტექსტი ეფრემს მცირედ შეუცვლია, „კათოლიკე ეპისტოლენის“ შესწორებანი რამდენადმე გაუზრდია, დაბოლოს, „პავლეს ეპისტოლენის“ ტექსტი საგრძნობლად, მნიშვნელოვნად გადაუკეთებია.¹²⁹ ეფრემის მითითებით, წმინდა მამათა კომენტარები უბიძგებდა მას, შეეცვალა გიორგისეული ტექსტი:

თ ა რ გ მ ა ნ ი სიტყვსაჲ მაიძულებდა იშუთ ცვალებასა სიტყვსასა ... არამედ რაჲთა პირველად სიტყუაჲ სამოციქულო შეასწორო ბერძულსა ძალისაებრ, თანაშენეწენითა და წინაძლომითა თ ა რ გ მ ა ნ თ ა და ლექსიკონთაჲთა, რამეთუ არს მრავალი სიტყუაჲ, რომელ თვსაგან პავლეს შინა ეგრე უფრო შეეწყობვის ქართულად, ხოლო ოდეს წმიდათა თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა ს ა თანაშეატყუა, პირველად სამოციქულოსა სიტყუასა გამოკულევაჲ უნა და შედარებაჲ და ეგრეთლა თ ა რ გ მ ა ნ ს ა მისსა დაწერაჲ.¹³⁰

საინტერესოა, რამ უბიძგა ეფრემს შეეცვალა ფსალმუნის მუხლის გიორგისეული თარგმანი საკუთარით გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-40

¹²⁸ ფსალმუნთა თარგმანების ანდერძი, შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, გვ. 79-122.

¹²⁹ დანელია, *ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან*, გვ. 298.

¹³⁰ Cod. Jer. 16, 1r-2r; სამოციქულოს თარგმანების ანდერძი, თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 205-206. ეფრემს პირობითი ნიშნით, იოტით აქვს მონიშნული ბიბლიური ტექსტის ის პასაჟები, რომლებშიც მან ცვლილებები შეიტანა; ყოველი ცვლილების წინ გაკეთებული აქვს მითითება: *უსაკუთრეს არს (უფრო შესაფერისია)*, რის შესახებაც ის ასევე საუბრობს თავის კოლოფონში, დანელია, ახალი მასალები, გვ. 27-47.

საკითხავში? ვფიქრობთ, აქაც გარკვეული როლი *თარგმანებას*, კერძოდ, ბასილი მინიმუსის კომენტარს უნდა შეესრულებინა.¹³¹

გრიგოლის ჰომილიის იმ თავში, რომელშიც ზემოთ მოყვანილი ბიბლიური ციტატაა წარმოდგენილი, საუბარია ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილთა – თავის, მხრის, ხელის, ფეხის, გულის, მუცლის, თირკმელთა – განწმენდაზე. *ხელის* შესახებ გრიგოლთან ვკითხულობთ:

- Kalon kai ta~ ceira~ teleiousqai ... kai dra ssesqai th~ Cristou paideia~, mh pote orgisqh Kurio~, kai pisteuesqai logon dia tou praktikou, w~ ton en th~ ceiri toude tou profhtou dedomenon.¹³²

- კეთილ ჯელთაცა სრულ-ყოფაი ... რაითა ... იმჯუღვიდენ ქრისტეს სწავლებასა, ნუუკუე განრისხნეს უფალი და გუერწმუნოს სიტყუაი საქმითობისა მიერ, ვითარცა ჯელითა მის წინაწარმეტყუელისაითა მოცემული.¹³³

ამ პასაჟის ბასილი მინიმუსის განმარტება ქართულად ეფრემს თავისუფლად, პერიფრაზით, ამასთანავე, საკუთარი ჩანართების დართვით აქვს ნათარგმნი. დასაწყისში მითითებულია ბიბლიური ციტატის წყარო – *დავითისი არს სიტყუაჲ ესე: მიიღე სწავლაჲ, ნუუკუე განრისხნეს უფალი*, რასაც მოსდევს ეფრემის ჩანართი, რომელიც მისსავე მარგინალურ შენიშვნას ეხმაურება: *ხოლო „მიღებისა“ ნაცვალ „მჯუღვაჲ“ დადებულ არს.*¹³⁴

ეფრემის თარგმანის მიხედვით:

- უკუეთუ არა მოვილოთ სწავლაჲ, ესე არს განრისხებაჲ უფლისაჲ, ვითარ-იგი ზემო მოგუცა ჯელითა, ესე იგი არს თქუმულითა მის წინაწარმეტყუელისაჲთა.

წინასწარმეტყველის ხელში, კომენტატორის აზრით, გრიგოლი გულისხმობს მალაქია წინასწარმეტყველს, რომლის წიგნის დასაწყია:

- მიღებაჲ სიტყმსაჲ უფლისაჲთა ისრაელსა ზედა ჯელითა ანგელოზისა მისისაჲთა.

- Lhmma logou Kuriou epi ton Israhel en ceiri aggelou autou (*Malach. 1, 1*).

¹³¹ თარგმნის პროცესში კომენტარების განსაკუთრებული როლის შესახებ იხ. აქვე, გვ. 79-84. ცალკე კვლევის საგანია *ლექსიკონი* და მისი ფუნქცია შუა საუკუნეების მნიგნობრულ ტრადიციაში ეფრემის კოლოფონების მიხედვით.

¹³² PG 36, col. 416 A 1-3.

¹³³ *Oratio 40, Iber.* p. 281.

¹³⁴ *Comm. 40, Iber.* 80.

ამასთან დაკავშირებით კომენტარში ვკითხულობთ:

- „ჴელ“ უნოდს მალაქიას წინაჲსწარმეტყუელებასა, რამეთუ თჳთ მასვე უთქუამს დასაბამსა წინაჲსწარმეტყუელებისა მისისასა, ვითარმედ „ჴელითა ანგელოზისა მისისაჲთა“, რომელ არს მალაქია. რამეთუ მალაქია ებრაულისაგან „ანგელოზად“ გამოითარგმანების.

განმარტება მთავრდება ფრაზით:

- ესრეთ დავით და მალაქიასგან მ რ ა ვ ა ლ მ ო ქ ც ე ვ ა დ თხზავს აწინდელთა ამათ სიტყუათა ყოვლადბრძენი ესე კაცი.

ამგვარად, კომენტარის მიხედვით, მოცემული პასაჟი ბიბლიურ წინაწარმეტყველთა, დავითისა და მალაქიას წიგნებზე დაყრდნობით არის აგებული, უფრო ზუსტად *მრავალმოქცევად შეთხზული*. ეს ფრაზა ბერძნულში არ დასტურდება, შესაბამისად, ეფრემს უნდა ეკუთვნოდეს.

რას ნიშნავს *სიტყუათა მრავალმოქცევად შეთხზვა*?

-ქცევ- ძირიდან ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულებს ვხვდებით როგორც ბასილი მინიმუსის კომენტართა ეფრემისეულ თარგმანში, ისე დამოუკიდებლადაც, ეფრემის ორიგინალურ ტექსტებში, მის კოლოფონებში. ისინი, უმეტესწილად, ტექსტის მხატვრული, რიტორიკული ხასიათის განმარტებათა კონტექსტშია ხოლმე გამოყენებული. მაგალითად, „ფილოთეონ ისტორიის“ კოლოფონში ტერმინები *მოქცევი / მოქცეობა / ქცეულება* ეფრემის მიერ მეტაფორული აზროვნების მნიშვნელობით არის ნახმარი და „ფილოთეონ ისტორიიდან“ მოყვანილი შესაბამისი მაგალითებით ახსნილი.¹³⁵

უშუალოდ ტერმინს *მრავალმოქცევი* ვხვდებით გრიგოლ ღვთისმეტყველის 39-ე სიტყვის ბასილი მინიმუსის კომენტარში. გრიგოლის ამ საკითხავის დასაწყისში ლექსიკური ერთეულები *კუალადი* და *საიდუმლოჲ* რამდენჯერმე არის გამეორებული, რაც ბასილის კომენტარის ეფრემისეულ თარგმანში ასეა შეფასებული:

- ხოლო მ რ ა ვ ა ლ მ ო ქ ც ე ო ბ ა ნ ი ესე სახელთანი – „კუალადი“ და „კუალადი“, „საიდუმლოჲ“ და „საიდუმლოჲ“ – არა ხოლო შუენიერად შემოსილებასა და სათნოდ შეწყობილებასა წინაშესავალისასა მოასწავებენ, არამედ ზემთაღმატებულებასაცა მხიარულებისასა (*Comm. 39, argument.*).

¹³⁵ მონაზონნი = სიბრძნისმოყუარენი / ღმრთისმგალობელთა მწყობრი; მონასტერი = არე / სიბრძნისსაწურთელი / სტადიონი (cod. A 689, 187v), თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები, გვ. 214.

კომენტარში ხაზგასმულია, რომ ეს არის მხატვრული პასაჟი, თუმცა არ არის აღნიშნული, კონკრეტულად რას გულისხმობს ს ა ხ ე ლ თ ა მ რ ა ვ ა ლ მ ო ქ ც ე ო ბ ა . მრავალმოქცეობის შესატყვისი ამ პასაჟში არის ბერძნული ლექსიკური ერთეული *oi poluplasiasmo~*.¹³⁶ *plasi-* ძირიდან ნაწარმოები სიტყვები *plasma*, *plasma* ნიშნავს როგორც *ხმის მოდულაციას*,¹³⁷ ისე *შეთხზულს, მხატვრულ გამოსახულებას*. შესაბამისად, ამ კონტექსტში *მრავალმოქცეობა* შეიძლება ნიშნავდეს როგორც კითხვისას ხმის მრავალჯერადი შეცვლით ტექსტის მხატვრულ გაფორმებას (რაც, საფიქრელია, *ზეშთაღმატებულ მხიარულებასაც* – განსაკუთრებულ საზეიმო ელფერს შეჰმატებდა პასაჟის კითხვას), ისე, კონტექსტიდან გამომდინარე (ერთი და იმავე სიტყვების გამეორება), გამეორების მხატვრული ხერხის მეშვეობით ტექსტის გამშვენებას.

ტერმინს *მ რ ა ვ ა ლ მ ო ქ ც ე ე ვ ი* ეფრემი დამოუკიდებლაც იყენებს თავის ერთ-ერთ მარგინალურ შენიშვნაში, რომელიც თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიის“ თარგმანს ერთვის. სირიელი წმინდა მამის, ვარადატის (IV ს.) შესახებ აღნიშნულია, რომ:

- არისტოტელისთა მათცა იკითხვიდის ლავმრინთა, გარნა ეგრეთცა უვნებელად ეგის და უძლიერესად.

პასაჟს ერთვის მარგინალური შენიშვნა:

შეისწავე, ვითარმედ ლავრინთოს ეწოდების სიტყუათა *მ რ ა - ვ ა ლ მ ო ქ ც ე ე ვ თ ა* და საფილოსოფოსოთა, რომელთაგან უძნელესნი არიან არისტოტელისნი. ამისთმს უკმრს ნეტარსა თეოდორიტეს დიდისა ვარადატისთმს, ვითარ არა აღაზუავენბდა უცთომელი კითხვა¹ და ზედამინევით გულისჴმისყოფა¹ საწარმართოთა წიგნთა *მ რ ა ვ ა ლ მ ო ქ ც ე ე ვ ო ბ ი ს ა ἰ*.¹³⁸

ეფრემის სქოლიოში განმარტებულია მხატვრული სახე (მეტაფორა) – *ლაბირინთი* – კუნძულ კრეტაზე აგებული სასახლე თავისი უთვალავი და ძნელად თავდასაღწევი დერეფნებით, რომლებშიც ადვილად იბნევიან და იკარგებიან ადამიანები; მოცემულ კონტექსტში *ლაბირინთი*

¹³⁶ *Cod. Paris. Coisl.* 240, 48r.

¹³⁷ -ქცევ- ძირიდან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულების ხმის შეცვლის მნიშვნელობით ხმარების შესახებ იხ. აქვე, გვ. 198-199.

¹³⁸ *Cod. A-689* 265r. ამ ხელნაწერში სქოლიოსა და ჩვენთვის საინტერესო ტერმინის დადასტურების შესახებ ინფორმაცია მოგვანოდა დარეჯან თვალთაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

მეტაფორულად არის წარმართული, ანუ ანტიკური ეპოქის *მრავალმოქცევი* და *საფილოსოფოსო* თხზულებები, რომელთაგან ყველაზე რთულია არისტოტელეს შრომები. თეოდორიტეს მიხედვით, წმინდა მამა ამ რთულ ტექსტებს უცთომელად კითხულობდა და ზედმინევნიტ შეიმეცნებდა, რაც მას არც ვნებდა და არც ამპარტავნებაში აგდებდა (შდრ. ლაბირინთის მხატვრული სახეს გრიგოლ ღვთისმეტყველის 43-ე სიტყვიდან, სადაც *ლაბირინთი* ორატორულ ხელოვნებაში განაფული ბასილი დიდის სიტყვათა სიღრმისა და სირთულის მეტაფორაა).¹³⁹ ამგვარად, *მრავალმოქცევი სიტყუანი* (თხზულებანი) ისეთი თხზულებებია, რომლებშიც აზრები *მოქცევით*, ანუ ჩახლართულად, მიფარულად, რიტორიკულად არის გამოთქმული. ნიშანდობლივია, რომ ეფრემის სქოლიოში წარმოდგენილ წყვილს *რიტორიკული* – *ფილოსოფიური* ხშირად ვხვდებით ბასილი მინიშის კომენტარებში გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა მხატვრული სტილის ანალიზისას; აქ *ფილოსოფიურის* ბერძნული შესატყვისი უმეტესწილად არის არა *filosofiko*, როგორც იყო მოსალოდნელი, არამედ *sofistiko*.¹⁴⁰

ტერმინი *მრავალმოქცევი* დასტურდება ასევე პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ეფრემისეულ ანდერძში, პასაჟში, სადაც ის საუბრობს საკუთარი ტექსტების – კოლოფონებისა და მარგინალური შენიშვნების სტილზე:

მცირეთა ამათ სიტყუათა, ადგილ-ადგილ მოზრახულთა ჩემ საწყალობლისა ეფრემ მცირისათა, დაწერაჲ ნუ გენყინების, რამეთუ ესრეთ მაქუნდა ბრძანებაჲ, რაჲთა შინა არარაჲ ჩავჭრთო, არამედ კიდეთა ზედა და თავისა და ბოლოჲსა ანდერძთა შინა ვიკადრო დაწერად, არა მაჩუენებლობითი რაჲმე *მრავალმოქცევი*, არამედ ლიტონი სიტყუაჲ და უწყებაჲ რაჲსაჲვე, მომიტევეთ ყოველივე ქრისტეს მცნებისათჳს, ჟ საყუარელნო!¹⁴¹

¹³⁹ *Oratio 43, Iber*: p. 113.

¹⁴⁰ *ekeinwn men tw n rhetorikwn kai filosofikwn cod. Paris. Coisl.* 240, 23v. რიტორიკისა და ფილოსოფიის მიმართებისათვის და მათი მნიშვნელობების ურთიერთგადაკვეთა – გადაფარვისათვის ანტიკურ და ბიზანტიურ ტექსტებში იხ. ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 280, 285.

¹⁴¹ *Cod. Ath.* 18, f. 235-238; თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 212.

ეფრემის შენიშვნით, კიდესა ზედა [წარწერილი], ისევე, როგორც თავსა თუ ბოლოში დართული ანდერძი, უნდა იყოს არა *მაჩუენებლობითი რაჲმე მრავალმოქცევი, არამედ ლიტონი სიტყუაჲ*, ანუ არა სადღესასწაულო სიტყვასავით¹⁴² მხატვრულად / რიტორიკულად გაფორმებული, არამედ *ლიტონი* – უბრალო, სადა, მარტივი (თავისთავად საყურადღებო შენიშვნა კოლოფონებისა და მარგინალური შენიშვნების, ანუ ხელნაწერში ჩართული ორიგინალური, მთარგმნელისეული ტექსტების ენისა და სტილის შესახებ).

ამგვარად, წარმოდგენილი მაგალითებიდან ცხადი ხდება ერთი რამ: როდესაც ეფრემი მე-40 საკითხავის კომენტარის თარგმანში საუბრობს გრიგოლის მიერ ხელის განწმენდის ეპიზოდის მრავალმოქცევად შეთხზვის შესახებ, ის ამ ეპიზოდის მხატვრულობაზე მიაწვდის. ამ შემთხვევაში მრავალმოქცევად შეთხზვა შეიძლება გულისხმობდეს ერთი და იმავე სიტყვის (*ceira~ ... ceiri – ჯელი ... ჯელი*), თუ ერთი და იმავე თემატური ჯგუფის სიტყვების (*ceira~ ... drassesqai ... ceiri – ჯელი ... მჯილი ... ჯელი*) განმეორებას, ან ხელის განწმენდასა და ხელთან დაკავშირებული, ბიბლიურ ციტატებსა თუ ალუზიებზე აგებული გრძელი, ჩახლართული პერიოდების მონაცვლეობას. კონკრეტულად რომელს გულისხმობს ეფრემი, ძნელი სათქმელია, მაგრამ მთავარი არის ის, რომ კომენტარში ხაზგასმული, გამოკვეთილია მოცემული პასაჟის მხატვრულობა, მისი რიტორიკული ხასიათი.

შესაბამისად, ეფრემის თარგმანში ფსალმუნის ლექსიკური ერთეულის შეცვლა განპირობებულია არა მარტო გრიგოლის ქართული თარგმანის ბერძნულთან დაახლოების სურვილით, არამედ იმ მიზანდასახულობითაც, რომ გრიგოლის ტექსტმა ქართულ თარგმანში შეიძინოს იგივე მხატვრული დატვირთვა, რაც მას ბერძნულში აქვს. მოცემულ კონტექსტში *drassesqai*-ის ეტიმოლოგიური თარგმანი *მჯუღვა*

¹⁴² ლექსიკურ ერთეულს *მაჩუენებლობითი* ვხვდებით ბასილი მინიმუსის კომენტარების ეფრემისეულ თარგმანშიც. მისი ბერძნული შესატყვისია *epideiktiko~*, იგივე *panhguriko~*, რაც ნიშნავს *სადღესასწაულოს*: *tou epideiktikou de htoi panhgurikou* (*Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 8) – *მაჩუენებლობითისა, ესე იგი არს სადღესასწაულობითისა* (*Comm. 38, Arg.*). ბასილი მინიმუსის კომენტართა ეფრემისეულ თარგმანში *epideiktiko~*-ის შესატყვისად დასტურდება ასევე ლექსიკური ერთეული – *წარმოჩინებითი*: *დღესასწაულობითი, რომელ არს წარმოჩინებითი* (*Comm. 43, Arg.*).

მეტი ექსპრესიულობით გამოხატავს შესაბამის მოქმედებას და მიღებაზე მეტად შეესატყვისება ხელის განწმენდასა და ხელთან დაკავშირებულ – მრავალმოქცევად შეთხზულ – ღვთისმეტყველის მე-40 საკითხავის მოცემულ პასაჟს.

• პუნქტუაციის ნიშნები

მარგინალური შენიშვნა, რომელიც საყურადღებო მასალას იძლევა შუა საუკუნეების ტექსტებში პუნქტუაციის ნიშანთა გამოყენების შესახებ, ერთვის გრიგოლ ღვთისმეტყველის 39-ე ჰომილიის (“ნათელთათვს”) შემდეგ პასაჟს:

- Orate th~ hmera~ thn carin: orate tou musthriou thn dunamin: ouk apo gh~ hrqhte; ouk anw teqeisqe safw~ uywqente~ upo th~ hmeta~ fwnh~ kai anagwgh~.¹⁴³

- იხილეთ მაღლი დღისაჲ, იხილეთ ძალი საიდულოჲსაჲ, არა ქუეყანით აჰმალდით-ა? არა ზე დაისხენით-ა განცხადებულად ამაღლებულნი ჩუენისა მიერ ჳმისა და აღყვანებისა?¹⁴⁴ (ეფრემის თარგმანი).

ეს არის რიტორიკული ხასიათის პასაჟი, რომელიც შედგება ორი მიმართვისა და ორი რიტორიკული შეკითხვისაგან.

ამ პასაჟის ბასილი მინიმუსის განმარტებაა:

- ei~ to *carin* kai *dunamin* teleia, ei~ de to *hrqete* kai *anagwgh~* thn upokrisin ecei meta tou hqou~ th~ erwthsa~¹⁴⁵ – *χάρυ*-ისა და *δύναμις*-ის შემდეგ – სრულწერტილი, *hrqete*-სა და *anagwgh~*-ს შემდეგ [ხმის] გარდაქმნა / შეცვლა ისე, როგორც შეკითხვას შეეფერება.

ამ განმარტების ეფრემისეული თარგმანია:

¹⁴³ PG 36, col. 336 C 3-5. გამოცემის მიხედვით, ოთხივე ფრაზის შემდეგ დასმულია წერტილ-მძიმე (;), რაც ბერძნულში არის კითხვის ნიშანი. სასვენი ნიშნები მოყვანილ პასაჟში შესწორებულია ჩვენ მიერ ბასილი მინიმუსის კომენტარის მიხედვით.

¹⁴⁴ *Oratio* 39, *Iber.* p. 37. ექვთიმე ათონელთან 39-ე საკითხავის ეს პასაჟი – ოთხივე ფრაზა – სტრუქტურის მიხედვით, თხრობითი წინადადებებით არის გადმოტანილი, ხოლო ადრინდელ თარგმანში, რომელიც „მრავალთავშია“ დაცული, პირველი ორი ფრაზა კითხვით, შემდეგი ორი კი თხრობით წინადადებებად არის თარგმნილი, *Oratio* 39, *Iber.* 36, 5. გამოცემაში სასვენი ნიშნები მეტ-ნაკლებად ქართულ ფრაზათა სტრუქტურისა და ბერძნული პუბლიკაციის გათვალისწინებით არის დასმული.

¹⁴⁵ Cod. Vat. Gr. 437, 40r.

- დღისაჲ-ცა და საიდუმლოჲსა-ცა ს რ უ ლ წ ე რ ტ ი ლ ა დ გაკუთენ და მართლ თქუენ. ხოლო აღმაღლდით-სა და დაიხსნით-სა დ ი დ მ ო ქ - ც ე ვ ი დაუსხენ და კითხვის სახედ იტყვან.

როგორც ბასილის კომენტარში, ისე ეფრემის თარგმანში, საუბარია 39-ე საკითხავის ზემოთ მოყვანილი რიტორიკული პასაჟის წაკითხვის წეს-სა და იმ სასვენ ნიშნებზე, რომლებითაც გამართული უნდა იყოს გრიგო-ლის ტექსტის ეს მონაკვეთი. ქართულში, ბერძნულისაგან განსხვავებით და მისგან დამოუკიდებლად, შემოტანილია დამატებითი სასვენი ნიშანი – დიდმოქცევი, რომელიც ფრაზას შეკითხვის ინტონაციას ანიჭებს.

ეფრემის თარგმანის მიხედვით, სასვენი ნიშნით, *სრულწერტილით გაკვეთილი* ფრაზები მართლ ანუ პირდაპირ, ჩვეულებრივად უნდა გამოვთქვათ, ხოლო ის სიტყვები, რომლებთანაც სასვენი ნიშანი – დიდ-მოქცევი არის დასმული, შეკითხვის სახით უნდა წავიკითხოთ. ნიშან-დობლივია, რომ ეფრემი სიტყვასიტყვით, მექანიკურად კი არ თარგმნის ბასილის კომენტარს, არამედ გააზრებულად, 39-ე საკითხავის აღნიშ-ნული პასაჟის საკუთარი, ქართული თარგმანის გათვალისწინებით. თუ ბერძნული განმარტების მიხედვით, გრიგოლის ტექსტში *სრულწერტილი* – პაუზის აღმნიშვნელი სასვენი ნიშანი – *carin*-ისა და *dunamin*-ის შემ-დეგ უნდა დაისვას, კომენტარის ქართული თარგმანის მიხედვით, *სრულ-წერტილი* გრიგოლის ქართულ ტექსტში *დღისაჲ-სა* და *საიდუმლოჲსაჲ-ს* შემდეგ დგას. ამისი მიზეზია გრიგოლის ქართულ თარგმანში სიტყვათა თანამიმდევრობის შეცვლა ქართული ენობრივი ნორმების მიხედვით (მსაზღვრელ-საზღვრული აქ, ბერძნულისაგან განსხვავებით, პოსტპოზი-ციური წყობით არის მოცემული: *მაღლი დღისაჲ* და *ძალი საიდუმლოჲსაჲ*).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბასილი მინიმუსის კომენტარებში წარ-მოდგენილი პუნქტუაციის სისტემა ბერძენი გრამატიკოსის, ნიკანორის რვანიშნიან სისტემას ეფუძნება.¹⁴⁶

teleia, იგივე *teleia stigmh* (*სრულწერტილი*), რომელიც კომენტარ-შია ნახსენები, ნიკანორის სისტემაში ხანგრძლივი პაუზის აღმნიშვნელი ნიშანია; ამასთანავე ითავსებს მიმართვის, მოწოდების ფუნქციასაც. ჩვენ შემთხვევაში ის სწორედ მოწოდებებთან არის დასმული. გრაფი-კულად ეს ნიშანი წარმოადგენს წერტილს, რომელიც სტრიქონის ზემოთ არის მოთავსებული: *thn carin:* და *thn dunamin:*. ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათია XI საუკუნის ბერძნულ ხელნაწერში *Paris. Coislin*.

¹⁴⁶ ნიკანორის პუნქტუაციის სისტემის შესახებ ბასილი მინიმუსთან, იხ. აქვე, გვ. 38-43.

52, გრიგოლის ჰომილიათა კომენტირებულ კრებულში. ჩანს, რომ გრიგოლის 39-ე საკითხავის ჩვენ მიერ განხილულ პასაჟში *thn carin*-ისა და *thn dunamin*-ის შემდეგ თავდაპირველად დასმული უნდა ყოფილიყო ნერტილ-მძიმე (;) – ბერძნულ ხელნაწერებში კითხვის ნიშნის გამომსახველი ნიშანი. ამჟამად ნერტილ-მძიმის ქვედა ნაწილი, მძიმე, ორივეგან ამოფხეკილია და დატოვებულია მხოლოდ ზედა ნერტილი, ანუ *teleia stigmh*. ეს აშკარად გაკეთებულია ბასილი მინიმუსის ზემოთ მოყვანილი განმარტების გათვალისწინებით, რომელიც ხელნაწერში იმავე გვერდზე, ორ სვეტად ნაწერი გრიგოლის ტექსტის ზედა აშიაზეა მოთავსებული.¹⁴⁷

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ ქართულ ნუსხებში? გრიგოლის ეფრემისეულ თარგმანთა კრებულებში, კომენტარებიანშიც და არაკომენტირებულშიც კი (მაგალითად, *Jer.* 8-ში), ფრაზაში – *იხილეთ მადლი დღისაჲ, იხილეთ ძალი საიდუმლოჲსაჲ – დღისაჲ-სა და საიდუმლოჲსაჲ-ს* შემდეგ დასმულია ორნერტილი (:), რომელიც, როგორც ცნობილია, ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში სწორედ მიმართვასთან დაისმის.¹⁴⁸ როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც ბასილი მინიმუსის კომენტარმა შეასრულა თავისი როლი, ოღონდ ქართულ ტექსტში ქართული ხელნაწერული ტრადიციის ნიშანი (:) არის გამოყენებული და არა – ბერძნული (:).

რაც შეეხება შეკითხვას და მის აღმნიშვნელ ინტონაციურ სასვენ ნიშანს: ბერძნულ ხელნაწერებში შეკითხვის აღმნიშვნელი სასვენი ნიშანი, როგორც უკვე მივუთითეთ, ნერტილ-მძიმეა. მართლაც, *Paris. Coislin.* 52-ში, მოცემულ პასაჟში ეს სასვენი ნიშანი (;) დასმულია *hrqhte*-სა და *anagwgh~*-თან; იგივე ვითარებაა გრიგოლის ტექსტის პუბლიკაციაშიც. ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში კითხვითი ინტონაციის გამოსახატავად, ძირითადად, გამოყენებულია ხოლმე მკვეთრი მახვილი, რომელიც ზმნაზე დართულ კითხვით ნაწილაკზეა დასმული.¹⁴⁹ გრიგოლის ზემოთ მოყვანილ პასაჟში, ქართულ ხელნაწერებში, კითხვის ნიშნის აღმნიშვნელად სწორედ მკვეთრ მახვილს ვხვდებით, რომელიც კითხვით ნაწილაკებზეა დასმული; მახვილთან ერთად, ბერძნულის ანალოგიით, კითხვითი წინადადების ბოლოს დასმულია ნერტილ-მძიმეც:

- არა ქუეყანით აჰმალდით-ა; არა ზე დაისხენით-ა;

ქართულ ხელნაწერებში მოცემულ პასაჟს აშიაზე ახლავს მარგინალური შენიშვნა:

¹⁴⁷ *Cod. Paris. Coislin.* 52, 200r.

¹⁴⁸ ქაჯაია, *პუნქტუაცია V-XII საუკუნეები ქართულ ხელნაწერებში*, გვ. 169.

¹⁴⁹ იქვე, გვ. 201.

შეისწავე, ესე არს დიდმოქცევი, კითხვის სახედ მათქმეველი სიტყვსაჲ, ხოლო ესე – წურილმოქცევი, მცირე გასაკუთელი ოდენ სიტყვსაჲ.¹⁵⁰

მარგინალური შენიშვნა ნაწილობრივ იმეორებს იმას, რაც ბასილი მინიმუსის კომენტარის ეფრემისეულ თარგმანშია – ასახელებს ინტონაციურ ნიშანს, *დიდმოქცევს* და კიდევ ერთხელ გამოკვეთს მის ფუნქციას; სქოლიოში ასევე დასახელებულია სასვენი ნიშანი – *წურილმოქცევი* და განსაზღვრულია მისი ფუნქცია. ეს ტერმინი არ დასტურდება ბასილის ზემოთ მოყვანილი განმარტების ეფრემისეულ თარგმანში. ნაკლებად საფიქრელია, მარგინალური შენიშვნის ავტორი აქ ბასილის განმარტების *teleia stigmh*-ს იხსენიებს ამ განსხვავებული ტერმინით; სავარაუდოდ, ის უნდა საუბრობდეს სხვა სასვენ ნიშანზე, რომელიც, შესაძლოა, განსახილველ პასაჟში, ან მის ახლომახლო იყო დასმული და რომელიც *teleia stigmh*-საგან განსხვავებულ ფუნქციას ასრულებდა ტექსტში (*წურილმოქცევი* – *მცირე გასაკუთელი ოდენ სიტყვსაჲ* შდრ. *teleia stigmh*-ს ძირითად ფუნქციას – ხანგრძლივ პაუზას).

რა ფუნქციას ასრულებდა ქართველი მწიგნობრის ეს სქოლიო, რომელიც მეტ-ნაკლებად იმეორებდა ბასილი მინიმუსის კომენტარის ეფრემისეულ თარგმანში მოცემულ ინფორმაციას სასვენ ნიშანთა შესახებ?

როგორც აღვნიშნეთ, ეფრემ მცირის მიზანი გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების თარგმნისას გრიგოლის ტექსტების მხატვრული სპეციფიკის გადმოტანა იყო, რასაც ამ ავტორის ტექსტებში, მხატვრულ სახეებთან, რთულ რიტორიკულ კონსტრუქციებთან ერთად, რიტორიკული შეკითხვებიც ქმნიდა. რიტორიკული შეკითხვა კი, თავის მხრივ, კითხვის პროცესში ინტონაციის შეცვლას მოითხოვდა. ბასილი მინიმუსის კომენტარები, რომელთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი ამ ავტორის მხატვრული ტექსტის ანალიზი იყო, გრიგოლის რიტორიკული ტექსტების უკეთ აღქმისა და გაგებისათვის მკითხველსა თუ მსმენელს სასვენ ნიშანთა სპეციფიკურ სისტემას სთავაზობდა. ბასილის კომენტარები, როგორც უკვე მივუთითეთ, ეხმარებოდა ეფრემს თავის თარგმანში გადმოეცა ღვთისმეტყველის პროზის სპეციფიკა, რაშიც მას, გარკვეულწილად, ამ ტექსტების პუნქტუაციური სისტემის ქართულ თარგმანში გადმოტანაც შეუწყობდა ხელს.

¹⁵⁰ Cods. A-109, 74r; Jer. 15, 80v.

ამგვარად, მარგინალური შენიშვნით ქართველი მწიგნობარი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სასვენი ნიშნებით პასაჟის გამართვის / ნაკითხვის აუცილებლობას. არ არის გამორიცხული, რომ მარგინალური შენიშვნის თავდაპირველ ვარიანტში მოცემული ყოფილიყო ამ ნიშანთა გრაფიკული გამოსახულებებიც, მსგავსად ამავე კრებულებში დაცული მარგინალური შენიშვნისა *ქუეყნისმზომელთა ჯელოვნების ნიშანთა* შესახებ, რომელშიც გეომეტრიული ფიგურები გრაფიკულად არის გამოსახული.¹⁵¹

როგორც ჩანს, სასვენი ნიშნების გამოყენების წესების დაცვა საკმაოდ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული ბიზანტიურ მწიგნობრულ ტრადიციაში. ანასტასი სინელი თავისი „წინამძღვრის“ კოლოფონში, რომელიც ქართულმა ნუსხებმაც შემოგვინახა, ასე მიმართავს გადამწერებს: *ამას თანა გევედრებით გადანერის მნებებელთა მოწერად სხოლიონთაცა და მოსწრაფებით შესწავებად ტონთა და წერტილთა და მცირე წერტილთა და ნაკლულსიტყუათა. და რამეთუ სხუა ჟამცა სარწმუნოებიათა სიტყვსა გარდამწერალთა, უწიგნოთა ვიეთმე, უმეცრებისაგან გმობით აღავსეს იგი.*¹⁵² ამ საკითხზე უკმაყოფილებას გამოთქვამს ბასილი მინიმუსიც თავის ეპისტოლეში კონსტანტინე პოროფიროგენეტის მიმართ. მისი შენიშვნით, შეცდომილნი ღვთისმეტყველის ტექსტში დასმულ *წერტილებს* (ta stigmata) არაფრად აგდებენ, რითაც გრიგოლის ჰომილიათა კითხვის წესს ხრწნიან.¹⁵³

საკმაოდ რთული პროცესი უნდა ყოფილიყო მწიგნობრული წესებისა თუ ნიშნების დამკვიდრება ქართულ ხელნაწერებშიც, რაც ეფრემ მცირისა და მომდევნო პერიოდის ელინოფილთა საქმიანობას უკავშირდება. ამ პერიოდის ქართულ ხელნაწერებში ხშირად ვხვდებით ქართველ მთარგმნელთა მოთხოვნას გადამწერთა მიმართ, რათა ისინი განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ დედანში არსებულ სხვადასხვა ტექნიკურ ნიშნებს.

როგორც ცნობილია, თავად ეფრემი ზრუნავდა პუნქტუაციის სისტემის – *გაკუეთილობის ნიშნების* – დამკვიდრებაზე ქართულ ხელნაწერებში¹⁵⁴ და ნიმუშად ბერძნულ ხელნაწერებს სახავდა: *მისანდობელ არს*

¹⁵¹ აბულაძე, ზოგიერთი ქართული მეცნიერული ტერმინის ისტორიისათვის, გვ. 78-86.

¹⁵² Cod. S-1463, 1r.

¹⁵³ *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 6.

¹⁵⁴ ამავე კოლოფონში, პუნქტუაციის ნიშნებზე საუბრისას, ეფრემი აღნიშნავს, რომ ქართველ მთარგმნელებს მანამდე არაღა ეღუანათ *წერტილ-*

ნიგნები მათი მართლად გაკუთილობისათვის.¹⁵⁵ პუნქტუაციის სისტემის თეორიული საფუძველი მას იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ შესავალში აქვს ჩამოყალიბებული:

ყოველივე ჩემ მიერ თარგმნილი ნიგნი ერთნერტილად და ორნერტილად, სამნერტილად და ექუსნერტილად გამიკუთნია: ერთნერტილი უკუე მცირედ სასუენად, ორნერტილი – გასაკუთელად სიტყვსა და სამნერტილი – დიდად სასუენად და ექუსნერტილი – სრულიად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებლად სიტყვსა.¹⁵⁶

პუნქტუაციის ეს სისტემა არ არის კავშირში ნიკანორის სისტემასთან, ის არ იმეორებს არც ბერძნული მნიგნობრული ტრადიციის ჩვენთვის ცნობილ სხვა – დიონისე თრაკიელის სამნიშნიანსა და მასზე დაფუძნებულ ოთხნიშნიან სისტემებს, თუმცა პრინციპით (შესვენება, გაკვეთა) და ტერმინოლოგიურადაც (ნერტილთა სახეობები) ახლოს დგას მათთან. ეფრემს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ სასვენი ნიშნებით გამართული ტექსტი მისი შინაარსის, მხატვრული სტრუქტურისა თუ ლოგიკის წვდომის აუცილებელი პირობაა. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ეფრემი დაბეჯითებით მოითხოვს ყველასგან, ვისაც კი შეხება შეიძლება ჰქონდეს ტექსტთან – მკითხველის, გადამწერისა და მსმენელისაგან, დიდი სიფრთხილე გამოიჩინონ სასვენ ნიშნებთან დაკავშირებით:

უფროეს ყოვლისასა სარწმუნოებისა და ღმრთისმეტყუელე-ბისათვის თქუმულთა ნიგნთა შინა სამმარ არს კრძალვად მკითხ-

თა გაკუთისათვის საკითხავთაჲსა... ეს ფრაზა იმთავითვე იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას, რადგან ქართულ მნიგნობრულ ტრადიციაში ეფრემამდეც დასტურდება სასვენი ნიშნები. საფიქრელია, რომ ეფრემთან საუბარია არა ზოგადად სასვენ ნიშანთა ხმარებაზე, არამედ მათ სისტემურ, ორგანიზებულ გამოყენებაზე, რომლის მოდელსაც ის თავად გვთავაზობს „გარდამოცემის“ კოლოფონში. საყურადღებოა დარეჯან თვალთვაძის აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, ეფრემს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს არა ზოგადად სასვენი ნიშნები, რომლებსაც ეფრემამდელ ხელნაწერებშიც ვხვდებით, არამედ ინტონაციური – წმის საქცეველი – ნიშნები, რომლებიც, გიორგი ათონელის საგალობელთა კრებულების გარდა, მანამდე არ ყოფილა გამოყენებული ქართულ ხელნაწერებში, თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 136.

¹⁵⁵ იოანე დამასკელი, *დიალექტიკა*, გვ. 69.

¹⁵⁶ იქვე.

ველისაგან და მწერლისა და მსმენლისა. გეგედრები უკუე, რაჲთა წერტილი შეიკრძალოთ.¹⁵⁷

შემთხვევითი არ არის ისიც, რომ წერტილთა შესახებ ეფრემ მცირე სწორედ სარწმუნოების შესახებ ლოგიკური მსჯელობით გამორჩეული წიგნის, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ კოლოფონში საუბრობს და სიფრთხილისაკენ სწორედ „გარდამოცემის“ ტიპის წიგნთა (*სარწმუნოებისა და ღმრთისმეტყუელებისათჳს თქუმულთა წიგნთა*) მკითხველებს, მსმენელებსა და გადამწერებს მოუწოდებს.

როგორც ვხედავთ, ტერმინები *დიდმოქცევი*, *სრულწერტილი*, *წურილმოქცევი*, რომლებსაც გრიგოლის საკითხავთა ეფრემისეულ კრებულში ვხვდებით, პუნქტუაციის ეფრემისეულ სისტემაში არ დასტურდება; ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან ეს ტერმინები ბასილი მინიმუსის პუნქტუაციური სისტემის ანალოგიითა და ამ სისტემის ფარგლებშია გაჩენილი: *სრულწერტილი* უშუალოდ ბასილის კომენტარიდან მომდინარეობს, ხოლო *დიდმოქცევი* და *წურილმოქცევი* ბასილის კომენტარებისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ბასილის კომენტარების კონტექსტშია შექმნილი.

მართალია, „გარდამოცემის“ ანდერძში ჩამოყალიბებული სისტემა ცალკე დგას გრიგოლ ღვთისმეტყველის ეფრემისეული კრებულის პუნქტუაციისაგან, მაგრამ ის მეტ-ნაკლებად გვაძლევს საშუალებას, ვიმსჯელოთ ჩვენს სქოლიოში ნახსენები ტერმინების – *დიდმოქცევისა* და *წურილმოქცევის* ეტიმოლოგიისა და ფუნქციის შესახებ. „გარდამოცემის“ ანდერძიდან ვიგებთ, რომ ეფრემთან ექვსწერტილი არის არა მარტო აზრის დასაბოლოებელი პუნქტუაციური ნიშანი, არამედ *ჴმის საქცეველი* – ხმის შესაცვლელი.

არს იშვთ, რომელ არა დასაბოლოებელად ზის ექუს-წერტილი, არამედ *ჰ მ ი ს ა ს ა ქ ც ე ვ ე ლ ა დ* ოდენ, რომელი-ესე მეტაფრასთა შინა უფრო იპოების, რაჟამს მოწამე მსაჯულისა მიმართ მეტყულებდეს და მყის ღმრთისა მიმართ ცვალოს მეტყუელება¹, ესევეითარსა მას ადგილსა ექუსი წერტილი უზის, არა რა²თა დააბოლოოს, არამედ რა³თა *ჴ მ ა ო ი ქ ც ი ო ს* მკითხველმან.

-*ქცევ*- ძირიდან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები ხშირად გვხვდება კითხვის ტექნიკასთან დაკავშირებულ გამოთქმებში. მაგალი-

¹⁵⁷ იოანე დამასკელი, *დიალექტიკა*, გვ. 66-70.

თად, ჰიმნოგრაფიული ტერმინი წ ა რ ქ ც ე ვ ი თ ფსალმუნის რეჩიტატი-
ვით შესრულებას გულისხმობს.¹⁵⁸ ამ ძირიდან ნაწარმოები სიტყვები ხმის
შეცვლის მნიშვნელობით ასევე დასტურდება ბასილი მინიმუსის კომენ-
ტარების ეფრემისეულ თარგმანში, რაც ისევ ტექსტის წაკითხვასთან
არის კავშირში. მაგალითად:

- ხოლო „მაშინ ჰრწმენესითგან“ ვიდრე „უკუანაჲსკნელადმდე“ სხუ-
ებრ და სხუებრ მ ი მ ო ქ ც ე ვ ი თ ა ჯ მ ა თ ა ე თ ა ფერთა იჩემებს რეცა
მ ი მ ო ქ ც ე ვ ი თ და მაშინდა სრულ-ჰყოფს გაკუეთითა (*Comm.* 38, 16)

- მ ი მ ო ქ ც ე ვ ი თ ჯერ არს კითხვად ჯ მ ა ქ ც ე ვ ი თ კითხვათა შინა
და მიგებათა (*Comm.* 38, 113).

ფიქრობთ, -ქცევ- ძირის¹⁵⁹ ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით
არის შექმნილი ტერმინი *დიდმოქცევი* – პუნქტუაციური ნიშანი, რომე-
ლიც გულისხმობს ხმის მნიშვნელოვან შეცვლას / *მოქცევას* ფრაზისათ-
ვის კითხვითი ინტონაციის მინიჭების მიზნით. *წურილმოქცევი*, ფორმის
თვალსაზრისით, დიდმოქცევის ანალოგიით შექმნილი ტერმინი უნდა
იყოს. მართალია, მისი ფუნქცია სქოლიოში განსაზღვრულია – *მცირე
გასაკუთელი ოდენ სიტყვსაჲ*, მაგრამ მოცემულ კონტექსტში, მაგალი-
თის უქონლობის გამო, ბოლომდე ცხადი ჩვენთვის არ არის.

პუნქტუაციის შესახებ შენიშვნების არსებობა XI საუკუნის თარგ-
მანების შემცველ ქართულ ხელნაწერებში მიუთითებს, რომ ამ ეპოქის
ქართველ მწიგნობართა მიერ პუნქტუაცია გააზრებული იყო, როგორც
ტექსტის ორგანიზაციის, შინაგანი ლოგიკის, მხატვრული სტრუქტურის
წვდომის და, ყოველივე ამის გათვალისწინებით, სწორად აღქმისა და
წაკითხვის საშუალება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად
პუნქტუაცია შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში თანამიმდევრუ-
ლი სახით გატარებული არ ჩანს.

რაც შეეხება უშუალოდ ეფრემის პუნქტუაციის სისტემას, რომელიც
„გარდამოცემის“ კოლოფონშია წარმოდგენილი, მისი კვალი შავი მთის
ხელნაწერებშია საძიებელი, რაც არანაკლებ საინტერესო კვლევისა და
განსჯის საგანია.

¹⁵⁸ Tarchnischvili, *Le Grand Lectionnaire de L'Eglise de Jerusalem*, p. 113, 161.

¹⁵⁹ -ქცევ- ძირის სხვა მნიშვნელობების შესახებ იხ. აქვე, გვ. 188-191.

• ვარიანტული წაკითხვისათვის:

შედმოქცევა თუ სამშობერვა?

გრიგოლ ღვთისმეტყველის 41-ე ჰომილიის – „მეერგასისათეს და სულისა წმიდისათეს“ – ერთ პასაჟში საუბარია შვიდი რიცხვის სიმბოლიკაზე. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან მოყვანილია მაგალითები, რომლებშიც შვიდი რიცხვია ნახსენები. ერთ-ერთია სარეფთელის ქვრის ძის გაცოცხლების ამბავი მეფეთა III წიგნიდან, რომლის მიხედვით, ელია წინასწარმეტყველმა სარეფთელის ქვრის შვილი სამჯერ სულის შთაბერვით გააცოცხლა.¹⁶⁰ მაშ, რატომ არის ჩართული ეს ამბავი შვიდი რიცხვის სიმბოლიკაზე აგებულ პასაჟში?

ეს საკითხი, როგორც ჩანს, იმთავითვე ინვევდა გაუგებრობას, რაც ასახულია ამ პასაჟის სხვადასხვაგვარ ვარიანტულ წაკითხვებში.

აი, რა ვითარებაა ბერძნულ ხელნაწერებში: ფრაზა, რომელიც ხელნაწერთა დიდ ჯგუფში დასტურდება და ჰომილიის კრიტიკულ გამოცემაში ძირითად ტექსტშია წარმოდგენილი, არის:

- w~ de kai thn ebdomhn anastrofhn Hliou tou profhtou.¹⁶¹

ამ ვარიანტულ წაკითხვაში ბიბლიური ამბავი, საკითხავის კონტექსტის მიხედვით, შეცვლილია – ელია წინასწარმეტყველი შვიდჯერ დააწვა სარეფთელის ქვრის ძეს და გააცოცხლა იგი.

კრიტიკულ გამოცემაში გამოყენებული IX-XI საუკუნეების ოცდაორი ხელნაწერიდან ამ ვარიანტულ წაკითხვას შეიცავს თხუთმეტი.

ამავე ფრაზის განსხვავებული, დანარჩენ შვიდ ბერძნულ ხელნაწერში დადასტურებული ვარიანტი არის:

- w~sper de mustikh~n thn trissh~n emfushsin.

ეს ვარიანტული წაკითხვა მხარს უჭერს ბიბლიურ ამბავს მეფეთა III წიგნიდან – ელია წინასწარმეტყველმა სამჯერ შთაბერა სული სარეფთელის ქვრის შვილს და ამ გზით გააცოცხლა იგი.

ამგვარად, გამომცემლები უპირატესობას ანიჭებენ და გრიგოლისეულ ვარიანტად მიიჩნევენ w~ de kai thn ebdomhn anastrofhn Hliou tou profhtou-ს მთლიანი პასაჟის კონტექსტიდან გამომდინარე (შვიდი

¹⁶⁰ 41-ე საკითხავის ამ პასაჟის ვარიანტული წაკითხვები, მათთან დაკავშირებული ბასილი მინიმუსის კომენტარი და ეფრემ მცირის შენიშვნები განსხვავებული კუთხით – ეფრემის თარგმანის ბერძნული დედნის რაობის გარკვევისათვის – განხილული გვაქვს აქვე, გვ. 116-117.

¹⁶¹ Grégoire de Nazianze, *Discours* 38-41, p. 102, 320.

რიცხვის სიმბოლიკა), თუმცა ამ შემთხვევაში გამოდის, რომ გრიგოლი არ არის ზუსტი ბიბლიიდან მაგალითის მოხმობისას. როგორც ცნობილია, ბიბლიის მიხედვით, ყრმა შვიდგზის დაწოლით არა ელია წინასწარმეტყველმა, არამედ ელისე წინასწარმეტყველმა გააცოცხლა (*Reg. IV, 4, 35*); რადგანაც ელიასა და ელისეს როგორც სახელები, ისე მათი ქმედება (ყრმის გაცოცხოვლება) ჰგავს ერთმანეთს, შეიძლება, ეჭვი შეგვეტანა საკუთარ სახელთა აღრევაში, მაგრამ მთლიანი პასაჟიდან, რომელშიც სარეფთელის ქვრივია ნახსენები, სრულიად ცხადია, რომ აქ საუბარი სწორედ ელიაზეა; თანაც ელისე და მის მიერ ყრმის გაცოცხლების ამბავი ამავე ჰომილიაში ცალკეა ნახსენები.¹⁶²

41-ე ჰომილიის ექვთიმე ათონელის თარგმანში ფრაზის პირველი ვარიანტულ ნაკითხვას ვხვდებით:

- გულისწმა-ვჰყოფ ... კუალად შვდგზის მოქცევისას მას ელია წინასწარმეტყუელისასა ძესა მას ზედა სარეფთელისასა.¹⁶³

ხოლო ეფრემ მცირის თარგმანში მეორე ვარიანტის თარგმანი დასტურდება:

- გულისწმა-ვჰყოფ ... ვითარ-იგი საიდუმლოდ სამშობერვასაცა ელია წინასწარმეტყუელისასა, სარეფთელის ქვრივის ძისა ცხორების მიმფენელისა.¹⁶⁴

ნიშანდობლივია, რომ 41-ე ჰომილიის პასაჟი სარეფთელის ქვრივის შესახებ კომენტირებულია ბასილი მინიმუსის მიერ. ბასილი განმარტებას ურთავს ფრაზის პირველს ვარიანტს, რომელშიც შვიდგზის მოქცევაზეა საუბარი. ეს განმარტება ნათარგმნი აქვს ეფრემს და გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავთა ეფრემისეულ კრებულში ის ელიას სამშობერვის ეპიზოდს ერთვის:

- შვდგზის დაანვა წინასწარმეტყუელი მკუდარსა მას ზედა სარეფთელისასა, რამეთუ შვდგზის მოქცევიტა და კუალად დაერდომიტა მას

¹⁶² Grégoire de Nazianze, *Discours* 38-41, p. 320; *PG* 36, col. 433 B 13-15. *PG*-ს გამოცემაში, რომელიც ეფუძნება პარიზული კოლექციის დღეისათვის უცნობ ხელნაწერს, ორივე ვარიანტს ერთად ვხვდებით – *PG* 36, col. 433 B 4-6. ეს საკითხი უკავშირდება გრიგოლის ჰომილიებში ბიბლიურ დამოწმებათა პრობლემას და ცალკე კვლევის საგანია. გალეს ცნობილ სტატიაში *La Bible dans l'œuvre de Grégoire de Nazianze le Théologien* 41-ე საკითხავის ამ პასაჟთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი.

¹⁶³ *Oratio* 41, *Iber*: p. 232.

¹⁶⁴ *Oratio* 41, *Iber*: p. 233.

ზედა, ცოცხალი მისცა იგი დედასა თვსსა, შთაბერვითა რაჲ მის ზედა მიემსგავსა დასაბამისასა მას დამბადებელობასა სულისასა. გარნა არა სხუაჲ, არამედ იგივე გუამისაგან მისისა განსრული სული კუალად-ავო მისსა.¹⁶⁵

აშკარაა, ბასილი მინიმუსს გრიგოლის საკითხავის კომენტირებისას ისეთი ტექსტი ჰქონდა ხელთ, რომელიც პირველ ვარიანტს შეიცავდა. ეფრემ მცირეს შეუნიშნავს შეუსაბამობა, ერთი მხრივ, მის ხელთ არსებული ბერძნული ხელნაწერის წაკითხვასა და ბასილი მინიმუსის მიერ კომენტირებულ ტექსტს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ფრაზის ექვთიმესეულ თარგმანსა და ბიბლიურ ტექსტს შორის. ეფრემის შენიშვნა ამ შეუსაბამობის შედეგად წარმოშობილ გაუგებრობას ეხება:

შეისწავე, რამეთუ ესე შვდმოქცევაჲ ელიაჲსი არცა საწინასწარმეტყუელთა შინა იპოების და არცა ზოგთა ღმრთისმეტყუელთა. ვინაჲცა საძიებელ არს, თუ სადაჲთ მოღებულ არს ამისდა შვდმოქცევაჲ ელიაჲსი. რომელიმე მას დედასა, რომლისაგან ვთარგმნენ ესე ღმრთისმეტყუელისა საკითხავნი, ესრეთ ვპოე, ვითარმედ: „ვითარ-იგი საიდუმლოდ სამშთაბერვასაცა ელია წინაჲსწარმეტყუელისასა“. და ეგრეთვე მითარგმნია სიტყუაჲ ესე, ვითა მუნ ვპოე, რამეთუ ელისესთჳს ოდენ წერილ არს საწინაჲსწარმეტყუელთა შინა შვდგზის მოქცევაჲ, რომლისა თანა შვდგზის შეიკუნძა. ხოლო აქა კულა ესრეთ ვთარგმნე, ვითა ვპოე და ესრეთვე სხუათა ზოგთა ღმრთისმეტყუელთა იპოვების ბერძულად. და მამასა ეფთჳმესცა ეგრეთვე უთარგმნია. შემინდევით, თუ ესრეთ იყოს, აჰა, წინაშე არს, და თუ ეგრე იყოს, ვითა ჩუენსა დედასა შინა ეწერა, მაშინ ესე თარგმანი სამშთაბერვისათჳსცა გითარგმნის, თუ ვითარ სწორრიცხუედ არს სამი შვდისაჲ.¹⁶⁶

შენიშვნის ავტორისათვის გაუგებარია, საიდან გაჩნდა კომენტარში მის ხელთ არსებული ბერძნული დედნისაგან განსხვავებული ვარიანტული წაკითხვის, *შვდმოქცევაჲ ელიაჲსი*-ს განმარტება. ეფრემის შენიშვნით, არც წინასწარმეტყველთა წიგნებში, არც წმინდა მამათა თხზულებებში ამგვარი რამ არ დასტურდება. მართლაც, მეფეთა III წიგნში

¹⁶⁵ *Comm.* 41, *Iber.* 34.

¹⁶⁶ *Cods.* A-109, 212 v; *Jer.* 43, 231 r; *Jer.* 15, 226 v.

ელიას შესახებ ვკითხულობთ: *enefushse tw paidariw tri~* (III Reg. 17, 21). ამ პასაჟის ძველი ქართული თარგმანია: *დაჰბერა ყრმასა მას სამგზის*.¹⁶⁷ ებრაულშიც, ასევე არაბულ, სირიულ, ლათინურ თარგმანებშიც საუბარი ყველგან ელიას სამშობაბერვაზეა.¹⁶⁸ *შედეგის მოქცევა*, ეფრემის შენიშვნით, წინასწარმეტყველ ელისესთანაა დაკავშირებული, რომელმაც, ელიას მსგავსად, გააცოცხლა ყრმა და რომლის შესახებაც მეფეთა IV წიგნში ვკითხულობთ: *დააწვა ყრმასა მას ზედა შედეგის* (IV Reg. 4, 35). ეფრემი მიუთითებს, რომ იმ ბერძნულ დედანში, რომელიც მას ხელთ ჰქონდა გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავების თარგმნისას და რომელსაც იგი ერთგულად მისდევდა, *სამშობაბერვა ელიასი ეწერა – ხოლო აქა ესრეთ ვთარგმნე, ვითა ეპოე*. ამის შემდეგ ეფრემი აღნიშნავს: *და მამასა ეფთუმესცა ეგრეთვე უთარგმნია*. როგორც ცნობილია, ეფრემი კარგად იცნობდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ადრინდელ ქართულ თარგმანებს. კვირიკე ალექსანდრიელისადმი მიძღვნილ ეპისტოლეში იგი აღნიშნავს, რომ თარგმანზე მუშაობისას, ექვთიმეს თარგმანების *ზეპირით წსოვნების ჩუეულება* ზოგ შემთხვევაში დამაბრკოლებელი მიზეზიც კი იყო მისთვის. ასეთ ვითარებაში ეფრემისათვის, რა თქმა უნდა, კარგად იქნებოდა ცნობილი ამ კონკრეტული პასაჟის ექვთიმესეული თარგმანიც, რასაც ის მიუთითებს კიდევ შენიშვნაში: თავად მან *ესრეთ* თარგმნა, ხოლო ექვთიმეს *ეგრეთვე* უთარგმნია. აქ არის დაპირისპირება *ესრეთ – ეგრეთ*, სადაც *ესრეთ* ნიშნავს: ასე, როგორც ეფრემს აქვს ნათარგმნი, ხოლო *ეგრეთვე*: ისე, როგორც ექვთიმეს უთარგმნია.¹⁶⁹

ეფრემი შენიშნავს, რომ თუ კი ექვთიმეს თარგმანის ვარიანტული ნაკითხვაა სწორი (იგულისხმება *შედეგის მოქცევა*), აჰა, *წინაშე არს*,

¹⁶⁷ ციტატები მეფეთა წიგნებიდან (კრიტიკულად დადგენილი ქართული ტექსტი) მოგვანოდა ბ-ნმა უჩა ცინდელიანმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

¹⁶⁸ *Biblia Sacra Polyglotta*, p. 10.

¹⁶⁹ ასეთივე დაპირისპირებას მიმართავს ეფრემი, როდესაც კვირიკესადმი მიძღვნილ ეპისტოლეში საუბრობს თავისი და ექვთიმეს მიერ თარგმნილი გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებულების განსხვავებულ დანიშნულებასა და სპეციფიკაზე: *იგი ყოველთა ეკლესიათა ზედა განფენილი ბრწყინავს, ხოლო ესე იშუთ ვიეთთვსმე იდვას გულისწმისსაყოფელთათვს. ესე ცხად-ჰყოფდინ სიტყუა-სიმოკლესა და სიღრმესა დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისასა, ხოლო იგი სიტყუა-სივრცელესა და განათლებასა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთუმესსა, ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 149.*

ხოლო თუ კი ისეა მართებული, როგორც მის ხელთ არსებულ ბერძნულ დედანშია, მაშინ ეფრემის ბერძნული დედნის ვარიანტული წაკითხვის – *thn trisshn emfushsin* – ბასილი მინიმუსის განმარტებას ელიას *შვდმოქცევით*, თავად ბასილის კომენტარში ეძებნება ახსნა, სადაც ბასილი მსჯელობს, *თუ ვითარ სწორრიცხუედ არს სამი შვდისაჲ*. მართლაც, ელიას *შვდმოქცევის* განმარტებას ბასილთან მოსდევს კომენტარი, რომელშიც სამისა და შვიდის *სწორრიცხუედობაჲ* საუბარი,¹⁷⁰ მაგრამ ეს განმარტება უკავშირდება არა ფრაზას სარეფთელის ქვრივის ძის შესახებ, არამედ მომდევნო წინადადებას 41-ე ჰომილიაში: *kai tou autou thn isariqmon kata twn scidakwn epiklusin*¹⁷¹ – *და მისსავე სწორრიცხუედსა კოცოთა ზედა მოდინებასა*.¹⁷² ეს არის მინიშნება ისევ ელია წინასწარმეტყველთან დაკავშირებულ, ამჯერად უკვე სხვა ეპიზოდზე მეფეთა III წიგნიდან, რომლის მიხედვით ელიამ სამგზის დაასხმევინა წყალი შესაწირავად გამზადებულ მსხვერპლზე (*Reg.* III, 18, 25-40). როგორც ვხედავთ, მინიშნება ეპიზოდზე, რომელშიც სამ რიცხვზეა საუბარი, გრიგოლის მიერ შვიდი რიცხვის სიმბოლიკაზე აგებულ პასაჟშია ჩართული. ბასილი მინიმუსი შვიდისა და სამის *სწორრიცხუედობაჲ* საუბრობს ჰომოლიის სწორედ ამ ფრაზის განმარტებისას, რათა ლოგიკური გახადოს მისი ფუნქცია მოცემულ კონტექსტში. ბასილის განმარტება – *თუ ვითარ სწორრიცხუედ არს სამი შვდისაჲ* – ეხება ფრაზას *tou autou thn isariqmon*, და არა *სამშობერვას*.

ამგვარად, მიუხედავად ეფრემის მცდელობისა, ახსნა მოუძებნოს ამ ფაქტს, აშკარაა, რომ ბასილის კომენტარი ბერძნულ ხელნაწერულ ტრადიციაში არაერთგზის დადასტურებული, ასევე ექვთიმეს თარგმანში ასახული ვარიანტული წაკითხვის – *w de kai thn ebdomhn anastrofhn Hliou tou profhtou* – განმარტებას წარმოადგენს.

შენიშვნის დასაწყისში დასმული კითხვა, მაინც საიდან გაჩნდა კომენტატორთან *შვდმოქცევაჲ ელიასი* (*საძიებელ არს, თუ სადაჲთ მოღებულ არს ამისდა შვდმოქცევაჲ ელიასი*) ეფრემისათვის შემდგომი კვლევა-ძიების საბაზი გახდა. ეს კარგად ჩანს მეორე შენიშვნიდან, რომელიც ზემოთ განხილულ შენიშვნას მოსდევს გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებულებში:

¹⁷⁰ *Cods. Paris. Coisl.* 240, 172 r-v; *Vat. Gr.* 437, 135 r-v.

¹⁷¹ Grégoire de Nazianze, *Discours* 38-41, p. 320.

¹⁷² *Oratio* 41, *Iber.* p. 233.

შეისწავე, რამეთუ სხუათა ბერძულთა დედათა ესრეთ იპოა „ვითარ-იგი შგდმოქცევასაცა ელია წინაჲსწარმეტყუელისასა სარეფთ“ და თარგმანიცა ამასვე თარგმნის. გინა ამას დედასა, რომელ მე მქონდა, ესე „საიდუმლოდ სამშთაბერვა“ ეწერა, ვითა აქა დამინერია, და არცა სანინაჲსწარმეტყუელთა შინა იპოების თუმცა მსგავსად ელისესა, შგდგზის მოქცეულ და შეკუნძვილ იყო ელიაცა, გარნა სამგზის შთაბერა.¹⁷³

ამგვარად, ეფრემს, იმ გაუგებრობის გასარკვევად, რომელიც წარმოიშვა მის წინაშე 41-ე ჰომილიის და მისი კომენტარის თარგმნისას, ჩაუტარებია კვლევა და მოუძიებია ისეთი ბერძნული ხელნაწერი, რომელშიც იყო ვარიანტული წაკითხვა *thn ebdomhn anastrofhn*. ამის შემდეგ მისთვის ცხადი გამხდარა იმ შეუსაბამობის მიზეზი, რომელიც იყო მის ხელთ არსებულ ბერძნულ ტექსტსა და კომენტარს შორის. ეფრემმა გაარკვია, რომ იმ ბერძნულ დედანში, რომელსაც განმარტავდა ბასილი, იყო ვარიანტული წაკითხვა *thn ebdomhn anastrofhn*, რის გამოც კომენტარში გაჩნდა სწორედ ამ ფრაზის, ამ ვარიანტული წაკითხვის განმარტება.

თუ პირველი შენიშვნა უშუალოდ ბერძნულ ტექსტებზე მუშაობის პროცესშია შექმნილი თარგმნისას წარმოქმნილი სირთულეებისა და გაუგებრობის გამო, მეორე შედგენილია თარგმანის დასრულების შემდეგ და შედეგია ეფრემის მნიგნობრული ძიებებისა. ორივე შენიშვნა კარგად წარმოაჩენს ეფრემის ბერძნულ ტექსტზე, ბერძნულ ხელნაწერებზე მუშაობის პროცესსა და სპეციფიკას.

- **ორთოგრაფიის პრობლემები: უჯმო ასოები, არიანძო და ანძიანძო**

გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავების შემცველ კრებულებში ვხვდებით ერთი ტიპის სამ მარგინალურ შენიშვნას:

- შეისწავე, შგდნი ასონი უჯმონი
- შეისწავე ხუთი უჯმოჲ

¹⁷³ Cods. A-109, 212v; Jer.15, 266v; Jer.13, 213r, A-292, 98r. სქოლიოს ტექსტი გაცემულია – ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 162, 169.

- შეისწავე, ხუთი უჯმოა ასო¹⁷⁴

ეს შენიშვნები ჩვენთვის გაუგებარი დარჩებოდა, რომ არა ერთ-ერთ ხელნაწერში ძირითადი ტექსტის ერთი სიტყვის თავზე დასმული ნიშანი – სამი წერტილი, რომელიც მეორდება მარგინალური შენიშვნის წინ.¹⁷⁵ ეს არის მითითება, რომ მარგინალური შენიშვნა ამ წერტილებით დანიშნულ სიტყვას ეხება. ეს არის დაქარაგმებული სიტყვა *ნაყოფემართუმელობით*, რომელშიც თავმოყრილია ხუთი თანხმოვანი, ანუ, მარგინალური შენიშვნის მიხედვით, ხუთი უჯმო ასო. იგივე ვითარებაა დანარჩენ ორ შემთხვევაშიც: მართალია, აქ არ არის მინიშნება, კონკრეტულად რომელ სიტყვას ეხება ეს მარგინალური შენიშვნები, მაგრამ ორივე შემთხვევაში, ძირითად ტექსტში, რომლის გასწვრივაც ეს შენიშვნები არის მოთავსებული, დასტურდება ერთგან შვიდთანხმოვნიანი სიტყვა – *განვბრძნდეთა*, ხოლო მეორეგან – ხუთთანხმოვნიანი – *გმწნდებოდით*.

ერთ სიტყვაში ხუთი თუ შვიდი თანხმოვნის თავმოყრამ გარკვეული სირთულე შეიძლება შექმნას გადაწერისას, ამიტომ ეს ადგილი ხელნაწერში განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს. სწორედ ამ მოვლენაზე ყურადღების გამახვილების მიზნით ერთვის გრიგოლის ტექსტს მარგინალური შენიშვნა უჯმო ასოების შესახებ.

გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრებაში“ საუბარია იმის შესახებ, რომ მას შემდეგ, რაც გრიგოლმა თავისი მშობლიური ქალაქი, *ნაზიანზი* – *Ναζιανζός* – განმინდა ყოველგვარი წვალბისაგან, მან უარი თქვა ეპისკოპოსობაზე და დასახლდა თავის მამულში, *არიანზში* – *Arianzo*.¹⁷⁶ ამ პასაჟს ერთვის შენიშვნა:

შეისწავე, რამეთუ *არიანძო* მის დაბისა სახელი არს, რომელსა შინა დაეყუდა წმიდაა გრიგოლი შემდგომად ქალაქით *ანძიანძო*მთ გამოსლვისა. ამისთჳს ნუ განჰრევ სახელთა, მწერალო.¹⁷⁷

მართლაც, ორი ტოპონიმი *Nazianzo* და *Arianzo*, რომლებიც ხშირად არის ნახსენები გრიგოლის ჰომილიებში, როგორც დაწერილობით, ისე ჟღერადობით ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მათ შორის მსგავსება კი-

¹⁷⁴ Cods. K-9, 201 v., 224 v., 234 r.; Jer. 8, 25v, 188r.

¹⁷⁵ Cod. K-9, 234r.

¹⁷⁶ PG 35, col. 301, C 10-11.

¹⁷⁷ Cod. K-9, 338 r.

დეე უფრო დიდია ეფრემის თარგმანებში, რადგან ქართულ ტექსტში Nazianzo-ის შესატყვისად ხშირად დასტურდება *ნაზიანზის* მეტათეზური ფორმა *ანდიანდოს*. ამ ფორმით არის წარმოდგენილი ეს ტოპონიმი მარგინალურ პენიშვნაშიც; ორი მსგავსი ჟღერადობის სახელის ერთი და იმავე ასოთი დაწყება კიდევ უფრო ზრდის მათი არევის შესაძლებლობას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრებაში“ სახელწოდებები *ანდიანდო* – *არიანდო* ტექსტის ერთ პასაჟშია მოქცეული, ადვილი წარმოსადგენია, რომ გადამწერს, თუკი ის ტექსტის გადანერისას ნაკლებად ადევნებს თვალს შინაარსს, მოუვიდეს შეცდომა – ერთი ტოპონიმის ნაცვლად დაწეროს მეორე.

ასეც მოხდა „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრების“ გადანერისას: *ანდიანდო* – *არიანდო* სწორედ ამ პასაჟშია ყველაზე ხშირად ერთმანეთში არეული: Ὁ Ἀριανδρος ამ პასაჟში სწორი ფორმით – *არიანდო* – დასტურდება სამ ხელნაწერში,¹⁷⁸ ხოლო არასწორი ფორმით (ანუ ჩანაცვლებულია Nazianzo-ის შესატყვისი *ანდიანდო*-თი) – ოთხ ხელნაწერში.¹⁷⁹

ზემოთ მოყვანილი მარგინალური პენიშვნა სწორად ამ შეცდომის თავიდან ასაცილებლად არის შედგენილი; ის აფრთხილებს გადამწერს (*მწერალს*), ერთმანეთში არ აურიოს, სწორად დაწეროს ეს ორი სახელი.

• სფერი – ნახევარსფერი: სამყაროს გეოცენტრული ხედვა

გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების შემცველ ეფრემისეულ კრებულებში მარგინალური პენიშვნები არა მარტო გრიგოლის საკითხავებს, არამედ, ზოგ შემთხვევაში, ბასილი მინიმუსის კომენტარებსაც ერთვის. სქოლიოთა ამ რიგს განეკუთვნება გრიგოლ ღვთისმეტყველის 43-ე საკითხავის, „ბასილი დიდის ეპიტაფიის“ ბასილის მინიმუსის კომენტარზე დართული ერთი პენიშვნა. თავის მხრივ, ბასილი მინიმუსის კომენტარი განმარტავს „ეპიტაფიის“ იმ პასაჟს, რომელშიც გავლებულია პარალელი ბასილი დიდის სათნოებასა და მზეს შორის, რომელიც *კიდით კიდემდე სწორპატივობით განანათლებს მთელ*

¹⁷⁸ Cods. K-9, H-1347, A-109.

¹⁷⁹ Cods. A-79, Jer. 43, A-1490, A-292.


სამყაროს.¹⁸⁰ ბასილი მინიმუსის კომენტარში განმარტებულია მექანიზმი, თუ როგორ ანათებს სამყაროს მზე; განმარტებისას ნახსენებია *ყოველი სოფელი, სფერი და კერძოსფერი*. კომენტარის ამ პასაჟს ერთვის სქოლიო:

რამეთუ „ყოველი სოფელი“ რაჟამს თქუა, ყოვლისავე ხილულისათჳს იტყჳს ცისა და ქუეყანისა და მათ შორის რაჲცა არს ზღუაჲ და ჴმელი, რომელი-ესე არს სოფელი ხილული. ხოლო უხილავი სოფელი არს, რაჲცა რაჲმე არს ზენა კერძო ცისა ამის, ჩუენ მიერ ხილულისა, და ქუეშე კერძო ჴმელისა და ზღჳსა. ამას თანა უნყოდე, ვითარმედ ს ფ ე რ უნოდან ბერძულად ესევეითარსა ქმნულებასა გუმბადისა და კ ა მ ა რ ი ს ა ს ა , რომელ ყოვლით კერძო მრგუალი იყოს, გუმბადის სახე და კ ა რ ვ ი ს ს ა ხ ე არა ხოლო ზედაჲთ, არამედ – ქუეშეთცა. და ესევეითარსა იტყჳან სახესა ცისასა, ვითარმედ სიმრგულე ესე, რომელ არს ზენა კერძო ზღჳსა და ჴმელისა, ცაჲ ესე, რომელსა ვხედავთ, ესევეითარივე ჩაჴვლის გარეშემცველი ზღჳსა და ჴმელისაჲ და იქმნების ქუეშე კერძო მათსა სიმრგულე ესევეითარივე, რომელსა გარეშენი უვარსკულაოდ ცად უნოდენ. და ამას ყოველსა, ზენასა და ქუენასა ერთსიმრგულესა, სფერ უნოდენ. ხოლო მარტოდ ზენასა ამას ცასა – ი მ ი ს ფ ე რ ო ნ სახელ-სდებენ, ესე იგი არს ნ ა ხ ე ვ ა რ ს ფ ე რ ი, რამეთუ ს რ უ ლ ი ს ფ ე რ ი არს ყოვლითკერძო სწორი სიმრგულე ცისაჲ. რაჲლა არს ზენა კერძო ზღჳსა და ჴმელისა და რაჲ არს ქუეშე კერძო მათსა? ყოვლითურთ შემცველი მათი. ხოლო მე, ვინაჲთგან ძუელითგანი სახელი ქართულად ვერაჲ ვპოვე ვისგან, იგივე ბ ე რ ძ უ ლ ი ს ფ ე რ ი დავდევე. ამის ს ფ ე რ ი ს ა სიმრგულესა შინა, ზედასა და ქუეშესა, ვითარცა წ ე რ ტ ი ლ ი რ ა ჲ მ ე კ ა რ ა კ ი ნ ი თ ა მომრგულეებულსა შინა შუა ოდენ არს ქუეყანაჲ¹⁸¹ (იხ. სურ. 5, გვ. 209).

ამგვარად, სქოლიოში ერთმანეთს ენაცვლება ლექსიკოლოგიური და კოსმოლოგიური ხასიათის მსჯელობა: *ყოველი სოფელი* არის ხილული და უხილავი სოფლის ერთიანობა. ხილული სოფელი არის ყველაფერი, რაც კი რამ ხილულია – ცა, ქვეყანა (ანუ დედამიწა), ზღვა და ხმელეთი.

¹⁸⁰ *Oratio* 43, *Iber*. p. 272; *w~ ap akrwn ta akra isotimw~ kata fwtizein* (*PG* 36, col. 584 C 4-5).

¹⁸¹ *Cods. A-109*, 61r; *Jer.* 15, 66v; *Jer.* 43, 65v (თითქმის არ იკითხება); *Jer.* 13, 319r.



სურ. 5. cod. A-109, 61r.

- (1) სქოლიო სამყაროს გეოცენტრულობის შესახებ (მარჯვენა და ქვედა აშიაზე);
- (2) მარგინალური ნიშნები – ჟსქ და ჟსქჟ – სვეტებს შორის.

ხოლო უხილავი სოფელია ის, რაც არის, ერთი მხრივ, ხილული ცის ზემოთ და, მეორე მხრივ, ხმელეთსა და ზღვის ქვემოთ. ამის შემდეგ სქოლიოში წარმოდგენილია ბერძნული ლექსიკური ერთეულის, *sfaira*-ს განმარტება. *sfaira* არის *გუმბათი*, *კამარა*, რომელიც ყოველი მხრიდან მრგვალია; გუმბათს და კარავს ჰგავს არა მარტო მისი ზედა, არამედ ქვედა ნაწილიც. შემდეგ სქოლიოში კვლავ გრძელდება საუბარი სამყაროს აგებულების შესახებ: ხილული ცა მრგვალია და ზღვისა და ხმელეთის ზევეითაა. ის შემოუვლის ზღვასა და ხმელეთს, მოიცავს მათ და ზღვისა და ხმელეთის ქვემოთაც ქმნის სიმრგვალეს. ამ ცას *გარეშენი* უწოდებენ *უვარსკვლავო ცას*. ამის შემდეგ სქოლიოს ავტორი ისევ უბრუნდება ლექსიკური ერთეულის, *sfaira*-ს განმარტებას და მასთან ერთად განმარტავს *hmis faira*-საც: მთელ სიმრგვალეს, ზედას და ქვედას, სფერო ეწოდება, ხოლო ჰემისფეროა ცის ზედა სფერო; შემდეგ ისევ მეორდება სფეროს განმარტება – ეს არის მრგვალი ცა მთლიანად. მსჯელობა გრძელდება კითხვა-მიგების ფორმით: მაშ, რა არის ხმელეთისა და ზღვის ზემოთ და ქვემოთ? ის, რაც მოიცავს მათ (იგულისხმება ცა). და კვლავ ლექსიკოლოგიური ხასიათის შენიშვნა – ქართველი მწიგნობარი განმარტავს მის მიერ ბერძნული ლექსიკური ერთეულის ბერძნულიდან უთარგმნელად, ტრანსლიტერაციით გადმოტანის მიზეზს – სქოლიოს ავტორს ბერძნული ლექსიკური ერთეულისთვის *sfaira* ქართულ ენაში ვერ უპოვია შესატყვისი და ამიტომ ეს სიტყვა ბერძნულიდან პირდაპირ გადმოუტანია. კომენტარს ასრულებს ისევ კოსმოლოგიური ხასიათის მსჯელობა, ამჯერად უკვე მხატვრულ ასპექტში გააზრებული: როგორც წერტილი ფარგლით შემოხაზულ წრეში, ისეა ქვეყანა (დედამიწა) მოქცეული სფეროს ცენტრში.

ამგვარად, სქოლიოში, ერთი მხრივ, მოცემულია ბერძნული ლექსიკური ერთეულების განმარტება, მეორე მხრივ, თანამიმდევრულად, მწყობრად არის ჩამოყალიბებული წარმოდგენა სამყაროს აგებულებაზე, კერძოდ, კოსმოლოგიური კონცეფცია სამყაროს სფერულობისა და მისი გეოცენტრულობის შესახებ.

ქართულ თარგმანში ბერძნული ლექსიკური ერთეულის ტრანსლიტერაციით გადმოტანა და მისი განმარტება ელინოფილური მთარგმნელობითი ტრადიციის, განსაკუთრებით ეფრემ მცირის მთარგმნელობითი

მეთოდისათვის დამახასიათებელი მოვლენაა და ეს საკითხი ეფრემის მიერ მის სხვა შენიშვნებშიც არის განხილული.¹⁸²

რაც შეეხება სქოლიოში წარმოდგენილ სამყაროს გეოცენტრულ ხედვას: როგორც ცნობილია, კოსმოლოგიური კონცეფცია სამყაროს სფერულობისა და გეოცენტრულობის შესახებ სათავეს ანტიკურობაში იღებს. პითაგორა და მისი მიმდევრები, სამყაროს ჰარმონიული ხედვიდან გამომდინარე, მიიჩნევდნენ, რომ დედამიწა და პლანეტები სფერულია; სამყაროს სფერულობის შესახებ მინიშნებას ვხვდებით პლატონის „რესპუბლიკაში“; თხზულებაში „ცის შესახებ“ არისტოტელე გამოკვეთილად საუბრობს ცისა და, საზოგადოდ, სამყაროს სფერულობის შესახებ. საბოლოოდ სამყაროს გეოცენტრული მოდელი კოსმოლოგიური სისტემის სახით ჩამოაყალიბა ელინისტური ეპოქის ასტრონომმა, პტოლემემა. მეცნიერებაში სამყაროს გეოცენტრული ხედვა პტოლემემაისის, ზოგჯერ კი არისტოტელური მოდელის სახელწოდებითაა ცნობილი.

როგორც ცნობილია, ბიზანტიურმა აზროვნებამ იმემკვიდრა ანტიკური მეცნიერების (როგორც ჰუმანიტარული, ისე საბუნებისმეტყველო) ძირითადი მიმართულებები და დისციპლინები, მათ შორის – ანტიკური ეპოქის წარმოდგენები სამყაროს აგებულების შესახებ.¹⁸³ ბიზანტიურ ეპოქაში სამყაროს ხედვის ისეთი მოდელის გვერდით, როგორიცაა წყლებში მოტივტივე ოთხკუთხედი ფორმის დედამიწა (კოსმა ინდიკოპლეუსტესის *Cristianikh topografia*, VI ს.), არსებობდა გეოცენტრული მოდელიც, რომელიც სავსებით მისაღები იყო ბიზანტიის ინტელექტუალთა წრეებისათვის; სამყაროს სფერულობის შესახებ საუბრობს იოანე დამასკელი „გარდამოცემაში“, ანტიკურ ფილოსოფოსთა ნააზრევსა და მათ კომენტარებზე დაფუძნებულ ნაშრომში. ინტერესი ანტიკური სამეცნიერო მემკვიდრეობის მიმართ თავს იჩენს IX საუკუნეშიც – დასტურდება ამ პერიოდში გადანერილი პტოლემემაისის, ევკლიდესა და სხვა ანტიკური ავტორების არაერთი ხელნაწერი, რაც მათ პოპულარობაზე მიანიშნებს; საბუნებისმეტყველო დისციპლინებში შეინიშნება ინტერესი დამოუკიდებელი კვლევა-ძიებების მიმართაც. განმანათლებლური ტენდენციებით, აზროვნების მეცნიერული სტილით, ანტიკური კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ინტერესით გამოირჩევა X-XII საუკუნეები, მაკედონური და კომნენური რენესანსის ეპოქა. განსაკუთრებით აღსა-

¹⁸² იბ. აქვე, გვ. 62.

¹⁸³ Старостин, Византийская наука в контексте средневековой культуры, с. 386.

ნიშნავია XI საუკუნის II ნახევრის ცნობილი ბიზანტიელი მოაზროვნის, მიქაელ ფსელოსისა და მისივე დროის ანტიოქიელი მნიგნობრის, კონსტანტინოპოლის სამეფო კარის სწავლულის, სიმეონ სეთის შეხედულებები სამყაროს აგებულების შესახებ.¹⁸⁴ ორივე ბერძენ ნატურფილოსოფოსთა მიმდევრია, მათი კოსმოლოგიური შეხედულებები მთლიანად პტოლემეაიოსის გეოცენტრულ მოდელს ეფუძნება.¹⁸⁵ ორივე ავტორი სამყაროს აგებულებაზე საუბრისას ხშირად მიმართავს პტოლემეაიოსის პერიფრაზს, ახსენებს არისტარქეს და სხვა ანტიკურ ავტორებს. საზოგადოდ, მიქაელ ფსელოსი XI საუკუნის ბიზანტიის ინტელექტუალური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ფიგურად და სააზროვნო პროცესების განმსაზღვრელად არის მიჩნეული.¹⁸⁶ ამდენად, მის თხზულებებში კოსმოლოგიური თემატიკის გამოჩენა ამ საკითხის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესსა და, ზოგადადაც, ბიზანტიური სამეცნიერო აზრის განვითარებაზე მიუთითებს XI საუკუნის II ნახევარში.¹⁸⁷

ამგვარად, შუა საუკუნეების აზროვნებამ, რომელიც გარდამავალ საფეხურად არის მიჩნეული ანტიკურობასა და აღორძინებას შორის, შემოინახა სამყაროს გეოცენტრული მოდელის იდეა და, თავის მხრივ, გარკვეულწილად ხელი შეუწყო XVI საუკუნეში სამყაროს ახალი ხედვის – კოპერნიკის ჰელიოცენტრული მოდელის შემუშავებას.

ვფიქრობთ, ქართული სქოლიო სამყაროს გეოცენტრული აგებულების შესახებ სწორედ ამ კონტექსტში გააზრებას და შესწავლას საჭირო-

¹⁸⁴ Гаврюшин, Византийская космология в XI веке, с. 327-338.

¹⁸⁵ მიქაელ ფსელოსის კოსმოლოგიური შეხედულებები ძირითადად ჩამოყალიბებულია მის თხზულებაში *Didaskalia pantodaph* (PG 122, col. 688-784); ხოლო სიმეონ სეთისა – *Συνομιῶν τῶν φυσικῶν*. ამ თხზულების ნაწილი გამოქვეყნებულია მიქაელ ფსელოსის შრომებში (PG 122, col. 784-809); სრული გამოცემისათვის იხ. Delatte, *Anecdota Atheniensia et alia*, p. 1-89. ჯერ კიდევ გამოუცემელი და შეუსწავლელია მიქაელ ფსელოსის საბუნებისმეტყველო ხასიათის თხზულებები, რომელთა კვლევაც სამომავლოდ გააღრმავებს ჩვენს წარმოდგენას ბიზანტიური სამეცნიერო აზროვნების შესახებ, Гаврюшин, Византийская космология в XI веке, с. 336.

¹⁸⁶ Sarton, *Introduction to the History of Science*, p. 750.

¹⁸⁷ ქართული მთარგმნელობითი ტრადიციისათვის მიქაელ ფსელოსი ნაკლებად არის ცნობილი, თუმცა მისი გავლენის შესახებ XI საუკუნის II ნახევრის ქართულ აზროვნებაზე, კერძოდ, ეფრემ მცირეზე, მაინც შესაძლებელია საუბარი, ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 156 (სქ. 212), 196-198.

ებს. დღეისათვის უშუალო წყარო, რომელსაც შეიძლება დაყრდნობოდა ეფრემი თავის სქოლიოში სამყაროს გეოცენტრული მოდელის ჩამოყალიბებისას, არ იძებნება. თუმცა შესაძლებელი აღმოჩნდა რამდენიმე ტექსტის დადგენა, რომელთა გავლენაც ამ სქოლიოზე აშკარად შეინიშნება.

1. ბასილი მინიმუსის კომენტარები

იდეა სამყაროს სფერულობის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, იკვეთება ბასილი მინიმუსის იმ კომენტარში, რომელსაც ერთვის ქართული სქოლიო. როგორც აღვნიშნეთ, კომენტატორი განმარტავს დედამიწის მზით განათების მექანიზმს, რაც, თავის მხრივ, ბიზანტიის ინტელექტუალთა წრეებში არსებულ საბუნებისმეტყველო ცოდნას უნდა ეფუძნებოდეს.¹⁸⁸ ბასილის კომენტარში ვკითხულობთ:

- ყოვლისა სოფლისა მიმართ წერტილის სახე დამოკიდებულებაა აქუს ქუეყანასა, რამეთუ ყოველსა ქუეყანასა წერტილის სახე დამოკიდებაა აქუს სიმაღლისა მიმართ მზისა და გარემოჲს მისსა მომრგულებულისა სფერისა.¹⁸⁹

კომენტარის მიხედვით, დედამიწა (*ქუეყანა*) წერტილად აღიქმება როგორც მზის, ისე მთელი სამყაროს (*ყოვლისა სოფლისა*) მიმართ, რომელიც, თავის მხრივ, სფეროსებრად გარს ერტყმის დედამიწას. ეს განსჯა აშკარად ავლენს კავშირს ქართულ სქოლიოში გატარებულ აზრთან სამყაროს სფერულობის შესახებ და განსაკუთრებით სქოლიოს ბოლო ნაწილთან, სადაც დედამიწა წარმოდგენილია, როგორც წერტილი ფარგლით შემოვლებულ სფეროში: *ამის სფერისა სიმრგულესა შინა, ზედასა და ქუემესა, ვითარცა წერტილი რამე კარაკინითა მომრგულებულსა შინა შუა ოდენ არს ქუეყანა*. ამ ფრაზაში მხატვრული ხერხის, შედარების საშუალებით არის ჩამოყალიბებული აზრი სამყაროს გეოცენტრულობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ თავად მხატვრულ სახეს – ფარგლით შემოხაზული წრის ცენტრში მოქცეული წერტილი – წყარო ეძებნება ისევ ბასილი მინიმუსის კომენტარებში. კერძოდ, გრიგოლ

¹⁸⁸ ბასილი მინიმუსი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების კომენტარებისას სხვა შემთხვევებშიც ეხება ამ რიგის საკითხებს, რაც, თავის მხრივ, დღეისათვის ნაკლებად შესწავლილ პრობლემას – ბასილი მინიმუსის კომენტართა წყაროების კვლევას უკავშირდება. ეს საკითხი ერთი ჰომილიის კომენტარის მაგალითზე განხილული აქვს თომას შმიტს, იხ. *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. XXIV-XXVIII.

¹⁸⁹ *Com. 43, Iber. 188.*

ღვთისმეტყველის 42-ე ჰომილიაში ნახსენებია სამეფო ქალაქი კონსტანტინოპოლი – ქრისტიანული სარწმუნოების ცენტრი, რომლის შესახებაც ბასილი კომენტარში წერს:

- რამეთუ ესრეთ არს იგი ყოვლისა სოფლისათჳს, ვითარცა წერილი, რომლისაგან მოიმრგულები სიმრგულე კარაკინითა, რამეთუ მისგან განვლენ და კუალად მისსა შემოვლენ ყოველნი კიდენი.¹⁹⁰

ამგვარად, ვფიქრობთ, ეფრემის სქოლიოს მხატვრული სახე მომდინარეობს ბასილი მინიმუსის კომენტარიდან (*კონსტანტინოპოლი – სამყაროს ცენტრი = წერტილი ფარგლით შემოხაზულ წრეში*), ოღონდ ამ შემთხვევაში მასში განსხვავებული, ახალი შინაარსია ჩადებული (*დედამინა – სფეროსებრი სამყაროს ცენტრი = წერტილი ფარგლით შემოხაზულ წრეში*).

სათარგმნი ტექსტიდან აღებული მხატვრული სახეების განსხვავებული შინაარსით განსხვავებულ კონტექსტში გამოყენება ეფრემ მცირის მნივნობრული მუშაობისათვის დამახასიათებელი ხერხია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის კოლოფონებში ეფრემი ხშირად სარგებლობს გრიგოლ ღვთისმეტყველის მხატვრული ენით და მისი ლექსიკისა თუ ფრაზეოლოგიის გამოყენებით ქმნის მხატვრულ სახეებს, რომლებიც მის ტექსტებში უკვე განსხვავებულ შინაარსსა და დატვირთვას ატარებენ.

2. იოანე დამასკელის „გარდამოცემა“.

ქართული სქოლიო კავშირს ავლენს ასევე იოანე დამასკელის „გარდამოცემასთან“, კერძოდ, ამ თხზულების მეოცე თავთან „ცის შესახებ“. ეს თხზულება ქართულად ორჯერ არის ნათარგმნი – თავად ეფრემ მცირის მიერ და ეფრემის მიმდევრის, ელინოფილი მთარგმნელის, არსენ იყალთოელის მიერ. დამასკელის თხზულების მე-20 თავში ვკითხულობთ:

- ყოველსავე სოფლის შესაქმესა შინა ცისა დაბადებაჲ გჳსწავიეს, რომელსა-იგი გარეშენი ბრძენნი უვარსკულაოდ სიმრგულედ [სფერად, არსენი] უწოდენ მიპარვითა მოსესმიერისა შჯულისდებისათა... კუალად უკუე ვიეთმე ჰგონიეს, ვითარმედ ყოვლისავე გარემოჲს ცაჲ არს, ვითარცა იყო იგი მრგულ სახედ კამარისა [სფერის სახეობაჲ მისი, არსენი] ... ან უკუე რომელნი-იგი იტყჳან ცასა კამარის სახედ მომრგულეულსა [სფერისსახეობაჲ თქუეს ცისაჲ, არსენი], ამას გამოაჩე-

¹⁹⁰ Com. 42, Iber. 63.

ნენ, ვითარმედ სწორად განშორებულ არს იგი ქუეყანისაგან სიმაღლედ და სივრცედ და სიღრმედ... ვინაჲთგან შემდგომისაებრ სიტყვსა ყოველივე ზენაჲ-კერძი ყოვლით-კერძო ცასა განუკუთნებებს, რამეთუ სახედ კ ა მ ა რ ი ს ა [სფერის სახედ, *არსენი*] გარე-შეიცავს ქუეყანასა და სიმაღლითა მით მოძრაობისა მისისაჲთა თანა-იყვანებს მზესა და მთოვარესა და ვარსკულავთა ... ხოლო სხუათა ვიეთმე კ ე რ ძ ო დ კ ა მ ა რ ი ს ა ეოცნა ცაჲ (სფერისნახევრობაჲ ეოცნა ცისაჲ, *არსენი*), სიტყმსა მისგან ღმრთივსწავლულისა დავითისსა, ვითარმედ: „რომელმან გარდაართხნა ცანი, ვითარცა კ ა რ ა ვ ნ ი“ [ტყავი, *არსენი*] (*Psal.* 103, 2), და კუალად სიტყვსაებრ ესაიაჲსა, ვითარმედ: „რომელმან დაადგინა ცაჲ, ვითარცა კ ა მ ა რ ა ჲ“ (*Isa.* 40, 22).¹⁹¹

იოანე დამასკელთან წარმოდგენილია სამყაროს ორგვარი ხედვა. ერთია ანტიკურობიდან მომდინარე სამყაროს გეოცენტრული მოდელი, რომელიც დედამიწას ცის სფეროს ცენტრში მოიაზრებს, ხოლო მეორეა სამყაროს ბიბლიური ხედვა, რომლის მიხედვითაც ცა ნახევარსფერულად, კარვის სახით გადაეფარება დედამიწას.

ქართული სქოლიო უკავშირდება დამასკელის ტექსტში წარმოდგენილ გეოცენტრულ მოდელს, მაგრამ შინაარსობრივად არ არის მისი იდენტური. მაგალითად, *უვარსკვლავო ცა* დამასკელთან და ქართულ სქოლიოში სხვადასხვაგვარად არის განმარტებული; ქართულ სქოლიოში არის *ყოველი სოფლის, ხილული და უხილავი სოფლის* განმარტებები, რომლებსაც ვერ ვხვდებით დამასკელთან; საეროდაც, ქართული სქოლიო უფრო ვრცლად და დეტალურად აღწერს სამყაროს გეოცენტრულ მოდელს, ვიდრე დამასკელი.

¹⁹¹ ნმ. იოანე დამასკელი, *მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა*, გვ. 81-84. მთელი ქვეყნიერების დაბადების ჟამს შეიქმნა ცა, რასაც უვარსკვლავო სფეროდ ამბობენ მოსეს დოგმატების მიმთვისებელი გარეშე ბრძენნი. ზოგიერთების თვალსაზრისით, ცა წრიულად გარემოვლის ყოველივეს, სფეროსებრია ... ვინც ამბობს, რომ ცა სფეროსებრია, იგი მას მინისაგან თანაბრად დაცილებულად და დაშორებულად წარმოაჩენს ზევიდანაც, გვერდიდანაც და ქვემოდანაც ... ამბობენ, აგრეთვე, რომ ცა სფეროსებრ წრეს უვლის დედამიწას და მისი უსწრაფესი მოძრაობისას, მასთან ერთად წრეს შემოივლის მზე, მთვარე და ვარსკვლავები... სხვებმა ნახევარსფერულად წარმოიდგინეს ცა, თანახმად ღვთისმეტყველი დავითისა, რომელიც ამბობს, *ვინც განავრცო ცა, ვითარცა ტყავი* (*Psal.* 103, 2), რაც კარავს ცხადყოფს... ნეტარი ესაია ამბობს: *ვინც დააფუძნა ცა, როგორც კამარა* (*Isa.* 40, 22) – ედიშერ ჭელიძის თარგმანი, გვ. 347-348.

ამ ორ ტექსტს შორის შეინიშნება შემდეგი მსგავსება: სამყაროს სფერულობაზე საუბრისას ეფრემი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ცის *სიმრგულის* შესახებ სხვები *იტყვან*, უვარსკვლავო ცის რაობას *გარეშენი* განმარტავენ. დამასკელთანაც *გარეშენი ბრძენნი* საუბრობენ უვარსკვლავო ცის შესახებ, ცის სფერულობის შესახებაც სხვები – *რომელნი-იგი იტყვან*. ორივე შემთხვევაში *სხვებსა* და *გარეშეებში* ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსები იგულისხმებიან.¹⁹²

ამგვარად, სქოლიოში წარმოდგენილი მსჯელობა არ მისდევს დამასკელის ტექსტს იმდენად, რომ „გარდამოცემის“ მე-20 თავი ამ სქოლიოს უშუალო წყაროდ მივიჩნიოთ. თუმცა, ვფიქრობთ, აშკარაა, რომ სქოლიოს შედგენისას ეფრემს უნდა ესარგებლა იმ ცოდნითა და გამოცდილებით, რომელიც მას მიღებული ჰქონდა დამასკელის თარგმნისას.

რაც შეეხება ენობრივ მიმართებას ამ ორ ტექსტს შორის:

შეინიშნება გარკვეული ლექსიკური კავშირი „გარდამოცემის“ ქართული თარგმანსა და ეფრემის სქოლიოს შორის. მართალია, ამ ორ ტექსტში ეფრემის მიერ საკვანძო ტერმინების – *sfaira* და *hmisfaira* – გადმოტანის სხვადასხვა წესია გამოყენებული (დამასკელის შემთხვევაში ეფრემი მიმართავს აღწერით და ეტიმოლოგიურ თარგმანებს, ხოლო სქოლიოში – ტრანსლიტერაციას), მაგრამ ის ქართული ლექსიკური ერთეულები, რომლებითაც დამასკელის ეფრემისეულ თარგმანში ბერძნული ტერმინები *sfaira* და *hmisfaira* არის გადმოტანილი (*კამარა*, *კარავი*), სქოლიოში ამ ტერმინთა ტრანსლიტერაციით გადმოტანილი ბერძნული ფორმების განმარტებებშია გამოყენებული (*კარვის სახე*, *ყოვლით კერძო მრგვალი კამარა*).

ეფრემის ორ ტექსტში ერთი და იმავე ბერძნული ტერმინის სხვადასხვა მეთოდით გადმოტანას თავისი ახსნაც ეძებნება. როგორც ცნობილია, ეფრემს „გარდამოცემის“ თარგმანი შესრულებული აქვს თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე, როდესაც საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული მისი ელინოფილური მთარგმნელობითი კონცეფცია. ამ ეტაპზე ის ელინოფილი მწიგნობრისათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ სიზუსტეს არ იჩენს ტერმინთა თარგმნისას:

¹⁹² *გარეშეს* განმარტებისათვის შუა საუკუნეების მწერლობაში იხ. სირაძე, *ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები*, გვ. 217-218, 234; ბეზარაშვილი, „გარეშე“ სიბრძნისადმი დამოკიდებულებისათვის ეფრემ მცირის კოლოფონებში, გვ. 134-157.

sfaira-ს გადმოტანისას ერთმანეთს ანაცვლებს ორ სიტყვას – *კამარა* და *სიმრგულე*, იყენებს ასევე სიტყვათშეთანხმებას *მრგულ სახე კამარისა*, თუმცა რთულ სიტყვას *hmisfaira* თარგმნის შემადგენელი ნაწილების მიხედვით – *hmi-sfaira* *კერძოდ-კამარა*, რაც ელინოფილური მთარგმნელობითი პრაქტიკისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების კრებულზე მუშაობისას უკვე მთლიანად არის ჩამოყალიბებული ეფრემის, როგორც მთარგმნელის, ელინოფილური კონცეფცია. შესაბამისად, ის უკვე მაქსიმალურ სიზუსტეს იცავს ტერმინთა გადმოტანისას.¹⁹³ მართალია, ბასილის კომენტარის თარგმნისას ეფრემი მეტ-ნაკლებად თავისუფალ მთარგმნელობით მეთოდს მიმართავს კომენტარული ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ ტერმინთა გადმოტანისას ის ელინოფილური პრინციპების მიმდევარია.¹⁹⁴ ბასილის კომენტარის თარგმანში *sfaira* ეფრემს ბერძნული ფორმით, ტრანსლიტერაციით გადმოაქვს, ხოლო სქოლიოში იძლევა ამ ტრანსლიტერაციით გადმოტანილი ფორმის ეტიმოლოგიურ განმარტებას.¹⁹⁵ აღსანიშნავია, რომ ბასილი მინიმუმის კომენტარების ეფრემისულ თარგმანში ტერმინები *sfaira* და *hmisfaira* სხვა შემთხვევაშიც ბერძნული ფორმით, ტრანსლიტერაციით არის გადმოტანილი.¹⁹⁶

ამგვარად, სქოლიო სამყაროს აგებულების შესახებ ეფრემის მიერ შედგენილია იმ ცოდნაზე დაყრდნობით, რომელიც ამ საკითხის შესახებ არსებობდა ბიზანტიელ ინტელექტუალთა წრეებში, და იმ გამოცდილების გამოყენებით, რომელიც ქართველ მწიგნობარს ცნობილი ბიზანტიელი ავტორების თხზულებათა თარგმნისას ჰქონდა მიღებული.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს ქართული სქოლიოს სტილი. სქოლიოში აზრი ცხადად, მკაფიოდ არის ფორმულირებული, ერთი და იგივე აზრი, მისი გამოკვეთის მიზნით, სხვადასხვა ფორმით რამდენჯერმე გამოთქმული; ჩართულია ლექსიკური ერთეულების განმარტება და მხატვრული შედარება, რომელსაც, თავისი ყოფითი შინაარსიდან გამომდი-

¹⁹³ Chelidze, *The Two Georgian Translations of the Works of St. Gregory the Theologian*, p. 506-508.

¹⁹⁴ ბასილი მინიმუმის კომენტართა ქართული თარგმანის ლექსიკის შესახებ იხ. აქვე, გვ. 69.

¹⁹⁵ ბერძნული ლექსიკური ერთეულის ტრანსლიტერაციით გადმოტანისა და ეტიმოლოგიური ხასიათის განმარტების დართვის შესახებ ეფრემ მცირესთან იხ. აქვე, გვ. 58-70.

¹⁹⁶ *Com. 40, Iber. 18.*

ნარე, ექსპოზიციური დანიშნულება უფრო აქვს, ვიდრე ორნამენტული; გამოყენებულია კითხვა-მიგების (ეროტეს-აპოკრისისის) ხერხი – შუა საუკუნეებში დამკვიდრებული სწავლების ტრადიციული ფორმა (კითხვა: *რაღა არს ზენა კერძო ზღვსა და ჳმელისა და რაჲ არს ქუეშე კერძო მათსა?* მიგება: *ყოვლითურთ შემცველი მათი*).

როგორც თავისი შინაარსით, ისე ფორმით, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფრემისეულ ხელნაწერებში დაცული ქართული სქოლიო სამყაროს აგებულების შესახებ ეხმაურება XI საუკუნის ბიზანტიაში მიმდინარე სააზროვნო პროცესებს, ხოლო მისი ავტორი, ეფრემ მცირე, თავისი მეცნიერული სტილით, ანტიკურობისადმი ინტერესით, სამყაროს რაციონალისტური ხედვით, ნატურფილოსოფიური იდეებით, თავისი განმანათლებლური მიზანდასახულობით იმავე სულისკვეთებით ჩანს გამსჭვალული, რომლითაც განსაკუთრებით გამოირჩევიან ამ ეპოქის ინტელექტუალები.¹⁹⁷

* * *

რა დანიშნულება აქვს მარგინალურ შენიშვნებს გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავთა ეფრემისეულ კრებულებში?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფრემის მიხედვით, მთარგმნელისეული სქოლიო ტექსტს ერთვის „განმაცხადებელად ძალისა“, ანუ მისი ფუნქცია არის განმარტება. ეფრემის თარგმანებზე დართულ შენიშვნათა უმეტესობას, მაგალითად, „ფილოთეონ ისტორიის“, „დიალექტიკის“ და სხვ. სქოლიოებს, მართლაც, ძირითადად, ექსპოზიციური დანიშნულება აქვს, თუმცა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული კრებულების მარგინალური შენიშვნების შესწავლამ გამოკვეთა ეფრემის სქოლიოთა კიდევ ერთი, უფრო კონკრეტული – პრაქტიკული დანიშნულება, რაც უშუალო კავშირშია შენიშვნათა ადრესატის საკითხთან. საზოგადოდ, ხელნაწერის ყველა სახის ატრიბუტული მასალა (სქოლიოებთან ერთად ვგულისხმობთ მინიატურებს, სხვადასხვა სახის მარგინალურ ნიშნებს

¹⁹⁷ XI საუკუნის II ნახევრის ბიზანტიაში ინტელექტუალური მოძრაობის ჰუმანისტურ-რენესანსული ხასიათისა და ამ მოძრაობაში კონსტანტინოპოლის ფილოსოფიური სკოლის ცნობილი წარმომადგენლის, მიქაელ ფსელოსის როლის შესახებ იხ. მჭედლიძე, *მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიური პოზიცია*, გვ. 16-21.

და სხვ.), ძირითადად, მკითხველზეა ორიენტირებული და სხვადასხვა საშუალებებით ეხმარება მას ძირითადი ტექსტის გაგებაში; გრიგოლის კრებულებში სქოლიოთათვის კიდევ ერთი ადრესატი გამოიკვეთა. ის პირდაპირ არის დასახელებული შენიშვნაში *არიანდოსა და ანდიანდოს* შესახებ: *ამისთჳს ნუ განჰრევ სახელთა, მწერალო!* ეს არის ხელნაწერის გადამწერი.

მართლაც, დავაკვირდეთ: მარგინალური შენიშვნები, უმეტესწილად, ტექსტის ისეთ პასაჟებს ერთვის, სადაც არის რაღაც უცხო, უჩვეულო. მაგალითად, ქართული სიტყვა მოცემულია მდედრობითი სქესის ფორმით (*მასა, მანამან, ქალწულა*); დასტურდება ახალი, უცხო ლექსიკური ერთეული (*ზოგ-არიოზ, თავთმნდე, ჟამისმეორედად*), რთული ორთოგრაფიის მქონე სიტყვა (მაგალითად, შვიდთანხმოვნია ან ხუთთანხმოვნია), პუნქტუაციის სპეციფიკური ნიშნები (*სრულწერტილი, დიდმოცქევი*), უცხოური – *ბერძული* ლექსიკური ერთეული (*პიტჳ, სფერი*); ბიბლიის ციტირებისას შეცვლილია ბიბლიური ტექსტი (*მიიღე სწავლა – იმჯულვი სწავლა*); ბერძნულ ხელნაწერებში წარმოდგენილია განსხვავებული ვარიანტული წაკითხვები (*thn ebdomhn anastrofhn / mustikhn thn trisshn emfushsin*) და მისთ. ამგვარად, სქოლიოები ერთვის ისეთ პასაჟებს, რომლებიც ქართველი მკითხველისათვის საჭიროებს განმარტებას და, ამავე დროს, რომელთა გადანერისას შექმნილია მათი შეცვლის ან შეცდომის დაშვების საშიშროება.

ეფრემ მცირე თავის ეპისტოლეში ანტიოქიელი მოღვაწის, კვირიკე ბერის მიმართ აღნიშნავს:

უკუეთუ ვინმე იკრვობდეს ამათ ახალთარგმნილთა სიტყუათა წიგნისა უჩუეველობასა ანუ სხუებრობასა, ანუ ღმრთისმეტყუელებისა სიტყუათა მიფარულებასა, ... მისთჳს მე სინმიდე შენი მყავს მოწამედ და ღმერთი, რომელ არარას ჴელ-მენიფებოდა თჳსით გულით დართვად და სხუებრ ცვალებად ვიდრე დონანთამდეცა.¹⁹⁸

ცხადია, მთარგმნელი, რომელიც ცდილობდა მაქსიმალური სიზუსტით გადმოეტანა ქართულად გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებები, იმაზეც იზრუნებდა, რომ მის მიერ ნათარგმნი ტექსტები, კერძოდ, მათი

¹⁹⁸ ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 149.

ურუველობა და სხუებრობა გადანერისას, ტექსტის მიმოქცევისა და გავრცელების პროცესში არ დაკარგულიყო. მარგინალური შენიშვნები – მთარგმნელის ერთგვარი გზავნილები მომავალ გადამწერთა მიმართ – გარკვეული გარანტია იყო იმისა, რომ ავტორისეული ტექსტი დაცული იქნებოდა ყველანაირი ცვლილებისაგან.

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანების სქოლიოებს საგანმანათლებლო ხასიათიც აქვს. ამ მხრივ გამორჩეულია ლექსიკური ერთეულების, *სფერისა* და *ნახევარსფერის* განმარტება, რომელშიც უცხოური სიტყვების განმარტებასთან ერთად წარმოდგენილია შუა საუკუნეების მნიგნობრის განსჯა სამყაროს გეოცენტრულობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ქართულ აზროვნებაში ეს პირველი მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი, ორიგინალური საბუნებისმეტყველო ტექსტია. საგანმანათლებლო ხასიათზე ამ ტექსტის გადმოცემის ფორმაც (კითხვა-მიგება) მიაწინებს. საგანმანათლებლო ფუნქციის მატარებელია *ეტიმოლოგიის* განმარტებაც. ეფრემი ამ შენიშვნით ცდილობს, აუხსნას ქართველ მკითხველს შუა საუკუნეების ბიზანტურ გრამატიკულ აზროვნებაში ანტიკურობიდან შემოსული და დამკვიდრებული ენობრივი მოვლენა, ქართველ ინტელექტუალთა წრეებში მიმოქცევაში შემოიტანოს მისი აღმნიშვნელი ტერმინი, შექმნას მისი ადეკვატური ქართული ლექსიკური ერთეული.¹⁹⁹

ამგვარად, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართულ კრებულებზე დართული მარგინალური შენიშვნები – გრიგოლის ტექსტის ერთგვარი კრიტიკული პუბლიკაციის სამეცნიერო სქოლიოები – საინტერესო ინფორმაციას გვანდის გრიგოლის ქართულად თარგმნის პროცესზე, იმ სირთულეებზე, რომლებიც ჩნდებოდა თარგმნის დროს, იმ ხერხებზე, რომელთა საშუალებითაც იყო დაძლეული ეს სირთულეები. ამ ტიპის მასალის კვლევა საშუალებას გვაძლევს, კვალდაკვალ მივყვეთ შუა საუკუნეების მნიგნობრის მუშაობას, დავინახოთ, თუ რამდენად თა-

¹⁹⁹ მკთხველზე ორიენტირებული სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულების სქოლიოთა საუკეთესო ნიმუშები წარმოდგენილია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ბერძნულ ხელნაწერში Gr. 33/48 (X ს.), რომელშიც მარგინალური ატრიბუტიკა ბასილის კესარიელის ტექსტების სხვადასხვაგვარი (მხატვრული, ენობრივი, სტრუქტურული, მსოფლმხეველობრივი) ანალიზის საშუალებაა, იხ. ბეზარაშვილი, ოთხმეზური, განათლება და მეცნიერება ბიზანტიაში, გვ. 77-118.

ნამიმდევრულნი იყვნენ ისინი თავიანთ ძიებებში, კვლევის რა შესაძლებლობებს ფლობდნენ და რა სიღრმეებს სწვდებოდნენ.

წარმოდგენილი მასალა და მისი ანალიზი, ვფიქრობთ, კარგად წარმოაჩენს ხელნაწერი წიგნის მცირე, მაგრამ სინამდვილეში მეტად საყურადღებო დეტალების კვლევის მნიშვნელობას უფრო ფართო ხასიათის ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური საკითხებისა თუ კულტურის ისტორიის პრობლემატიკის შესწავლისათვის.

დასკვნა

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ბასილი მინიმუსის კომენტარების ეფრემისეული თარგმანის ანალიზის საფუძველზე შევეცდებით თანამიმდევრულად ვუპასუხოთ ნაშრომის შესავალში დასმულ საკითხებს.

X საუკუნის მწიგნობრის, ბასილი მინიმუსის კომენტარული ტექსტის ქართული თარგმანის ბერძნულთან მიმართებით შესწავლამ გამოავლინა, რომ ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობა არ არის თავისუფალი, მკითხველზე ორიენტირებული მთარგმნელობითი მეთოდიდან ელინოფილურ მთარგმნელობით მეთოდზე გადასვლის თანამიმდევრული პროცესი. ეფრემისათვის, შემოქმედი, მოაზროვნე მთარგმნელისათვის, მოღვაწეობის საწყის ეტაპზე – თავისუფალი, ხოლო გვიანდელ ეტაპზე – მხოლოდ სიტყვასიტყვითი თარგმანების შექმნა არ შეიძლება ყოფილიყო თვითმიზანი. ის უმეტესწილად მოქმედებდა იმ მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად, რომლებიც მის წინაშე იდგა კონკრეტული თხზულების ერთი ენიდან მეორეზე გადმოტანისას, ამ შემთხვევაში – კომენტარული ხასიათის ტექსტის თარგმნის პროცესში.

თავისუფალი და ლიტერატურული მთარგმნელობითი მეთოდების კომბინაცია ის მთარგმნელობითი ხერხია, რომელსაც ეფრემი ირჩევს ექსპოზიციური ხასიათის ტექსტის – ბასილი მინიმუსის კომენტარების თარგმნისას. ეს არის გააზრებული, მწყობრ მეთოდოლოგიურ პრინციპზე დაფუძნებული მთარგმნელობითი პოზიცია, რომლის შემუშავება ხდება სათარგმნი მასალის ჟანრული სპეციფიკის გათვალისწინებით.

მთარგმნელობითი მეთოდის არჩევისას ყველა შემთხვევაში ცხადია მთარგმნელის მოტივაცია: ბერძნულ წყაროსთან ფორმალური სიახლოვე – თეოლოგიური ხასიათის პასაჟების თარგმნისას, რთული საღვთისმეტყველო საკითხების გადმოცემის პროცესში სიზუსტის დაცვის,

შეცდომისაგან თავის დაზღვევის მიზნით; იმიტაცია – სტილიზებული ტექსტის თარგმნისას, სათარგმნი ტექსტის სტილისტური სპეციფიკის შენარჩუნების მიზნით; თავისუფალი მიდგომა, უშუალო მონაწილეობა ტექსტის ინტერპრეტაციაში, ტექსტის ადაპტაცია და ინტერპოლაცია – რიტორიკულ-ფილოლოგიური ხასიათის განმარტებების თარგმნისას, გრიგოლის მხატვრული ტექსტისა და ამ ტექსტის მხატვრული ანალიზის ერთმანეთთან მისადაგების მიზნით ქართულ ნიადაგზე.

ბასილი მინიმუსის თარგმანის შესწავლამ, ამასთანავე, ეფრემის კოლოფონების კვლევამ, საშუალება მოგვცა დაგვენახა, თუ რა ფაქტორები ახდენდა გავლენას ბასილის კომენტარული ტექსტის მთარგმნელობით პროცესზე. გამოიკვეთა მემკვიდრეობითობის საკმაოდ მყარი ტრადიცია – ექვთიმე ათონელის განსაკუთრებული როლი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა და მათი კომენტარების ეფრემისეული თარგმანების შექმნის პროცესში. ბასილის კომენტარების ეფრემისეულ თარგმანში გრიგოლის საკითხავების ექვთიმესეული თარგმანის კვალის წარმოჩენით ნათელი გახდა, რომ ეფრემისათვის გრიგოლ ღვთისმეტყველის ექვთიმესეული თარგმანი იყო გზამკვლევი გრიგოლის ტექსტის გაგების, თარგმნისა და კომენტირების საქმეში. გაირკვა, ასევე, რომ ეფრემი, რომელიც იყო გრიგოლის თხზულებათა სიტყვასიტყვითი, ბერძნულის ადეკვატური თარგმანის ავტორი, ამავე დროს იყო გრიგოლის ტექსტის ინტერპრეტატორიც, რაზეც მეტყველებს დამოუკიდებლად თუ ექვთიმეს ზეგავლენით ბასილის ტექსტში შეტანილი ინტერპოლაციები.

მეორე მხრივ, გამოიკვეთა თავად ბასილი მინიმუსის კომენტარების როლი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანში. გაირკვა, რომ ბასილის კომენტარები ეხმარებოდა ექვთიმეს თავისი ექსპოზიციური თარგმანის შექმნაში, ხოლო ეფრემს – ექვთიმეს თავისუფალი თარგმანის ზეგავლენის დაძლევისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ფორმალური ეკვივალენტის თარგმანის შედგენაში, ასევე, ტერმინოლოგიურ ძიებებსა და თარგმანისათვის შესაბამისი მხატვრული სტილის შერჩევაში. კიდევ ერთხელ წარმოჩნდა, თუ რა რთული, კომპლექსურია შუა საუკუნეების *თარგმნა-თარგმანების* პროცესი.

გაირკვა ისიც, რომ მთარგმნელზე, კერძოდ, მის მხატვრულ აზროვნებაზე დიდი გავლენა შეიძლება მოახდინოს იმ თხზულებამ, რომელსაც ის თარგმნის; ეფრემის კოლოფონებს შორის მხატვრულობით გამორჩეული ტექსტი – ეფრემის ეპისტოლე კვირიკეს მიმართ, რომელიც უძღვის გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების თარგმანს, დიდად

არის დავალებული ისეთი მხატვრული ტექსტებისაგან, როგორიც გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავები და ბასილი მინიმუსის ეპისტოლეა.

ბასილი მინიმუსის კომენტარული ტექსტების შემცველ ქართულ კრებულებზე დაკვირვებამ წარმოაჩინა, ერთი მხრივ, გრიგოლის ქართულ კომენტირებულ კრებულზე მუშაობის ეფრემისეული პრაქტიკა, ხოლო, მეორე მხრივ, ეფრემის დამოკიდებულება ბერძნული წყაროების მიმართ. გამოჩნდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეფრემის მნიგნობრულ წრეში სანდო დედნის შერჩევას, როგორ ეძებს საჭიროების შემთხვევაში მნიგნობარი ახალ, განსხვავებულ ბერძნულ წყაროებს და ამ მხრივ რა საშუალებები ეძლევა მას იმ მნიგნობრულ გარემოში, რომელშიც ის მუშაობს, კერძოდ, ანტიოქიის სამონასტრო ბიბლიოთეკებში. უნდა ითქვას, რომ ანტიოქიის წიგნსაცავებში განსაკუთრებული მნიგნობრულობით გამორჩეულ ბერძნულ ხელნაწერებზე მუშაობამ განსაზღვრა XI-XII საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის სახე. მდიდარი ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის წინასიტყვაობები თუ ბოლოსიტყვაობები, პინაქსები, პუნქტუაციის ნიშნებით გამართული ტექსტი, მდიდარი, მრავალფეროვანი მარგინალური ატრიბუტიკა და სხვ. ის სპეციფიკაა, რომელიც ეფრემისა და, ზოგადად, შავი მთის მნიგნობრული სკოლის ხელნაწერებს გამოარჩევს. ეს ბერძნულის გავლენით შექმნილი ე ლ ი ნ ი - ზ ე ბ უ ლ ი ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი ა, თუმცა კვლევის შედეგად გამოიკვეთა ეფრემის შე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი მ ი დ გ ო მ ა ც გრიგოლის საკითხავთა კრებულის მიმართ. მას თავად შეაქვს ამ კრებულებში ის დამატებითი მასალა, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს ქართველი მკითხველისათვის.

ეფრემის კოლოფონებსა და კომენტარებიან ხელნაწერებზე დაკვირვებამ თვალნათლივ წარმოაჩინა, რომ ეფრემის მნიგნობრულ წრეში, ე ფ რ ე მ ი ს მ ი ე რ ნ ა თ ა რ გ მ ნ ი გ რ ი გ ო ლ ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე - ლ ი ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ე ბ ი ს კ ო მ ე ნ ტ ი რ ე ბ უ ლ ი კ რ ე ბ უ ლ ი დ ა ნ და ა რ ე ო პ ა გ ი ტ უ ლ ი კ ო რ პ უ ს ი დ ა ნ ი ღ ე ბ ს ს ა თ ა ვ ე ს ქ ა რ თ უ ლ ხ ე ლ ნ ა წ ე რ უ ლ ტ რ ა დ ი ც ი ა შ ი კ ო მ ე ნ ტ ა რ თ ა ა შ ი ე ბ ზ ე დ ა რ თ ვ ი ს ტ რ ა დ ი ც ი ა. სწორედ ამ ტიპის კომენტირებული კრებულების შექმნით შავ მთაზე დაგროვდა გამოცდილება სამომავლოდ გელათურ სკოლაში უფრო რთული ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად, კომპლექსური კრებულის, კატენებიანი ბიბლიის შესადგენად.

გრიგოლის საკითხავთა ქართული კომენტირებული კრებულების აშიებზე დადასტურებული ქართველი მთარგმნელის განმარტებითი შენიშვნების შესწავლამ ნათელყო, რომ თავისი ლიტერატურულ-თეორიული ინტერესებით, გრამატიკული, ლექსიკოლოგიური ძიებებითა თუ

საბუნებისმეტყველო ცოდნით – ზოგადად, აზროვნების მეცნიერული სტილით – ეფრემი იმ კატეგორიის მნიგნობართა რიცხვს მიეკუთვნება, როგორებიც იყვნენ კომნენური რენესანსის მისი თანადროული ბიზანტიელი სწავლულები. ფიქრობთ, ამ კუთხით გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა სწორედ თემატურად მრავალფეროვანი კომენტარული ჟანრის ტექსტებზე მუშაობას. სწორედ კომენტარული ჟანრის სპეციფიკამ – მისმა თემატიკამ და ლიაობამ ცვლილებებისა და სიახლეების მიმართ – მისცა ეფრემს შესაძლებლობა, გაედრმავებინა საკუთარი ცოდნა და, ამავე დროს, გაემჟღავნებინა თავი, როგორ შემოქმედ მთარგმნელსა და ღრმა, „დასავლური“ ერუდუციის მქონე პიროვნებას. ამგვარად, კომენტარულმა საქმიანობამ ხელი შეუწყო XI-XII საუკუნეებში ქართველთა მნიგნობრულ წრეებში ახალი სტილის სამეცნიერო აზროვნების ჩამოყალიბებას და გარკვეულწილად განსაზღვრა ქართული აზროვნების განვითარების სამომავლო გზები.

ახალი ტიპის აზროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი უნდა შეესრულებინა იმ გარემოსაც, რომელშიც ეფრემ მცირე მოღვაწეობდა. ეს არის XI საუკუნის ბოლო პერიოდის ახლო აღმოსავლეთი – ანტიოქია თავისი მდიდარი ბიბლიოთეკებით, ინტელექტუალური ცხოვრებითა და მულტიკულტურული გარემოთი, სადაც ერთმანეთის გვერდით მოღვაწეობენ სხვადასხვა ეროვნების მნიგნობრები.¹ ვფიქრობთ, სწორედ

¹ კეკელიძის აზრით, ეფრემ მცირეს შავ მთაზე ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ბერძენ ენციკლოპედისტ ნიკონ შავმთელთან, იხ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 252; *უნყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა*, გვ. 014. კეკელიძის აზრით, ეფრემ მცირეს ურთიერთობა შეიძლება ჰქონოდა XI საუკუნის 80-იან წლებში სვიმეონწმიდის მონასტერში მოღვაწე არაბ ბერთან, მიქაელთან, რომლის მიერ არაბულ ენაზე დაწერილი „იოანე დამასკელის ცხოვრების“ ბერძნული თარგმანი ეფრემმა გადმოთარგმნა ქართულად, კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 252. ჯობაძე არ გამორიცხავს თანამშრომლობის შესაძლებლობას ქართველებსა და სირიელებს შორის შავ მთაზე ძელიცხოვლის ეკლესიის მშენებლობისას, Djobadze, *Archeological Investigations in the Region West of Antioch on-the-Orontes*, p. 118. ამ რიგის საკითხები სამომავლო შესწავლას საჭიროებს და ვფიქრობთ, ეხმაურება სირიული მწერლობის ცნობილი მკვლევრის, ბროკის მიერ დასმულ საკითხს იმის თაობაზე, რომ ამ საინტერესო რეგიონის ისტორია ნამდვილად იმსახურებს, მთლიანობაში იყოს გააზრებული, Brock, *Syriac Manuscripts Copied on the Black Mountain, Near Antioch*, p. 59-60.

ამგვარი წრე და გარემო იქნებოდა განსაკუთრებით ხელსაყრელი ახალი, „უცხო“ ცოდნის დაგროვებისათვის; სწორედ აქ, ბერძენ, სირიელ, არაბ მწიგნობრებთან ურთიერთობის შედეგად უნდა გამოკვეთილიყო ეფრემის მრავალმხრივი ინტერესები და მისი მწიგნობრული საქმიანობის მახასიათებელი ხასიათი. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ სამეცნიერო ტიპის ცოდნა ქართულ აზროვნებაში გარკვეულწილად შემოდის სწორედ ახლო აღმოსავლეთიდან – სხვადასხვა კულტურების ურთიერთგადაკვეთის ადგილიდან, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სამეცნიერო ცოდნისა თუ კულტურული ფასეულობების გაცვლა-გამოცვლა.

რაც შეეხება ეფრემის კოლოფონებში გამოთქმული თეორიული შეხედულებებისა და ეფრემის პრაქტიკული მწიგნობრული საქმიანობის ურთიერთმიმართებას, ბასილი მინიმუსის კომენტარებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის შესწავლის შედეგად თვალნათლივ გამოიკვეთა შემდეგი: ეფრემის კოლოფონებში ჩამოყალიბებული შეხედულებები, მისი თეორიული გამოხატულებები და მისი პრაქტიკული საქმიანობა ერთმანეთთან სრულთანხვედრაშია; ეფრემის თეორიული ნააზრევნი პრაქტიკულად მის მწიგნობრულ საქმიანობაში, მის თარგმანებსა და მათ შემცველ კრებულებში სრულად არის ხორცშესხმული.

დაბოლოს: მიუხედავად იმისა, რომ ბასილი მინიმუსის კომენტართა თარგმანი ეფრემის უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია, შეიძლება ითქვას, რომ ის მეტად საყურადღებო მასალას იძლევა ეფრემის, როგორც მთარგმნელის, როგორც მოაზროვნის შესაფასებლად, ასევე XI საუკუნის ბოლოს ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში გაჩენილი ახალი, საინტერესო ტენდენციებისა და მიმდინარეობების განსასაზღვრავად. ვფიქრობთ, შეგვიძლია კიდევ ერთხელ დავიმოწმოთ ეფრემი: *ამას ... წინა-გიყოფთ თქუნ, რაათა კნინოდენითა გემოჲსხილვითა გიჩუენოთ გემოჲ მდინარისა დიდისა და მცირისა მიერ ფესკსა განგიცხადოთ ყოველი ქსოვილებაჲ სამოსლისაჲ.*²

² ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანების“ კოლოფონი, თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 181.

ტიქსტიკი

წარმოვადგენთ ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნ სამ ტექსტს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ბასილი მინიმუსის კომენტარებიდან. ესენია:

I. ბასილი მინიმუსის ეპისტოლე კონსტანტინე პორფიროგენეტის მიმართ;

II. გრიგოლ ღვთისმეტყველის პირველი საკითხავის (*Oratio 1 – In sanctum Pascha et in tarditatem*) კომენტარი;

III. გრიგოლ ღვთისმეტყველის 39-ე საკითხავის (*Oratio 39 – In sancta Lumina*) კომენტარი.

გამოცემა ეფუძნება ოთხ ხელნაწერს:¹

A-109 – A, A', a, a' ²

Comm. 1: 188r-189v (schol. mrg.).

Comm. 39: 74r-84v (schol. mrg.).

Jer. 15 – B

Epist. ad Constantinum: 10v.

Comm. 1: 195r-197v (schol. mrg.).

Comm. 39: 80r-91r (schol. mrg.).

Jer. 43 – C

Comm. 1: 202v-204v (schol. mrg.).

Comm. 39: 78v-90v (schol. mrg.).

¹ დეტალურად ამ ხელნაწერების შესახებ იხ. აქვე, გვ. 95-106. ასევე, ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 133-138, 144-158, 159-167.

² ამ ხელნაწერის მარგინალური სქოლიოების გადანუსხვასა თუ შევსება-გაცხივებაზე სხვადასხვა დროს სამი გადამწერი მუშაობდა, შესაბამისად, გამოიყოფა შემდეგი დანერილობა: 1. A – XIII ს. ნუსხური – იგივე ხელი, რომლითაც დანერილია კრებულის ძირითადი ტექსტი; 2. A' – XIV-XV სს. ნუსხური; 3. a – XVIII ს. ნუსხური, რომლითაც შევსებულია სქოლიოთა ნაკლები ადგილები; ამავე ხელით (a') არის ასევე გაცხივებული XIII საუკუნის დაზიანებული ნაწერიც. იხ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 156.

Jer. 13 – H

Epist. ad Constantinum: 284r-285r.

Comm. 1: 364r-365v.

Comm. 39: 322r-336v.³

წინამდებარე პუბლიკაციაში ბასილი მინიმუსის კომენტარების განმარტებები დანომრილია; თითოეულ განმარტებას უძღვის განსამარტავი ფრაზა გრიგოლის საკითხავიდან (როგორც ქართული – ეფრემისეული თარგმანიდან, ისე ბერძნულიდან). განსამარტავ ფრაზას, როგორც ქართულს, ისე ბერძნულს, ახლავს მითითება გრიგოლ ღვთისმეტყველის ტექსტში მისი ადგილმდებარეობის შესახებ.⁴

კომენტარების ტექსტებს, სამეცნიერო აპარატთან ერთად, ერთ-ვის შენიშვნები. მათი მიზანია, დამატებითი ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს იმ კონტექსტის შესახებ, რომელშიც განმარტების ტექსტია გასააზრებელი. შენიშვნები არ ითვალისწინებს ქართული თარგმანის ბერძნულთან მიმართების წარმოჩენას (ამ საკითხის გადანყვეტა, თარგმანის სპეციფიკიდან გამომდინარე, შენიშვნების ფარგლებში ვერ ხერხდება), თუმცა შენიშვნებში ხშირად არის დამონმებული ბერძნული ტექსტი გრიგოლის საკითხავებსა და ბასილის განმარტებებს შორის არსებული მიმართების, აგრეთვე, თავად ბასილის კომენტარების უკეთ გააზრების ხელის შეწყობის მიზნით.

³ გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავთა ეფრემისეული თარგმანების კრიტიკულ გამოცემაში (*Oratio 1, Iber., Oratio 39, Iber.*) ეს ნუსხები ამავე ლიტერებით (*A, B, C, H*) არის აღნიშნული.

⁴ მითითებები გაკეთებულია როგორც ქართული (*Oratio 1, Iber., Oratio 39, Iber.*), ისე ბერძნული (*PG 35, 36*) პუბლიკაციების მიხედვით.

**I. ბასილი უნდოჲ კესარია-კაბადუკიისაჲ ქრისტესმოყუარესა
მეფესა, თვთმპყრობელსა კოსტანტინეს¹**

2

დიდთა და საეროთა დღესასწაულთა, დიდო თვთმპყრობელო, არა
ხოლო მთავარნი და სიმძიმითა სიდიდისა და სიმდიდრისაჲთა განზ- 4
რქელბულნი და ზეშთაყვანებულნი, არამედ აწვე კმასაყოფელისაცა
ცხოვრებისა აღმრჩევლნი და ზომიერისა ნაქონებისა ხუედრებულნი 6
ძალისაებრ ძლუნის მორთუმად თქუენდა მოვლენ. არამედ რომელნიმე
ოქროსა და ვეცხლსა და მარგალიტთა, გინა ქვათა ბრწყინვალეთა, 8
ანუ სხუათა რათმე ჭურჭელთა მრავალსასყიდლისათა, გინა ქსელ-
თა მრავალყუავილოვანთა მომრთუმელობითა პატივისმოყუარებასა 10
გაჩუენებენ. ხოლო ვიეთნიმე სხვთა და სხვთა, რაჲცა რაჲმე აქუნდეს
გულსმოდგინებისა გინა კეთილპოვნიერობისაჲ, ვითარცა რაჲმე ცნობაჲ, 12
განაცხადებენ და ყოველნივე შეიწყნარებიან, რომელთაჲ სიყუარული
რაბამ და რომელთა-იგი უფროჲს შესანიშნავთასა გულსმოდგინებითა 14
განმხიარულებასა თქუენსა მოივაჭრებენ. ვინაჲთგან უკუე, ვითარ-იგი
შეჰგავს, მრავალ არიან მომრთუმელნი და თითოფერისა და მრავალ- 16
სასყიდლისა შემოსაღებელისა მყოფელნი.

და უფროჲსლა დღესასწაულსა ამას ქრისტეს შობისასა და სამად- 18
ლობელსა მტერთა ძლევისასა² სათნო-მიჩნდა, რაჲთა არა ჩუენ მხოლოდ
ესრეთ ურგებად მსხდომარე ვიყვნეთ, ანუ ცუდსა რასმე ვმომრთუმე- 20

⁷ მორთუმად] მორთუმელობად *H.* ¹⁰ მრავალყუავილოვანთა] მრავალყუავილო-
ანთა *B.*

¹ ბერძნული ხელნაწერების მარგინალურ შენიშვნებში დასტურდება სხვადასხვა-
გვარი ინფორმაცია იმპერატორის ვინაობის შესახებ: *Athos, Pantel. gr. 7*-ისა და
Florence, San Marco 688-ის მიხედვით, სათაურში დასახელებული იმპერატორი
კონსტანტინე პორფიროგენეტია, მაშინ როდესაც *Leiden, Voss. gr. in-^o. 45*-ის
მიხედვით, ეს უნდა იყოს კონსტანტინე პალეოკაპპა, ხოლო *Venise, Marc., append.*
gr. II, 43-ის მიხედვით – კონსტანტინე IV პაგინატე (668-685 წწ.). ეპისტოლეში
კონსტანტინე განსაკუთრებულად განსწავლულ, განათლებულ, ნივნიერების
მოყვარულ პიროვნებად არის გამოყვანილი, რაც დასახელებულ იმპერატორთა
შორის ყველაზე მეტად კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის არის დამახასი-
ათებელი, *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 3.

² მინიშნება უნდა იყოს კონსტანტინე პორფიროგენეტის წარმატებულ ბრძოლე-
ბზე არაბებთან 949-სა და 952 წლებში, *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni oratio-
nem XXXVIII commentarii*, p. 5.

ლობდეთ და ურგებად ჭირისვმნახველობდეთ იქი და აქა საზოგადოება³
 22 მისებრ უგუნურებისა და ძკრისვმხილველობდეთ რეცა განსაქიქებელი-
 სა მისებრ ერისათჳს ათინელთაჲსა,⁴ არამედ ანუ პევშებითა ამით წყა-
 24 ლსა ერთგულებით მიჰყრობად და ყოველივე, რაჲცა რაჲმე შესაძლებელ
 და პატიოსან იყოს ჩუენგან, შენ, მეფისა სახიერისა და პატიოსნისა,
 26 მორთუმად. ხოლო ესე არა ვინაჲთ სხვთ სიტყჳსმოყუარისათჳს, გარნა
 სიტყჳსმომრთუმელობით საგონებელ იქმნა. და საგონებელობაჲ იგი არა
 28 თავით თჳსით ვითამე ესევეთარი ყოფად, რაჲთამცა კეთილ უჩნდა და
 ახარა ბრძენსა გონებასა სამეუფოსა, რამეთუ ხედავ, ვითარ უტკბილო
 30 არს და უშუერ და, რაჲთა სიტყჳსაებრ ვიტყოდი, უეპაფროდიტო.⁵ არ-
 ამედ ჩუენდა ესე არს ყოლადი და პატიოსანი, ვინაჲთგან ციღამტკაველ-
 32 საცა და ჰინდოსა⁶ დიდჰასაკ ჰგონიეს თითოეულსა თავი თჳსი და შუე-

³¹ ჩუენდა *om. B.*

³ ბერძნულშია *tou kuno~ – gen. sing.* სიტყვისა *kuwn – ძაღლი*. ქართულ თარგმანში *საზოგადოება* გაჩენილი უნდა იყოს *kuno~*-ში *u-*სა და *oi-*ს მონაცვლეობის შედეგად გაჩენილი სიტყვიდან *koino~*, რაც ნიშნავს *საერთოს, საზოგადოს*. შმიტი *tou kuno~*-ს თარგმნის, როგორც *Cynique – კინიკოსი (Basili Minimi in Gregorii Nazianzenii orationem XXXVIII commentarii, p. 5)*. მისი აზრით, ეს უნდა იყოს ალუზია კინიკოს ფილოსოფოსზე, დიოგენე სინოპელზე, რასაც მხარს უჭერს ხელნაწერში – *Florence, Laur. IV, 13* – ამ პასაჟის გასწვრივ დადასტურებული მარგინალური შენიშვნა: *kuno~ fhsi tou kunikou filosofou tou Diogenou~ tucon h eterou (1r)*.

⁴ *ათენელს* ამ შემთხვევაში დაკარგული აქვს ეთნიკური შინაარსი. იგულისხმება ზოგადად *წარმართი*.

⁵ ბერძნულშია *anepa f rodi to~ – უშნო, შეუხედავი*. ქართულად ეს ლექსიკური ერთეული უთარგმნელად არის გადმოტანილი; ნათარგმნია მხოლოდ პრეფიქსი *an-* (უ-).

⁶ ბერძნულშია *Aiqioy – ეთიოპი (უშნოს, შეუხედავის მეტაფორა, ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 90)*. ჰინდო, როგორც *Aiqioy*-ის ეკვივალენტი, ხშირად დასტურდება ძველ ტექსტებში, ბიბლიის როგორც ქართულ, ისე სომხურ თარგმანში, ასევე პატრისტიკული ტექსტების თარგმანებში. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ხინთიბიძე, „ვარლამ და იოდასაფის“ ეთიოპია, გვ. 67-75. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებანი და ქართული სამწერლობო ტრადიციები, გვ. 94-97; Moses Khorenatsi, *History of the Armenians*, p. 20, 243. გრიგოლ ღვთისმეტყველის არალიტურგიკული ჰომილიის (*Oratio 22*) ქართულ თარგმანში, რომელიც ეფრემის მიერ თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის შერულებული, ეს მეტაფორა ბერძნულისაგან დამოუკიდებლად დასტურდება: *მას აქუს სათნოებად სიმტკიცე საქმეთა კეთილთაჲ და არღარა ბრალეულ იქმნების გარეშეთა ცილისწამებითა, დაღათუ სახელ-ედებოდეს ჰინდოთაგანი და ჩუენი*, იხ. ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის დასამშვიდებელ სიტყვათა ეფრემ მცირისეული თარგმანი, გვ. 135.

ნიერებასაგონებელ უჩნს თვსთა შობათა⁷ თვსი იგი უსახურებაჲ. ხოლო უკუეთუ შენცა ყოვლადპატიოსნისა მიერ ესრეთვე განიბჭოს, არა სხვთ ვინამე, არამედ ცხად არს, ვითარმედ თვთ მიზეზისაგან საქმეთაჲსა მახარებელ გექმნეს.

რამეთუ რამცა ყოველთაგანი იყო შენდა უპატიოსნეს, ანუ რაჲღა სიტყუაჲ უბრწყინვალეს თვნიერ გრიგოლისსა და გრიგოლისთა ხედვად და სმენად? ანუ რამცა სხუაჲ იყო სიტყუატკბილ შენდა, ანუ გონებასა ვისსამე გამოკულევად, ვითარ მღვდარისა ამის გონებისაჲ? (რამეთუ ესრეთ ნოდებად მისსა უსაკუთრეს არს); ვისი უბსკრული სიბრძნისაჲ, ვისი სიმაღლე ღმრთისმეტყუელებისაჲ ანუ თარგმანებისა⁸ თანა სიდიდე შეუნიერებითურთ? ანუ რაოდენი რაჲ ყოვლისავე ჯელოვნებისა და ხედვისა და მადლისაჲ?

ამის ყოვლადბრძნისა სიტყუათა, დაღათუ კადნიერება არს, გარნა ეგრეთცა მთნდავე მამათა მიერ თარგმანებულისა და განმარტებული-სა რომელთამე სიტყუათა მათ მიერ სასწრაფოთა უშემოკლებულესად და უგანცხადებულესად ერთად შემოკრებაჲ, ამათ თანა ჩუენმიერისაცა რაჲსმე შეძინებაჲ განმარტებად გულისწმისყოფათა და განცხადებად სიღრმესა მოგონებათასა. მერმეცა, დაღათუ მრავალნი ადგილნი უგულებელსქმნილ იყვნეს ვიეთგანმე, ვითარცა ნუუკუე და მათგან საცნაურნი, ხოლო ვიეთდამე სამოქენეონი ანუ გულისწმისყოფისათჳს თარგმანებათაჲსა, ანუ განმარტებისა შეწყობილებისა სიტყუათაჲსა, ანუ ხედვითისა ზედამდგომელობისა, ანუ ჯელოვნებითთა რათმე ვერაგობათა⁹

³⁷ ყოველთაგანი] ყოველთაგან *H.* ⁴² თანა] თანად *H.* ⁴⁴ მადლისაჲ] მადლისა *H.* ⁴⁶ მთნდავე] მთნდავ *H.* ⁴⁷ სასწრაფოთა] სასწრაფოთაჲ *BH.* ⁴⁸ ჩუენმიერისაცა] ჩუენმიერისა *H.* ⁴⁹ რაჲსმე] რასმე *BH.*

⁷ ბერძნულშია *h wdi~*. თავდაპირველი მნიშვნელობაა *სამშობიარო ტკივილები, მშობიარობა*, აქვს ასევე *ნაშიერი-ს* მნიშვნელობა. ეპისტოლეში ეს ლექსიკური ერთეული *ნაშიერის* მნიშვნელობით არის ნახმარი, მაშინ როდესაც ქართველ მთარგმნელს ეს სიტყვა თავდაპირველი მნიშვნელობით აქვს გადმოტანილი, რაც ბუნდოვანს ხდის პასაჟს.

⁸ ბერძნულშია *frasi~*. თავდაპირველი მნიშვნელობაა *გამოხატვის საშუალება, სტილი*. ამ მნიშვნელობით არის გამოყენებული ეს ლექსიკური ერთეული ბასილთან. *frasi~* კავშირშია ზმნასთან *frazw* – *ჩვენება, მინიშნება, ახსნა-განმარტება*, რასაც ეფუძნება ამ სიტყვის ეფრემისეული თარგმანი: *თარგმანება*.

⁹ ბერძნულშია *efodou~* – *Acc. pl.* სიტყვისა *efodo~* – *საშუალება, ხერხი*. ამ ლექსიკური ერთეულის შესახებ ეფრემთან იხ. აქვე, გვ. 255, სქ. 28.

მოქცევისა და სახისა და თითოფერთა პირთა თარგმანებისა, ამით და
56 ესევეითართა შინა შრომაჲ ჩუენი სასწრაფო იქმნა.

ამათ თანა წერტილებისა რაჲსმე შეწყობისა განგებასა ვაჩუენებთ
58 და ადგილთ შესაბამთა თითოეულისათა, ვითარმედ არა პირუტყულისა
რაჲსამე გამოცდილებისანი არიან იგინი, რაჲთამცა კნინ მხედველთა
60 ოდენ გრძნობასა ახარებდეს, რომელი-იგი შეურაცხსაყოფელ არს ვიეთმე
შეცთომილთათჳს, რომელნი-იგი მათვე მოქცევთა და მათვე შესაკრავთა
62 სიტყუათა ნაწილებისათა სხუა ჟამ სხუებრ მომთხრობელობითა წესსა
სიტყვასა განხრწნიან და ყოველსავე შეწყობილებასა შეამრღუევენ და
64 რეცა განყინულობასა ასოთასა სწამებენ თანადაწსნილობითურთ და
განრღუეულობით წინაუკმორთხმულისა და შენანევრებულისა. არამედ
66 ჯელოვნებისა შენანევრება¹⁰ არს იგი და მოქცევთა შეწყობილება და
წესისაებრ ასოთა შესადგამობისა შემტკიცებულება.

ესევეითარი არს ჩუენი ძღუენი, ჟ ყოვლადმშჳდო, შენ, ეგევეითარისა
სიტყვსმოყუარისა, მიძღუანებული. ამით გისტუმრებთ შენ ყოვლისავე
70 ქებისა და საძღვეველთა ღაღადებისა უმჯობესობითა, რომლისა
საქმისაებრ კეთილადპოვნიერ მყვნა ჩუენ ზეგარდამოჲს მაღლისა
72 მონიჭებამან. რომელი რაჟამს თქუენდა მორთუმევა იქმნეს, ვჰგონებ,
ვითარმედ არა თქუენ მიერ უშუერად შეწყნარებულ იქმნეს, არამედ
74 რაოდენი შეჰგავს აზნაურებასა და მეცნიერებისმოყუარებასა თქუენისა
გონებისასა. ხოლო მიზეზი სიტყუათა ჩემთაჲ აქა დაიწყებოდენ.

⁵⁷ რაჲსმე] რომელთამე *H.* ⁶⁴ თანადაწსნილობითურთ] თანადდაწსნილობითურთ *H.*

⁷³ უშუერად] უშურად *BH.*

¹⁰ ბერძნულშია *tecni~ qesmoi~* – ხელოვნების წესები. ქარულში შენანევრება უნდა მომდინარეობდეს ლექსიკური ერთეულიდან *desmo~ (Dat. pl. desmoi~)* – შეერთება, შენანევრება, *q – d – lapsus calami*-ის შედეგად ბერძნულში.

II. თქუმულისა საკითხავისასა უწყებაჲ მიზეზსა აღვსებისა და პონტოს დაყოვნებისათჳს

ჩანს, ვითარმედ აწინდელი ესე სიტყუაჲ პირველ დიდისა მის სიტყვსაგებელისა, რომელ არს *ვიძლიე*,¹ თქუმულ არს მოძღურისა მიერ, რაჟამს შემდგომად ხუცად ჴელთდასხმისა პონტოს ლტოლვილი კუალად-იქცა მიერ.² და ესე აღვსებად შემოსრულმან შემოკლებით ნარმოთქუა, ხოლო იგი ამისსა შემდგომად საზოგადოდ თჳსაგან აღწერა არარაჲს მქონებელად მიზეზისა და პირისა სადღესასწაულოჲსა. რაჲთამცა ჟამის მოკლებითა სიტყუაჲცა შეამოკლა, ვითარ-ესე ან აღვსებისა დღესასწაულისათჳს მოკლედ თქუა. ვინაჲ ესეცა იცნობების, ვითარმედ *ვიძლიე* თჳსაგან აღწერა, ხოლო ესე ეკლესიასა შინა ნარმოთქუა.³

Tit. H. Argum. ABCH. ⁵ ამის *ABC.* ⁷ სიტყუაჲცა *H.* ⁸ ვინაჲცა ესე *C.*

¹ იგულისხმება გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-2 ჰომილია – *სიტყუა პასუხისგებითი პონტოდ მიმართ ლტოლვილისათჳს და კუალად უკმოქცევისათჳს მიერ ხუცად ჴელთდასხმისა ძლით* (PG 35, col. 408-531), რომელიც ქართულად სამჯერ ითარგმნა (ექვთიმე ათონელი, დავით ტბელი, ეფრემ მცირე). სამივე ტექსტი იწყება სიტყვით: *ვიძლიე*. კომენტარში მითითებულია ჰომილიათა შექმნის თანამიმდევრობა, განსაზღვრულია მათი ჟანრი: აპოლოგეტური სიტყვა – *დიდი სიტყვსაგებელი* (*Oratio 2*), რომელიც გრიგოლმა დაწერა სადღესასწაულო სიტყვის, „აღვსებისათჳს და დაყოვნებისა“ (*Oratio 1*) შემდეგ.

² ათენში განათლების მიღების შემდეგ თავის მშობლიურ ქალაქში, ნაზიანზში დაბრუნებული გრიგოლი მამამ, უფროსმა გრიგოლმა, რომელიც იმ დროს ნაზიანზის ეკლესიის მღვდელმთავარი იყო, მღვდლად აკურთხა. გრიგოლმა, რომლის ოცნება ასკეტური ცხოვრება და ლიტერატურული საქმიანობა იყო, ეს ძალდატანებად აღიქვა, დატოვა ნაზიანზი და თავის მეგობართან, ბასილი დიდთან, პონტოში გაიქცა. იქიდან დაბრუნებულმა აღდგომის დღესასწაულზე ნარმოთქვა თავისი პირველი სადღესასწაულო სიტყვა, რომელშიც აღდგომაზე, როგორც უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულზე საუბართან ერთად, მინიშნებებით თავის პირად პრობლემებსაც შეეხო. საკითხებს მოძღვრის პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შესახებ გრიგოლი უფრო ღრმად და ვრცლად განიხილავს თავის მე-2 ჰომილიაში.

³ კომენტატორი ერთმანეთისაგან მიჯნავს საკითხავის შექმნის ორ ხერხს. ერთია საკითხავის ზეპირად შეთხზვა და ეკლესიაში ნარმოთქმა, მეორე – საკითხავის მარტოობაში დაწერა. შდრ. მარგინალური შენიშვნა, რომელიც ეფრემ მცირეს უნდა ეკუთვნოდეს: *შეისწავე, ვითარმედ წერიტსა გამოთქუმასა „აღმწერელობა“ სახელ-ედების, ხოლო ზეპირით ნარმოთქუმასა – ომილია, ესე იგი არს „პირისპირ ზრახვა“* (A-292, 317r).

1. ალდგომისა დღე, და დასაბამი მარჯუე *Iber.* (1, I. 1) – ἡ Ἀναστά-
 2. σεις ἡμέρα, καὶ ἡ ἀρχὴ μετὰ *Gr.* (PG 35, 396 A 3): ესე სიტყუაჲ თესაგან
 მოკუეთით ითქუმოდენ, რამეთუ ნაკლულ არს სიტყვსაგან სრულმყოფე-
 4. ლისა.⁴ და დაღათუმცა სრულ იყო ქუემოჲ, ზემო არს მეორე პირველ.⁵
 ამისსა შემდგომად იტყვს დასაბამი მარჯუე, რომელი-ესე კეთილობისა
 6. ნაცვალი არს, რამეთუ დასაბამ კეთილსიტყუად დაწყებისა თესისა
 უწოდს დღესა ალდგომისასა. რამეთუ თვთ საქმით იწყო თვნიერ შესავა-
 8. ლისა სადმე, არამედ არავე უწელოვნოდ, რომელი სხუაგანცა გვთქუამს,⁶
 ვითარმედ არცა ესე უწელოვნო არს და ვითარ დამთხუევით ქმნულ.
 10. რამეთუ წინაშესავალად დაგიცვა შენ ალდგომისა დღე, ვითარცა წინა-
 დანესებისა გულისწმისყოფასა მქონებელი, ხოლო შესასრულებელ მისსა

1. *ABCH.* ²⁻⁵ ესე სიტყუაჲ ... იტყვს] შეისწავე *AC.* ⁷ რამეთუ *om. B.* ⁷⁻¹² საქმით ...
 სათხოველსა თესსა *om. AC.*

⁴ კომენტატორი საუბრობს ჰომილიის პირველი ფრაზის (ალდგომისა დღე) ნა-
 კითხვის წესსა და მის სპეციფიკაზე (ნაკლულობა). ეფრემი განაგრცობს ბასი-
 ლის აზრს. მისი შენიშვნით, ფრაზას აკლია სრულმყოფელი სიტყუა – იგულისხ-
 მება ზმნა, რომელიც არ არის ჰომილიის პირველ ფრაზაში. ნიშანდობლივია, რომ
 ამ საკითხავის ექვთიმე ათონელის თარგმანში ჩამატებულია ზმნა: ალდგომისა
 დღე არს (*Oratio 1, Iber. p. 2*)

⁵ ჩვენი აზრით, ტექსტის ეს ადგილი ბუნდოვანია. ბერძნულში, შესაბამის ადგი-
 ლას, საუბარია პუნქტუაციის ნიშანზე: w~ ei kai teleion hn th anw deuterā.
 (პუნქტუაციის სისტემის შესახებ ბასილი მინიმუსის კომენტარებში იხ. აქვე, გვ.)
 anw deuterā stigmh ყოფს წინადადებებს, რომლებიც kai-თი არის შეკავშირე-
 ბული (სასვენ ნიშანთა თანამედროვე სისტემიდან მას ყველაზე მეტად მძიმე შეე-
 საბამება). ბასილის კომენტარების ეფრემისეულ თარგმანში anw deuterā-ს შე-
 სატყვისი ტერმინი, ან ამ ტერმინის შესაბამისი აღწერითი თარგმანი საერთოდ
 არ დასტურდება.

⁶ ბასილი მინიმუსი იმონებს საკუთარ კომენტარს, რომელსაც ის ურთავს
 გრიგოლის „შობის საკითხავის“ (*Oratio 38*) დასაწყისს – ქრისტე იშვების,
 ადიდებდით, ისეთივე ლაკონურს, როგორიც პირველი ჰომილიის დასაწყისია.
 ბასილის შენიშვნით, ვრცელი შესავლის გარეშე „შობის საკითხავის“ დაწყება
 გრიგოლის უწელოვნობის ან შემთხვევითობის ბრალი არ არის: კეთილად-
 სწავლულებისა და სიმდიდრისა ძლით მოღებულ არს აწინდელი არაქმნაჲ წი-
 ნაშესავალისაჲ. ვინაჲთგან აღსარებული აქუნდა მიზეზი საქმისაჲ, ვითარცა
 დიდებულებისა პირთაჲსა მქონებელი, რომელი-ესე ცხად არს, რომლისათჳს
 შემოკრებულ იყვნეს, ვითარცა დიდისა საქმისა. ვინაჲცა ნამეტნავ იყო წინა-
 შესავალთა ჭუმევაჲ, რამეთუ არა არს ოდესმე, რომელ მოსწრაფეყოფისათჳს
 სხუათაჲსა მოვიპოებთ წინაშესავალთა და ყოვლად არასამეცნიეროდ, არამედ
 რეცა საწელოვნოდ თანაშედარებითა ჟამთაჲთა (*Comm. 38, Iber. argum.*).

ყო და დასაბამი მარჯუე. ხოლო შემდგომითა წინა-გიყოფს შენ სა-
თხოელსა თვსსა.

12

2. ვჰრქუათ ძმა მოძულეთაცა ჩუენთა⁷ *Iber.* (1, l. 3) – εἴπομεν, ἄδελφοί, καὶ τοῖς μισοῦσιν ἡμᾶς *Gr.* (PG 35, 396 A 5): ესრეთ იტყვს, ვი-
თარმედ თვსებითი ესე სახელი ძმობისაჲ არა ხოლო მოყუარეთა, არამედ
მოძულეთაცა ჩუენთა ვჰრქუათ, რამეთუ ძმა ვართ ბუნებითად, ვითარცა
ერთისა ბუნებისანი, და სარწმუნოებითა, რამეთუ მისვე ღმრთისა მი-
მართ გურწმენა ყოველთა. ვინაჲცა ძმებრივად ერთცნობობად კეთილსა
ზედა თანამდებ ვართ ყოველნი, ამისთვის აღდგომისა დღისა პატივად
ყოველივე შეუწდოთ ურთიერთას.

2

4

6

8

3. ვსცეთ ურთიერთას მიტევება, მე, მიმძლავრებულმან კეთილ-
მძლავრებითა, რამეთუ ამას ან შევსძინებ, და თქუენ, კეთილმძლავ-
რებულთა, უკუეთუ რასმე მაბრალობთ დაყოვნებისათვს *Iber.* (1, l. 5-9) – ἡμεῖς συσχυῶμεθα ἀλλήλοις, ἐγὼ τε ὁ τυραννιθεὶς τῇ καλῇ
τυραυνίᾳ, τοῦτο ἔαβ ἡμῖν προστίθῃμι, καὶ ὑμῖν οἱ καλῶς τυραννῆσαν-
τες, εἰ τί μοι πρέβοιςθε *Gr.* (PG 35, 396 A 6-10): აქა იპოების მოქცევი
სიტყვისაჲ. ხოლო შენ რაჲთა ადვილად გულისჴმა-ჰყო, რაჴამს სთქუა,
ვითარმედ ვსცეთ ურთიერთას მიტევება, მყის შენდობასა თანა-მოჰკიდე
გონებითა, ვითარმედ ესე არს შესანდობელი – უკუეთუ რასმე მაბრა-
ლობთ დაყოვნებისათვს, რამეთუ სხუაჲ იგი შუაშემოღებულ არს.⁸

2

4

6

8

10

4. კეთილმსახურებით ორივე, იგი – თვსისა უძლურებისათვს და
ესე – მწოდებელისა ძალისათვს *Iber.* (1, l. 15-16) – εὐσεβῶς ἀποφότερα,
τὸ πὲν διὰ τῇ οἰκείᾳ ἀσφένειᾳ, τὸ δὲ διὰ τῇ τοῦ καλοῦντος
μῦσῃ *Gr.* (PG 35, 396 B2-3): რაჲ იგი? არამედ მირიდებაჲ თვსისა
უძლურებისათვს ვყავ; და ესე – რომელ არს მზად მოსრბაჲ წინადაუდ-
გომელისა მისთვის მწოდებელისა ძლიერებისა.⁹

2

4

6

¹¹ წინა-მიყოფს *H*; შენ ჩუენ *H. cfr soi Paris. Coisl.* 240, 134 v. 2. *A'BH* (*C om.*). 3. *A'BH* (*C om.*). ⁷ რაჲთა რამეთუ *A.* ¹⁰ რამეთუ ხოლო *A.* 4. *A'BH* (*C om.*). ⁵ თვსისა *om. BH.*

⁷ *Isa.* 66, 5; ეს ფრაზა დასტურდება გრიგოლ ღვთისმეტყველის 22-ე ჰომილი-
აშიც (თავი 16).

⁸ ბასილი მინიმუსის შენიშვნით, მოქცევი (*periodo~*) განყვეტილია ჩანართით
(შუაშემოღებულით). წინადადებიდან აზრის გამოსატანად მკითხველმა მისი
დასაწყისი და ბოლო ნაწილი ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს. ამ რიტორი-
კული ხერხის, პარენტესისის შესახებ „ბასილი დიდის ეპიტაფიის“ ბასილი
მინიმუსის კომენტარის ქართულ თარგმანში აღნიშნულია: ესე რიტორე-
ბრი ჯელოვნებაჲ არს, რაჲთა თავსა იწყოს და შუაშემოღებითა სხუათა
სიტყუათათა განკუეთოს სიტყუაჲ (*Comm.* 43, *Iber.* 1).

⁹ გრიგოლი საუბრობს მიზეზებზე – რატომ აარიდა თავი მღვდლის მოვალეო-

5. საიდუმლომან მცხო მე, საიდუმლოსა მცირედ განვეშორე,
 2 რაოდენ თავის განცდადმე. საიდუმლოსაცა თანა შემოვალ *Iber.* (2,
I. 1-3) – *Μυστήριον ἔχρισέ με, μυστήριον μικρὸν ὑπεχώρησα, ὅσων*
 4 *ἐμαυτὸν ἐπισκέψασθαι, μυστήριον καὶ συνεισέρχομαι Gr. (PG 35, 396 B*
 6 **6-8)**: გინათუ საიდუმლოდ საღმრთოსა მას საცხებელსა იტყვს სულისა
 8 წმიდისასა ჴელთდასხმისა მიერ, რომლისათესცა თქუა მცირედ განშორე-
 10 ბაჲ საიდუმლოჲსა სიტყვსაგან ვიდრე განხილვადმდე თავისა თჳსისა და
 12 ცნობად ძალსა მცხებელისასა. ხოლო ან საიდუმლოსა თანა შემომავალი
 14 ცხად-ჰყოფს დროებისა თანა წარუვალად ცვალებასა.
- გინათუ სხუათა ვიეთმე უმარტივესთა სიტყვსაებრ, ვითარმედ საიდ-
 უმლოსა შინა ნუუკუედა ქრისტეს შობისასა ცხებული საცხებელითა
 მღვდლობისათა საიდუმლოსა თანა განცხადებისასა განეშორა პონტოდ
 წარსლვითა. ხოლო ან საიდუმლოსა თანა აღვსებისასა შემოვალს, ვი-
 თარცა თჳთვე იტყვს ამას.¹⁰

5. *AA'BCH.* ⁵⁻¹⁰ გინათუ საიდუმლოდ ... სიტყვსაებრ] შეისწავე *AC.* ⁵ საიდუმლოდ-რე
H. ¹¹ ქრისტე *B.* ¹² პონტოჲთ *AC.* ¹⁴ ამას] ამათ *A.*

ბას (პონტოში გაქცევა) და რატომ იტვირთა შემდგომში მოძღვრის მძიმე
 მისია (ნაზიანზში დაბრუნება). ეს მსჯელობა გრიგოლს მისთვის ჩვეული
 ლაკონურობით ანტითეტურ ფრაზაში (კოლონიში – *to men ... to de*) აქვს
 ჩამოყალიბებული. ბერძნულ ტექსტში მოკლედ არის განმარტებული ამ
 მსჯელობის მხოლოდ ერთი ნაწილი: *to men dia thn oikeian asqeneian –*
Comm.: to upocwrhsai, tode to prosdramein (Paris. Coisl. 240, 134v). ქარ-
 თულ თარგმანში გაშლილი, პერიფრაზირებულია გრიგოლის მთელი კოლონი.
 განმარტების სიცხადისათვის გამოყენებულია შეკითხვები. ფაქტობრივად, ეს
 არის გრიგოლის ტექსტის ეფრემისეული კომენტარი.

- ¹⁰ მოცემულია გრიგოლის ერთი პასაჟის ორგვარი განმარტება: ერთი მხრივ, გან-
 მარტებულია მღვდლად კურთხევის მისტიკური მხარე, მეორე მხრივ, მოცემუ-
 ლია იმავე პასაჟის განმარტება *სხვა მარტივი სიტყვით* (*kata eteron aplousteron*
logon, Paris. Coisl. 240, 135r), გრიგოლის ცხოვრების დეტალებთან კავშირში – ის
 მღვდლად აკურთხეს ქრისტეს შობის დღესასწაულზე, ნათლისღების დღესას-
 წაულზე გაიქცა პონტოში და აღდგომის დღესასწაულზე დაბრუნდა ნაზიანზ-
 ში. ქართული თარგმანის მიხედვით, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს
 ბასილს აქ მოყვანილი აქვს სხვა კომენტატორთა განმარტება (*გინათუ სხუათა*
ვიეთმე უმარტივესთა სიტყვსაებრ). კომენტარების კომპილაციურ ხასიათზე
 ბასილი თავადაც მიუთითებს ეპისტოლეში კონსტანტინე პორფიროგენეტის
 მიმართ (*მთნდავე მამათა მიერ თარგმანებულისა და განმარტებულისა რო-*
მელთამე სიტყუათა მათ მიერ სასწრაფოთა უშემოკლებულესად და უგანცხა-
დებულესად ერთად შემოკრებაჲ, ამათ თანა ჩუენმიერისაცა რაჲსმე შეძინებაჲ
განმარტებად), მაგრამ განმარტების ბერძნულ ტექსტში ამ კუთხით არაფერია
 ნათქვამი.

6. და ახალი რაჲ კაცი შემოსოს, მიმცეს ახალსა დაბადებულსა საღმრთოდ შობადთასა მოქმედად კეთილად და მოძღურად *Iber.* (2, l. 6-8) – καὶ τὸν καινὸν ἐκμύσας ἀμφοῖν μὴ τῇ καινῇ κτίσει, τοῖς κατὰ Θεὸν γεννημένοις, πλάσῃ ἀγαθὸν καὶ διδάσκαλον *Gr. (PG 35, 397 A 1-3)*: ახლად კაცად მღდელობასა უწოდს, რამეთუ ნათლისღებისა-
მიერი ადრევე შეემოსა.¹¹ ხოლო ახლად დაბადებულად მის აღვსებისა
ახალნათელღებულთა უწოდს. ხოლო მოქმედად და მოძღურად თავსა
თვსსა იტყვს.

7. გუშინ ტარიგი დაიკლვოდა და იცხებოდეს წყირთლნი და იგლოვნა ეგვპტემან პირმშონი *Iber.* (3, l. 1-2) – ἤμῃς ὁ ἀπαυὸς ἐσφά-
ζετο, καὶ ἐχρίοντο αἱ φλῖαι, καὶ ἐμψύχῃσεν Αἴγυπτος τὰ πρωτότοκα *Gr. (PG 35, 397 A 6-7)*: ტარიგ არს ქრისტე ღმერთი ჩუენი, ამღებელი
ცოდვათა სოფლისათაჲ, რომლისათჳს მოციქულიცა იტყვს: პასექი ჩუენი
ჩუენთჳს დაიკლა ქრისტე.¹² ხოლო წყირთლნი თვთ ამასვე მოძღუარსა
ამისვე დღესასწაულისა სიტყუასა შინა სახისმეტყუელებით უთარგმნიან
საქმედ და სიტყუად¹³ გინა ხედვად, რომელნი პატიოსნითა სისხლითა
მისითა აღბეჭდულთა მომსრველისა სატანაჲსაგან ლტოლვილ ვიყვე-
ნით, რომლისათჳსცა უნათლავნი და აღუბეჭდველნი სულნი ჰგოდებედ
თვსისა შვილთა მოსრვისათჳს.

8. წმიდად განვილტვენით ეგვპტით და ფარაოჲსაგან, მწარი-
სა მეფისა ... განვთავისუფლდით ... დღესასწაულობად არა ცომითა
ძუელისა სიბოროტისა და განბოროტებისათა *Iber.* (3, l. 5-11) – κα-
θαρῶς ἐβύχουμεν Αἴγυπτον, καὶ Παρὰ τὸν πικρὸν δεσπότην ... ἡλευ-
θερώμεθα ... καὶ ἐορτάζειν, οὐκ ἐν ζύμῃ παλαίᾳ κακίας καὶ πονηρίας *Gr. (PG 35, 397 A 10-15)*: შემდგომად ებრაელთა მღტოლვარეთა ზღვს

6. *ABCH.* ⁸ იტყვს] უწოდს *AC.* 7. *A'BH (C om.).* ⁴ ტარიგი *A'.* ⁷ სიტყუასაცა *A'B;*
შინა *om. A'B.* ¹⁰ ჰგოდებედ] გონებედ *A'B.* 8. *A'BH (C om.).*

¹¹ როგორც გრიგოლის ავტობიოგრაფიული თხზულებებიდან არის ცნობილი, იგი მოინათლა 30 წლის ასაკში, როდესაც ათენში განათლების მიღების შემდეგ დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქში, ნაზიანზში.

¹² *I Cor.*, 5, 7.

¹³ იგულისხმება გრიგოლის 45-ე ჰომილია, რომელიც ასევე ეძღვნება აღდგომის დღესასწაულს („პასექისათჳს სიტყუად მეორე“), შდრ: ტარიგი დაიკლვის და აღი-
ბეჭდვიან პატიოსნითა სისხლითა საქმე და სიტყუად, რომელ არიან ანაგებნი და
მოქმედებანი – წყირთლნი ჩუენთა ბჭეთანი (*Oratio 45, Iber. p. 89*).

განვლისა ესე დღესასწაული იდღესასწაულეს, რომელსა ცხად-ჰყოფს
 8 სახელი ფასეკისაჲ, რომელი ნიაღვლად გამოითარგმანების.¹⁴ ამიერვე
 ჩუენცა, სისხლითა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲთა წმიდად განთავი-
 10 სუფლებულნი საცნაურისა ფარაოვსგან, ამასვე დღესასწაულსა ვდღე-
 სასწაულობთ. ხოლო ძუელი ცომი აქა უღმრთოებისა და ურწმუნოებისა
 12 სახედ შემოიღებვის.

9. გუშინ თანა-ჯუარს-ვეცუმოდე ქრისტეს ... გუშინ თანა-დავე-
 2 ფლვოდე, დღეს თანა-აღვდგები *Iber.* (4, l. 1-3) – *Ἐφ' ἡμῶν σπυστεραοῦμεν*
Χριστῷ, ... ἡμῶν σπυδαπτῶμεν, σήμερον σπυγεῖσθαι Gr. (PG 35, 397 B
 4 *3-5)*: ქრისტეს თანა ჯუარცუმასა, დაფლვასა და აღდგომასა არა ხილუ-
 ლად ჳორცითა, არამედ უხილავად გონებითა იტყვს.

10. ვანაყოფნეთ თავნი თვსნი, უპატიოსნესი და უთვსესი მონა-
 2 გები ღმრთისა, უკუნ-ვსცეთ ხატსა ხატებაჲ, ვიცნათ პატივი ჩუენი,
 პატივ-ვსცეთ სახისდასაბამსა *Iber.* (4, l. 12-15) – *Καρποφοῦσμεν*
 4 *ἡμᾶς αὐτοὺς, τὸ τιμῶτάτου Θεῷ κτῆμα καὶ οἰκειότατον, ἀποδῶμεν*
τῇ εἰκόνι τὸ κατ'εἰκόνα, ὑπαρίσσωμεν ἡμᾶς τὸ ἀξίωμα, τιμῶσμεν

9. *ABCH.* ⁴ დაფლვასა *om. ABC*; და აღდგომასა *bis A.* 10. *A'BH (C om.)*.

¹⁴ ბერძნულში: *meta gar to dielqein feugousi Ebraioi~ thn qallasan auth h eor-
 th eteleito, dhloi de kai tounoma thn diabasin.* ქართულ თარგმანში ფრაზა –
 რომელსა ცხად-ჰყოფს სახელი „ფასეკისაჲ“, რომელი „ნიაღვლად“ გამოითარგ-
 მანების – ბერძნულის გავრცობილ, ექსპოზიციურ თარგმანს წარმოადგენს.
 ეფრემის მიერ ამ კონტექსტისთვის შერჩეული სიტყვის ებრაული ფორმა – ფა-
 სეკი და მისი განმარტება უკავშირდება გრიგოლის 45-ე სიტყვის შემდეგ პა-
 საჟს: პასექსა ამას, დიდსა და სამსახურებელსა, ფასეკ ეწოდების ებრაელთაგან
 ჳმისაებრ მათისა, ხოლო ჳმაჲ ესე ცხად-ჰყოფს ნიაღვლვასა, თხრობითად უკუე,
 ეგვპტით ქანანეად ლტოლვასა ... რამეთუ „საცხორებელისა ვნებისა“ სახელად
 ვიეთმე ჰგონეს ესე, ვინაჲცა გარდმოაელენებდეს რაჲ ჳმასა მას შეცვალებითა
 ფარისაჲთა პარად და კანისაჲთა – ქანად, პასექ უწოდეს დღესა (ეფრემის თარგ-
 მანი, *Oratio* 45, *Iber.* p. 63, 65); პასექსა მას, დიდსა და პატიოსანსა, ფასეკი ეწოდე-
 ბის ებრაელთა ენითა, ხოლო გამოითარგმანების „გამოსლვად“ და მოასწაევბს
 ცხადად ეგვპტით გამოსლვასა ... რამეთუ ვიეთმე სახელად „ცხოველსმყოფელი-
 სა ვნებისა“ ჰგონიეს ესე და ამისთვის გამოსთარგმანებდეს რაჲ ბერძნულისა ენისა
 მომართ, შეცვალებს ფარი იგი პარად და კანი – ქანად და პასექი უწოდეს, რომე-
 ლი გამოითარგმანების „ვნებად“ (ექვთიმეს თარგმანი, *Oratio* 45, *Iber.* p. 62, 64).
 პასექი ებრაული ფორმით დასტურდება სამოციქულოს კომენტარებშიც: ამას
 ჰყოფს დღესასწაულსა მას უცომოებისასა, რომელსა ჰურიანი „ფასეკ“ უწოდიან
 იხ. განმარტება სამოციქულოსი, გვ. 158. იხ. აგრეთვე, ჭელიძე, ძველი ქართული
 საეკლესიო ლიტერატურა, I, გვ. 220-223.

τὸ ἀρχέτυπον Gr. (PG 35, 397 B 11-14): შთაბერვისა და ხატებისათჳს 6
გზნოდს ჩუენ უპატიოსნეს და უთჳსეს მონაგებ ღმრთისა და ამას ცხად- 8
ჰყოფს შემდგომითა: უკუ-ვსცეთ ხატსა ხატებაჲ – ესე იგი არს, რაჟამს 8
განცხადებით გამოიხატნენ ჩუენ ზედა საღმრთონი სახენი და მსგავსე- 10
ბანი, რომელნი გარდასლვისა ცოდვამან შერეენით შეამრღვნა. ხოლო 10
სახისდასაბამისა პატივ იქმნების გამონულილვითი მიმსგავსებაჲ მისი.

11. ვიქმნეთ, ვითარცა ქრისტე, რამეთუ ქრისტეცა – ვითარცა 2
ჩუენ, ვიქმნეთ მისთჳს ღმერთ, ვინაჲთგან იგიცა ჩუენთჳს – კაც 2
Iber. (5, l. 1- 3) – Γενώμεθα ὡς Χριστὸς, ἐπεὶ καὶ Χριστὸς ὡς ἡμεῖς, 4
ϋγενώμεθα θεοῖ δι' αὐτὸν, ἐπειδὴ καὶ αὐτοῦ δι' ἡμᾶς ἀνθρώπου Gr. 4
(PG 35, 397 C 4-6): ქრისტე მოკუდა ჩუენთჳს – იტყჳს პეტრე¹⁵ და ჩუენ 6
დაგვტევა სახე. ან უკუე ვიქმნეთ წმიდა და უვნებელ, რამეთუ ქრისტე, 6
დაიმდაბლა რაჲ თავი თჳსი და გარდამოჭდა ჩუენდა, დაადგრა, ვითარ- 8
იგი იყო წმიდა და უვნებელ, რამეთუ ცოდვაჲ არა ქმნა, არცა იპოვა 8
ზაკუევაჲ პირსა მისსა. ვიქმნეთ უკუე ღმერთ მისთჳს, უხრწნელ ქმნი- 10
თა მისთჳს. ვინაჲთგან იგიცა იქმნა ჩუენთჳს კაც, ვნებულ და მოკუდავ, 10
უკუდავი იგი და უვნებელი.

12. ვერც ერთი რაჲ მისცეს ესე ვითარი, ვითარ თავი თჳსი Iber. 2
(5, l. 13-14) – μήσεῖ μὲ οὐδὲν τοιοῦτον οἷον ἑαυτὸν Gr. (PG 35, 400 A 2
7): ვერარას ესე ვითარსა მისცემს კაცი ღმერთსა, – იტყჳს მოძღუარი, 4
– ვითარ თავსა თჳსსა. ხოლო ვითარ მისცემს? გარნა ესრეთ, რაჲთა 4
გულისჴმა-ყოს საიდუმლოჲსა ამის ძალი და ყოველივე იქმნას მისთჳს, 6
რაოდენ-იგი იქმნა ჩუენთჳს, ესე იგი არს, რამეთუ დაგლახაკნა და შე- 6
მდგომი.¹⁶ ამის ადგილისა სიტყუათა მიერ ქრისტესთჳს თქუმულთა 8
თჳსსაცა მამასა მოასწავებს მოძღუარი, რამეთუ ამიერიითგან მისთჳს 8
სცვალებს, რაჟამს იწყოს.¹⁷

¹¹ გამონულილვით A'B. 11. A'BH (C om.). 12. A'BH (C om.). ⁸ ამიერიითგანსა H.

¹⁵ პეტრე-ს ნაცვლად უნდა იყოს პავლე: Rom. 5, 8

¹⁶ იგულისხმება შემდეგი პასაჟი გრიგოლის ამ საკითხავიდან: დაგლახაკნა, რაჲთა ჩუენ მისითა სიგლახაკითა განვმდიდრდეთ, მონის ხატი მიიღო, რაჲთა ჩუენ აზნ-აურებაჲ მოვიღოთ, გარდამოჭდა, რაჲთა ავმაღლდეთ, განიცადა, რაჲთა ესძლოთ (Oratio 1, Iber. p. 9, 11).

¹⁷ კომენტარის მიხედვით, საკითხავის ამ ადგილიდან თხრობის ობიექტი იცვლება. მანამდე გრიგოლი საუბრობდა ქრისტეზე, ამიერიდან თხრობა ეხება უფროს გრიგოლს – გრიგოლ ღვთისმეტყველის მამას.

13. მრჩობლსა მარტივისა წილ მიგცემს თქუენ თავსა თვსსა და
 2 ჰყოფს სიბერისა კუერთხსა კუერთხ სულისა *Iber.* (6, l. 5-7) – *καὶ*
διπλοῖμι ἀπὸ ἀπλοῖ διμῶσιμ ἡμῖν ἑαυτὸν, καὶ ποιεῖται τῆν βακτηρίαν
 4 *τοῦ ἡρώδους βακτηρίαν τοῦ πνεύματος Gr. (PG 35, 400 B 4-6):* ესე იგი
 არს: მამა ჩემი ნაყოფად შესწირავსო თქუენთვის მღვდლობასა ჩემსა,
 6 რომელსა ვერვინ თქუენგანი ებძვოს, ვითარ ყოველივე თვისი შეუწირავს
 ღმრთისა და თქუენდა. რამეთუ თავისა თვისისა მარტივსა მწყემსობასა
 8 თქუენთვის მრჩობლ ჰყოფს თანამწყემსობითა ჩემითა. და მე, კუერთხსა,
 ჯორციელად სამსახუროსა და მისაყრდნობელსა თვისისა სიბერისა, კუერთხ
 10 მყოფს, მისაყრდნობელ სულისა, რომელ არს სულისამიერი ჰყრობაჲ
 სამწყსოთა.¹⁸

14. და შესძინებს უსულოსა ტაძარსა თანა სულიერსა, შუენიერსა
 2 ამას და ზეცისასა – ესოდენსა უკუე და რაბამსა *Iber.* (6, l. 7-9) – *καὶ*
προστήξῃ τῷ ἀψύχῳ ἡμῶν τὸν ἐπιψυχου, τῷ περὶ λαλλεῖ, τῷ δὲ καὶ
 4 *οὐρανίῳ τὸν ὁποιοῦσιν καὶ ἡλικόν Gr. (PG. 35, 400 B 6-8):* არა სამძი-
 მარ¹⁹ არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ არა თვთ იტყვს სიდიდესა და სიკეთესა
 6 თვსსა, არამედ მსმენელთა ბჭობისა მიმართ მიაგდებს, ვითარმედ: თქუენ
 საჯეთ ესოდენობაჲ სიდიდისაჲ და რაბამობაჲ შუენიერებისაჲ.

15. ეჰა, დიდსულობასა, გინა უჭეშმარიტეს თქუმად, შვილისმო-
 2 ყუარებასა *Iber.* (6, l. 14-15) – *ὦ τῆς μεγαλοψυχίας ἡ τό γε ἀληθέστερον*
εἶπεῖν, τῆς φιλοτεκνίας Gr. (PG 35, 400 B 12-13): ამას გამოჩინებაჲ აქუს
 4 მამისა მისისა სარწმუნოებისაჲ ღმრთისა მიმართ და შესაწირავისა სი-
 დიდისაჲ. ხოლო ამისი ზედადართვაჲ, ვითარმედ *უჭეშმარიტეს თქუმად*
 6 *შვილისმოყუარებასა*, განმართვაჲ არს დიდსულობისაჲ, ვითარმედ ფრიად
 უფროჲს სარგებელ ეყო მამაჲ მას, რომელი შეწირა ღმრთისა, ვიდრელა
 8 მოიმადლებდამცა ღმერთსა, რომლისადა-იგი შეეწირა შვილი თვისი.

16. მწეცთა, სიჭაბუკესა, ტაძარსა, მღვდელთმთავარსა, მკვდრო-
 ბისმცემელსა და მკვდრსა ... ამას სადმე თქუენ დიდი ესე აბრა-
 2 ჰამ მამათმთავარი *Iber.* (6, l. 15 – 7, l. 2) – *τῆν πολιάν, τῆν*
νεότητα, τὸν ἡδὸν, τὸν ἀρχιερέα, τὸν κληροδότην, τὸν κληροῦ-
 4 *μον ... Ταῦτα πὲν οὖν ἡμῖν ὁ σεμνὸς Ἀβραάμ οὗτος, ὁ πατριάρ-*

13. A'BH (C om.). ⁸ თქუენთვის] თქუენსა H. 14. A'BH (C om.). 15. ABH (C om.).

¹⁸ მხატვრული სახის (მეტაფორის) – *კუერთხის* – განმარტება.

¹⁹ არა სამძიმარ – *ἀνεπαρχῆ* – არა სამძიმო.

χῆς Gr. (PG 35, 400 B 13 – C 9): ესე გონებითა ამასვე შეადგ, ვინაჲ 6
გამოჰყუეთა შუა შემოსლვამან *ეჰაჲსამან*, რაჲთა ესრეთ გულისჴმა-ჰყო, 8
ვითარმედ ყოველსავე შეგძინებს თავისა თჳსისასა: მჴცეთა, რომელ არს 8
თავი თჳსი, სიჴაბუკესა, რომელ არს ძე მისი, ტაძარსა, რომელ არს 10
ეკლესიაჲ, რომელი თვთ ბრძენმა გრიგოლი, მამამან ღმრთისმეტყუელისა 10
გრიგოლისმან, აღაშენა ანზიანზოს.²⁰ ვინაჲცა *მკვდრობისმცემელად* და 12
მღდელთმთავრად და *მჴცოვნად* აქა მამასა უწოდს. ხოლო *სიჴაბუკედ* 12
და *მკვდრად* თავსა თჳსსა იტყვს და სიტყუათა თჳსთა, რომელთა გულთა 14
ზედა სიღრმედ სულისა მიერ წერისა სახედ შემოიხუნა ფიცარნი მოსეან- 14
ნი.²¹ ხოლო აბრაჰამად ბერსა იტყვს, მამასა თჳსსა.

**17. სრულებაჲ მღდელობისაჲ Iber. (7, l. 4) – ἡ τῆς ἱερωσύνης τελεί- 2
ωσις Gr. (PG 35, 400 C 11):** სრულებად მღდელობისა უწოდს მამასა თჳსსა 2
ანუ ვითარცა სრულმყოფელსა თჳსსა მღდელობითა, ანუ ვითარცა არა- 4
რაჲთ ნაკლულევანსა სამადლოდ ყოველთა სათნოებათაგან სრულებათა. 4

**18. ნეფსითა მსხუერპლსა Iber. (7, l. 4-5) – ὁ τῆς ἐκούσιου θυ- 2
σίου Gr. (PG 35, 400 C 11-12):** თავსა თჳსსა უწოდს *მსხუერპლ*, რამეთუ 2
აღთქუმულ იქმნა მშობელთაგან, ვითარცა პირმშოჲ შეწირვად ღმრთისა. 2

**19. მკვდრნი ადგილთა მწუანვილოვანთა და ზრდილნი წყალთა 2
ზედა განსუენებისათა²² Iber. (7, l. 8-10) – εἰς τόπον ἁλῆς κατα- 2
κλιούμενοι καὶ ἐπὶ ὕδατος ἀναπαύσσεως Gr. (PG 35, 400 C 14 – D 1):** 4
სამწყსოთა მიმართ არს ესე, რამეთუ მათი არს, რაჲთა იმწყსებოდინ 4
წყალთა და ველთა ზედა, რომელნი სახისმეტყუელებით შემოიღებვიან 6
სიტყუათა ზედა საღმრთოთა და შჯულთა მართლმადიდებლობისათა და 6
სწავლათა. რამეთუ ვითარ-იგი პირუტყუნი – მათგან, ეგრეთვე პირმე- 8
ტყუელნი ამათგან იზარდებიან და განისუენებენ. 8

**20. უცხოთა არ შედგომილნი Iber. (7, l. 12-13) – ἄλλοτρίω δὲ πῇ 2
ἀκολουθοῦντες Gr. (PG 35, 400 D 4-5):** უცხო არიან სხუებრ მზრახვალნი 2
და მწვალებელნი, რომელნი არა კარით ქრისტეს სახარებისაჲთ წესისაებრ 4
შემოვლენ, არამედ ავაზაკებრ და მძლავრ ზღუდით გარდამოჴდებიან. 4

16. ABCH. ⁶⁻⁷ ესე გონებისა (B) ... რაჲთა *om.* AC. ⁷ გულისჴმა-ყავ AC. ⁸ თჳსისა AC. ¹¹ ანძიანძოს AC. ¹⁴ წერის AC. **17. A'BH** (C *om.*). **18. ABCH.** ² მსხუერპლად AC. ³ შესანიშნავად C. **19. A'BH** (C *om.*). **20. A'BH** (C *om.*).

²⁰ ნაზიანზში გრიგოლის მამის მიერ აშენებული ტაძრის აღწერა მოცემულია გრიგოლის მე-18 ჰომილიაში (თავი 39).

²¹ II Cor. 3, 2-3.

²² Cf. Psal. 22, 2.

21. რომლისაგან მეყავნ ჩუენ ყოველთა – მწყემსთანა და სამწყსო-
2 სა *Iber.* (7, l. 24-25) – ἡ εἰς πάντα, καὶ ποιμένας καὶ ποιῶνιον *Gr.* (*PG*
35, 401 A 10): საზოგადოდ ილოცავს მწყემსთათჳს და სამწყსოთა, რაჲთა
4 მარადის შედგომილ იყვნენ ჳმასა პირველისა მის მწყემსისა, ქრისტესსა,
და შჯულთა მისთა მართლმადიდებლობისათა.

21. *A'BH* (*C om.*).

III. [თარგმანებაჲ ნათელთათჳს]

1. კუალად იესუ ჩემი და კუალად საიდუმლოჲ *Iber.* (1, 1, 1. 1) – *Ἡάλιν Ἰησοῦς ὁ ἐμὸς, καὶ πάλιν μυστήριον Gr. (PG 36, 336 A 1):* კუალადობასა ამას ქრისტე იშვეებისა¹ მიმართ აქუს შემდგომობაჲ, და ეგრეთვე – საიდუმლოსა, რამეთუ მუნ ეთქუა: რაჲ არს ჩემზედაჲ ესე საიდუმლოჲ.² ხოლო იესუჲს და არა ქრისტეს თქუმიტა აქა ამას ცხად-ჰყოფს, ვითარმედ ერთ და იგივე არს იესუ და ქრისტე. გინათუ მუნ „შობისასა“ შინა საჭიროდ უწმდა თქუმად ქრისტე,³ რაჲთა ორნივე ცხად-ყვნეს – ცხებული და მცხებელი, რაჲთა არა ხილულისად ოდენ საგონებელ იყოს შობაჲ, რომელი საეჭუელ არს, რაჟამს იესუ ითქუმოდის. ხოლო მრავალმოქცეობანი ესე სახელთანი – კუალადი და კუალადი, საიდუმლოჲ და საიდუმლოჲ – არა ხოლო შუენიერად შემოსილებასა და სათნოდ შეწყობილებასა წინაშესავალისასა მოასწავებენ, არამედ ზეშთაღმატებულებასაცა მხიარულებისასა.⁴ რამეთუ ჩუეულებაჲ არს მრავალგზის ცხად – სახელსა სასურველისასა, ვითარ-იგი არცაღათუ ერთგზის – საძულელისასა,⁵ ვითარ-ესე ან მოძლუარი – ყოველთა მაცხოვრისა.

Tit. om. 1. aB (C non leg.) H. ⁸ ცხად-ყვნეს] ცხად-ჰყოფსა *a*; ცხებული] ცხებულნი *a*; მცხებელი] მცხებელნი *a*. ¹² ზეშთაღმატებულებასაცა] ზეშთაღმატებულებისასა *a*. ¹³ მხიარულებისასა] მხიარულებასა *a*. ¹⁵ მაცხოვრისა] მაცხოვარსა *B*.

¹ იგულისხმება გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობის“ საკითხავი, რომლის დასაწყისია: *ქრისტე იშვების (Oratio 38, Iber. 1, p. 51, l. 1) – Cristo- gennatai (PG 36, 312 A 3).*

² აქ უნდა იგულისხმებოდეს გრიგოლ ღვთისმეტყველის „აღესების“ საკითხავის II თავში სამჯერ ნახსენები *საიდუმლო: ს ა ი დ უ მ ლ ო მ ა ნ მ ც ხ ო მე, ს ა ი დ უ მ ლ ო ს ა მ ც ი რ ე დ გ ა ნ ვ ე შ ო რ ე, რ ა ო დ ე ნ თ ა ვ ი ს გ ა ნ ც დ ა დ მ ე. ს ა ი დ უ მ ლ ო ს ა ც ა თ ა ნ ა შ ე მ ო ვ ა ლ (Oratio 1, Iber. p. 5, l. 1-3) – Musthriw ecrise me, musthriw mikron upecwrhsa, oson emauton episkeyasqai, musthriw kai suneisercomai (PG 35, 396 B 6-8).* ამ პასაჟის ბასილი მინიმუსის განმარტებით, გრიგოლი მღვდლად აკურთხეს ქრისტეს შობის დღესასწაულზე, ნათლისღების დღესასწაულზე იგი გაიქცა პონტოში და აღდგომის დღესასწაულზე დაბრუნდა ნაზიანზში (*Comm. 1, Iber. 5*).

³ ისევე საუბარია გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობის“ საკითხავის დასაწყისზე, სადაც მოხსენიებულია ქრისტე. იხ. სქ. 1.

⁴ მხატვრული ხერხი *სახელთა მრავალმოქცეობანი (oi poluplasiasmoi tw n onomatwn – Paris. Coisl. 240, 48r)* საკითხავის *წინაშესავლის (prooimion)* გამშვენებისა და მისთვის საზეიმო ელფერის მიმნიჭებელია. *წინაშესავლის* მხატვრულ ფუნქციაზე ბასილი მინიმუსი გრიგოლის სხვა საკითხავთა კომენტარებშიც საუბრობს (*Comm. 38, Iber. argum., Comm. 43, Iber. argum.* და სხვ.).

⁵ რიტორიკული ხერხის, ევფემიზმის შესახებ ბასილი მინიმუსთან და ეფრემ მცირესთან იხ. აქვე, გვ. 46-47.

- 16 რამეთუ ესრეთ გამოითარგმანების: იესუს თჳსად განისაკუთრებს, გი-
 18 ნათუ რამეთუ სათნოებითა თჳსად განისაკუთრებენ ღმერთსა წმიდანი
 20 მადლით შვილქმნულებისათჳს მისისა, გინათუ ყოველთა კაცთა ცხოვნე-
 22 ბად თჳსად მარტოდ განიკუთნა ერთბუნებაობისათჳს კაცთა ნათესავისა.
 ხოლო აკლს სიტყუასა ამას სრულმყოფელი რაჲმე ნაკლულსიტყუაობი-
 საებრ ფილოსოფოსთაჲსა,⁶ რაჲთამცა სთქუ დართვით, ვითარმედ: *მოვ-*
იდა. ესე იგი არს: კუალად იესუ მოვიდა, კუალად საიდუმლოჲ მოიწია.

2. არამედ საიდუმლოჲ Iber. (1, l. 6) – ἀλλὰ μυστήριον Gr. (PG 36, 336 A 6): ამას სიტყუასა, პატიოსნებასა თანა, ფრიადობაჲცა აქუს ბრწყინვალეებითურთ, რამეთუ გრძელშენადგამ არს.⁷

3. რამეთუ წმიდაჲ ნათელთა დღე Iber. (1, l. 8) – ἡ γὰρ ἀγία τῆς φωτὸς ἡμέρα Gr. (PG 36, 336 A 7-8): აჰა, შემზადებაჲ წინადადები-
 2 საჲ მიზეზისაგან საქმისა. გინათუ ესრეთცა, რამეთუ არა ხოლო და-
 4 საბამი გჳრჴენა დღესასწაულისაჲ, ვითარ-იგი ქრისტეს შობისაჲ, არამედ
 6 საჴმარებაჲცა და მოქმედებაჲ მისი მცირედითა სიტყვთა წარმოგვდგინა.
 ხოლო *დღესობისა* თქუმითა განცხადება-ჰყოფს ბრწყინვალეებასა დღე-
 სასწაულისაჲ, ვითარმედ შეიმკო დღე ესე ქრისტეს ნათლისღებითა.

4. ჩემისა ქრისტეს Iber. (1, 2, l. 10) – τοῦ ἐμοῦ Χριστοῦ Gr. (PG 36, 336 A 9): იხილე, ვითარ ზემო თქუა *ჩემი იესუ*⁸ და აქა – *ჩემი ქრისტე*, რაჲთა ცხად-ყოს, ვითარმედ ერთ და იგივე არს იესუ ქრისტე.

¹⁷⁻¹⁸ რამეთუ სათნოებითა ... მისისა, გინათუ *om. a.* ¹⁸ ცხოვნებაჲ აცხოვნებს *a.* **2. BH (Ca om.). 3. aBCH.** ³ ხოლო] თუ *a.* ⁷ ნათლისღებითა] ნათლისღებისა *a.* **4. aB (C non leg.) H.** ³ რაჲთა] რამეთუ *a.*

⁶ ბერძნულშია: *leipei to uparktikon rhma (to estin h om. Iber.) to hlqen (kai paregegonen om. Iber.), in h hlqen Ihsou~ musthrion paregegonen (Paris. Coisl. 240, 48v).* ქართულში სიტყვათა დაკლება შეფასებულია, როგორც რიტორიკული ხერხი (*ნაკლულსიტყუაობისაებრ ფილოსოფოსთაჲსა*). ფილოსოფიის და რიტორიკის ურთიერთმიმართების, ასევე *ფილოსოფიის რიტორიკის* მნიშვნელობით ხმარების შესახებ ბასილი მინიმუსთან, ეფრემ მცირესთან და მიქაელ ფსელოსთან, იხ. ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 181-183.

⁷ კლასიკური რიტორიკის თეორიის მიხედვით, *გრძელშენადგამობა* (*makrokwlia*) სიტყვის გაშლენების საშუალებაა (შდრ. *ფრიადობაჲცა აქუს ბრწყინვალე-ბითურთ*), რის შესახებაც ბასილი მინიმუსი თავის კომენტარებში სხვა ადგილასაც მიუთითებს (*Comm. 43, Iber. argum.*). ამ შემთხვევაში *გრძელშენადგამობას* მიუთითებულ პასაჟში საკმაოდ ვრცელი პარენტეზისის არსებობა ქმნის (*PG 36, 336 A 3-6; Oratio 39, Iber. p. 33, l. 4-6*).

⁸ იგულისხმება *Oratio 39*-ის დასაწყისი: *Ihsou~ o emo~ (PG 36, 336 A 1).*

ხოლო მუნ და აქა ჩემისა და ჩემისა კუალად მოქცევითა გარდამატებ- 4
ულებასა აჩუენებს სიყუარულისასა, გნებაეს თუ ზიარებასაცა ბუნები- 6
სასა, ვითარმედ ბუნებით ღმერთმან ბუნებაჲ ჩემი მიიღო მიღებითა 8
ჯორცთაჲთა, რამეთუ საზოგადოდ ყოვლისა კაცთა ბუნებისა პირითა 8
იტყვს მოძღუარი სიტყუათა ამათ.

5. ჭეშმარიტისა ნათლისასა Iber. (1, l. 11) – τοῦ ἀληθινοῦ φαρῶς 2
Gr. (PG 36, 336 A 10): მისი ჭეშმარიტ ნათელ ნოდებაჲ სხუათა ამათ ნა- 2
თელთა თანაშეტყუებითა უთქუამს, რამეთუ იგი მხოლოჲ არს სამარად- 4
ისობითა ჭეშმარიტ, ხოლო ჩუენშორისნი ესე სხუანი დაჰჳდებიანცა და 4
დაშრტებიანცა, ვითარცა გრძნობადნი და წარჳდომადნი. და თვთ ჩუენ 6
თანა ესე საღმრთოჲ ნათელი ცოდვისა მიერ დაბნელდების და კუალად 6
მთიებ ნოდებულისა მისიცა. რამეთუ ვიხილეო, – იტყვს, – ეშმაკი, ვი- 8
თარცა ელვაჲ, ზეცით გარდამოვრდომილი.⁹ ელვითა უკუე დაშრეტასა 8
მისისა ბრწყინვალეებისასა მოასწავებს.

6. შეენევის ნათელსა Iber. (1, l. 13) – ἰσχυρὸν τῷ φαρὶ Gr. (PG 36, 2
336 A 12): ნათელ უწოდს საცნაურსა სულსა და მეცნიერებასა, რამე- 2
თუ ბნელ უმეცრებაჲ არს. გინათუ ნათელ უწოდს შჯულსა მცნებისასა, 4
რამეთუ სანთელ ფერჳთა ჩემთა – შჯული შენი, – იტყვს, – და ნათელ 4
ალაგთა ჩემთა.¹⁰

7. აწ უკუე ისმინეთ საღმრთოჲსა ჳმისა Iber. (2, l. 1) – Τοῖγαροῖν 2
ἀκούσατε θείας φωνῆς Gr. (PG 36, 336 B 1): აქამომდე იყო წარმოთქუ- 2
მაჲ მიზეზსა დღისასა და უწყებაჲ რაჲსათჳსობასა დღესასწაულისა- 4
სა. ხოლო ამიერიტგან საღმრთოჲსა ჳმისა სმენად გუანუევს. ვინაჲცა 4
სთქუა რაჲ: ისმინეთ საღმრთოჲსა ჳმისაჲ, მყის გონებითა თანა-შეადგ: 6
მე ვარ ნათელი სოფლისაჲ,¹¹ რამეთუ სხუანი იგი სიტყუანი რეცა 6

⁴ ჩემისა კუალად ~ კუალად ჩემისა *a. 5. aB (C non leg.) H.* ² ჭეშმარიტ] ჭეშმა-
რიტად *a.* ⁴ ესე] იგი *a*; დაჰჳდებიანცა] დაჰჳსნდებიანცა *B*, დაჰჳსნებიანცა *a.* ⁹ მი-
სისა] მისსა *a*; ბრწყინვალეებისასა] ბრწყინვალეებასა *a.* **6.** *aBCH.* ⁴ შჯული] სჯული
C; იტყვს *om. aB.* **7.** *aBCH.* გუანუევს] გუანვევს *a*, გუასწავებს *C.* ⁵ თანა-შეადგ]
თანა-შეადგ *a.* ⁶ რამეთუ] ხოლო *BC.*

⁹ *Luc. 10, 18.*

¹⁰ *Psal. 118, 105;* მისდევს გიორგი ათონელის რედაქციას: სჯული] სიტყუაჲ (ადრინ-
დელი თარგმანი).

¹¹ *Iohann. 8, 12;* იბ. *Oratio 39, Iber. p. 35, l. 4.*

შემოღებულნი არიან,¹² რომელთა მიერ მის შორის მვმობარეობასა ამის
8 ჳმისასა გუაუნეებს და ჩუენ შორისცა ყოფად მასვე ილოცავს.

**8. ბნელი ნათელსა შინა ჩანს¹³ Iber. (2, l. 12) – Τὸ φῶς ἐν τῇ σκοτίᾳ
2 φαίνει Gr. (PG 36, 336 B 10):** ბნელ უნოდს ჳორცთა და სანუთოსა ამას.
და კუალად ბნელ იტყვს ეშმაკსა *ძალ წინააღმდეგომ* ¹⁴ წოდებითა მისითა.

**9. იხილეთ მადლი დღისაჲ, იხილეთ ძალი საიდულოჲსაჲ. არა ქუეყა-
4 ნით აჰმალღდით-ა? არა ზე დაისხენით-ა განცხადებულად ამაღლებულ-
2 ნი ჩუენისა მიერ ჳმისა და აღყვანებისა? Iber. (2, l. 20-23) – Ὁράτε τῆς
ἡμέρας τῆς χάρις: ὁράτε τοῦ πνεύματος τῆς δυνάμει· οὐκ ἀπὸ ἧς ἠρχήτε;
4 οὐκ ἀπὸ τέλει· οὐκ ἀπὸ ἀρχῆς καὶ ἀναρχῆς; Gr. (PG 36, 336 C 3-5):** დღისაჲცა და საიდუმლოსაჲცა სრულწერტილად
6 გაკუეთენ და მართლ თქუენ. ხოლო აჰმალღდითსა და დაისხნითსა დიდ-
მოქცევენი დაუსხენ და კითხვის სახედ იტყჳან.¹⁵

**10. რაჟამს წარჰმართოს საიტყუამან სიტყუაჲ Iber. (2, l. 24) –
8 ἐπειδὴν εὐδοκᾷ τὸν λόγον ὁ λόγος Gr. (PG 36, 336 C 7-8):** რაჟამს
2 ბუნებითმან სიტყუამან ღმრთისამან წარჰმართოს აღმოთქუმითი სი-
ტყუაჲ ესევეითართა მოძღუართა ქადაგებისაჲ, მაშინ უმაღლესად აღი-
4 ყვანებიან მოწაფენი მათნი დასხდომად მთავართა თანა ერისათა.

**11. ნუჟუე ესევეითარი არს-ა განწმედაჲ Iber. (3, l. 1) – Μὴ τίς
2 τοιαύτη κάθαρσις Gr. (PG 36, 336 C 10):** ჩუენსა ამას და მადლისასა
2 თანაშეატყუებს ძუელსა მას და შჯულისასა, რაჲთა ამისი უმაღლესობაჲ
აჩუენოს და მისი წინასახეობაჲ ცხად-ყოს.

⁷ შემოღებულნი] შინა შემოღებულ *aC*; შორის] მიერ *H. 8. BH (aC om.)*. **9.** *a'* (*C non leg.*) *H (B om.)*. ⁸ დაისხნითსა] დაისხენითსა *a'*. **10.** *a'B (C non leg.) H. 11.* *a'B (C non leg.) H.* ² მადლისასა] მადლისანი *a'*. ³ შჯულისასა] სჯულისასა *a'B*. ⁴ წინასახეობაჲ] წინასახეობაჲცა *a'*.

¹² საუბარია მოცემული პასაჟის წაკითხვის წესზე – გამოკვეთილია ჩანართი (სი-
ტყუანი შემოღებულნი – იგულისხმება *Oratio* 39, *Iber.* p. 35, l. 2-4) და მითითე-
ბულია, პასაჟის რომელი ნაწილები არის აზრობრივად ერთმანეთთან კავშირში.
ესენია: *ისმინეთ საღმრთოჲსა ჳმისაჲ და მე ვარ ნათელი სოფლისაჲ.*

¹³ *Iohann.* 1, 5.

¹⁴ *Oratio* 39, *Iber.* p. 37, l. 14-15.

¹⁵ შდრ. ბასილი მინიმუსის კომენტარის ბერძნულ ტექსტს: *ei~ to carin kai dunamin teleia, ei~ de to hrqete kai anagwgh~ thn upokrisin ecei meta tou hqou~ th~ erwths~a~ (Paris. Coisl. 240, 49v).* ეფრემი კომენტარს თარგმნის არა სიტყვასი-
ტყვით, არამედ გააზრებულად, ჰომილიის ქართული თარგმანის გათვალისწი-
ნებით. ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 192.

12. ნუჟუე ესევითარსა რასმე საიდუმლოთ-მომრთუმელობენ-ა
ნარმართნი, რომელთაჲ სიჩქურ ჩემდა ყოველი სრულებაჲ და საიდ- 2
უმლოჲ? *Iber.* (3, I. 4-6) – *ἢ τί τοιοῦτο μυσταγωγῶνσι Ἑλληνας; ἢ*
λῆρος ἐπὶ πᾶσα τελετῇ καὶ μυστήριον Gr. (PG 36, 336 C 12-14): ამი- 4
ერთგან თანაშეტყუება-ჰყოფს, და უფროსლა – განქიქებაჲ საწარმ-
ართოთა საცთურთა. ვინაჲცა *წარმართთა*სა კითხვით მოუქციე, ხოლო 6
*საიდუმლო*ჲ სრულწერტილ ყავ. ¹⁶

13. ჯერ-არს, რაჲთა უკუეთუ ჭეშმარიტ არს *Iber.* (3, I. 10-11)
– *δέον, εἰ μὲν ἄληθῆ Gr. (PG 36, 337 A 4):* ესრეთ განმარტებულად 2
გულისჴმა-ყავ მრავალმოქცეობაჲ ადგილისაჲ ამის, ¹⁷ ვითარმედ: უკუეთუ
ჭეშმარიტ არიან თხრობანი წარმართთა კერპებისანი, ნულარა ზღაპარ 4
უნოდენ მომთხრობელნი მათნი. გარნა ესე ხოლო ისწრაფედ, რაჲთა არა
ბილწ იყვნენ ჰამბავნი იგი. ხოლო უკუეთუ ტყუვილ არიან, ტყუვილნი 6
ნუმცა საკრველ არიან და კუალად ამათ თანა ნუ სხუად და სხუად
ნებად განიყოფებიან მისვე და ერთისა საქმისათჳს, რაჲთა რომელნიმე 8
ღმრთად, სხუანი კაცად, სხუანი ჟამად იტყოდინ მასვე და ერთსა

12. *a'B (C non leg.) H.* 13. *a'B (C non leg.) H.* ³ მრავალმოქცეობაჲ] მრავალმოქცეობაჲ
B. ⁸ ნებად *om. B.*

¹⁶ *Ei~ to Ellhne~ h diastolh meta hqou~: ei~ de to musthrion teleia, leipei de to estin* – *წარმართების შემდეგ დიასტოლე წესისამებრ, ხოლო საიდუმლოს შემდეგ – სრულწერტილი, აკლია არის).* ქართული თარგმანი განსხვავდება ბერძნულისაგან. ბერძნულის მიხედვით, პირველი ფრაზის შემდეგ დაისმის *დიასტოლე* – მცირე პაუზის, ელიპტური, ანუ ნაკლები ფრაზის გამომყოფი ნიშანი. ქართულში კი საუბარია პირველი ფრაზის შეკითხვის ფორმით წაკითხვის / წარმოთქმის შესახებ. ბასილის კომენტართა ეფრემისულ თარგმანში სხვა ადგილას (მაგ. *Comm.* 38: 1, 3, 47, 105) დიასტოლე გადმოტანილია ლექსიკური ერთეულით *იგურდიგმოქცევი* და, ისევე როგორც ბერძნულში, ფრაზის *ნაკლულებასთან* / *ნაკლულევანებასთან* არის დაკავშირებული. ამ ნიშნის შესახებ დეტალურად იხ. აქვე, გვ. 42.

¹⁷ ამ ფრაზის შესატყვისი ბერძნულში არ დასტურდება. ბასილი მინიმუმის კომენტართა ეფრემისულ თარგმანში ხშირია *ქცევ-ისა* და მისგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულების გამოყენების შემთხვევები. ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 188. მოცემულ კონტექსტში *მრავალმოქცეობა* ნიშნავს პასაჟში ანტიკური ღმერთების შესახებ ანტიკურ სამყაროშივე არსებული რამდენიმე სხვადასხვა თვალსაზრისის მოყვანას, განსხვავებული მოსაზრებების მონაცვლეობას, რითაც გრიგოლის მიერ მხილებულნი არიან ძველი ბერძნები, რომლებსაც თავიანთი ღმერთების მიმართ ჰქონდათ სხვადასხვავარი, ერთმანეთის გამომრიცხავი დამოკიდებულება.

10 კრონოსს,¹⁸ ხოლო რომელნიმე – დიდად რადმე და წმიდად გონებად,
 12 სხუანი – გრილად და სულელად რეცა უგუნურად, ვითარ-იგი სხუათაცა
 14 პირთათჳს, ეგრეთვე რაჟამს ვიეთნიმე ესედ და ვიეთნიმე იგიდ იტყოდინ
 16 თჳსთა მათ ღმერთთა და თვთმჯულობასა და იცილობებოდინ მისვე და
 18 ერთისა თხრობისათჳს. გინათუ წინააღმდეგომ ნება უნოდს ამას, რამეთუ
 20 ოდესმე ვითარცა ჭეშმარიტსა პატივ-სცემენ და ჰმსახურებენ ამათ, ხოლო
 22 ოდესმე ვითარცა ტყუვილთათჳს ზღაპრისმეტყუელებენ. და კუალად ეს-
 24 ევე ტყუვილნიცა საკვრველ უჩნან, რამეთუ იმხილებიან და ამას ზედა
 26 შეიკდიმებენ ბილწებისათჳს მათისა, რომელთა, ვითარცა ჭეშმარიტთა,
 28 თაყუანის-სცემენ. ვინაცა ივლტიან სიბილწისაგან თხრობათაჲსა და
 30 ბილწთჳმბვობასა რეცა ზღაპარ უნოდენ და ჯელოვნებით მარწმუნე-
 ბლობითა სანერწყუველ ჰყოფენ თვთ იგინივე მათთა, და არა თუ ჩუენ,
 რამეთუ ჩუენ თვთ მათთავე სიტყუათაგან მოვიღებთ შეურაცხყოფასა
 მათთასა. და ესე იყავნ თარგმანებისათჳს სიტყუათაჲსა.

24 ხოლო შენ იხილე მრავალჯელოვანი ესე მთხზველობაჲ მოძღურისაჲ,
 რამეთუ მრავალმოქცევთა ამათ შინა მისთა მრავალთხზულებით შეკ-
 26 რულნი დაანთქნა წინააღმდეგომნი, რაჟამს სახედ ჯელოვნისა მორკი-
 28 ნალისა რიტორებრნი დილიმმანი¹⁹ გარე-მოანყვნა რეცა თუ ხრიკად
 28 ორფერჯებისა, უკუეთუ ამიერ უგოს თეძოდ და იმიერ სხვთა უკუეთუჲთა
 ფილოსოფოსებრი და უფროჲსლა ზეცისა სიბრძნისაგან შემოღებული
 30 შესაბრკოლებელი დაამთხვა.²⁰ რამეთუ ამათ ადგილთა გარეშენი ესრეთ

¹¹ უგუნურად] უგონურად *H.* ¹³ თვთმჯულობასა] თვთსჯულობასა *a'B.* ²⁰ ბილწთჳმ-
 ბვობასა] ბილწჳმბვობასა *B;* რეცა *om. a'B.* ²¹ მათთა] მათ თანა *a';* ჩუენ] ჩუენ-
 თა *a'B.* ²³ მათთასა] მათსა *a'.* ²⁴ მრავალჯელოვანი ესე მთხზველობაჲ] ჯელოვანი
 მრავალმთხზველობაჲ ესე სიტყჳსაჲ *a'B.* ²⁷ დილიმმანი] დილიმანნი *a'.* ²⁸ უკუეთუჲთა]
 უკეთოთათ *a';* უკუეთოჲთა *B.* ²⁹ ფილოსოფოსებრი] ფილასოფოსებრი *a'.* ³⁰ დაამთხვა]
 დაემთხვიოდენ *a';* დაემთხვა *B;* რამეთუ *om. a'.*

¹⁸ შდრ. ზევსის განმარტებას გრიგოლ ღვთისმეტყველის 39-ე ჰომილიის ფსევ-
 დონონეს მითოლოგიური კომენტარში: არა სთნავს ფილოსოფოსთა მათთა,
 რაჲთამცა კაც გინა მსაჯულ უნოდდეს დიოსს ... და ვითარცა ღმერთსა ამსახუ-
 რებენ ყოველთა მიმდგომთა მათთა, რომელი-იგი მძლავრ არს და არა ღმერთ,
Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica, p. 192.

¹⁹ დილიმმა (*dilhmma*) – დილემა. რიტორებრი დილიმმა – კლასიკური რიტორიკის
 ხერხი – დილემა. ამ ტერმინის შესახებ იხ. აქვე, გვ. 63.

²⁰ ყოფითი ხასიათის მხატვრული სახე – რიტორი, რომელიც უკუეთუ სიტყვით მა-
 ნიპულიტების საშუალებით აგებს დილემას და ამხელს ელინებს, შედარებულია
 დახელოვნებულ, გამოცდილ მორკინალთან (მოჭიდავესთან), რომელიც საჭი-
 დაო ილეთის, ორფერჯის გამოყენებით ამარცხებს მოწინააღმდეგეს.

უნოდენ *ხრიკ* და *ხუანჯ* და *მაკაროტ*, და რაჲცა რაჲ არს მორკინალთა ჯელოვნებისა.²¹

32

14. ჯელოვანსა და ბილნსა მარნმუნებელობასა სანერწყუველ-ჰყოფენ *Iber.* (3, l. 19-20) – *τῆς ἐντεχνίου ταύτης, καὶ ὡραίας πικρίας διαπύσσει* *Gr.* (PG 36, 337 A 10-11): რაჟამს ჯელოვნებითა სიტყუათაჲთა ღონე-ჰყოფდენ წარმართნი რნმუნებად ღმერთყოფასა კერბთა მათთასა, მაშინ უმეტეს სანერწყუველ-ჰყოფენ მათ ბილნებითა მით თხრობათა მათთა მიმოქცევისაჲთა.²²

2

4

6

15. ძნელ იყო ყრმებრ მტირალობაჲ *Iber.* (4, l. 6) – *δεινὸν γὰρ ἦν ὡς παιδίου κλαυθυσίνεσθαι* *Gr.* (PG 36, 337 B 4-5): კურიტთა ჯმითა და ტყუელვითა და საჭურველთა ბგერებითა ტირილსა დიოჲსსა დამფარველ იყო რეა, რაჲთა დაუმალოს იგი შვილთმოძულესა მას მამასა კრონოსს. და ესე ძნელ იყო, ეტყჳს, უკუეთუ დამალვაჲ რასმე საგონებელ იყოს თქუენ მიერ ღმრთად სახელდებულისა მისგან, რაჲთამცა მტირალი ეხილვა მისგან შთანთქმად საგონებელი იგი, რამეთუ ეძვნებოდა თავისა თჳსისა შეცთომილებაჲ, ვითარ ჩჩვლისა ნილ ლოდი

2

4

6

8

14. a'BC. **15. a'BC.** ² კურიტთა] კორიტთა *a'BC.* ⁴ შვილთმოძულესა მას მამასა ~ მამასა მისსა შვილთმოძულესა *C*; შვილთმოძულესა *a'*. მამასა *add.* მისსა *a'B.* ⁵ ესე *om.* *a'*; იყო] იყო *a'BC.* ⁶ სახელდებულისა] საგონებელისა *a'B.* ⁷ ეხილვა] ეხილა *a'C.* ⁸ თჳსისა] თჳსისაჲ *C.*

²¹ გაკეთებულია მითითება კლასიკურ რიტორიკაში სპორტული ტერმინოლოგიის – საჭიდაო ილეთების (*ხვანჯი*, *დახვანჯვა* – მონინალმდეგის წვივზე ფეხის დახვევა; *მაკაროტ* / *მაკარტო* – ბეჭის აკვრა მონინალმდეგის გულ-მკერდში) გამოყენების შესახებ.

²² ამ განმარტების შესატყვისი ბერძნულში არ დასტურდება. *ჯელოვნება* სიტყუათაჲ – რიტორიკული *ხელოვნება* აქ უარყოფით კონტექსტშია მოხსენიებული, როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველის, ისე კომენტატორის მიერ. კლასიკური რიტორიკის მიმართ ანტინომიური დამოკიდებულება ზოგადად დამახასიათებელია ადრეზიზანტიური ეპოქის ავტორებისათვის. გრიგოლ ღვთისმეტყველი უხვად იყენებს კლასიკური რიტორიკის ხერხებს თავის ტექსტებში, თუმცა ცნობილია მისი არაერთი თეორიული გამონათქვამი, რომელშიც კლასიკური რიტორიკა უარყოფითად არის შეფასებული, მაგალითად, *სიტყუამჭევრობა* – *ტყუელით წმასნილი* (*Oratio* 21), იხ. ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 181-182; 576-577. მოცემულ პასაჟში *thn entecnnon* ექვთიმე ათონელს უარყოფითი მნიშვნელობით აქვს თარგმნილი: *ბილნი მრავლისმეტყუელება* (*Oratio* 39, *Iber.* p. 38).

მიიღო.²³ გინათუ დიოხსტეს სთქუა *ძნელყოფაჲ*, განცხადებულად ძნელ
 10 იყო და ჭირ, რამეთუ წარწყმედასა შეამთხუევდა კრონოს, ეცნა თუმცა
 სიცოცხლე მისი. ესრეთ ორკერძოვე ძნელყოფითა ერთისა საქმისაჲთა
 12 წარმართთა სიჩქურისა მბასრობელ არს მოძღუარი.

16. ვინაჲცა უეჭუელად უკუეთუ უჴმდავე მათ უღმრთოებაჲ Iber.
 2 **(6, I. 6-7) – ὡς εἴπερ ἀσέβειν αὐτοὺς ἔδει πάντως Gr. (PG 36, 341**
A 1-2): ამათ სიტყუათათჳს აბრალებენ ვიეთნიმე მოძღუარსა, ვითარცა
 4 არა მართლმეტყუელსა ღმრთისმსახურთაგან და გონების მქონებელთა
 ლოცვად ვისთჳსმე ესევითართა ღმერთთა მსახურ-ყოფად და პატივის-
 6 ცემად ოდესცა. ხოლო ჩუენ ვიტყვთ, ვითარმედ იხილა რაჲ წარმართნი,
 ესრეთ პირუტყულად ღმრთისაგან შეცთომილნი, უფროჲსღა თანაღმო-
 8 ბით იტყჳს ამას მათთჳს, რაჲთა ბილწებისაგან და უნდოებისა სამსახურე-
 ბელთა მათთაჲსა შეირცხვნონ პირუტყუებაჲ თჳსი და უადვილეს იქმნეს
 10 მათდა მოქცევაჲ ჭეშმარიტებისა მომართ. და არა ხოლო იგი, არამედ
 მიერიტგან არცა სხუაჲ ვინ შეიცთუნოს მიდევნებად ბოროტად მადიდე-
 12 ბლობისა განქიქებისათჳს და ბილწებისა საცთურთა მათთაჲსა. ვინაჲცა
 მიზეზისაებრ აწ შემოღებულისა პირისა არა ხოლო კადნიერება, არამედ
 14 უგუნურებაცა არს ბრალობაჲ მოძღურისაჲ. და ნუუკუედა არა დიდ იყოს
 თარგმანებული ესე რეცა ამითა ნაკლულევანებითა, ვითარმედ უკუეთუ
 16 უჴმდა მათ იძულებით უღმრთოებაჲ და დიდებისაგან ღმრთისა განვრ-
 დომაჲ, არა ფრიად სიბრძნე არს ღმრთისაგან განვრდომილთა მათ მიერ
 18 კერძოსა რასმე ძიებაჲ. და კუალად, რამეთუ არათუ უეჭუელად ქმნილი
 რაჲმე, არამედ სახის შემოღებით თქუმილი აღწერილ არს ესე ამას თანა

16. a'BCH. ⁵ მსახურ-ყოფად] მსახურებად *a'*. ⁶ ჩუენ *om. a'*. ⁷ თანაღმობით] თანალ-
 მობითით *a'B*. ¹⁰ მომართ] მიმართ *a'B*. ¹¹ არცა] არცაღა *a'B*; სხუაჲ ვინ ~ ვინ სხუაჲ
a'B. ¹⁴ უგუნურებაცა] უგონურებაცა *H*. ¹⁵ ამითა] ამისითა *aB*.

²³ თხრობა ზევსის დაბადებასთან დაკავშირებულ ამბებზე – კურიტთა და კო-
 რიბანტთა მიერ ზევსის ტირილის დასაფარად ატეხილი ხმაური, რეას მიერ
 კრონოსისათვის ჩვილი ზევსის ნაცვლად ლოდის მიცემა – მთლიანად ეყრდ-
 ნობა *Oratio 39*-ის ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტარს, *Pseudo-Nonniani in*
IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica, p. 192. იხ. აგრეთვე,
 ბასილი მინიმუსის ეპისტოლე კონსტანტინე პორფიროგენეტის მიმართ, სად-
 აც საუბარია ბასილის მიერ თავისი კომენტარების შედგენის კომპილაციურ
 მეთოდზე – გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ადრინდელი კომენტა-
 რების წყარობად გამოყენების შესახებ, *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni*
orationem XXXVIII commentarii, p. 2-6.

და ვითარ არა საჭიროდ ვინმე ილოცოს მათთვის ნაცვალად სხვსა რაჲსმე 20
ტანჯვისა. ესევეითართა მსახურყოფაჲ მათი და ესრეთ პატივცემულყო- 22
ფაჲ, რაჲთა ღირსად საცთურისა და რაჲ-იგი ღირს სასყიდლისგებად
საცთურისა მიიღონ მათ უპატივოებაჲ ბილნებითა მათითა, რომელთა 24
ჰმსახურებენ. რამეთუ პირველად ამისი ჯერ-იყო ლოცვაჲ, რაჲთა არა
ესევეითართა მსახურ იქმნენ, ხოლო რაჲამს მსახურ იქმნეს ნათლისა 26
ნილ აღრჩევითა ბნელისაჲთა, მიერითგან, ვითარცა ღირსთა ბნელისაჲთა,
ესე სამართლად სალოცველ არს, რაჲთა ესევეითართა ჰმსახურებდენ, 28
რომელნი თვთ მებრ ბილნებისაგან საძაგელ მათდა იქმნენ.

**17. ვინაჲცა ძელისა მისგან ცხორებისა Iber. (7, l. 5-6) – ἄφ’ οὐ 2
τοῦ ξύλου τῆς ζῆης Gr. (PG 36, 341 B 4-5):** რაჲსა ვინაჲცა? გარნა თუ 2
ზემო თქუმულისა მიზეზისა, რამეთუ პატივი ღმრთისაჲ თავთა თვსთად
მიიზიდეს და ოცნებით, არათუ ჭეშმარიტებით, იჩემებდეს მას. 4

**18. არცა ესოდენსა ცვალების ქმნულებასა დიდებისაგან და 2
ბუნებათდასაბამობისა Iber. (7, l. 13-15) – οὐδὲ τὸς αὐτῆς μετὰ στα-
σιν γενέσθαι τῆς δόξης, καὶ τῆς πρώτης φύσεως Gr. (PG 36, 341 B 4
12-13):** ბუნებით დასაბამობაჲ თქუა ეშმაკისათვს, რამეთუ „სიტყუანი 4
წმიდათა წერილთანი“ იობისგან მოღებითა დასაბამად დაბადებულთა
უფლისათა ეშმაკსა უწოდენ.²⁴ ვინაჲცა აქა მოძღუარი თანა-ენამების მათ 6

²⁰ და om. a'B. ²²⁻²³ და რაჲ იგი ღირს სასყიდლისგებად საცთურისა om. a'B. ²³ უპა-
ტივობაჲ] უპატიობაჲ a'; რომელთა] რომელ a'B. ²⁵ იქმნენ] იქმნეს a'. ²⁸ თვთ om.
a; ბილნებისაგან] ბილნებისა a; იქმნენ] იქმნეს B. 17. a'BCH. 18. a'BCH.

²⁴ ქართული თარგმანი საგრძნობლად განსხვავდება ბერძნულისაგან. ბერძნულ
განმარტებაში მთავარი ადგილი ეთმობა გრიგოლის ფრაზის პირველი ნაწილის
(oude tosauthn metastasin genesqai th~ doxh~) განმარტებას, რაც ქართულ
თარგმანში არ დასტურდება. ქართული განმარტება შინაარსობრივად ეხმაურე-
ბა მხოლოდ ერთ ფრაზას ბერძნული კომენტარიდან: Ta Logia archn plasmato~
Kuriou ton diabolon legei (52r) – „ლოგია“ ეშმაკს ღმერთის მიერ დასაბამიდან
შექმნილს უწოდებს (ta Logia – იესოს გამონათქვამების კრებული, რომელიც
დღეისათვის არ არის იდენტიფიცირებული; დამონმებული უნდა ჰქონდეს I საუ-
კუნის საეკლესიო მოღვაწეს, პაპიასს თავის თხზულებაში „უფლის წინასწარ-
მეტყველთა განმარტებები“; უკავშირებენ ასევე ჰიპოთეტურ Q დოკუმენტს,
რომელშიც ახსნილი უნდა ყოფილიყო სახარებებს შორის არსებული მსგავსება-
განსხვავებანი). ქართულად „ლოგია“ თარგმნილია, როგორც „სიტყუანი წმიდა-
თა წერილთანი“ და ამ თხზულების ერთ-ერთ წყაროდ დასახელებულია იობის
წიგნი, სავარაუდოდ, Job. 1, 6, სადაც ეშმაკი მოხსენიებულია ანგელოზებთან /
ღვთის შვილებთან ერთად, რომლებიც, ისევე როგორც ყველაფერი ამქვეყნად,
ღვთის მიერ არიან შექმნილნი. ბერძნულში დამონმებული არ არის იობის წიგნი.

და მცირედ ზემორე ზენაჲთ ქუეყანად გარდამოვრდომილად²⁵ უწოდს, რომლისათჳსცა ცვალებით ქმნულებაჲ იყო ეშმაკისა ზენაჲთ გარდამოვრდომაჲ და კაცისაჲ ქუენაჲთ ზენად აღსლვაჲ.

19. შექმნულთა ამათჳს კეთილთა საქმეთა მიერ Iber. (7, I. 21-22)

– τὸ πεποιθμένους ἐπ’ ἀγαθῶν ἔργοις Gr. (PG 36, 341 C 3-4): არსებით მსგავსებაჲ ღმრთისაჲ შეუძლებელ არს, რამეთუ იგი თავადი მიუწთომელ და დაუტევნელ არს. ხოლო მაღლით საქმეთა მიერ კეთილთა ჴელ-გუენიფების მსგავსებად მისსა, რაჲთა მხედველნი მათნი ადიდებდენ მამასა ჩუენსა ზეცათასა.

20. ჟამის ქუეშე და პირველსა აღძრვასა შინა Iber. (8, I. 6) – ἡ πόλις καὶ πρώτη κίνησις Gr. (PG 36, 341 D 4-5): ერთ და იგივე არს ჟამი და პირველი აღძრვაჲ. ხოლო აღძრვა არს დაბადებაჲ, რომელ არს პირველი დაწყებაჲ დაბადებისაჲ. და იქმნების იგი ჟამისა ქუეშე, რამეთუ მიერ ვინაჲთგან იწყო ღმერთმან ცისა და ქუეყანისა დაბადებად, მიერ-ითგან დღისაგან და ღამისა იწყეს ჟამთა და ესრეთ მიიღო გრძნობადმან სოფელმან დაბადებაჲ. ამისთჳს ჟამის ქუეშე სახელ-ედების მას. ხოლო ჟამის წინად ითქუმის უხილავი სოფელი, რომელ არს დასი ანგელო-სთაჲ და ყოველთა უხილავთა ბუნებათაჲ, რამეთუ პირველ დღისა და ღამისა შექმნისა იყო დაბადებაჲ მათი. და ჟამნი, ცხად არს, ვითარმედ დღისა და ღამისაგან იწყებენ. ხოლო ანგელოზთა დაბადებისათჳს თვთ დიდი ესე მოძღუარი იტყჳს: პირველად მოიგონნა ანგელოზებრნი ძალ-ნი²⁶ და შემდგომი. ვინაჲცა უსაკუთრეს არს, რაჲთა ჟამისქუეშეობაჲ სთქუა ხილულისა დაბადებულისათჳს, რომელნი დღესა და ღამესა შინა დაიბადნეს. ხოლო პირველი აღძრვაჲ სთქუა ანგელოზთათჳს, რამეთუ პირველად მათგან იწყო დაბადებაჲ და აქა პირველ ძრვა დაბადებასა უწოდს. ამათ ყოველთა წიაღვლაჲ უწმს კაცსა ხილულთა და უხილავთაჲ, რაჲთა ესრეთლა მიიწიოს ყოველთა უზეშთაესისა ღმრთისა. ამათ ყოველთა სიტყუათა გულისჴმისყოფაჲ ქრისტეს მიმართ ხედავს, რომელ-იგი არს დასაბამი თბისა ჩუენისაჲ. და მის მიერ აღყვანებულ ვიქმნენით

⁷ ზენაჲთ] ზენაჲთგან a'BC. ⁹ ქუენაჲთ] ქუენა a'. ¹⁹ a'BCH. ⁴ მიუწთომელ] მიუწოდომელ a'CH. ⁶ ზეცათასა] ზეცათაჲსა C. ²⁰ aBCH. ¹³ რაჲთა] არა a. ¹⁴ რომელნი] რომელმან a. ¹⁶ მათგან] მათ a; დაბადებაჲ] დაბადებად aBC. ¹⁷ წიაღვლაჲ] წიაღვლით a. ¹⁸ ყოველთა] ყოველთაგან a. ¹⁹ მიმართ] მიერ a; რომელ-იგი] რომელი-იგი aBC.

²⁵ Oratio 39, Iber. p. 53, I. 13.

²⁶ Oratio 38, Iber. p. 79, I. 6.

ნიაღვრანებულნი ზენა კერძო არა ხოლო ხილულისა, არამედ უხილავი-
საცა სოფლისა, ვიდრემდის დასხმულ ვიქმნენით საყდართა მათ მამ- 22
ულთა.

**21. ღმრთისათჳს და საღმრთოთა Iber. (8, l. 7-8) – τὰ περὶ Θεοῦ
καὶ τὰ θεῖα Gr. (PG 36, 341 D 6):** ვჰგონებ, ვითარმედ არა იგივე 2
და ერთი, რომელი აქუს ორთავე ამათ სიტყუათა, ვითარ-იგი სხუანი
ჰგონებენ. არამედ ღმრთისათჳს თქუმა არს ღმრთისმეტყუელებაჲ, ხოლო 4
საღმრთოთათჳს, ესე იგი არს საქმეთათჳს მისთა, რომელ არს დაბადებაჲ
და დაბადებულთაჲ. 6

**22. სიბრძნისმეტყუელებთ Iber. (8, l. 9) – Φιλοσοφῆσαιμεν Gr. (PG
36, 341 D 6-7):** წინაგანკაზმვისა წესი²⁷ აქუს სიტყუათა ამათ. ხოლო წი- 2
ნაგანკაზმვა არს განმზადებაჲ გზათა სიტყვსათაჲ, რაჲთა ადგილ-სცენ
თხრობასა მისსა. გინათუ წინათხრობაჲ ვერაგობა²⁸ არს ჴელოვანყოფად 4
ლუანლთა მიმართ, ვითარცა მოიჴსენებს აფსინი,²⁹ რაჟამს მიმო-გან-
ჰყოფდეს წესსა თხრობათასა და ყოველსავე წინააღმდეგომსა განარჩე- 6
დეს და აღილებდეს მიერ, რომელი ან მოძღურისაგანცა იხილვების, რა-
მეთუ პირველ მოიქმს ქუეყანასა და ეგრეთ სთესავს თესლსა.³⁰ 8

**23. არა ხედვისაგან დაწყებულსა Iber. (8, l. 14-15) – Οὐ γὰρ
ἀπὸ θεωρίας ἀρχαμένους Gr. (PG 36, 344 A 3):** ხედვა საცნაურსა 2

²¹ ნიაღვრანებულნი] წინააღყუნებულნი *a*; ზენა] ზემო *a*; ხოლო *om. BC*. **21.** *aB*
(*C non leg.*) *H*. ²⁻³ იგივე და ერთი ~ ერთი და იგივე *aB*. ⁴ ღმრთისათჳს] სხვისათჳს
a. **22.** *aBC* (*C non leg.*) *H*. **23.** *a'BCH*.

²⁷ წინაგანკაზმვა (*prokatastasi~*) – რიტორიკული ხერხი – სათქმელის წინასწარ
შემზადება, თხრობისათვის წინასწარი მოკლე შესავლის მომზადება.

²⁸ *efodo~* – საშუალება, ხერხი (ამ შემთხვევაში – რიტორიკული ხერხი), ეფრემს ნა-
თარგმნი აქვს, როგორც ვერაგობა, რაც უნდა ეხმაურებოდეს ბიზანტიური ეპო-
ქის მწერლობაში არსებულ ანტინომიურ დამოკიდებულებას კლასიკური რიტო-
რიკის მიმართ (იხ. აგრეთვე, სქ. 22).

²⁹ აფსინეს გადარელი (*Ayinh~*, III ს. ახ. წ.), რიტორი; ცნობილია მისი ორი ნაშრომი:
Tecnh rhetorikh და *Peri eschmatismenwn problhmatwn*, რომლებიც დიდად არის
დავალებული ჰერმოგენესა და ლონგინესაგან. *Tecnh rhetorikh*-ს II თავში აფსი-
ნესი საუბრობს რიტორიკული ფიგურის, წინაგანკაზმვის შექმნის ცხრა ხერხზე.

³⁰ რიტორიკული ხერხის, წინაგანკაზმვის განმარტების მიზნით, გამოყენებულია
ყოფითი ხასიათის შედარება: ჯერ მინის დამუშავება (თხრობისათვის შემზადე-
ბა), შემდეგ მინაში თესლის ჩაყრა (თხრობა). ბერძნულში ეს პასაჟი არ დასტურ-
დება. დეტალურად ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 44.

ენოდების საქმესა, რომლისა მიერ არს ხედვითი ფილოსოფოსობაჲ. გონ-
 4 ებით მხოლოდ გულისწმისაყოფელი ესე ხედვაჲ სამ სახედ განიყოფების:
 ღმრთისმეტყუელებითად, ბუნებათმეტყუელებითად და დამსწავლელო-
 6 ბითად.³¹ და თითოეული ამათგანი მხოლოდ გონებით და სიტყვთ ოდენ
 იხილვების. ვინაჲცა მოსურნეთა ღმრთისმეტყუელებისათა ეტყვს,
 8 რაჲთა შიშისაგან იწყონ ნამდვლვე ჭეშმარიტისა მის ღმრთისა სიბრძნი-
 სა მიმართ აღსვლად. ესევეთარსა მას შიშსა ჰნებაჲს დასაბამ-ყოფად
 10 საქმიითისა ფილოსოფოსობისა, რომელი-იგიცა სამ სახედ განიყოფების:
 სწავლითად და განგებულებითად და მოქალაქობითად.³² ვინაჲცა კეთი-
 12 ლად შეატყუებს ყოვლადბრძენი და იტყვს შიშისა მიერ დაწყებასა საქმი-
 თისა და მოღუანებითისა სიბრძნისმოყუარებისასა, რომლისა მიერ სი-
 14 მალლედ ხედვისა აღვინევით ღმრთისმეტყუელებისა და სიბრძნისმოყუ-
 არებისა, და ესრეთლა თვთ ბუნებითისაღა სიბრძნისა ღმრთისა ჩუენისა
 16 დიდებულებასა მივეახლებით ესრეთ უკუე და არა წინა-უკმო. რამეთუ
 უაღვროჲ ხედვაჲ, პირველ საქმით გამოცდილებისა, მთხრებლად გმობისა
 18 შთაგუთხევს ჩუენ.

24. სადა – შიში *Iber.* (8, I. 19) – Οὐ γὰρ φόβος *Gr.* (PG 36, 344
 2 A 7): ამის ადგილისა სიტყუათა სახესა ენოდების კიბე და კიბოვან,³³
 რომლისა მიერ, ვითარცა ხარისხთა რათმე ზედა, სიტყუაჲ სხვთი სხუად
 4 იცვალეების და მასვე ნაკუეთსა გინა შენადგამსა მრჩობლ მოქცევითა
 ფერჴცვალეებით აღვალს პირველისაგან მეორისა მიმართ.

25. დიდთათჲს, გინა დიდისა ანუ ზეშთა დიდისა *Iber.* (8, I.
 2 25) – τοῖς τῶν μεγίστων, ἢ τοῖν μεγίστου, ἢ ὑπὲρ τὸ μέγα³⁴ *Gr.*

³ მიერ] მიმართ *a'C.* ⁵ დამსწავლელობითად] მასწავლელობითად *a'.* ¹⁰ ფილოსოფოსო-
 ბისა] ფილოსოფოსობისასა *a'.* ¹³ სიბრძნისმოყუარებისასა *om. a'B. 24. a'BCH.*
² სიტყუათა] სიტყუათათჲს *a'.* სახესა] სახე ესრეთ *a'.* სახე *BC. 25. A'BCH.*

³¹ Qeorhtikh filosofia – qeologikh, fusiologikh kai maqematikh (*Paris. Coisl.* 240, 52v).

³² Praktikh filosofia – hqikw~, oikonomikw~ kai politikw~ (*Paris. Coisl.* 240, 53r).

³³ to schma kai klimax ... klimakwton – კლიმაქსი – რიტორიკული ხერხი, რომლის მიხედვით ერთი და იმავე სიტყვის თუ ფრაზის სხვადასხვა კონტექსტში დალ-
 აგებით (გამეორებით) აზრი თანდათან იკრებს ძალას. იხ. *Oratio* 39, *Iber.* p. 59, I. 19-25: დაცვაჲ მცნებათაჲ / დაცვაჲ მცნებათაჲ – განწმედაჲ / სინმიდე – გამო-
 ბრწყინვებაჲ / გამობრწყინვებაჲ.

³⁴ *Oratio* 39-ის ეს პასაჟი კომენტირებულია მაქსიმე აღმსარებლის მიერ თხზულე-
 ბაში *Ambigua ad Iohannem* (PG 91, 1304 A5-12). ბასილი მინიმუსის განმარტება
 უკავშირდება მაქსიმეს კომენტარს.

(PG 36, 344 A 12): სამგუამოვნებასა იტყვს ერთღმრთეებისასა დიდთა გუამთათჲს, ხოლო დიდისა – ერთღმრთეებისათჲს. ხოლო ზეშთა დიდისა 4
თქუმითა განმართება-ჰყოფს დიდთათჲს და დიდისა, ვითარმედ რაჲსა 6
ვითყჲ დიდთა თჲსსა სამრავლოდ სამოხისათჲს გუამთაჲსა, ვითარმედ 8
სამგუამოვან არს ერთარსი, ხოლო დიდისასა შემოკრებით საერთოდ, ვი- 10
თარმედ არსებით ერთ არს ღმერთი. ვთქუა უზეშთაჲსი, ვითარმედ ზეშთა 8
დიდობისა არს ღმერთი, რამეთუ არა რაოდენობითა რაჲთმე, არცა სი-
დიდითა, არცა ვითარებითა განიზომების, ანუ გარე-შეინერების ღმერთი. 10

26. ამისთვის განიწმიდებოდედ Iber. (9, l. 1) – *Διὰ τοῦτο καθαρτέον*
Gr. (PG 36, 344 B 1): მაქსიმე:³⁵ ესე იგი არს, ვითარმედ: ვინაჲთგან განწმი- 2
ედაჲ საჭმარ არს, ამისთვის პირველად განვიწმიდდეთ თავთა, რამეთუ სადა 4
სულისა განწმიდაჲ იყოს სათნოებათაგან, მუნ მოვალს გამობრწყინებაჲ 4
მეცნიერებისაჲ, რომელი ღმრთისმსახურებით განსწავლითა მეცნიერებად 6
ღმრთისა აღიყვანებს სულსა და შემშქუალავს სურვილსა მისსა, რომელი- 6
იგი არს დასასრული წადიერებათაჲ. რაჲმს სამგუამოვნებადმდე დააყე- 8
ნოს თვთებაჲ დიდთაჲ და კუალად ერთარსებად შემოკრიბოს დიდისაჲ და 8
ყოველთა სიდიდეთა უზეშთაჲსისაჲ, რომლისათჲს სხუასა ადგილსა ესევე 10
მოდღუარი იტყვს მიზეზისა დამბადებლისა, სრულმყოფელისა, რომლითა 10
ცხად-ჰყოფს სამგუამოვნებასა.³⁶

27. პეტრე რაჲმს ვთქუა, ვის-მე ვიტყვ? Iber. (9, l. 10) – *Ἡέρπον δὲ ὄταν εἴπω, τίνα λέγω;* **Gr. (PG 36, 344 B 9):** თავისა თჲსისა კითხვაჲ რაჲსამე 2
უმეტესსა მოქმედებს განცხადებასა ძალისა და თარგმანებისასა.³⁷

⁴ ზეშთა] ზესთა A'. ⁵ თქუმითა om. BC. ⁸ ზეშთა] ზესთა A'. ¹⁰ არცა] არა A'. **26.** a'BH(C om.). ² მაქსიმე om. H; არს om. B. ⁴ სათნოებათაგან] სათნოებისაგან a. ⁶ შემშქუალავს] შემსჭუალავს aB. **27.** a'B (C non leg.) H. ³ მოქმედებს] მოქმედებასა a'.

³⁵ ბერძნულ ხელნაწერებში (Paris. Coisl. 240, Paris. Coisl. 52, Vat. gr. 437) ამ განმარტების ავტორი დასახელებული არ არის. შდრ. მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem* (PG 91, 1301 D 6 – 1303 A 2).

³⁶ *Oratio* 34, PG 36, 249 A 2-4: Kaleitai de h men, Qeo~, kai en trisi toi~ megistoi~ istatai, aitiw, kai dhmiourgw, kai teleiopoiw: tw Patri legw, kai tw Uiw, kai tw agiw Pneumati.

³⁷ to eauton tina erwtan (Paris. Coisl. 240, 53v)– საკუთარი თავისთვის კითხვის დასმა – რიტორიკული ხერხი. ექვთიმე ათონელთან ეს ფრაზა თხრობითი წინადადებით არის გადმოტანილი: *პეტრეს ვიტყვ* (*Oratio* 39, Iber. p. 60, l. 12), ხოლო ადრინდელ თარგმანში – კითხვითი წინადადებით: *პეტრეს რომელსა ვიტყვ?* (*Oratio* 39, Iber. p. 8, l. 9)

28. უფროხლა მცირედისაგან დიდისა მის ნათლისა ბრწყინვა-
 2 ლებისა³⁸ *Iber.* (9, l. 14-15) – *πᾶλλον δὲ ἱσχυρίαι τοῦ μεγάλου φωτός*
λαμπρότητι Gr. (PG 36, 344 B 12-13): ესე სახის განმარტება³⁹ არს, ვი-
